

# საუკუნის ქალები

თბილისი  
2009



წიგნი გამოიცა ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ პროექტის „საუკუნის ქალები“ ფარგლებში.

დაფინანსებულია შვეიცარიის განვითარების სააგენტოს მიერ.



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confederation suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svezra

**Swiss Agency for Development  
and Cooperation SDC**



**გამოცემის ხელმძღვანელი:**

ელენე რუსეცკი

**სარედაქციო ჯგუფი:**

თამარ გოგოლაძე  
დალი კუპრავა  
ნინო მოდებაძე  
ქეთევან მუმლაძე  
ეკატერინე სხილაძე  
მარინე ხუციშვილი

**დიზაინი:**

გოგა დავთიანი

**დაკაბადონება:**

პაატა მამფორია

**ტექნიკური ასისტენტები:**

მამუკა გარეჩილაძე  
თამთა გელაშვილი  
თამარ ჭეხანი  
მარი შარაშიძე



**დაიბეჭდა „ქალთა პოლიგრაფიულ სერვისში“**

მისამართი: წინამძღვრიშვილის ქ. №40.

საქართველო, თბილისი, 0102.

ტელ./ფაქსი: (995 32) 942 699.

ელ-ფოსტა: [wps@ginsc.net](mailto:wps@ginsc.net)

# სარჩევი

აბზიანთე მანანა . . . . .	9	მალაციტე ირმა . . . . .	90
აზიკური ნანული . . . . .	11	მგელაძე ირმა . . . . .	92
ანთაძე ციური . . . . .	14	მდივნიშვილი-გრიზე სოფო . . . . .	95
ბართაია თამარ . . . . .	17	მეფარიშვილი ნანა . . . . .	98
ბახუტაშვილი ნინო . . . . .	19	მიქაბერიძე მაია . . . . .	101
გადავაძე მზია . . . . .	21	ოატი რუსუდან . . . . .	103
გარუჩავა ინგა . . . . .	24	რაზიკაშვილი ლელა . . . . .	106
გელაშვილი მარინე . . . . .	27	რევაზიშვილი ნანა . . . . .	109
გიგოშვილი ია . . . . .	30	საკანდელიძე ია . . . . .	111
გოცირიძე მერი . . . . .	32	სამხარაძე ზაირა . . . . .	114
გულედანი მაია . . . . .	34	საფარიშვილი ეკა . . . . .	117
დავთიანი ჟანა . . . . .	36	სირაძე ტატიანა . . . . .	119
ეპიტაშვილი ელისაბედი . . . . .	39	სულაბერიძე ია . . . . .	122
ვარდოსანიძე მანია . . . . .	42	სხირტლაძე თამარ . . . . .	124
ვირსალაძე დინი . . . . .	45	ფანცულაია ნანა . . . . .	127
ზაალიშვილი ნინო . . . . .	47	ფილფანი ლილე . . . . .	130
ზღუდაძე დარეჯან . . . . .	49	ქოთილაძე ცისანა . . . . .	132
თაბუკაშვილი მარინა . . . . .	51	ყიასაშვილი მაია . . . . .	135
თიკანაძე ია . . . . .	53	შავერდაშვილი მაკა . . . . .	138
თომაშვილი ნინო . . . . .	56	შიუკაშვილი-კონლან ლალი . . . . .	140
იაკობიძე რეგინა . . . . .	59	ჩხეიძე ხათუნა . . . . .	143
ივანიშვილი მარინა . . . . .	62	წკეპლაძე ნათია . . . . .	146
კალანდაძე ნანა . . . . .	64	ჭაბაშვილი თამარი . . . . .	149
კაციტაძე ლიკა . . . . .	67	ხაბულიანი ხათუნა . . . . .	151
კოლხიდაშვილი მარინა . . . . .	70	ხაჟალია ვალენტინა . . . . .	154
კორძაია-სამადაშვილი ანა . . . . .	73	ხომერიკი ირინა . . . . .	157
კუპრავა ნინო (ჩუკა) . . . . .	75	ჯანელიძე მაია . . . . .	159
კოშორიძე ირა . . . . .	78	ჯინჭარაძე მანანა . . . . .	161
კუჭუხიძე მედიკო . . . . .	81	ჯორბენაძე თეა . . . . .	163
ლავრინენკო ირინა . . . . .	84	ჯორჯაძე მაკა . . . . .	166
მაგამედოვა მანაბა . . . . .	87		



# ძვირფასო მკითხველო!

ჩვენი სურვილი იყო შეგვექმნა წიგნი, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა ინფორმაცია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქალბატონთა ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. თავად სურვილი კი წარმოშვა გარემოებამ, რომელიც დროდადრო თავს გვახსენებს და ხშირად გარკვეულ არგუმენტადაც გვევლინება: საქართველოში არ არიან, ან სულ თითოეულ ჩამოსათვლელნი არიან ის ქალბატონები, რომელთაც უნარი აქვთ შეცვალონ საზოგადოებრივი აზრი და ხელი შეუწყონ ფასეული ღირებულებების დამკვიდრებას.

წიგნზე მუშაობის პროცესში საინტერესო და წარმატებული ქალბატონების საკმაოდ დიდი ნუსხა შედგა. მათ საქმიანობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არა მარტო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, არამედ მსოფლიო განვითარების პროცესშიც. ამ ინფორმაციამ თავი მოიყარა ე.წ. „საინფორმაციო სკივრში“. ზოგიერთი მათგანი ალბათ ნაცნობია თქვენთვის, მაგრამ ამ წიგნში შეხვედებით ისეთი ქალბატონების სახელებსაც, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ არაფერი სმენია ჩვენს საზოგადოებას. ისინი გულწრფელად საუბრობენ თავიანთ წარმატებასა და წარუმატებლობაზე, მიღწევებზე, ინიციატივებზე, პერსპექტივებზე, იმ საინტერესო ადამიანებზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მათ ცხოვრებაში, ამ ქალბატონების საქმიანობა და ინტერესები ძალზე მრავალფეროვანია, ისინი ჩუმად იღვწიან და თავმდაბლად აკეთებენ თავიანთ საქმეს.

ჩვენი მიზანი მათი შემოქმედების, მათი საქმიანობის წარმოჩენაა. ვინ იცის, ეს წიგნი მავანი-სათვის ახალი იდეების საწყისად იქცეს, მავანისათვის კი – სტიმულად, უფრო მეტი ენერჯითა და გულთაღობით ჩაერთოს ქვეყნის განვითარების პროცესში.

ჩვენს მიერ გენდერულ თემატიკაზე დასმულ ერთსა და იმავე შეკითხვებზე რესპოდენტებს განსხვავებული პასუხები ჰქონდათ; მათი შეხედულებები საინტერესოა როგორც რიგითი მკითხველისათვის, ასევე ექსპერტებისთვისაც, ვინაიდან წიგნში ნათლად არის ნაჩვენები რას ფიქრობენ შემოქმედი და წარმატებული ადამიანები ქალთა და გენდერულ საკითხებზე. ყველა მათგანში ნათლად ვხედავთ ავტორს თავისი ინდივიდუალობით. მათთვის ერთგვარი ასპარეზია წინამდებარე წიგნი, რომლის მეშვეობითაც თავიანთი სათქმელი ფართო საზოგადოებამდე უნდა მიიტანონ. ჩვენ მათ უბრალოდ ამის საშუალება დიდი სიხარულით მივცით. განსჯა თქვენთვის მოგვიწევია.

„საინფორმაციო სკივრის“ მოცულობა, რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში კვლავაც გაიზარდება და შეივსება. ამჯერად კი ინფორმაციის მოწოდებისათვის მაღლობას ვუხდით ქალბატონ თამარ ბართაიას და ნინო ზაალიშვილს, რომელთა დახმარებითაც არაერთ საინტერესო ქალბატონს შევხვდით. ძვირფასო მკითხველო, ვიმედოვნებთ, თქვენც ჩაებმებით ამ პროცესში: მოგვაწვდით ინფორმაციას საინტერესო და აქტიური ქალბატონების, ან სულაც თქვენ შესახებ. ჩვენ კი მათ სიამოვნებით გავეცნობით და გავაცნობთ საზოგადოების ფართო წრესაც.

ღელენე რუსეცკაია





# პარ ის, რაც პარ

მანანა აბუნიანიძე – მეთოჯინე

დაბადების დღე – 14 ნოემბერი



„მადლობა ყველს.  
ნომ ჯამ ის, ნაც ჯამ“.

მუსიკალური ათწლედი რომ დავამთავრე, იმ წელს ბატონი რეზო გაბრიაცე მარიონეტების თეატრს ქმნიდა. მოგზავდი თეატრში. იქ ყველა ასე მოხვდა, არაპროფესიონალები ვიყავით. ბატონი რეზო მუსიკალური სემენის მქონე ახალგაზრდებს არჩევდა. სკოლიდან პირდაპირ თეატრში დავიწყე მუშაობა. თოჯინებს ვატარებდი.

მერე თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე. იმ პეროდში მეთოჯინეების სპეციალური ჯგუფი შეიქმნა ინსტიტუტში. ჩემი სპეციალობა მეთოჯინეობაა, თოჯინების დამზადება და ტარება. სწავლის პარალელურად ვმუშაობდი. ტელევიზიაშიც ვიმუშვე „დიდების ზღაპარზე“, შემდეგ – მეცხრე არხზე. საინტერესო იყო რეჟისორ დათო სიხარულიძესთან მუშაობა, ტელევიზიაც კარგი იყო, თან ჩემი პროფესიით ვმუშაობდი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორადი ფაკულტეტიც დავამთავრე 80-ანი წლების ბოლოს. ამ პერიოდში ხელსაქმე შევისწავლე. ჟურნალებიდან გადმომქონდა თარგები, ვქსოვდი ტრადიციულად, სწორად, შესაბამისი ფერითა და ორნამენტით. საქართველოს ყველა რეგიონის წინდა და ორნამენტი შევისწავლე. ყველა კუთხეს თავისი ფერი და ტექნიკა აქვს.

თოჯინებისთვის დღესაც არ გამინებებია თავი. გვაქვს მეთოჯინეთა კლუბი. რუსთაველზე, „სარდაფში“ ვთამაშობთ ორ სპექტაკლს. სხვაგანაც ვთამაშობთ, საკონცერტო ნომრებს ერთ ყუთში ჩავალაგებთ ხოლმე და დავდივართ მთაში, ბავშვებს ვუმართავთ წარმოდგენებს. ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის საავადმყოფოში სპექტაკლიც დავდგით. უღედმამო ბავშვებისათვისაც ვდგამთ სპექტაკლებს. მწერალმა ნაირა გელაშვილმა „კავკასიურ სახლში“ შემოგვთავაზა საკვირაო სკოლის შექმნა ბავშვებისათვის. 20 სოციალურად დაუცველ და დეგნილ ბავშვთან შაბათ-კვირას ვმუშაობდით. ერთად ვაკეთებდით თოჯინებს და სპექტაკლიც გამოგვივიდა.

შემდეგ პროექტების განხორციელება დაიწყეთ. პირველი პროექტი ასპინძის ბავშვთა სახლში განვახორციელეთ. ნაჭრებისაგან ბავშვებს თოჯინების კერვა შევასწავლეთ. მერე ისინი თავიანთ ნამუშევრებს ყიდდნენ. ჩვენ გვყავს ამერიკელი ფილდმეიკერი. მისი დახმარებით დაიწყეთ ბავშვებთან მუშაობა. სამი თვის განმავლობაში ყოველ ორშაბათს ასპინძაში მივმგზავრებოდი და პარასკევს ვბრუნდებოდი. სახელოსნოც მოეწყო. შემდეგ ანალოგიური პროექტები კასპშიც განვახორციელეთ და გორშიც. არც ერთი პროექტი არ ყოფილა წარუმატებელი. ამდენი ნიჭიერი ადამიანიც არ მინახავს ერთად.

ჩემი ცხოვრების ბოლოს ალბათ გავიგებ, რა იქნება ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა.

იღბალი იყო, რომ ამ სახელოსნოში მოვხვდი, სულ რაღაცას ვაკეთებდი, აქ ჭკვიანი ადამიანები დამხვდნენ და ჩემი გზა მაჩვენეს. ახლა მუსიკას აქტიურად ვუსმენ. ყველანი მუსიკოსები არიან: ჩემი დისშვილები, მამა, მეგობრები. ხანდახან კონცერტზე რომ მოვხვდე, მათი ვიოლინოთი და ჩელოთი შევდივარ სამოსამსახურო შესასვლელიდან.

რაღაცები გამუდმებით იცვლება. ბებიარჩემიც ამბობდა, ჩემს დროს ასე და ასე იყო. ქალები ძალიან აქტიურები არიან დღეს და ბევრს ეს კარგად გამოსდის. ქალს შეუძლია ბევრ რამეზე მოახდინოს გავლენა. კაცის სუბიექტი არის ქალი და ეს ძალიან საინტერესოა. ურთიერთობების ზომიერება ყველას მართებს, ზომაზე მეტი აქტიურობაც ბევრს არაფერს იძლევა.

მე ხელით ვაკეთებ ყველაფერს და ჩემი შინაგანი ტემპი მაქვს, საზოგადოება კი თავბრუდამხვევი ტემპით ვითარდება. თავად ასე არ შემიძლია, მაგრამ არავის ვერჩი. უშრუნალებში, მაგალითად, საცვლებით აჩვენებენ ხოლმე საკუთარ თავს, მგონი, ეს ბუნებრივი არ არის და არც მომწონს. მე ყველაფერს ბუნებრივს ვანიჭებ უპირატესობას. არასოდეს მიფიქრია, კაცად დაგბადებულეიყავი, მადლობა უფალს, რომ ვარ ის, რაც ვარ. მე მამაკაცს ვანიჭებ უპირატესობას. ეკლესია ამბობს, კაცი არის ოჯახის თავი. მამაკაცს თავისი ადგილი აქვს, ქალს – თავისი.

„საფარში“ (სადაც ძალადობის მსხვერპლი ქალები ცხოვრობენ) ქალებს თექაზე მუშაობა ვასწავლე. იქ შეჭირვებული ქალები იყვნენ. მას შემდეგ, რაც ეს საქმე ისწავლეს, აღარ ფიქრობდნენ თავიანთ ოჯახურ პრობლემებზე. არის რაღაც ამ თექაში... „საფარში“ ძალიან გაბედული ქალები იყვნენ, ამერიკულ კინოში მეგონა თავი. მეზობელს რომ შენს გასაჭირს მოუყვები, ეს სხვაა. წარმოიდგინეთ, ორმოცდაათი ქალი, რომელიც ერთმანეთს უყვება თავისი გასაჭირის შესახებ. ეს ქართველი ქალისათვის არ არის დამახასიათებელი. სამი დღის მერე მეც მომინდა, რომ ჩემ შესახებ მომეყოლა. ძალიან სასაცილო იყო, ძალიანაც ვიხალსე. მანამდე არცკი ვიცოდი, რომ ძალადობის მსხვერპლი თავადაც ვიყავი. „საფარი“ ძალზე საჭირო საქმიანობას ეწევა. შემდეგ ეს ხალხი ასპარეზზე გამოდის და ის, რაც „საფარში“ ისწავლეს, მათთვის არსებობის წყარო ხდება.

რეგიონებში ბევრს დავდივარ და ვფიქრობ, რით შემიძლია ხალხი მივიზიდო, მათგან ვისწავლო და ჩემგანაც ისწავლონ; ძალიან ბევრმა გაცილებით უკეთ იცის ხელსაქმე, უბრალოდ, დავიწყებული აქვთ. ძალიან მიხარია, როცა ვხვდები ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებიც საოცარ რაღაცებს აკეთებენ.

# სამკვლევარი სიხეთის გვირგვინი

ნანული აზიკური – ეთნოლოგი,  
ისტორიის მკვლევართა ლექტორი,  
ქართული ტექსტილის ჯგუფის წევრი  
დაბადების დღე – 11 მაისი



„რითა მოხუცა მითხრა:  
„მოჲა ღმრთ. ყულას ყულაფი  
ჭიჭი ქნეჭა. აის ყანის ძე დასჯილქათ.  
აის ნყალ-ჭალა და ნისქილი. ყულაფი  
მხა ქნეჭათ. ძაგამ რითანეთის  
სიყაბული აღამ ქნეჭათი“ – ყულაზე  
მეცად ამ ღმრთის დადგომისა მეძინია“.

37 წელი ვიმუშავე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს მატერიალური კულტურისა და სამეცნიერო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებაში, ვარ ხუთი წიგნისა და ორმოცამდე სამეცნიერო სტატიის ავტორი.

1997 წელს ჩემმა მეგობრებმა – ნინო ყიფშიძემ, ირინე კოშირიძემ, ნინო ჩაჩხიანი და ნინო კუპრავამ შექმნეს არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართული ტექსტილის ჯგუფი“ (GTG), რომლის წევრიც ვარ. ჯგუფი საინტერესო საქმიანობას ეწევა ქართული ხალხური რეწვის აღორ-

ძინების საქმეში. ჩვენი ჯგუფის მონდომებითა და დონორი ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, ქალთა ფონდი, ევრაზიის ფონდი) დახმარებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, თუშეთი...) შეიქმნა ქალთა ხელსაქმის სახელოსნოები, სადაც დღემდე მუშაობენ ქალები.

ბოლო წლების სიდუხჭირეში ძალიან მიშველა ტრადიციულ ოჯახში აღზრდამ, სადაც თითქმის ფეხისა და ენის ადგმისთანავე ხელსაქმეს აჩვევენ გოგონებს. ინსტიტუტში დამუშავებული სამეცნიერო გამოკვლევა – „ხალხური ფეიქრობა საქართველოში,“ ამასთან ერთად ჩემი პრაქტიკული გამოცდილება – ბავშვობიდან მიღებული შრომითი ჩვევები თანამედროვე ყოფაში ძალიან გამომაძგა. მე მიყვარს ხელსაქმე და სხვასაც სიამოვნებით გადავცემ ჩემს ცოდნას. კარგი გრძნობაა, როცა შენგან ნასწავლი ხელსაქმე ცოტათი მაინც ეხმარება ადამიანებს ცხოვრების მოწყობაში. შრომით, მარტო ხელნაქნარით შეიძლება ვერ გამდიდრდე, მაგრამ თუ ჯანმრთელობამ ხელი შეგიწყო, მშვიდად იცხოვრებ. ქვეყანა როცა დალაგდება, იმედია, ხალხურ რეწვასაც მეტი პერსპექტივა გაუჩნდება. არსებობისათვის ბევრი შრომაა საჭირო. სავლეთ-ეთნოგრაფიული მუშაობისას შევხვედრივარ ადამიანებს, მთვარის შუქზე რომ ბარავდნენ, ან იგონებდნენ, თუ როგორ მკიდნენ ყანას. მახსოვს, ერთმა მოხუცმა მითხრა – „მოვა დრო, ყველას ყველაფერი ბევრი ექნება, არც ყანის მკა დასჭირდებათ, არც წყალ-ჭალა და წისქვილი, ყველაფერი მზა ექნებათ, მაგრამ ერთმანეთის სიყვარული აღარ ექნებათ“ – ყველაზე მეტად ამ დროის დადგომისა მეშინია. ბევრს შრომობდნენ ადამიანები. ჩვენი წინა თაობები მართლა დიდ ჯაფაში იყვნენ. დედაჩემი რომ გარდაიცვალა, ხუთი შვილიდან ერთმა იკითხა – „გახსოვთ დედა როგორი იყო უქმად დამჯდარიო“ და ვერც ერთმა ვერ გაიხსენეთ; ზაფხულში ხომ შრომობდა და შრომობდა: ვენახი, რწყვა, წისქვილი, შეშა სულ მის კისერზე იყო, მამა მეცხვარე და მეჯოგე გახლდათ და სულ წასული იყო, წელიწადში ორჯერ თუ შემოივლიდა სახლში საძოვარიდან საძოვარზე გადასვლის დროს. ზამთარში, ვითომ უფრო მოცალებობის უამს, დედა ისევ შრომობდა, სულ თითისტარის ხმაზე ვიძინებდი და ვიღვიძებდი. მექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მთელი ღამე ასე იყო. რალაცნაირად ყველაფერი დედას უკავშირდება დღემდე. ნამდვილი სასწაულია დედაშვილობა. ჩემთვის უცხოა ძიძის ინსტიტუტი, არანაირი სამსახური არა ღირს იმად, რომ ბავშვს ძიძა აუყვანო. ქალი ყველაზე ბედნიერი მაშინაა, როცა შვილები მის კალთას არიან ჩაბლაუჭებული, სიცოცხლის ეს მონაკვეთი ხელიდან არ უნდა გაუშვას ქალმა, შვილების ბავშვობა ისეთი ტკბილი ბედნიერებაა, ისეთი საოცარი მონაკვეთია ადამიანის სიცოცხლისა, რომ სახელსაც კი ვერ დაარქმევ. მერე, როგორც ღმერთის საჩუქარი, მოდიან ახალი შვილები, ანუ შვილების მეუღლეები და პატარა, საოცარი არსებები – შვილიშვილები – გვირგვინი ყველანაირი ამქვეყნიური სიკეთისა. როცა შენი პატარა შვილიშვილი, შენთან ერთად ვითომ ხელსაქმით გართული, შეაჩერებს თამაშს, ამოგხედავ და გეტყვის – ნანალო ბებო, რა კარგი ხარ, გოგო!“ და თან ჩაგეხვევა (ჩანს, შენი მოყოლილი ამბავი მოეწონა), აქ უკვე ყველაფერი გავიწყდება და გრჩება მხოლოდ უსაზღვრო მადლიერების გრძნობა უფლისადმი იმ დიდი სასწაულისათვის, შვილები რომ გაღირსა.

გული მწყდება, დღეს ჩემს ქვეყანას ასე შეჭირვებულს რომ ვხედავ. იქნებ მეტი სიყვარულია საჭირო, ავადმყოფ დედასამშობლოს რომ ეშველოს. ეს ყველამ ერთად უნდა მოვიხდომოთ.

ყოვლად შეუგუებელია ამდენი ჭუჭყი და სიბინძურე ქვეყანაში. მახსოვს, სოფელში ქალები დილით ძროხას რომ გადენდნენ, იწყებდნენ ქურჩის დაგვა-დასუფთავებას, მერე ეზოებს ალაგებდნენ და ბოლოს სახლში შედიოდნენ. ქალაქებშიც დილით გარეცხილი ქურჩების რალაცნაირი სუნი ტრიალებდა და საზოგადოებრივი ტრანსპორტიც დაკრიალებული გამოდიოდა.

ახლა რა ხდება – ქარსადევნებული ცელოფანის პარკებითაა სავსე ქვეყანა, ქუჩის მთელ გაყოლებაზე, ტრასებზე, გზის გადაღმა პოლიეთილენის პარკები და ბოთლები ყრია. ამის გამო საშინლად მრცხვენია. ეს ხომ მაინც ჩვენს ხელთ არის – არ დავყაროთ, არ დავანაგვიანოთ! რატომღაც ყოველთვის ეკითხებიან ჩვენი ჟურნალისტები უცხოელ სტუმრებს, ხომ ლამაზია ჩვენი ქვეყანაო, ეს სამარცხვინო კითხვაა. სტუმარი ყოველთვის დელიკატურია, ის, რა თქმა უნდა, გეტყვის, ლამაზიაო, შენც იჯერებ და ჭუჭყსა და ნაგავში ჩამხრჩვალნი ქვეყნით ამაყობ, ეს საშინელი ავადმყოფობაა, რომელსაც ჩვენ უნდა ვუმკურნალოთ. ლამაზი მთელი დედამიწაა, სადაც ყვავილი ხარობს ყველგან სილამაზეა, უდაბნოსაც აქვს თავისი სილამაზე. ლამაზი და მოსაწონია ლამაზი ქალი, პირსაც თუ დაიბანს, ასეთია ჩვენი ქვეყანა – პირდაუხანელი, გასაცოდავებული, გაპარტახებული, მიტოვებული და დათრგუნული. იქნებ უფრო მეტი ვიფიქროთ ამაზე, მტრისაგან გაპარტახება არ გვეყოფა? მტერშეუხები ადგილებიც პარტახდება, მაგრამ რა ქნას ხალხმა? ნათქვამია: „გაჭირვება ქვაზე მაგარიო“ და გაიკრიფენ ქართველები საქართველოდან. ძველად ასე იოლად ვერ ტოვებდნენ ადგილის დედას, მაგრამ ახლა, მართლაც, როცა ასე დაუცველი ხარ, გაჭირვება ქვასა და რკინაზეც მაგარია.

გლახები ჩარჩებისაგანაც კი ვერა გვყავს დაცული, ამას უკვე კანონი უნდა აწესრიგებდეს. ძველად თბილისში, როცა სოფლის პროდუქტებს ჩამოიტანდნენ გლახები გასაყიდად, სახელმწიფო კანონი იყო და ამ წესს არავინ არღვევდა, 12 საათამდე მოსახლეობა ივაჭრებდა, უშუალოდ გლახებისაგან იყიდდა, რაც სურდა და მხოლოდ ამის შემდეგ დარჩენილ პროდუქტს ჩარჩ-ვაჭრები შეისყიდნენ თავიანთი დუქნებისათვის. ახლა რა ხდება? ბაზრამდე გლახს არავინ უშვებს, მთელი სოფლის პროდუქტი ვაჭრების ხელში ხვდება – ან ადგილზევე ყიდულობენ, ან ქალაქის შემოსასვლელშივე ხვდებიან გლახებს.

დღეს ყველანაირ უკუღმართობას სოციალურ ფონს აბრალებენ: ნარკომანიასაც, ლოთობასაც, უსაქმურობასაც. ძნელი სოციალური ყოფა ძველად არ იყო? ძველად ხალხს უჭირდა, მაგრამ ცხოვრება უხაროდათ და მცირედიტაც კმაყოფილები იყვნენ. სელსა და კანაფს ძველად სულ სხვა მიზნით იყენებდნენ. კანაფისა და სელის ქსოვილებით, ასევე ზეთით, საქართველო განთქმული იყო ანტიკურ სამყაროში.

ისეთი მოკლე და წარმავალია წუთისოფელი, რომ პირადულსა და მატერიალურზე ფიქრიც არა ღირს. იქნებ ამაზეც იფიქრონ ჩვენი ქვეყნის მესვეურებმა და გადაარჩინონ მსოფლიო რუკაზე ერთ პატარა წერტილად დასკუპული ჩვენი სამშობლო, რომელიც ზოგჯერ მეჩვენება, რომ ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა, უფრო არყოფნისკენ გადახრილი. მე მიყვარს ჩემი სამშობლო, ჩემი წინაპრების საფლავები, ჩემი ისტორიული ფესვები და ვერ გავცვლი ვერანაირ ოქროს სასახლეებზე.

# ქალი პროფესიონალი და ქალი დედა



**სიური ანთაქა – ეკონომიკურ  
მეცნიერებათა დოქტორი,  
მიგრაციის საერთაშორისო  
ორგანიზაციის „დასაქმებაზე  
ინფორმაციის, კონსულტაციისა და  
მიმართვის სენტრის“ კოორდინატორი  
დაბადების დღე – 30 ივლისი**



„ქალი, თავისი ტყუნიდან გამომდინარე,  
ყველა ძეგალ მიღწეულია ჯამცნიოიოჭისა და  
თანასწოიოჭისაყენ. ზიღწე ყვეოსოჭისა და  
მჭიძანოიოჭისაყენ. ძესაჭამისად, სეზოელოჭაძი  
ქალის პოლის ეაზიდა იჯახის ინსციცყცის  
ენმცყცყჭას ეამიინჯუქს“.

შრომისმომხარამობასა და მიზანსწრაფულობას ვუმადლი იმას, რასაც ცხოვრებაში მივალწიე. ასევე, უზომოდ მაღლობელი ვარ იმ ადამიანების, რომლებიც ამ თვისებებს ხედავდნენ ჩემში და წინსვლაში ხელს მიწყობდნენ. საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე ვცდილობდი რეალური საქმე მეკეთებინა და ბევრი საჭირო საქმეც გამიკეთებია. არასოდეს დამზარებია სხვათა დახმარება და ამისთვის დრო, ძალა არ დამიზოგავს. ჩემთვის ყოველთვის მტკივნეული იყო საქვეყნო პრობლემები და პირადი კეთილდღეობა შეფასების მთავარ კრიტერიუმად არასოდეს მქონია. შეუძლებელია თავი იგრძნო კომფორტულად, როცა ქვეყანაში ამდენი გაჭირვებულია. ამასთან, სულ უფრო იზრდება მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია და მატულობს

ლატაკი მოსახლეობის რაოდენობა. სიღარიბის დაძლევა ურთულესი ამოცანაა, რამდენადაც იგი მოითხოვს დიდ ძალისხმევას როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოებისა და პიროვნებების მხრიდან. საქართველოში სიღარიბის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორებია უმუშევრობა და დასაქმებულნი მიღებული შემოსავლების სიმცირე. შესაბამისად, დასაქმება და შემოსავლების სფეროში სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ხელს შეუწყობდა სიღარიბის შემცირებასა და დაძლევას. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ ე. წ. „ლიბერალური პოლიტიკა“ ამ სფეროებში სოციალური რისკების ზრდას განაპირობებს და საფრთხეს უქმნის სოციალურ სტაბილურობას. ასეთ სიტუაციაში საქართველოში დასაქმების სახელმწიფო სამსახურის გაუქმება გაუმართლებელ ნაბიჯად მიმაჩნია. 2005 წლიდან ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც სამუშაოს მაძიებელს დაეხმარებოდა შესაფერისი სამუშაოს მოძიებასა და დასაქმებაში. სწორედ ამ ვაკუუმის შევსება დავისახეთ მიზნად, როცა 2007 წელს, ჩეხი და პოლონელი კოლეგების დახმარებით, დავაარსეთ „დასაქმებაზე ინფორმაციის, კონსულტაციისა და მიმართვის ცენტრი“. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით რამდენიმე თვეში შევექმენით და ავამოქმედეთ სისტემა, რომლის შექმნასაც 6 წელიწადი ვცდილობდი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, როცა იქ დასაქმების პოლიტიკის სამმართველოს უფროსად ვმუშაობდი. ამ პატარა, მაგრამ ეფექტურ ცენტრში მომხმარებელს მრავალმხრივ და კომპლექსურ სერვისს ვთავაზობთ. კერძოდ, სამუშაოს მაძიებლებს ვაწვდით ინფორმაციას დასაქმების, გადამზადებების, კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების შესახებ; ვუწევთ კონსულტაციებს პროფესიის არჩევისა და შესაფერისი სამუშაოს განსაზღვრის საკითხებზე; ვარეგისტრირებთ მონაცემთა სპეციალურ ბაზაში და ვეხმარებით შესაფერისი სამუშაოს მოძიებაში; ვუტარებთ სპეციალურ ტრენინგებს, რათა მათ შეძლონ შესაბამისი დოკუმენტაციის (CV, სამოტივაციო წერილი) პროფესიულ დონეზე დაწერა, სათანადოდ მოემზადონ დამსაქმებელთან გასაუბრებისა და თვითპრეზენტაციისათვის; დამსაქმებელს ოპერატიულად ვურჩევთ და ვაწვდით მისი მოთხოვნების შესაფერის კადრს; ორგანიზებას ვუწევთ დამსაქმებლისა და სამუშაოს მაძიებლის შეხვედრას. ცენტრის მომსახურება როგორც სამუშაოს მაძიებლისათვის, ისე დამსაქმებლისათვის უფასოა. გულისხმიერება, ოპერატიულობა, პროფესიონალიზმი და მობილურობა ჩვენი ორგანიზაციის სავიზიტო ბარათია.

სამუშაოს მაძიებლებთან და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის პროცესში ბევრმა მწვავე პრობლემამ იჩინა თავი. პრობლემების ნაწილი-დამსაქმებლებს, ნაწილი კი სამუშაოს მაძიებლებს უკავშირდება. რაც შეეხება გენდერულ თავისებურებებს, ქალების უფრო მაღალი აქტიურობა და პროფესიული განვითარებისათვის მეტი მზაობა იკვეთება. ცნობილია, რომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ქალები აქტიურობისა და ადაპტირების უფრო მაღალ ხარისხს აჩვენებენ, ვიდრე მამაკაცები. ასეა თანამედროვე საქართველოშიც.

ჩემი აზრით, ქალის მდგომარეობა საქართველოში ზოგადად დისკრიმინაციული არ არის. ქართულ საზოგადოებაში ქალის როლი და მისდამი დამოკიდებულება, ძირითადად, ღირსეულია, თუმცა გამონაკლისებიც გვხვდება. მახსენდება ერთ-ერთი უცხოელი ექსპერტის შეფასება: „საქართველოში ქალი, უპირველეს ყოვლისა, აღიქმება როგორც დედა, შვილი, მეგობარი და არა როგორც სექსუალურ პარტნიორი“....ანუ საქართველოში ქალის ცნება უფრო მეტად ასოცირდება მის სოციალურ სტატუსთან, ვიდრე მის ფიზიოლოგიასთან. მე ვეთანხმები ასეთ შეფასებას, რამდენადაც ეს დიდწილად განსაზღვრავს ქალისადმი დამოკიდებულებას. თუმცა ქართულ საზოგადოებაშიც გვხვდება ქალთა პირდაპირი დისკრიმინაციის შემთხვევები, არაპირდაპირი დისკრიმინაცია კი უფრო ხშირია. ტრადიციულ ქართულ ოჯახში აღზრდილის

შესაბამისად, ჩამომიყალიბდა წარმოდგენა, რომ ბიჭად ყოფნა უპირატესობა იყო და ბავშვობაში ბევრჯერ მინატრია ბიჭი ვყოფილიყავი. მოგვიანებით კი შევიგრძენი და გავითავისე, რომ ქალად ყოფნა გარკვეული უპირატესობაც კია. რაც უნდა ვილაპარაკოთ გენდერულ თანასწორობაზე, ქალი და მამაკაცი ერთმანეთისგან განსხვავებულია, რაც განაპირობებს ერთმანეთის მიმართ ინტერესს. რაც შეეხება ქალის ოჯახს გარეთ დასაქმებას, ქართულ საზოგადოებაში სულ უფრო მკვეთრად იხატება ამ საკითხისადმი ნეგატიური დამოკიდებულების შემცირების ტენდენცია. შრომამ დიდი ხანია დაკარგა მხოლოდ შემოსავლის წყაროს ფუნქცია და პიროვნების თვითრეალიზაციის მნიშვნელოვანი ბერკეტად გადაიქცა. საგულისხმოა, რომ სხვადასხვა ქვეყანასა და საქართველოში ჩატარებული კვლევების შედეგებითაც, ქალის მუშაობის მომხრეთა წილი უფრო მეტია დაოჯახებულ მამაკაცებში, ვიდრე დასაოჯახებელში. ეს აიხსნება იმ გარემოებებით, რომ დაოჯახებულ მამაკაცები უფრო კარგად აცნობიერებენ, რომ ქალის მუშაობას მარტო ეკონომიკური ფუნქცია კი არ აქვს, არამედ დიდი სოციალური დატვირთვაც ახლავს – საზოგადოებაში გასული ქალი, უფრო ნაკლებადაა გაღიზიანებული, ვიდრე სახლში ჩამჯდარი დიასახლისი. მომუშავე ქალი უფრო მოწესრიგებული და ორგანიზებულია, უკეთ ანაწილებს დროს, აფასებს ურთიერთობებს, მეტად გამგები და მიმტევებელია. ოჯახში ფუნქციების სწორი განაწილება, პარტნიორობა, დაბალანსებული ურთიერთობა ხელს უწყობს ოჯახის განმტკიცებას, რაც დადებითად აისახება ბავშვთა აღზრდის ხარისხზეც. მაგრამ ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დაცულია მომუშავე ქალის შრომითი უფლებები და არსებობს აუცილებელი პირობები დედობისა და მომუშავეს ფუნქციების შესათავსებლად. ქალი პროფესიონალი და ქალი დედა – ეს ისეთი შეთავსებაა, რომელიც აუცილებელია საზოგადოებასა და ოჯახში ქალის ღირსეული სოციალური სტატუსის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად.

ბევრს დაობენ იმაზე – უნდა იყოს თუ არა ქალი პოლიტიკაში და რა როლი ეკისრება მას ამ სფეროში. ვფიქრობ, რომ ქალების პოლიტიკაში ჩართულობა ხელს შეუწყობდა დაბალანსებული, კარგად გააზრებული, აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილებების მიღებას. ასეთი მოსაზრების საფუძველია ის ფაქტი, რომ მამაკაცებთან შედარებით ქალები ხასიათდებიან უფრო ნაკლები რისკიანობითა და მეტი სიფრთხილით. ამასთან, აზროვნების განსხვავებული სტილის მქონე ადამიანების (ცნობილია, რომ მამაკაცებს უფრო უკეთ აქვთ განვითარებული სტრატეგიული აზროვნება, ქალებს – ოპერატიული) თანამშრომლობა რაციონალურობის წინაპირობაა. ეს ვრცელდება საქმიანობის სხვა სფეროებზეც. ამიტომ გენდერული ბალანსი საზოგადოებრივი ცხოვრების ჰარმონიზაციის მნიშვნელოვანი ბერკეტია.



# ქალის პრიორიტეტი

თამარ ბართაია – დრამატურგი,  
სცენარისტი  
დაბადების დღე – 9 თებერვალი



„მეც ყნაა დიდ წამბაწყებან  
მიანნიოხ ქალბა. ყულაფუბი კითი  
ჯაწყაბან გულისწყენადაც ამ ღიბს.  
აღბათ ამსეჭობენ ქალუბი, ნომლუბის  
ყულაფუს ანსეჭენ და ყულეან  
ყულაფუბი გამოსლით“.

სცენარისტის პროფესია დამოუკიდებლად არ ამირჩევია. თავიდან თეატრის რეჟისორობა მინდოდა, მაგრამ პროფესია მიხეილ თუმანიშვილმა შემირჩია და მითხრა, შენი ბუნების ადამიანს გაუჭირდება თეატრში მუშაობა, მაგრამ ისე წერ, რომ დარწმუნებული ვარ, დრამატურგიაში წარმატებას მიაღწევო. პირველადი პროფესიით კინოსცენარისტი ვარ და მიმაჩნია, რომ ეს საქმე ყველაზე უკეთ გამოძის, თუმცა, სამწუხაროდ, დღეს საქართველოში კინოინდუსტრია თითქმის აღარ არსებობს. ამიტომაც ტელევიზიიდან პირველივე შემოთავაზებაზე დავთანხმდი და დღემდე იქ ვაგრძელებ მუშაობას, რამდენიმე წარმატებული პროექტის სცენარის ავტორი ვარ და წლის საუკეთესო ტელესცენარისტის პრიზიცა მაქვს მიღებული, მაგრამ ამ სფეროში ჩემი ადგილი არ არის და რომ არა ფინანსური ინტერესი, გულწრფელად ვამბობ, ერთი დღეც არ გავჩერდებოდი ტელევიზიაში. თუმცა, ღმერთს ყოველდღე მადლობას ვწირავ, რომ უნარი მომცა და ასეთ მიმე დროს, ასე თუ ისე, თავი გამაქვს. გაჩერების უფლება თავისთვის არასდროს მიმიცია. ტელევიზიის ერთფეროვნება ჩემს საქმიანობაში რამდენიმე დოკუმენტურ ფილმზე მუშაობამ გააცოცხლა, რომლის პროდიუსერი და სცენარის ავტორი ვარ. მეგობრებთან ერთად ამ საქმიანობას ახლაც დიდი სიხარულით ვაგრძელებ. ამ პროექტებს ძირითადად საეკლესიო თემაზე ვაკეთებთ, მთელი საქართველო ფეხით მაქვს მოვლილი და მიმაჩნია, რომ

რამდენიმე კარგი ფილმიც გადავიღეთ. დიდი ხანი არ არის, რაც თეატრის დრამატურგიაშიც ვცადე ბედი და პიესებს ვწერ. თითქმის ყველა პიესა დაიდგა ან იდგმება საქართველოში, ზოგიც-ბრიტანეთში. ძალიან მიხარია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ჩემი პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლების პრემიერებსაც ასეთივე სიხარულით ვესწრები. ამ დროს ისე ვნერვიულობ, რომ სიხარულისთვის ადგილი აღარ მრჩება. განვიცდი, რომ ვინმეს რამე არ დაავიწყდეს, მაყურებელს მოეწონება თუ არა – თეატრი ხომ ცოცხალი ორგანიზმია, ამიტომ ყველაფერია მოსალოდნელი. შეიძლება ითქვას, რომ ჩემს სპექტაკლებს მხოლოდ რეპეტიციებზე ვნახულობ და როცა სპექტაკლი ახალი აღარ არის, მაშინ, როგორც რიგითი მაყურებელი ვჯდები სადღაც კუთხეში და დიდი სიამოვნებით ვუყურებ იმ ამბავს, რომელიც, თურმე, დამვიწყებია, არადა ეს ყველაფერი ხომ ერთხელ უკვე მოხდა, მე ხომ თითქმის არაფერს ვიგონებ.

ხშირად ამბობენ, რომ ესა თუ ის პროფესია არ არის ქალის საქმე, დრამატურგობაზეც იგივე აზრია. ალბათ, ასეც არის, რადგან ამ პროფესიას ძალიან დიდი დრო და ენერჯია მიაქვს. ქალისთვის კი მთავარი ბავშვია, ოჯახი და როცა ოჯახზე გადავერთვები, პროფესიული საქმიანობა უკვე „მოსაცდელში აღმოჩნდება ხოლმე“, მელოდება. ხშირად ისეთი მიზეზები გამომჩენია, რომ უარი მითქვამს პროფესიულ საქმიანობაზე. მაქვს პროფესიული დაბრკოლებაც, არ გამომდის, რომ ყველა პიესის კითხვას დავესწრო, ყველა გამოქვეყნებული ახალი პიესა წავიკითხო, ყველა სპექტაკლზე წავიდე... ამას ვერ ვაკეთებ, რადგან შვილი მყავს და ყველა პირად პრობლემას პროფესიაზე წინ ვაყენებ. თუ რამე კარგი და წარმატებული გამიკეთებია, ხშირად, იმის ხარჯზე, რომ ოჯახში რაღაც გამიფუჭებია. ერთხელ ჩემმა შვილმა, როცა ვკითხე, დაბადების დღეზე რა გაჩუქო-მეთქი, მიპასუხა, შენ იყავი მთელი დღე ჩემთან, სხვა საჩუქარი არ მინდაო. იმ პერიოდში ძალიან ვიყავი გადართული შემოქმედებით საქმიანობაზე. ფილმებიც გამახსენდა პატარების გულისტკენაზე, თითქოს არ ამბობენ, მაგრამ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული მოკლებული საათი. წარმოიდგინეთ? როგორ იქნებით: მიღიხარ დედასთან, გინდა რაღაც უამბო და მას არ აქვს მოსმენის დრო, გეუბნება, თავი დამანებე, ახლა არ მცალიაო. ვითომც არაფერი?! ძალიან დიდი გულისტკენაა!!!

დღემდე მუსირებს ის აზრიც, რომ კაცი უფრო ჭკვიანია, ვიდრე ქალი, მე ასე არ ვფიქრობ. მიმაჩნია, რომ კაცს მეტი დრო აქვს, ოჯახის გარეთ აკეთოს საქმე. თუ კაცი უფრო ჭკვიანია, მაშინ რატომაა ირგვლივ ასეთი ქაოსი. დღეს ხომ ქალები უფრო ძლიერებიც აღმოჩნდნენ, უფრო უნარიანები, პასუხისმგებლობიანი და თურმე ძალიან მძიმე ტვირთის ტარება შეძლებიათ. ქალი დედაა, ქალი დაა, შვილია – ქალი სუსტია?! მაშინ ქალის ფუნქცია... სისუსტით გაძლიერებაა, საუკეთესო გავებით. ის პოლიტიკაშიც თავისი ქალური მომხიბვლელობით, კეთილი ვნებით მოქმედებს, რომელსაც შეუძლია მოშუღართა შორის მანდილი ჩააგდოს. ქალური მომხიბვლელობა კი ისაა, რაც კაცს არ აქვს. იდეალური ქალი არის ის, ვისაც შეუძლია სწორად დასახოს თავისი პრიორიტეტები და შეასრულოს ისინი. მე დღემდე მიჭირს ხოლმე გადაწყვეტა, ვფიქრობ და მერე ხშირად ვნანობ კიდევ, აი, მაშინ ისე რომ მოგცეულიყავი ... იდეალური ქალი არის ის, რომელსაც სახლში ყველაფერი ისე აქვს აწყობილი, რომ მას ყველა პატივს ცემს. ეს, ალბათ, ქალის დამსახურებაა. არასოდეს აზრად არ მომსვლია კაცობა მენატრა. ქალს „სისუსტის პრიორიტეტი“ აქვს და ამითია მომხიბვლელი. ამიტომაც მგონია, რომ რაც უნდა დიდ წარმატებას მიაღწიოს ქალმა, ყველაფერი ერთი პატარას გულისტკენადაც არ ღირს. ალბათ არსებობენ ქალები, რომლებიც ყველაფერს ასწრებენ და ყველგან ყველაფერი გამოსდით. ჩემს შემთხვევაში ეს ასე არ არის, მე პირველ რიგში დედა ვარ და შემდეგ შემოქმედი.

# ჩემთვის სტარობივი მიუღებელია

ნინო ხახუტაშვილი – არქიტექტორი  
დაბადების დღე – 11 მაისი



„წილიცაა ჩაქვს ჩაქვს  
განსაყუთიჭით დაქინიჭულია,  
ხოლო, ზოგადად, წილიცაა ჩაქვს  
სიძვირის მიზეზი, ვფიქრობ, ისევე მენტალიტეტი  
და აღზრდა“.

სამსახურში აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი დავამთავრე და საეკლესიო ხუროთმოძღვრების ცენტრში ვმუშაობდი. მიღებული მაქვს პატრიარქის სიგელი სამების ტაძრის პროექტირებაში მონაწილეობისთვის. შემდეგ ოჯახი დედოფლისწყაროში შევექმენი და ჩემი არქიტექტორობაც აქ შეწყდა. ქიზიყისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი ფარდაგების ქსოვა დავიწყე. ეს ჩვენში მივიწყებული საქმიანობა იყო. რა თქმა უნდა, ტრადიციის აღსადგენად საუკეთესო გზა საქმეში ბავშვების ჩაბმა იყო. შევექმენი ბავშვთა ჯგუფი, სადაც იყვნენ 13- დან 16 წლამდე გოგონები. უძველესი ფარდაგები ეროვნულ მუზეუმებსა და სახლებში მოვიძიეთ, სურათებს ვუღებდით. მირზაანში, ფიროსმანის სახლ-მუზეუმშიც ვნახეთ ექსპონატები. შემდეგ ამ სურათებიდან ვსწავლობდით ორნამენტებს. ამასობაში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მცირე გრანტების კონკურსი გამოცხადდა „ტრადიციული ხელსაქმის აღდგენა განვითარებისთვის“. დავწერეთ პროექტი, შევიტანეთ და გავიმარჯვეთ.

ამის შემდეგ შევექმენი ახალი, უფროსების ჯგუფი და ყველაფერი დავიწყეთ ნულიდან. ფარდაგების ძაფებს ვღებავთ მხოლოდ ბუნებრივი საღებავებით: ჩაით, კოწახურის ფესვებით,

კაკლის წენგოთი, ქრისტესისხლათი, ჭინჭრით, თავშავათი. ადრე ხომ ამ ტექნიკით ღებავდნენ ძაფებს და ყველა ოჯახში ქსოვდნენ ფარდაგებს, მაგრამ ახლა ფარდაგების ქსოვის ოსტატს ძნელად თუ ნახავ.

ჩვენი ნახელავით სხვადასხვა ქვეყნის გამოფენაზე ემონაწილეობთ: სანტა ფეში, ტექსტილის ბაზრობაზე, ვაშინგტონში „National geographic“ გამოფენაში. საქართველოში კი თითქმის ყველა გამოფენაში ემონაწილეობთ – მეტეხის საშობაო ბაზრობაზე, სამების ტაძარში, ეროვნულ მუზეუმში, ხალხური რეწვის დღეებზეც ვიყავით და მათი სიგელიც კი მივიღეთ. „ქართული ფარდაგის“ სახელით ვაპირებთ შვეიცარულ-ქართულ გამოფენაში მონაწილეობას. 30 სექტემბერს გვექონდა წარმატებული გამოფენა ამერიკის საელჩოში. კულტურის სამინისტროში პროექტი გვაქვს შეტანილი და გვსურს გავაფართოვოთ ჩვენი საქმიანობა.

ჩვენ კიდევ ერთი სერიოზული გეგმა გვაქვს: დედოფლისწყაროს სამხრეთ-აღმოსავლეთით, აზერბაიჯანის საზღვართან ინგილოები ცხოვრობენ და გვინდა, რომ ისინიც ჩავერთოთ ჩვენს საქმიანობაში და აღვადგინოთ ინგილოური ფარდაგები. საერთოდ კი, ჩვენი მიზანია, გავხდეთ „ბრენდი“ და გავიდეთ მსოფლიო ბაზარზე.

ჩემი საქმე არც პოლიტიკურ მოღვაწეობაში მიშლის ხელს. 2003 წლიდან მემარჯვენეების ქალთა კლუბის ხელმძღვანელი ვარ. პარტიაში ადამიანებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება მივიღე, რაც დამეხმარა ფარდაგის ჯგუფში ქალებთან ურთიერთობაშიც. ჩვენი ჯგუფი სტაბილურად მუშაობს იმ შემთხვევაშიც, როცა შემოსავალი არ არის.

საქმიანობა ქალებთან ერთად მიწევს და დისკრიმინაცია, შესაბამისად, გამორიცხულია, მაგრამ სქესის გამო რაიმე დაბრკოლება არც სხვა პირობებში შემქმნია. ჩემთვის ნებისმიერი სტერეოტიპი მიუღებელია. გათხოვების შემდეგ შვიდი წელი სახლში ვიჯექი და როცა ვიგრძენი, რომ მინდა და შემიძლია სხვა საქმის კეთებაც, ჩემთვის ეს პრობლემად არ გადაქცეულა. მგონი ქალების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით სოფლებში, სტერეოტიპული აზროვნების მსხვერპლნი არიან – ქალი მუდამ სახლში უნდა იყოს, ბავშვებისა და საოჯახო საქმის გარემოცვაში, სხვაგვარად ვერ წარმოუდგენიათ.

ყოფილა შემთხვევები, როცა კაცად ყოფნაც მინატრია. ვფიქრობ, მამაკაცი რომ ვყოფილიყავი, მეტს გავრისკავდი. პროვინციაში ქალის როლი განსაკუთრებით დაკნინებულია, ხოლო, ზოგადად, პოლიტიკაში ქალების სიმცირის მიზეზი, ვფიქრობ, ისევ მენტალიტეტი და აღზრდაა.

# განათლება

## საზოგადოებაში შექმნილ ვანუემს შეავსებს

●  
**მზია გალდავაძე – ბერმანისტი,  
ავსტრიული ბიბლიოთეკის  
ხელმძღვანელი  
დაბადების დღე – 22 აპრილი**



„ქალის თქმის ცალკე  
გამოყვთა ანაწილად მიმაჩნია,  
ზადგან ქალის ვნომენი ამქვეყნად  
ყვლაფრს ეანაწილოჭქს და მისი გამოყოფა  
ამ ქვიძლქა – ის ყვლაფრქია.  
თითოყულ ჩვენქია“.

თავის დროზე ჩემი პროფესიის არჩევა ნაწილობრივ გაბატონებულმა სტერეოტიპმაც განაპირობა - საქართველოში გავრცელებული იყო აზრი, რომ ქალისთვის მასწავლებლობა ყველაზე კარგი პროფესიაა, რადგან ქალი-მასწავლებელი უკეთესად ზრდის შვილებს, ბავშვებთან ერთად ისვენებს, სულ მათთან ერთად არის. ვეთანხმები მოსაზრებას, რომ დედა მუდმივად შვილის გვერდით უნდა იყოს, მაგრამ იგივე ეხება მამასაც. კაცი-მასწავლებელიც სჭირდება სკოლასა და მოსწავლეს! სწორედ ის ქმნის უამრავ პრობლემას, რომ ეს ბალანსია დარღვეული.

გასული საუკუნის 70-იან წლებში არსებობდა ხელშეკრულება იენის (გდრ) უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც საუკეთესო ქართველი სტუდენტები სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში იგზავნებოდნენ. ეს მოსკოვის გავლით ხდებოდა, მთავარ გასაუბრებას მოსკოვში სსრკ განათლების სამინისტრო ატარებდა. ამის გამო პროცესს უარყოფითი მხარეები, რა თქმა უნდა, ჰქონდა, მაგრამ, ვფიქრობ, დადებითი ის იყო, რომ შემთხვევითი ადამიანები იქ ვერ ხვდებოდნენ. გერმანიაში გატარებული 4 წელი საუკეთესო იყო ჩემს ცხოვრებაში, ეს იყო ჩემი პირველი გასვლა ჩაკეტილი სივრციდან. მაშინ მეგონა, რომ ეს იყო ნამდვილი თავისუფლება. ახლა რომ მახსენდება, მეცინება... რა თქმა უნდა, გდრ-ს საკუთარი ჩაკეტილობის დიდი პრობლემა ჰქონდა, მაგრამ ჩვენთვის, საბჭოთა კავშირიდან ჩასულებისათვის, ეს მაინც ერთგვარი თავისუფლების კუნძული იყო. ჩვენ სილაღე, თავისუფალი ხედვის უნარი ჩამოვიტანეთ იქიდან, რაც გამოიხატა იმ სკოლის ცხოვრებაში, დღეს რომ გერმანული სკოლის სახელითაა ცნობილი – ეს სკოლა 1981 წელს გაიხსნა და ძირითადად უცხოეთიდან ჩამოსული ახალგაზრდა მასწავლებლებით კომპლექტებოდა. მაშინ ამ სკოლაში მუშაობა ძალიან პრესტიჟულად ითვლებოდა. გავიდა წლები და მივხვდი, რომ მართლა კარგ საქმეს ვემსახურებოდით.

დღეს ავსტრიული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ვარ. ბიბლიოთეკა იმიტომ ჰქვია, რომ, ჩვენგან განსხვავებით, ავსტრიელებისათვის „ბიბლიოთეკას“ უფრო მეტი ფუნქციური დატვირთვა აქვს. საქართველოში ეს ბიბლიოთეკა 2000 წლიდან ფუნქციონირებს. ეს არის ავსტრიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტი.

რამდენიმე წლის წინ ავსტრიელ პარტნიორებს შევთავაზე, ჩვენი ბიბლიოთეკისთვის სახელი შეგვეცვალა და ავსტრიული კულტურის ცენტრი გვეწოდებინა, რადგან ქართულ რეალობაში ეს გაცილებით მეტ პრესტიჟულობას შესძენს-მეთქი. ცოტა არ იყოს გაიკვირვეს, სიტყვაში „ბიბლიოთეკა“ უფრო მეტი იკითხება, ვიდრე კულტურის ცენტრში, მიპასუხეს. ამ პროექტით დიდად ამაყობენ – მათ ასეთი ბიბლიოთეკა მსოფლიოს 52 ქვეყანაში აქვთ. ჩვენს ბიბლიოთეკაში შედის საინფორმაციო ბიუროც, საერთაშორისო საგამოცდო ცენტრიც და მთარგმნელობითი სახელოსნოც. ასე რომ, პროფილი მრავალმხრივია. ბიბლიოთეკის ყველა აქტივობაში პირადად ვმონაწილეობ, განსაკუთრებით წერილობითი თარგმანი მიტაცებს. სამწუხაროდ, ამისთვის ბევრი დრო არ მრჩება, მაგრამ დროდადრო მაინც ვახერხებ. ძალიან მინდა ვთარგმნო ერთი ავტობიოგრაფიული წიგნი სახელწოდებით „ჩემი ცხოვრება“, რომელიც ცნობილი ავსტრიელი კომპოზიტორის გუსტავ მალერის მეუღლემ, ალმა მალერ-ვერფელმა დაწერა. ამ ქალის ირგვლივ მთელი ვენის კულტურული ცხოვრება ტრიალებდა და ეს ამ წიგნშია აღწერილი. აქ კარგად ჩანს, თუ რა როლის შესრულება შეუძლია ქალს არა მხოლოდ ვიწრო ოჯახურ ჩარჩოში, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ალმა მალერ-ვერფელი საინტერესოდ და უჩვეულო მხრიდან აჩვენებს ქალის ფენომენს, სამყაროში მის უსაზღვრო შესაძლებლობებს. თუმცა ამ საოცრად ძლიერ ქალსაც ჰქონდა თავისი სისუსტეები და ხშირად თავს დაჩაგრულადაც გრძნობდა.

ქალის თემა, ზოგადად, ძალიან მაინტერესებს, ამასთან, ვფიქრობ, რომ ჩვენთან ქალი განსაკუთრებულად დაჩაგრულია, მათ შორის – წარმატებული ქალებიც კი. საკუთარ თავს ნაკლებად ვგულისხმობ, რადგან მე გამიმართლა, გვერდით ისეთი ადამიანი მყავს, რომელთანაც საერთო შეხედულებები და ღირებულებები მაკავშირებს, არასდროს შემშლია ხელი ჩემს საქმიანობაში და არასდროს მიგრძენია ვალდებულება, რომ სახლში უნდა ვიჯდე და მხოლოდ შვილების აღზრდით ვიყო დაკავებული. მე და ჩემი მეუღლე ყოველთვის ვეხმარებოდით ერთმანეთს და შვილების გაზრდა არ გავგჭირვებია. მაგრამ მე ვიცი მრავალი მაგალითი იმი-

სა (და სხვათაშორის, ზოგჯერ საკუთარი თავიც დამიჭერია მსგავს სიტუაციაში), რომ ქალი, წარმატებული თავის პროფესიაში, საზოგადოებაში, ოჯახურ გარემოში სულ სხვანაირი სახით გვევლინება-უცნაურად დაპატარავებული, ძალიან ჩვეულებრივი, ნებით თუ უნებლიეთ, მეუღლის დიქტატს დამორჩილებული. ამიტომ, ზოგადად, ქალი ძალიან მეცოდება. დაჩაგრულია-მეთქი ქალი, როცა ვამბობ, იმ ქალებსაც ვგულისხმობ, რომლებიც იძულებით გადაიხვეწნენ, ოჯახი მიატოვეს და წლების განმავლობაში უცხოეთში მუშაობენ. დაბრუნებულები კიდეც უფრო მეცოდებიან, რადგან ოჯახში სამწუხარო რეალობა ხვდებათ: ეჭვით განწყობილი ქმრები, დაზრდილი და გაუცხოვებული შვილები, რომლებიც სხვანაირად ფიქრობენ და აზროვნებენ და რომელთა გაგებაც დედებს ძალიან უჭირთ. შეიძლება ვინმემ მისაყვედუროს, რომ იოლად ვსჯი, მე უზრუნველყოფილი ვარ, მაქვს სამუშაო, ხელფასი, ყოველწლიური მივლინებები და ა.შ. ასეთ შემთხვევაშიც მაქვს პასუხი, რომ ეს არ არის ფუფუნება და ნურავინ ჩამომართმევს ამბიციურობაში, თუ მე უფრო მეტი მოთხოვნილებები მაქვს, ვიდრე ზემოთ ჩამოთვალე. მინდა მექონდეს უკეთესი ანაზღაურება, უკეთესი სამუშაო პირობები, შემეძლოს ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ შევებულების გატარება. ჩემი ხშირი მივლინებები ვილაცისთვის შეიძლება მოგზაურობაა, ჩემთვის კი – შრომითი გასვლა, ზოგჯერ უფრო მეტად დამღლევი, ვიდრე აქ მუშაობა. მაინც, ვფიქრობ, რომ ჩვენს თანამოქალაქეებს, პირველ რიგში, ქალებს აკლიათ განათლება, ვერ ერკვევიან საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებში, არ არიან სათანადოდ ინფორმირებული. სწორედ ამ ვაკუუმს უნდა ავსებდნენ ქალთა უფლებების დამცველი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციები.

# დრამატურგი – რეჟისორისა და გეოლოგის ტანდამი



**ინგა ბარუჩავა – მწერალი, სცენარისტი,  
რეჟისორი**

**დაბადების დღე – პირველი დაქვამბერი**



„საქაბთველო უყუთს  
ხვედოს იმსახურებს“.

თბილისში დავიბადე. მამა ქართველი მყავს, დედა – პოლონელი, ჩემი პოლონელი წინაპრები საქართველოში კოსციუშკოს აჯანყების შემდეგ ჩამოსახლეს. სხვათა შორის, ციმბირში ვინც გადაასახლეს, თითქმის ყველა დაიღუპა, აქ ჩამოსახლებული პოლონელები გადარჩნენ, ადაპტაცია განიცადეს, ფესვები აქ გაიდგეს. დედაჩემი კოსციუშკოს გვარის წარმომადგენელია, ამ გვარის წარმომადგენლები ყველანი გადაასახლეს პოლონეთიდან. აჯანყების მეთაური ჩემი წინაპარი იყო. ახლა გაეროს შენობის წინ კოსციუშკოს ძეგლი დგას. საქართველოში ბევრი პოლონელი იყო, განსაკუთრებით თბილისსა და ქუთაისში. ბაბუა, სოლომონ გარუჩავა, ფოთში ცხოვრობდა. მას მშობლები ადრე გარდაეცვალა და კადეტთა კორპუსში გაგზავნეს სასწავლებლად პეტერბურგში, ის ჯერ სამხედრო, შემდეგ კი წმინდა გიორგის ორდენის კავალერი გახდა. ჩემი წინაპრებით ვამაყობ. ქართულს აქცენტით ვლაპარაკობ და ეს უხერხულობას მიქმნის.

პროფესიით რეჟისორი ვარ, მოსკოვში „გიტისი“ დავამთავრე, მოსკოვშივე ვმუშაობდი. იქვე გავიცანი პეტრე ხოტიანოვსკი, ჩემი მეუღლე. პეტრე გეოლოგია, გეოლოგიურ პარტიას ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით პროფესია შეიცვალა. ახლა ჩვენ დრამატუგიით ვართ დაკავებული. შემოქმედებითი დუეტი გვაქვს.

მშობლიურ ქალაქში დაბრუნების შემდეგ საქართველოს ტელევიზიაში ვმუშაობდი – ინტერვიუების რედაქციაში. მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმებს ვქმნიდი, რამდენჯერმე ოქროს პრიზიც მივიღე.



სტუდენტობისას მე და პეტრემ არდადეგებზე გადაწყვიტეთ სცენარი დაგვეწერა. მერე რეზო თაბუკაშვილს ვაჩვენეთ. ეს სცენარი იყიდეს ჩვენგან, თაბუკაშვილი კი ჩვენი ნათლია გახდა. მერე პიესაც დავწერეთ – „წინაპართა მიწა“, პიესა გადათარგმნეს და გიგა ლორთქიფანიძემ დადგა მარჯანიშვილის თეატრში, მერე მოსკოვშიც დაიდგა.

გურანდა გაბუნიას თხოვნით დავწერეთ მონოპიესა „მიტევების კვირა“, რომელიც ქეთი დოლიძემ დადგა. ძალიან საინტერესო გამოდგა, იდეა კი ასე დაიბადა: ჩვენმა ქუთაისელმა ნათესაებებმა წაგვიყვანეს სოფელ მარანში, სადაც ძალზე ლამაზი მამაპაპეული სახლი ჰქონდათ. როდესაც კარი გახსნეს, იქ მთელი სამყარო აღმოვაჩინეთ მიუხედავად იმისა, რომ იქ აღარავინ ცხოვრობდა. სახლში მთელი დღე გავატარეთ, სწორედ აქ იშვა პიესის იდეა. ახალგაზრდა ქალი ჩადის თავისი წინაპრების სახლში და იხსენებს ყველას, ვინც იქ ცხოვრობდა, პიესა მოსკოვშიც დადგეს, თუმცა ცოტა სხვანაირად, ძალიან კარგი გამოვიდა. პრემიერის შემდეგ ჩვენთან მოვიდა აცრემლებული ქართველი ქალი, რომელიც გაგვეცნო და გვითხრა, რომ თქვენ ჩემსა და ჩემი სახლის შესახებ წერთ; სოფელ მარანში დაკეტილი სახლი მაქვს, მის გაყიდვას მთავაზობენ და არ გავყიდო.

სოფიკო ჭიაურელმაც გვთხოვა დაგვეწერა პიესა მისთვის. ეს მისი ბოლო პიესა იყო – „პლანეტების დაბადება“, რომელიც მისი მშობლების ცხოვრებას ეძღვნებოდა. ძალიან საინტერესო იყო სოფიკოსთან მუშაობა, ამ სპექტაკლის ჩანაწერიც არსებობს. თემად ავიღეთ ის მომენტი, როდესაც სოფიკომ გადაწყვიტა მამის გადასვენება დედის გვერდით, მთაწმინდაზე. ეს მისთვის ძალზე ძნელი იყო. ვცდილობდი, არცერთი ძვალი არ დამკარგვოდაო. სპექტაკლი ჩვენ თვითონ დავდგით. პატრიარქი მოვიდა და გვაკურხთა.

„მისტიფიკატორი“ უკვე ათი წელია გადის პეტერბურგის კომისარჟევსკაიას სახელობის თეატრში. იგივე პიესა „ბიბისის“ მსოფლიო კონკურსზეც გავაგზავნეთ. პეტრეს დედა – ირინა პეტროვა, ინგლისურის საუკეთესო სპეციალისტი იყო საქართველოში. მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მან გადათარგმნა ჩვენი პიესა „ბიბისისათვის“. არაფერს ველოდებოდით და ორი პრიზი მივიღეთ საუკეთესო პიესისა და საუკეთესო ინგლისურისათვის. პეტრეს დედა ამ ამბავს ველარ მოესწრო, შემდეგ პიესა დადგეს კიდევ „ბიბისიზე“. აი, მაშინ გავიგეთ, რას ნიშნავდა საავტორო უფლებები დასავლეთში. რეჟისორი მაშინაც კი გვირეკავდა და ნებართვას გვთხოვდა, როდესაც წინადადებებისათვის უბრალოდ ადგილი იყო შესაცვლელი. იგივე პიესა ბუდაპეშტშიც დადგეს, ახლახან კი ნორილსკში განახორციელეს. „მისტიფიკატორი“ ყველაზე ძალიან მიყვარს, თუმცა ყველა ნაშრომი შვილივით ძვირფასია ჩემთვის. მაგალითად, „ქალადის გული“, ტელეარხ „კულტურაზე“ დაიდგა. ტელევიზიის ოქროს ფონდში შევიდა, ეს პიესა გრიმიორისა და მსახიობის სიყვარულზეა. იგი გიგა ლორთქიფანიძემ ნახა და ტელეფილმის გადაღება გადაწყვიტა. მაყურებელი მას მალე იხილავს.

პეტრეს წლობით ესიზმრებოდა სტალინი. დავწერეთ პიესა-ფანტასმაგორია „გაფრინდი, შავო მერცხალო“, რომელიც სტალინის ცხოვრების ბოლო ორი ღამის შესახებაა. სპექტაკლი უკვე მეოთხე სეზონია, რაც „სოვრემენნიკში“ მიდის. ახალგაზრდა რეჟისორმა აგეევმა დადგა. მთავარ როლს თამაშობს იგორ კვაშა. ჩვენი პიესა ისე შეცვალეს, რომ სპექტაკლის დროს მინდოდა დამეყვირა: ხალხო, მე ეს არ დამიწერია-მეთქი. სპექტაკლმა აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთგან ისიც კი დაიწერა, რომ სტალინი არის ეშმაკი, რომელიც, შესაძლოა, ანგელოზი ყოფილიყო.

ახლახან ორი პიესა დავეწერეთ. ერთს ჰქვია „საუზმე ნაპოლეონთან“, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში იდგმება, მეორეს – „დილა მშვიდობისა, ასდოლარანო“, რომელიც ტრაგიკომედიაა და ქეთი დოლიძე დგამს „თეატრში ათონელზე“.

ჩვენ ბედნიერი ცოლ-ქმარი ვართ, გვიყვარს ერთმანეთი, შემოქმედებითი კავშირი გვაქვს, ერთმანეთის აზრებს ვკითხულობთ. ერთ დილას ყავის ჭიქით ხელში ჩემს ქმარს ვეუბნები, ჩვენი მომავალი პიესის სახელწოდება იქნება „ფრაკი ნობელისათვის-მეთქი“. დიახო, მითხრა მან, და ეს იქნება პიესა იოსიფ ბროდსკის შესახებო.

ჩვენთან ორი დედა ცხოვრობდა: პეტრეს დედა და დედაჩემი. ცხოვრობდნენ როგორც დები, მეგობრულად, ორივე მძიმედ ავადმყოფობდა და მათი ცხოვრების დასასრული დაემთხვა ძალზე რთულ პერიოდს – უშუქობასა და უწყლობას. ისინი საკუთარ თავებს ნაპოლეონის ჯარისკაცებს უწოდებდნენ, რომლებიც რუსეთში მოხვდნენ. ეს ორი არაჩვეულებრივი ქალბატონი-ჩექმებით, კანწებითა და ქურქებით-იჯდა დიდ სახლში ერთი ნავთქურის ამარა. ყველანაირად ვცდილობდით, რომ მათთვის სიცოცხლე გაგვეხანგრძლივებინა.

საქართველო, როგორც ქვეყანა, და მისი ხალხი სხვა, უკეთეს ხვედრს იმსახურებს. არეულობის პერიოდში მამაკაცებს უჭირდათ უფრო. ბევრს სამსახური არ ჰქონდა, საუკეთესო ქალები კი ავადმყოფების მოსასვლელად წავიდნენ საბერძნეთსა და თურქეთში. ქალებმა ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ მათი მამაკაცები ჭკუიდან არ გადასულიყვნენ, ოჯახებს რომ ვერ ინახავდნენ. მინდა ერთ მშვენიერ დღეს კარგ საქართველოში გავიღვიძო, ისეთში, რომელსაც ჩვენ, ყველანი ვიმსახურებთ.

# ქალმა ოჯახში არ უნდა დახარგოს

● **მარინე ბალაშვილი – კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაოების ორგანიზატორ-მეთოდისტი, ბორჯომ-ლიკანის სამთავრობო რეზიდენციის აბაკაძის დიასახლისი, ბორჯომის მეორე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი**  
**დაბადების დღე – 23 მარტი**



„ერთი ადამიანის შიშს დაჰყრის მსუბუქი იმ საქმისა, მისაც მე ვაყუთებ. მისთვის ვიცხოვრებ და შუქვანი“.

სერბო ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელის დამამთავრებელ კურსზე სილნალის თეატრმა მიმიწვია. მაშინ კარგად არ ვიცნობდი აღმოსავლეთ საქართველოს და მიწვევასაც ამიტომაც დავთანხმდი, ორწლიანი ხელშეკრულება გამიფორმეს. თეატრმა ჩემს ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა. სილნალის თეატრი უაღრესად წარმატებული იყო საბჭოთა პერიოდში, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იწვევდნენ, საერთაშორისო ფესტივალებში ვმონაწილეობდით. თეატრთან ერთად მეც მიწვევდა გასტროლებზე სიარული. დრამატურგებთან, რეჟისორებსა და სხვა საინტერესო ადამიანებთან მუშაობამ ბევრი რამ მომცა. შემდეგში ეს ურთიერთობა და მეგობრობა გაგრძელდა. სრულიად ახალგაზრდა, ცხრამეტი-ოცი წლისა ვეზიარე თეატრს, დავინახე, როგორ ცხოვრობდნენ უცხოეთში თეატრები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, როგორი ფესტივალები იმართებოდა

და, საერთოდ, რით სუნთქავდა მაშინდელი ევროპა. ამან დიდი გამოცდილება და სითამამე შექმინა. სურვილი გამიჩნდა, დავბრუნებოდი მშობლიურ ქალაქს და ჩემი გამოცდილება აქ გამომეყენებინა.

ბორჯომში სამოქალაქო ომის პერიოდში დავბრუნდი. დაქცეული იყო ქვეყანა, უხალისო, უფერული და ჩაჟამებული. საყმაწვილო თეატრ-სტუდიის შექმნა მინდოდა. რა თქმა უნდა, არ იყო სახსრები, არ იყვნენ სპონსორები, მაგრამ ენთუზიაზმით თურმე ყველაფრის კეთება შეიძლება. დავდიოდი, ვაკვირდებოდი და ქუჩიდან ვკრეფდი ბავშვებს, რომელთაც ჰქონდათ ნიჭი და უნარი, სჭირდებოდათ ადგილი, სადაც ნიჭს განავითარებდნენ. ერთ-ერთი პირველი, რომელმაც სტუდია „ნაცარქექის“ შექმნა მომილოცა, ლეილა აბაშიძე იყო. მან თავისი ბავშვობის ფოტოსურათზე წამიწერა: „დიდი მადლობა ამ მშვენიერი წამოწყებისთვის, ოდესღაც მეც ხომ ბავშვი ვიყავი“. საკმაოდ დიდი წარმატება გვექონდა, მალე პოპულარულები გავხდით არა მხოლოდ ბორჯომში, არამედ – მთელ საქართველოში. გვირეკავდნენ, გვეხმებიანებოდნენ, გვეპატიუებოდნენ. ჩემი პედაგოგებიც კი ჩამოვიდნენ, ადგილზე რომ გასცნობოდნენ სტუდიას. ჩვენი სტუდიით დაინტერესდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე როსტომ ჩხეიძე, „ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებაში“ გაწევრიანება შემოგვთავაზა. ამან კიდევ უფრო მეტი სტიმული მოგვცა. ჩვენს ღონისძიებებს ესწრებოდნენ მეოცე საუკუნის გამოჩენილი მოღვაწეები: ოთარ ჩხეიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი. მეც მეტი ენერჯით, მეტი ხალისით ვუდგებოდი საქმეს. ყველაფერი ენთუზიაზმით, დაფინანსების გარეშე კეთდებოდა.

ახლაც ახალგაზრდობის პრობლემებით ვარ დაკავებული. ბორჯომის მეორე საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის, გედევან ფოფხაძის, ხელშეწყობით მცირე პროექტებს ვახორციელებთ ნიჭიერი ბავშვებისათვის. წარმატებულ მოსწავლეებს სტიპენდიებითაც ვაჯილდოვებთ, ვაძლევთ საშუალებას დაესწრონ საინტერესო სპექტაკლებს, ვაწყობთ ექსკურსიებს, შეხვედრებს ცნობილ ადამიანებთან.

მიმაჩნია, რომ გაუნათლებელი ადამიანისთვის ვერანაირ პროექტებს ვერ განახორციელებ, გაუნათლებელი ადამიანი ვერაფერს შექმნის. ჩვენი ქვეყნის წარმატება მთავრდება იქ, სადაც იწყება გაუნათლებლობა. ამიტომ, პირველ რიგში, ბავშვებს უნდა მივხედოთ, ვასწავლოთ, ეროვნული ცნობიერება გავუღვიძოთ და სამშობლო შევაყვაროთ... ისე უნდა უყვარდეთ მიწა, კბილით უნდა იცავდნენ ყველაფერს მშობლიურს, ხეს, წყაროს...

ქალი სოფელში ბევრად უფრო მეტ და სასარგებლო საქმეს აკეთებს, უფრო ჯანსაღ გარემოში ზრდის შეილებს. ბორჯომში ხალხს იგივე პრობლემები აწუხებს, რაც დანარჩენ საქართველოში. ძალიან ბევრი ნიჭიერი, განათლებული, აქტიური ქალბატონი ზის სახლში უმუშევარი. ყველას არ შეუძლია ჩემსავით მხოლოდ ენთუზიაზმით მუშაობა. რამდენი რესურსია გამოუყენებული... ყველას არ შესწევს ძალა ოპტიმიზმი შეინარჩუნოს. პირველ რიგში, რაიონმა ისეთი ადამიანი უნდა აირჩიოს ხელმძღვანელად, ვისაც ბიუჯეტის სწორად მართვა შეუძლია. რა მოხდება, ფული ახალგაზრდების, ან თუნდაც ქალების პრობლემების მოგვარებაზე დაიხარჯოს? ბევრი საინტერესო რამის გაკეთება შეიძლება რაიონში. ვისურვებდი, პარლამენტში იმუშაოს ჩემმა არჩეულმა ისეთმა ადამიანმა, რომელიც ჩემს პრობლემებს მიხედავს, საგანმანათლებლო პროექტებს დააფინანსებს და იზრუნებს, რომ რაიონის ბიუჯეტს ამისათვის ფული ჰქონდეს.

როდესაც რაღაცას აკეთებ და აქტიური ადამიანი ხარ, იერიშებისთვისაც მზად უნდა იყო კაცებისგანაც, ქალებისგანაც, პოლიტიკოსებისგანაც... როცა პოპულარული ხარ და საზოგადოებას უყვარხარ, ხშირად ვიღაცას უნდა შენი ხელში ჩაგდება იმისთვის, რომ გამოგიყენოს თავისი საარჩევნო კამპანიისთვის.

რაც უფრო მეტრძვიან, მით უფრო ვძლიერდები და ენერჯიას ვიკრებ. ერთი ადამიანიც რომ დარჩეს მსურველი იმ საქმისა, რასაც მე ვაკეთებ, მისთვის ვიცხოვრებ და შევქმნი.

ქალის აქტიურობა აუცილებლად მიმაჩნია, საქართველოს ისტორია აქტიური ქალების მაგალითებითაა სავსე. როგორი გასაჭირიც უნდა იყოს ქვეყანაში, საკუთარი ადგილი მაინც უნდა ეძებო. ქალებმა ჩვენი აქტიურობით უნდა შევქმნათ საკუთარი გარემო. ვერც პრეზიდენტი, ვერც მინისტრები, ვერც პოლიტიკოსები ვერ დაგვილაგებენ იმას, რაც თავად უნდა დავალაგოთ. მირჩევნია პოლიტიკაში რაოდენობრივად ცოტა ქალი იყოს, მაგრამ საქმის გამკეთებელი.

# რაც მომდროებაა, ყვალაფარს ვისრულავდი

ია გიგომვილი – მხატვარი

დაბადების დღე – 28 ნოემბერი



„ჩვენ ნიჭიერი, უყვანი და  
განათლებული ხალხი ვართ.  
ვიძახებთ და შევიძლია  
ერთილ გაიქმნოთ ცხოვრება“.

ბავშვობიდან მიყვარდა ხატვა და მშობლებმა პიონერთა სასახლეში ხატვის წრეზე მიმაბარეს, მერე სამხატვრო აკადემიის მოსამზადებელ კურსებზე ვმეცადინებოდი, ძალიან კარგი მასწავლებლები მყავდა. შემდეგ აკადემიაში ჩავაბარე. მირჩიეს სამრეწველო გრაფიკის ფაკულტეტი, ეს არის ლითოგრაფია, ოფორტი და ლინოგრაფიურა. მოქანდაკეც სიამოვნებით გამოვიდოდი, მაგრამ სახლში საამისო პირობები არ მქონდა და ახლა არც ვნანობ. აკადემიაში სწავლა ადამიანს არ გზლუდავდა და რა საგანსაც გინდა, იმას დაესწრებოდი. დღეს ტიხრულ მინანქარს ვასწავლი, რამდენიმე ხნის წინ ჩიკაგოში ვიყავი და მინაში ვმუშაობდი. ახლა თავს მინის ოსტატად ვთვლი. აკადემიის დამთავრების შემდეგ სერგო ქობულაძის სახელოსნოში უჩა ჯაფარიძესთან ვსწავლობდი, მერე სახლში ვმუშაობდი, შვილები გამიჩნდა – გიორგი და ერეკლე. ქმარი მხატვარი მყავს, ოთარ ვეფხვაძე, კერამიკაში, ქანდაკებასა და დიზაინში მუშაობს.

1978 წელს მქონდა პირველი პერსონალური გამოფენა, ბედმა გამიღიმა და მოსკოვში გრაფიკის ცენტრში მიმიწვიეს, მხატვრისთვის შესანიშნავი პირობები იყო, ნებისმიერი საბჭოთა ქალაქის ნებისმიერი მუზეუმის ნახვა შეგვეძლო. ბედმა გამიღიმა, ასეთ ადგილზე რომ აღმოვჩნდი. წლების განმავლობაში დავდიოდი იქ და ბევრ საინტერესო სიახლეზე მიმიწვდებოდა ხელი, მოვლენების ცენტრში ვიყავი. ოთარი ძალიან მეხმარებოდა, ზოგჯერ ორი თვითაც მიწევდა ოჯახის დატოვება, მაგრამ ჩვენ ყოველთვის გვერდში ვედევით ერთმანეთს, რათა გვეცხოვრა და ცხოვრებას არ ჩავვიძირეთ. ესტონელი მხატვრებისგან გავეცანი იმ დროის-

თვის საქართველოში უცნობ შოლკოგრაფიის ტექნიკას და ამ წლების დამსახურებაა ისიც, რომ დღეს მე ცნობილი ვარ სამხატვრო წრეებში, ჩემი ნამუშევრები მოსკოვის, ლენინგრადის მუზეუმებსა და ცნობილი ადამიანების კერძო კოლექციებშია. ამ პერიოდში ჩვენთან ვაშინგტონის არტ ინსტიტუტის მხატვრები ჩამოვიდნენ. ამ ინსტიტუტის მუზეუმში იმპრესიონისტების, რენესანსისა თუ თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების შესაშურად კარგი ექსპოზიციაა. ამერიკელი მხატვრები შილკოგრაფისტები იყვნენ და წარგვადგინეს, როგორც ამ საქმის მცოდნენი. მათ შესანიშნავი მასალა ჩამოგვიტანეს, შევქმენით სახელოსნო და ეს იმ დროს იმდენად ნოვატორული რამ იყო, რომ მნახველებსა და ცნობილ სახეებს ვერ ავუდიოდით. ამერიკაშიც გაგვაგზავნეს, გამოფენაც მოგვიწყვეს ნიუ-იორკში, საუკეთესო სამხატვრო ცენტრები გვიღებდნენ. ეს შესანიშნავი შემოქმედებითი ხანა იყო.

შემდეგ კი მძიმე პერიოდი დადგა ჩვენს ისტორიაში, ხელოვნებით ცხოვრება გაჭირდა. მაგრამ ბედს არც მაშინ მივუტოვებდით. ორი გერმანელი რეჟისორი ჩამოვიდა, დედაჩემი და რამდენიმე მსახიობი მიიწვიეს გერმანიაში „ოდიპოს მეფეში“ მონაწილეობისათვის. მათ ჩემი და ჩემი ქმრის ნამუშევრებიც მოეწონათ და სამუშაოდ გერმანიაში მიგვიწვიეს. სიხარულით წავვედით. ასე აღმოვჩნდით მთელი ოჯახი გერმანიაში, ვაფორმებდით სპექტაკლებს, ვაწყობდით გამოფენებს. იქ ძალიან კარგი პირობები გვექონდა, ოთარმა გააკეთა ძალიან კარგი პლაკატი და სახელი გაითქვა, მე თეატრალურ კოსტიუმებს ვხატავდი. ესენში ხელოვნების მოყვარული ხალხი ცხოვრობს და ჩვენ ძალიან გვაფასებდნენ, მაგრამ როცა უნდა აგვეჩიქა იქ თუ აქ, ჩვენ ჩამოსვლა ვარჩით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მხატვარი თავის მიწაზე ცხოვრობდეს.

ჩემი ცხოვრების საუკეთესო მიღწევად ჩემი შვილები მიმაჩნია, რაც უნდა მნიშვნელოვანი რამ გამეკეთებინა ცხოვრებაში, შვილები ჩემთვის ყველაზე მთავარია. პროფესიულად, ასე მგონია, ყველაფერი წინ მაქვს. ძალიან მინდა გავხსნა, თუნდაც პატარა მიწის სახელოსნო. მე და ოთარმა ამერიკაში არსებული მიწის ტექნოლოგიების სკოლა გავიარეთ, აქამდე რაც მომიძღოებია, ყველაფრის შესრულებას ვახერხებდი და ვფიქრობ, ამ სურვილსაც შევისრულებ.

არასდროს მიმიტოვებია გრაფიკა. სიამოვნებით ვმუშაობ ჩემს ბაღშიც. ჩვენი სახლის ყოველი ნივთი ჩვენი შემოქმედებაა და ოდესმე, ალბათ, მე და ჩემი ქმარი გამოვინასაც გავაკეთებთ ამ ნივთებით. ჩვენ ყოველთვის ერთმანეთის დახმარებით გადაგვექონდა ცხოვრების სირთულეები, იქნებოდა ეს შემოქმედებასთან თუ ყოფასთან დაკავშირებული. ის შესანიშნავი ადამიანია და ჩვენ საუკეთესოდ გვესმის ერთმანეთის, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახისთვის, თუმცა ირგვლივ ბევრი პრობლემაა, მაგრამ ხშირად ქალები და კაცები, სწორედ იმის გამო, რომ ერთმანეთის არ ესმით, ვერ ახერხებენ თავი საუკეთესო სახით წარმოადგინონ. ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიური მდგომარეობა. ის, რაც ევროპაში საშუალო ოჯახებს აქვთ, საქართველოში ამის მიღწევა მოსახლეობის სამი მეოთხედისთვის ჯერ შორსაა. არ ვტრაბახობ, მაგრამ ყველას ჩემნაირი ქმარი რომ ჰყავდეს, მერწმუნეთ, ქართველ ქალს პრობლემა არ ექნებოდა.

კაცის ფსიქიკას უფრო რთულად გადააქვს ცხოვრებისეული სიძნელები, ვიდრე ქალისას – ის მონადირეა, ოჯახში ნანადირევის შემომტანი და წარმოიდგინეთ, რომ ნანადირევის გარეშე რჩება. ეს პრობლემის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორია. მეორე ფაქტორად მე აღზრდას მივიჩნევ, გაუზრდელი მასწავლებელი ვერ აღზრდის ბავშვს, არადა, ირგვლივ ინფორმაციის მიღებისა და გამოყენების უამრავი საშუალებაა იმისთვის, რომ ისწავლო. კაცად ყოფნა არასდროს მინატრია, მაგრამ მეტი ფიზიკური ძალა კი მდომებია და, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის კარგი მხატვარი ვიყავი, ფიზიკური ძალაც რომ მქონოდა, ბევრს მივალწედი. ეს ფაქტორი ხშირად უშლის ხელს ქალს, რომ უფრო წარმოჩინდეს, თუნდაც – პოლიტიკაში. ჩვენ ნიჭიერი, ჭკვიანი და განათლებული ხალხი ვართ, ვიმსახურებთ და შეგვიძლია კეთილ გარემოში ცხოვრება.

# პროფესიონალი ქალი

მერი ბოსირიძე – კარდიოქირურგი,  
კარდიოქირურგიული კლინიკა  
„ლია გული“

დაბადების დღე – 23 მაისი



„ყველა ჩემი ჯანსიერი  
მახსოვს და დაუნდობელი ვარ.  
მათაც ვახსოვარ“.

დღესაც გული მწყდება, რა შესანიშნავად ვწერდი თხზულებებს და ვერცხლის მედალი სკოლაში იმიტომ მომცეს, რომ სწორედ რუსულ ენაში დამიწერეს ოთხი. მაშინ სამედიცინო ინსტიტუტში მოხვედრა ძნელი იყო, ცოტას და ისიც მხოლოდ ექიმებისა და ცნობილი ადამიანების შვილებს იღებდნენ, ამიტომაც გამაგზავნეს ბიძასთან ბაქოში და იქ ჩავაბარე. თბილისსა და ლენინგრადში სწავლის შემდეგ სამწლიანი მდიდარი სამედიცინო პრაქტიკა მქონდა ტყიბულში. რთულ პირობებში რთული ავადმყოფების მკურნალობამ დიდი გამოცდილება შემძინა. შემდეგ თბილისში დავბრუნდი და პირველ კლინიკურ საავადმყოფოში ქირურგი-რენანიმატოლოგი ვიყავი. მოულოდნელად, შესაძლოა გენეტიკური მონაცემების გამო, დამემართა ტუბერკულოზი. ვიმკურნალე და საბოლოოდ გამოსაჯანმრთელებლად აბასთუმანში წავიქცე. მოხდა ისე, რომ აბასთუმანში ექიმიც სჭირდებოდათ და ორი წელი იქ ვიმუშავე, ბოლოს „გამომავდეს“, რათა ხელახლა არ შემყროდა ტუბერკულოზი. იქიდან რომ დავბრუნდი, უკვე ზოგადი ქირურგია აღარ მიზიდავდა, გულის ქირურგიაზე გადავერთე. გამაგზავნეს მოსკოვში ქირურგ ბურაკოვსკისთან ორდინატურაში, ეს იყო საუკეთესო რამ, რაზეც შეიძლებოდა მეოცნება, მაგრამ მალევე დამაბრუნეს, რადგან თბილისში კარდიოლოგიური ცენტრი შეიქმნა. ნოვოსიბირსკიდან ჩამოიყვანეს ცნობილი ქირურგი ფუფინი და მასთან ერთად დავიწყეთ ქართული კარდიოლოგია ნულოვანი ბაზიდან. მე დღემდე ერთადერთი ქალი კარდიოქირურგი ვარ საქართველოში. დღეს ოპერაციებს აღარ ვაკეთებ, მაგრამ პაციენტების გამოკვლევა, დიაგნოზის დასმა და საოპერაციოდ მომზადება ჩემი პასუხისმგებლობით ხდება.

ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა. ოჯახი ყოველთვის გვერდით მედგა და არ მახსოვს, ვინმეს ესაყვედუროს გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო. ჩემი ყველა პაციენტი მახსოვს და დარწმუნებული ვარ, მათაც ვახსოვარ. გულისამაჩუყებელია, მაგრამ სასიამოვნო ფაქტია,



როცა შენს საპატივცემულოდ შეიღს შენს სახელს დაარქმევენ, ან სრულიად არაადეკვატურ სიტუაციაში დასახმარებლად მოგმართავენ ... მიუხედავად საინტერესო პროფესიული კარიერისა, ჩემი უდიდესი მიღწევა ჩემი შეილია და კიდევ იმ ადამიანების სიყვარული, რომლებს-თვისაც მე ოპერაცია გამიკეთებია, ძალიან ხშირად-თითქმის იმედგადაწურულთათვის. ღვთის მადლით, ყველაფერი კარგად მთავრდებოდა. კარდიოქირურგს განსაკუთრებული ტემპი და რიტმი ესაჭიროება. თუმცა, კარგი მოცეკვავისა არ იყოს, ნებისმიერ პროფესიაში დროულად გაცლა სჯობს, როცა ზენიტში ხარ. კაცად ყოფნას კი მარტო იმიტომ თუ ვინატრებდი, რომ მეტი ძალა მექნებოდა და ჩემს პროფესიას ჯერ არ დავტოვებდი.

რაც უნდა მამაკაცური პროფესია ჰქონდეს, ქალმა ქალურობა და მომხიბვლელობა უნდა შეინარჩუნოს. უნდა იყოს პროფესიონალი და, მით უმეტეს, თუ ის მმართველ თანამდებობაზეა, ეს მას ასგზის მეტს ავალდებულებს. მე გამომართლა ცხოვრებაში, თორემ ბევრი კარდიოქირურგი ვიცი რუსეთში, რომლებიც „ბრძოლას“ კაც ქირურგებთან აგებენ. ქალი, რომელმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ოპერაცია უნდა გააკეთოს, ხშირად, ვერ იქნება ოჯახის დედა, მას დათმობა უწევს. მე ოჯახის დახმარების გარეშე ვერ ვიქნებოდი კარდიოქირურგი. მე და ჩემს ქმარს ბავშვობიდან გვიყვარდა ერთმანეთი და მთელი ცხოვრება ერთმანეთს დაუზარლად ვეხმარებოდით, მე მას ხელი შევუწყვე, რათა არქტიკასა და ანტარქტიკაში წასულიყო, დაეცვა დისერტაციები. ჩვენ ყოველთვის ერთმანეთის ზურგი ვიყავით.

არა მგონია, რომ ქალის უფლებები საქართველოში შელახული იყოს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშიც მიწევდა ყოფნა და ჩემ ირგვლივ არ შემიმჩნევია სქესობრივი ნიშნით ქალის შეურაცხყოფა. საქართველო კი ოდითგან განთქმულია ქალის კულტით. შესაძლოა სადმე მიყრუებულ კუთხეში კი იჩაგრებოდეს ქალი, მაგრამ ცენტრში ეს არ ხდება.

ჩვენ ტრადიციული ერი ვართ. მართალია, ბოლო ხანებში ეს ტრადიციები მოიშალა, მაგრამ გავა ცოტა დრო და საზოგადოება პირს კარგისკენ იბრუნებს. უამრავი კატაკლიზმის შემდეგ ღირებულებები გადაფაქსდა, ფსიქიკა შეირყა და შესაძლოა ამის მიზეზიცაა ძალადობა. დღეს ფულს უფრო მეტი ღირებულება მიეცა, ვიდრე იყო, გაუფასურდა პედაგოგის როლი. იმედია, უფრო დიდი ყურადღება მიექცევა პროფესიონალებს. უამრავი სამედიცინო უმაღლესია გახსნილი სადაც სწავლება არ არის სათანადო დონეზე. დიდი იმედი მაქვს, გამოვალთ ამ კოლაფსიდან – ჩვენ დავიმსახურეთ ევროპული ცხოვრება.

# ერთიანობა წარმატების გასაღებია



**მაია გულადანი – ექიმი კოსმეტოლოგი,  
ესთეტიკის ცენტრ „ნეფერტიტის“  
ფილოზოფი  
დაბადების დღე – 3 სექტემბერი**



„ცხოვრებაში ყველაფრის  
მიღება შეიძლება, მაგრამ უბრალოდ – არა,  
ეს შეუძლებელია“.

მწიქრობ, ცხოვრებაში ძალიან გამომართლა. მე დიდ ოჯახში ვიზრდებოდი და ამან პიროვნების ფორმირებაში ხელი შემიწყო. ჩემი ცხოვრების ბედნიერ წუთებს ჩემს დედამამიშვილებსა და მშობლებს ვუმაღლი. დღეს, როგორც არასდროს, ისე ვგრძნობ მათ თანადგომას.

1997 წელს ჩავირიცხე და 2003 წელს დავამთავრე თბილისის საერო უნივერსიტეტი „გაენათი“, ზოგადი პროფილის ექიმის კვალიფიკაცია მომენიჭა. 1999 წლიდან დღემდე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ვიმალლებ კვალიფიკაციას.

ოთხი წლის წინ გავაფართოვე ჩემი ბიზნესი, ახლა 20 ადამიანია დასაქმებული ჩვენთან. ვიზრუნე მათ კვალიფიკაციაზე, სასწავლებლად გავგზავნე უცხოეთშიც და დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ესთეტიკის ცენტრ „ნეფერტიტიში“ კვალიფიციური და გამოცდილი ადამიანები მუშაობენ.

ჩემი ყველაზე დიდ მიღწევას ჩემი ოჯახია. მე და ჩემმა მეუღლემ ცხრამეტი წლის ასაკში ვიქორწინეთ. მაშინ რთული დრო იყო, ძნელი იყო საქართველოში განათლება მიგელო ან რაიმე ბიზნესი წამოგეყყო. იქიდან მოყოლებული დღემდე ერთად ვმუშაობთ, ერთად ვადგენთ ბიზნესგეგმებს და ვწყვეტთ საორგანიზაციო საკითხებს. ალბათ ჩვენი ერთიანობა იყო და არის ჩვენი ბიზნესის წარმატების გასაღები.

2005 წელს სადისტრიბუციო ქსელი შევქმენით-საქართველოში კანის, თმის და ფრჩხილის ტელესადიაგნოსტიკო აპარატურა შემოგვაქვს. პროდუქცია სააფთიაქო ქსელში გავრცელდა, დერმატოლოგიის ცენტრსა და ინსტიტუტებში დაინერგა.

იდეალური ქალი ცხოვრებაში ყველაფერს ასწრებს. არ არის კარგი, როდესაც ერთ სფეროში მიაღწევ მწვერვალს და მეორე სფერო მოუწესრიგებელი გრჩება. ვფიქრობ, ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გააწონასწორო.

საქართველოში ქალებს ბევრი პრობლემა აქვთ. დღეს, როგორც არასდროს, ქალები ცდილობენ საკუთარი თავის დამკვიდრებას, დამოუკიდებლად რაღაცის შექმნას. ეს ძალიან ძნელია. მამაკაცების პრობლემა კი ის არის, რომ ეკონომიკური დონე ქვეყანაში დაბალია, რაც მათ ყოფაზე აისახება. ქართველები მეტად ამაყი ხალხი ვართ, უფრო მეტად, ვიდრე გვგონია. არ გვიყვარს კომპრომისებზე წასვლა. გამოსავალს ხშირად არასწორი გზებით ვეძებთ და სწორედ ეს არის ჩვენი პრობლემა.

სამწუხაროდ, დღეს ქალები ბევრად მარტივად ერევიან ყველა პრობლემას, ვიდრე მამაკაცები. ქალს ღირსეული ადგილი უნდა ეკავოს მამაკაცის გვერდით, ის ქალური თვისებებით შემკული ცხოვრების იდეალური თანამგზავრი უნდა იყოს, სწორედ ასეთი ქალი იმსახურებს მამაკაცის პატივისცემას. სამწუხაროდ, ქალის როლი საზოგადოებრივ ასპარეზზე ძალიან დიდია. ქალი შედარებით სუსტი არსებია და ამიტომ მისი როლი უფრო ნაკლები უნდა იყოს საზოგადოებასა და ოჯახში. ოჯახის თავი მამაკაცია, როდესაც ქალი იღებს სადავეებს ხელში, ეს აისახება მის ჯანმრთელობასა და ემოციურ მდგომარეობაზე.

თუ ქალი ინტელექტუალურია, მას ყველა სფეროში შეუძლია თავისი წვლილის შეტანა, მათ შორის, პოლიტიკაშიც და ასევე სხვა უამრავ, მეტად საინტერესო სფეროში. თუმცა მე პოლიტიკურად ნეიტრალური ვარ და ამგვარი კარიერა არ მხიბლავს.

ჩვენი მომავალი გეგმები ბიზნესის გაფართოებას უკავშირდება. გვაქვს ორწლიანი ბიზნეს-მოწვევა დიდი ბრიტანეთიდან, სადაც პარალელურად სასწავლო პროგრამებს გავივლით ჩვენს ბიზნესპარტნიორებთან ერთად.

საფუძვლიანი იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე სამყაროში მშვიდობა და სიყვარული დაისადგურებს... და მე ამ დროს სიამოვნებით დაველოდები...

# თუ გძიგე დრო დაგიდგა, იზრუნე დღესასწაულის მონყოზაზე



ჟანა დავითიანი – მუსიკოსი და მეთოჯინე  
დაზადეზის დღე – 4 ივლისი



„მამაყაცი მესაყთოშო თაჟისი  
აზმოჟნეჭით აქაც და ოჟოთაძის,  
ყჭოლოდ. იჟ ოს ჯაბედ აბის ქნისტყლი. ოა  
აბის იმაძი ცყლი, თყ ქნ ვჟოლით  
საინცჟოლო ადამიანი, ოოძელსაც  
ყზაბაზაბი ქინაეანი საძყაბო აქჟს?!“

საქჟოთარი თაჟი ორი წლიდან მახსოვს. ძალიან საინტერესო ბავშვობა მქონდა. მახსოვს მზის დაბნელება და მაშინდელი შჟოთვის შეგრძნება. ის კაბაც კი მახსოვს, რომელიც იმ დღეს დედაჩემს ეცვა. სტალინის სიკვდილი მახსოვს, განგაშის დაუსრულებელი ზარები და ხალხის ტირილი. მაშინ ყველა ტიროდა და დედამ მითხრა, ბელადი მოგიკვდაო. იმ დროს ორივე ბაბუა დავკარგე, სომეხი ბაბუა – მამაჩემის მამა და გერმანელი ბაბუა – დედის მხრიდან. ბოლშევიკურმა მანქანამ მათაც გადაუარა. ჩვენთან, სახლში, როგორი უცნაურიც უნდა იყოს, სტალინის პორტრეტის პირდაპირ ბაბუას სურათი ეკიდა. უკვე სკოლას ვამთავრებდი, უცებ ვთქვი

„ბავაკან“ (სომხური სიტყვაა, ქართულად ნიშნავს „კმარა“) და ჩამოვიღე სტალინის პორტრეტი. ბებიამ თავში ხელი იტაცა და ვიშვიში დაიწყო: რა გვეშველება, რა მოგვივაო!..

...კარგად ვსწავლობდი, მუსიკალურ სასწავლებელში ჩავაბარე, შემდეგ – კონსერვატორიაში. ამ დროს გოგონა შემეძინა და ლექციებზე სიარული ძალზე გამიძნელდა, რადგან ბავშვს მოვლა სჭირდებოდა. მაინც ჩავაბარე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საინჟინროზე. მამაჩემი საინჟინრო ფაკულტეტიდან გამორიცხეს მას შემდეგ, რაც მამა დაუპატიმრეს. ინჟინრობა მამაჩემის ოცნება იყო და მე ავასრულე იგი. მესამე კურსზე მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო.

ჩემი საქმე ალბათ გარი დავთიანის, ოსტატის ცოლობა იყო. ასეთი არჩევანი გავაკეთე და მიმანჩია, რომ სწორად მოვიქეცი. როგორც ამბობდნენ მაშინ, გარის „შევერიე“. დიახ, ეს ძალიან კარგია, როცა ქალი საყვარელ მამაკაცს „შევერევა“, მითუმეტეს, თუ ის შენი შვილების მამაა. ერთად 33 წელი გავატარეთ, საინტერესო რიცხვია არა? 30 წელი ცოლ-ქმარი ვიყავით, სამი წელი ერთმანეთს ვხვდებოდით. ვერც კი გავიგე, როგორ გავთხოვდი. მე და გარი საუკეთესო მეგობრები ვიყავით. ახლა გარი ცოცხალი აღარ არის. სწორად ამბობენ, წავიდა და გული გამიტეხაო, მე ასე ვერ ვიტყვოდი. პირიქით, გარი წავიდა და ჩემი გული შეავსო, ამას სიტყვებით ვერ ავხსნი, ეს უნდა იგრძნო. სიყვარული ღვთის არსებობის გამოვლენაა და როცა სიყვარულია, ღვთაებრივი გრძნობით ხარ გარემოცული და შეუძლებელია სევდა მოგეძალოს, დამწუხრდე და დაითრგუნო. სიყვარული დეპრესიას გამოორიცხავს. დეპრესია ეგოისტის ხვედრია, იმ ადამიანისა, რომელიც საკუთარი თავისა და საკუთარი პრობლემების გარდა ვერაფერს ხედავს.

დღეს მე იმ სამყაროს მფარველი ვარ, რომელიც გარი დავთიანმა დატოვა. ეს ძალიან საინტერესო სამყაროა – სიყვარულის, სინათლის, სიკეთის სამყარო, რომელმაც ბევრ ადამიანს მისცა საშუალება, შეენარჩუნებინა საკუთარი თავი. ჯერ კიდევ „პერესტროიკის დროს“ გარი ამბობდა, რომ რთული დროება დადგება და მთავარია ადამიანებმა საკუთარი სახე არ დაკარგონო. 9 აპრილის შემდეგ, როდესაც ძალიან ცუდი დრო დადგა, მან თქვა, ძალიან მძიმე დრო მოვიდა, ესე იგი დღესასწაული უნდა მოვამზადოთო. მე ახლა ამ დღესასწაულის მფარველი ვარ.

უფლის სასიკეთო საქმეს როდესაც აკეთებ, მიღწევაც ესაა. ყველაზე დიდი ცოდვა სიამაყეა. სიტუაციის გამოსწორება მხოლოდ სიყვარულით შეიძლება.

ჩვენს საზოგადოებაში არის ქალისა და მამაკაცის პრობლემები, ხოლო იმ საზოგადოებაში, რომელიც მე მინდა დავინახო, ეს პრობლემები არ უნდა იყოს. ქალისა და მამაკაცის გაყოფა არ შეიძლება. ჩვენთან ბევრი მარტოსული მამაკაცი და ქალია. ქალისა და მამაკაცის ყველაზე დიდი პრობლემა ცხოვრების თანამგზავრის სწორი არჩევაა.

პროფესიულ ცხოვრებაში არასოდეს მიშლიდა ხელს ის, რომ ქალი ვარ. შესაძლოა იმიტომ, რომ არასოდეს მივიწვევდი იერარქიულ კიბეზე ზევით.

არჩევანი თავად გავაკეთე ოჯახის სასარგებლოდ. მეუღლეს ეს არ დაუძალებია.

მამაკაცი მესაკუთრეა თავისი აზროვნებით, აქაც და ევროპაშიც, უბრალოდ, იქ ეს კარგად არის შენიღბული. რა არის იმაში ცუდი, თუ შენ გვერდით საინტერესო ადამიანია, რომელსაც უზარმაზირი შინაგანი სამყარო აქვს? როდესაც თავს ვაბეზრებდი ხოლმე გარის, თავად მე-

უბნებოდა – სად არის შენი საქმე? შენი საქმე აკეთეო. ასეთ დროს ჩვენ დაძაბულობა გვექონდა ხოლმე, მაგრამ არა როგორც მეგობრებს, არამედ როგორც მეუღლეებს. ის მეუბნებოდა, მორჩა, შენ სრულად აღმავსე, საკმარისიაო, თოჯინების კეთებას თავს ანებებდა და მიდიოდა სახელოსნოდან.

მამაკაცი შემოქმედია, ქალს შეუძლია მისი შექმნილის განადგურებაცა და შენარჩუნებაც, ახალ სიმაღლეზე აყვანა. მამაკაცს შენახვა, თვითშენარჩუნება არ ძალუძს. ხშირად გინახავთ ქალის გარეშე დარჩენილი მამაკაცი, რომელსაც საკუთარი იერი შეუენარჩუნებია? ძალზე იშვიათად და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც მის გვერდით დედა ან ქალიშვილია.

ქალი პოლიტიკასთან არ უნდა მივუშვათ. მე აღმოსავლელი ვარ და ეს ჩემი აზრია. ქალი ოჯახია, ოჯახური ურთიერთობების, ყოფის დამლაგებელი და ამწყობი. თუ მას პოლიტიკა სურს, დაე, წავიდეს წინ, მაგრამ ეს ბუნებრივად უნდა მოხდეს. ვიცი პოლიტიკოსი ქალები, მაგრამ ისინი ერთეულები არიან. უფალმა უკეთ იცის, რამდენი ქალი უნდა იყოს პოლიტიკაში. რევოლუციებისა და ხელოვნური ჩარევების წინააღმდეგი ვარ. ყველაფერი ბუნებრივად უნდა მოხდეს. რაც ბუნებრივია, სწორია. თუმცა ქალის როლი ძალზე მნიშვნელოვანია. პოლიტიკაში მოღვაწე ქალი პოლიტიკაში ინტენსიურად უნდა ერეოდეს... ან სამზარეულოში უნდა იჯდეს, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ არ უნდა ყვიროდეს და წუწუნებდეს. როდესაც საიდანმე გამუდმებით უარყოფითი მოდის, ქალმა უნდა აღკვეთოს ეს, მოაგვაროს. მაგრამ არჩევანი მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს, რათა თავად გადაწყვიტოს, წავიდეს თუ არა პოლიტიკაში.

სპექტაკლის მსვლელობისას დარბაზში არ ვიყურები, მაგრამ ვგრძნობ ენერგეტიკას, რომელიც მაყურებლისაგან მოდის. ყველაზე მაღლიერი მაყურებელი ბავშვია, მასში არაფერია ცუდი: პოზა, სიამაყე, ჩინით უფროსთა წინაშე ქედმოხრა. ბავშვებს არაფერი აქვთ ისეთი, რაც ზრდასრულობისას ადამიანს აფუჭებს, რყენის.

თუ ყველა ადამიანი საკუთარ თავში ჩაიხედავს, თავის იმ მთავარ თვისებას აღმოაჩენს, რომელითაც იგი უფალმა დააჯილდოვა. ცუდი ადამიანები არ არსებობენ, არსებობენ ავადმყოფი ადამიანები იმიტომ, რომ ჯერ კიდევ საკუთარი თავის ძიებაში, ურწმუნობასა და შფოთვაში არიან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა ადამიანს აქვს ერთადერთი, მხოლოდ მისეული უნიკალური ტალანტი, რომელსაც გაფთხილება სჭირდება.

# შემოქმედება დიდ დროს მოითხოვს

●  
ელისაზად ეპიტაფილი – მხატვარი,  
მოქანდაკე, საქართველოს მხატვართა  
კავშირის ლითოგრაფიის სახელოსნოს  
მენეჯერ-კომუნიკატორი  
დაბადების დღე – 19 აგვისტო



„საწყთაში წმოფესია აუსილქლად  
ძალიან უნდა ვიყავილქ.  
მაძინ ყველანაიშ სიშთულქ ეალახაქ“.

ძმრწვა ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარდა. სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების ფაკულტეტზე ჩავაბარე, თუმცა ჩემს მშობლებს ეს არ უნდოდათ, რადგან მიაჩნდათ, რომ ქანდაკება ქალისთვის რთული პროფესია იყო. მე ასე არ ვფიქრობ...

ქანდაკებაში დღესაც ვმუშაობ, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ მცირე ფორმის ქანდაკებაში... დღევანდელ დღეს რთულია ნამუშევრის მასალაში გადატანა, ისეთ მასალაში, როგორც არის ბრინჯაო ან ნებისმიერი სხვა ლითონი... ძალიან მიყვარს ქვა, როგორც მასალა.

გამოფენებში მონაწილეობა სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ დავიწყე. დღემდე 100-ზე მეტ გამოფენაში მაქვს მიღებული მონაწილეობა, თუ არ ჩავთვლით სტუდენტურ გამოფენებს.

ჩემი სტუდენტობის პერიოდში ქანდაკების ფაკულტეტზე რამდენიმე გოგონა სწავლობდა, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ბიჭებს თავიანთი პროფესიონალიზმით. ძალიან კარგად ვისხენებ სტუდენტობის პერიოდს... არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა ჩემს

კურსელებთან, გვიყვარდა ჩვენი პროფესია, მუშაობასაც ვასწრებდით და დროსაც ერთად ვატარებდით.

ჩემთვის ასევე მნიშვნელოვანია ქანდაკების საკავშირო შემოქმედებით სახელოსნოში სწავლის პერიოდი, ამ პერიოდს ემთხვევა სიმპოზიუმები და ფორუმები, რომლებშიც მე ვმონაწილეობდი.

პედაგოგიური მოღვაწეობა ელენე ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეაში დავიწყე. ყოველთვის მაინტერესებდა ბავშვებთან მუშაობა, უცხოეთში ცხოვრების დროს გავეცანი მათი სწავლების სისტემას და საქართველოში ჩამოსვლისთანავე ჩამოვაყალიბე შემოქმედებითი სტუდია, რომელსაც დღესაც ვხელმძღვანელობ. ქანდაკების სკოლა საქართველოში საკმაოდ ძლიერია, ამიტომ აუცილებელია ამ ტრადიციის გაგრძელება და განვითარება.

რადგან ორგანიზაციულ საკითხებზეც ვმუშაობდი, ჩემმა კოლეგებმა და მეგობრებმა ჩათვალეს, რომ გავუძღვებოდი საქართველოს მხატვართა კავშირის ლითოგრაფიის შემოქმედებით სახელოსნოს. თავიდან არ მინდოდა, მერე შემეყვარდა სახელოსნო... ამავ დროს კარგად დავინახე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და პერსპექტიულია ეს სახელოსნო მხატვრებისთვის. ლითოგრაფიის – გრაფიკის ამ უნიკალური დარგის დიდი ხნის ტრადიცია არსებობს საქართველოში. იგი გერმანიიდან ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დაინერგა, საიდანაც მერე მთელ ამიერკავკასიაში გავრცელდა. ლითოგრაფიის სახელოსნო დღესაც იზიდავს მხატვრებს, მიმდინარეობს ახალი ტექნოლოგიების ძიება. სახელოსნოში მუდმივად ტარდება ვორქშოპები და მასტერკლასები მსოფლიოში ცნობილი ოსტატების მონაწილეობით. ამ მიმართულებით ბევრი საინტერესო პროექტი განვახორციელებთ, მათ შორის – გამოფენა „ქვაკუთხედი“, გამოფენაზე ჩატარდა მასტერკლასი, სადაც მნახველის თვალწინ ამოიბეჭდა ესტამპები, ნაჩვენები იქნა სპეციალურად ამ პროექტისთვის გადაღებული ლითოგრაფიის ისტორიის, მისი დღევანდლობისა და პერსპექტივების ამსახველი დოკუმენტური კლიპი. მოეწყო გამოფენა ბათუმში, აჭარის ხელოვნების მუზეუმში, პროექტი მიზნად ისახავდა ლითოგრაფიის პოპულარიზაციას საქართველოს რეგიონებში და იმ ისტორიული ტრადიციების განვითარებას, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ საუკუნე-ნახევრის წინ ჩაეყარა.

ხელოვნების სხვა დარგებისგან განსხვავებით, ქანდაკებაში მუშაობა განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს. ძალზე საინტერესოა ახალ, თანამედროვე მასალებში მუშაობაც, მაგრამ თანამედროვე ქანდაკება მოითხოვს სულ სხვა გარემოს. ქანდაკების გარდა ვმუშაობ ხელოვნების სხვა დარგებშიც - გრაფიკაში, კერამიკაში. მიყვარს თოჯინების კეთება, თოჯინა პრაქტიკულად სხვა მასალაში შესრულებული ქანდაკებაა (სამგანზომილებიანია და სივრცეში არსებობს), თუმცა ის თავის თავში ხელოვნების სხვადასხვა დარგებსაც აერთიანებს.

პროფესია უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ადამიანის ცხოვრებაში, აყალიბებს მის აზროვნებას. გამიჭირდებოდა მარტივად დამეყო ქალისა და კაცის პროფესიები. აუცილებელი პირობაა გვიყვარდეს შენი პროფესია და მაშინ ყველანაირ სირთულეს გადალახავ.

ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წუთები შვილის შექმნასთან არის დაკავშირებული.... ამ პერიოდში რამდენიმე წელი ქანდაკებაში ვერ ვმუშაობდი, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის წევრები მესმარებოდნენ. თავისუფალ დროს მხოლოდ ესკიზების გაკეთება შემეძლო. შემოქმედება ძალიან დიდ დროს მოითხოვს...



ქანდაკებაში მუშაობა მხოლოდ მაშინ განვაახლე, როდესაც ჩემი ჯორჯი ცოტა წამოიზარდა. თავდაპირველად ჩემს შვილს სხვადასხვა სიმპოზიუმებსა და პლენერებზე თან ვატარებდი, მაშინ იუგოსლავიაში ვცხოვრობდით. დღეს, თანამედროვე ტექნიკური საშუალებების დახმარებით ქალისთვის ბევრად გამარტივებულია ქანდაკებაში მუშაობა.

ამჟამად ჩემს ძირითად პროფესიასთან ერთად ორგანიზატორულ სამუშაოსაც ვასრულებ და ვფიქრობ, რომ ესეც ძალზე შემოქმედებითი საქმეა. გამოფენის მოწყობის დროს ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ვხატავ, ვძერწავ ან რალაცას ვქმნი...



ავტორი ელისაბედ ებიტაშვილი

# ნიჭს განვითარება სჭირდება

●  
**მანია ვარდოსანიძე – ფილოლოგი,  
რესპუბლიკის დამსახურებული  
ჟურნალისტი, პერსონალური პენსიონერი  
დაბადების დღე – 18 სექტემბერი**



„ოჯახი სახელმწიფოს ყუჩოა.  
შიამღნადაც ოჯახი ძლიერია,  
იმღნად ძლიერია ქვეყანაც.“

ძალიან გაბრაზებული ვარ ამ ქვეყანაზე. დილის ცხრის ნახევრიდან შუალამემდე ვმუშაობდი და ახლა ძალზე მცირე პენსია მაქვს. ეს შრომაზე გულის აყრაა,

ხალხიც არაფერს აკეთებს სახელმწიფოსათვის. მაგალითად, სოფლის არხის გასაწმენდად მთელი სოფელი შაბათობებზე გამოდიოდა ხოლმე. ახლა არხები გასაწმენდია და არავის ადარდებს. ხალხი ინდიფერენტული გახდა, მოქალაქეები ჰაერში არიან გამოკიდებულნი. ჩვენი შეგნების დონე არ არის ისეთი, რომ დავინახოთ, რაც კეთდება და მთავრობა ამით წავახალისოთ, მოთხოვნით კი, ბევრს ვითხოვთ.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კომკავშირის რაიკომის აღრიცხვის სექტორის გამვე ვიყავი ზესტაფონში, შემდეგ – მასწავლებლის სახლის დირექტორი, მოგვიანებით – კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი. კომკავშირში 7 წელი ვიმუშავე და ძალიან მიყვარს ეს წლები. დიდ პატივს ვცემდით ერთმანეთს, გულახდილი ურთიერთობები იყო; ახალგაზრდობაზე, მის სულიერ ჩამოყალიბებაზე ზრუნავდნენ, შრომა აუცილებელი იყო.

1953-დან 1998 წლამდე ზესტაფონის რაიონული გაზეთ „ლენინელის“ რედაქტორი ვიყავი. საოცარი ისტორია მაქვს. რედაქტორობაც და პრესაში მუშაობაც ძალზე მძიმეა. ცხრის თხუთმეტ წუთზე ყველა თავის სამუშაო მაგიდასთან უნდა ყოფილიყო, წესრიგი იყო. გაზეთი ხე-

ლით ეწყობოდა, ლინოტიპი ახლახანს შემოვიდა რაიონებში. მუშები გაუნათლებლები იყვნენ, ცუდად აწყობდნენ ტექსტებს, ხშირად ლამის 4 საათამდე მიწევდა მორიგეობა. რაიონული და ცენტრალური გაზეთების ერთმანეთთან შედარებაც არ შეიძლება, ცენტრალურ გაზეთებში გაცილებით მაღალია პროფესიონალიზმი, უკეთესია ტექნიკური ბაზა.

საბჭოთა წლებში ქალი მამაკაცი ასჯერ უფრო მეტად იყო დატვირთული. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაც ევალებოდა და დიასახლისობაც. მოახლეები არ შეიძლებოდა, მთელი ტვირთი ქალზე გადადიოდა. ახლა ამგებულა ქვეყანა. ძეგლებსაც კი ხელყოფენ. ბარბაროსობა ძეგლების დანგრევა, ვისი და რისი ძეგლიც უნდა იყოს, მიუღებელია. ეს ისტორიაა.

საბჭოთა წლებში ბევრი რამ გაკეთდა. ჩემს სოფელში, მაგალითად, სულ ისლით დახურული სახლები იდგა. მამარჩემი ფარმაცევტი იყო და ერთადერთი აგურის სახლი სოფელში ჩვენ გვექონდა. მაშინ კოლექტიური შრომა იყო, ეს ქალს ძალიან ტვირთავდა. დედაჩემი ხუთ შვილს უვლიდა და ჩაიც უნდა ეკრიფა. ეს მძიმე შრომა იყო. კაცები უფრო მევენახეობაში იყვნენ დასაქმებულები. მამარჩემი ცოტა ჭირვეული კაცი იყო: როცა სამსახურში მიდიოდა, დედაჩემი ჯაგრისით ხელში ჭიმკრამდე მიჰყვებოდა. მერე, საღამოს, მამა შინ წერილს გამოგზავნიდა: მარიამ, გაშალე სუფრა, მოვდივართ ათი კაციო. ძალიან მძიმე სურათი იყო. მამარჩემი ნახევრად ინტელიგენტი, ნახევრად გლეხი იყო, თევშს არ გადადგამდა გვერდით, ესეც მხოლოდ ქალის საქმედ მიაჩნდა.

დრომ ძალიან გააუხეშა ადამიანები, ახლა ბევრ ოჯახშია ძალადობა. ქალებს ხშირად სცემენ. ამისი საფუძველი პირადი უკულტურობა და უხეშობაა, თუმცა ესეც ინდივიდუალურია, ზოგიერთი აღმერთებს მეუღლეს. ბავშვები ქალაქში ათჯერ უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან. აქ, სოფლად, არ გამოიგია, რომ ვინმემ ბავშვი ამიშვილოს, სამათხოვროდ გაუშვას. ახლა საბავშვო ბალებიც პრობლემაა სოფლად, ქალაქელ ქალებს მეტი საშუალება აქვთ კულტურული ყოფისათვის. სოფლელებს კი გასაქანი ნაკლები აქვთ. ამიტომაც უმრავლესობა ოჯახის რჩენის მიზნით უცხოეთში გადაიხვეწა. მიდიან, საითაც ხელი მიუწვდებათ. ახლა ყველაფერი თბილისისა და თბილისელებისათვის კეთდება. განა თბილისია მთელი საქართველო?

კულტურის შემოტანას ორი მხარე აქვს - უარყოფითიც და დადებითიც. ხშირად კულტურის შემოტანა მიგრაციას იწვევს. სოფლიდან მიგრაცია დიდია. სოფელს ინფრასტრუქტურა უნდა ჰქონდეს. გზა და წყალი სოფლის უდიდესი პრობლემაა. მარქსი ამბობდა, რომ ოჯახის კულტურა განისაზღვრება სამი რამით - წიგნით, წერილით და იმით, თუ რამდენ წყალს მოიხმარს ოჯახი. შეიძლება დღეს საქართველოში სოფელს წყალი არ ჰქონდეს? ამ ეპოქაში წერილიც საერთოდ გამოირიცხა, აღარავინ სწერს ერთმანეთს წერილს, მოიშალა კომუნიკაცია.

ოჯახი სახელმწიფოს უჯრედია, რამდენადაც ჯანსაღი ოჯახები გვექნება, იმდენად ჯანსაღი იქნება მომავალი თაობაც, ამაზე და მოკიდებული ქვეყნის მომავალიც.

ჩემთვის ინფორმაციის ერთადერთი წყარო ტელევიზორია, ასეა ბევრისთვის, განსაკუთრებით - ბავშვებისათვის. სპექტაკლები არ იდგმება, შემეცნების საშუალება არ აქვთ. სახლი, მატერიალური კომფორტი არაფერია სულიერების გარეშე.

ვინც ამბობს, ქალს ქათმის ტვინი აქვსო, თავად არის ქათმისტვინა. ქალს ჯერ კიდევ არა აქვს თავისი ნიჭის განვითარებისათვის ხელშეწყობა. მაგალითად, მარიკა ბარათაშვილი, მა-

რიკა ლორთქიფანიძე და მრავალი სხვა გამოჩენილი ქალები არიან, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთა ნიჭი ჩაკვდა, რადგან მათი შემოქმედებისათვის არავის ეცალა. ნიჭს განვითარება სჭირდება.

ცხოვრებისეული პრობლემები მამაკაცებზე უფრო მეტად ქალებს აწუხებთ. იტყვიან ხოლმე, ქალი განვითარების დონით მამაკაცს ჩამოუვარდებაო. ქალს სხვა ფუნქცია აქვს, ოჯახის გამო საკუთარი განვითარებისათვის დრო არ რჩება. ქალი იყო თამარ მეფეც...

ქალი აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული პოლიტიკაში. ქალს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, ამას ხელშეწყობა უნდა. სახელმწიფოებრივი მოწყობა ჯერ არ არის ისეთი, რომ ქალი დასაქმდეს და თავისი ინტელექტიც სრულად გამოავლინოს.

# საქართველოში მიწა ცხოვრება

●  
**დინი ვირსალაძე – ჯაზმუსიკოსი,  
პიანისტო, კომპოზიტორი  
დაბადების დღე – 6 სექტემბერი**



„აღამიანს ამოყნისოაჲ  
ქსადღებლოჭი აქვს.  
ის გაყდებით ყნდა იზიღებოდეს“.

მუსიკალურ ოჯახში დავიბადე. დიდი ბებია, ანასტასია ვირსალაძე, საქართველოს პიანისტური სკოლის ფუძემდებელია, ელისო ვირსალაძისა და ბევრი სხვა გამოჩენილი პიანისტის პედაგოგი. მამა ექიმი ნევროპათოლოგია, ის ძალზე მუსიკალური ადამიანია, მუსიკალური სკოლა დაამთავრა და დღესაც უკრავს სმენით. დედა მუსიკოსია. სწორედ ის იყო ჩემი პირველი მასწავლებელი, მან დამიყენა ხელი, ჩამინერგა მუსიკის სიყვარული, განმივიტარა გემოვნება. ჯაზური მუსიკა კი ბიძაჩემმა შემაყვარა, კობა ჯიჯიხიამ, ასევე ექიმმა, რომელსაც ჯაზური მუსიკის ფირფიტების კოლექცია ჰქონდა და ხშირად მასმენინებდა ხოლმე. მუსიკალურ ათწლედში რომ ჩავაბარე, უკვე მაშინ ვცდილობდი დამეკრა ჯაზური კომპოზიციები.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ფორტეპიანოს კლასით დავამთავრე, თუმცა დღეს ჯაზის მუსიკოსი ვარ. როდესაც ვსწავლობდი, კონსერვატორიაში ჯაზური მუსიკის განყოფილება არ იყო. ყველამ იცოდა, რომ მე ჯაზს ვუკრავდი, მაგრამ ეს ვიწრო წრეში ხდებოდა. არასოდეს მიფიქრია სერიოზულად, რომ ჯაზს სცენაზე დავუკრავდი.

მოღვაწეობა დავიწყე კამერული ორკესტრით, რომელსაც ვადიმ შუბლაძე ხელმძღვანელობდა. ვმუშაობდი პიანისტად და მენეჯერად. იმავდროულად ვმუშაობდი კონსერვატორიაში სოლო სიმღერის კათედრაზე და ასევე – ხელოვნების სკოლაში კონცერტმეისტერად.

1993 წელს შედგა ჩემი, როგორც ჯაზმუსიკოსის დებიუტი – ფილარმონიაში ჯაზური მუსიკის ფესტივალში მონაწილეობა შემომთავაზეს. ამის შემდეგ ჩემი ცხოვრება რადიკალურად

შეიცვალა. ერთი თვის შემდეგ ჯაზის ფესტივალზე უკვე ნოვოსიბირსკში გამაგზავნეს. იქიდან რომ დავბრუნდი, გადაღებები დაიწყო, გადაცემებში ვმონაწილეობდი. შემდეგ იყო სხვადასხვა ჯაზკლუბი, მაგალითად, „დათოს ჯაზკლუბი“ სასტუმრო „აჭარაში“. მქონდა საავტორო გადაცემა „ჯაზის საღამოები“ ტელევიზია „იბერიაში“. ეს 2003 წელი იყო. ბოლო წლებში ვმუშაობ „თბილისის საკონცერტო ბიგბენდში“, რომელსაც გივი გაჩეჩილაძე ხელმძღვანელობს.

შემოქმედების სხვადასხვა პერიოდი მქონდა. ეს იყო სპექტაკლებზე მუშაობა გამოჩენილ რეჟისორებთან: ავთო ვარსიმაშვილსა და ოთარ ევაძესთან. სპექტაკლებსაც ვაფორმებდი მუსიკალურად და კონცერტმეისტერიც ვიყავი.

ვმუშაობდი მოდელად დიზაინერ მაკა ნაცვლიშვილთან. რამდენიმე კინოფილმშიც გადამიღეს, მათ შორის, 2009 წელსაც. თბილისის შესახებ მოკლემეტრაჟიან ფილმში მთავარ როლში გადამიღეს, ფილმის მუსიკის ავტორიც თავად ვარ.

ადამიანს ამოუწურავი შესაძლებლობები აქვს. მან გამუდმებით უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე, გამუდმებით იზრდებოდეს, რათა ახალ სიმაღლეებს მიაღწიოს საკუთარ შემოქმედებაში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ვმუშაობ, აქტიურად ვცხოვრობ, ვწერ მუსიკას და ექსპერიმენტებს არ გავურბივარ, მიმაჩნია, რომ უფრო მეტი უნდა ვიმუშაო საკუთარ თავზე, რომ სრულად არ ვარ რეალიზებული. ვგრძნობ, უფრო მეტის გაკეთება შემიძლია. ყველაფერი წინ მაქვს.

საქართველოში ჯაზური მუსიკის დარგში მუშაობისას ძალიან ძნელია რაიმეს გაკეთება. ამერიკასა და ევროპაში მუსიკოსებს თვითრეალიზების მეტი საშუალება აქვთ.

შემომთავაზეს, წავსულიყავი ქვეყნიდან და უცხოეთში მემუშავა ერთი-ორი წლით. შეიძლება წავსულიყავი კიდევ სადმე, მაგრამ მხოლოდ მოკლე ვადით, იმიტომ, რომ ოჯახი მაქვს. ძალიან მიყვარს კონცერტები, გასტროლი, თუმცა რამდენიმე ხნის შემდეგ სახლი მენატრება ხოლმე. ჩემი მეუღლეც ხელოვანია, მუსიკოსი ჯარჯი მალალაშვილი. ის ძალზე გაგებით ეკიდება ჩემს საქმიანობას და მეხმარება პროფესიულ ზრდაში.

მთელი ქართული საზოგადოების ყველაზე დიდი პრობლემა ყველასა და ყველაფრის კრიტიკაა. ჩვენ ყველაფერი ვიცით, როგორ უნდა მოვიქცეთ და რა გავაკეთოთ, როდესაც საქმე სხვებს ეხება, საკუთარ თავზე მუშაობა, საკუთარი წარუმატებლობის მიზეზების ძიება კი რთულია. ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანია, რომელიც ოდესღაც რაღაცას წარმატებით აკეთებდა, ახლა განვითარება შეაჩერა და აზრიანს არაფერს აკეთებს, თუმცა ძალიან კმაყოფილია საკუთარი საქმიანობით. ეს ყველაფერს ეხება: ბიზნესს, მეცნიერებას, კულტურას, პოლიტიკას, ნებისმიერ სფეროს. ჩვენი საზოგადოება გაჩერდა, ნელა ვითარდება, მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობენ ერთეულები, რომლებიც ამ ტვირთს საკუთარ თავზე იღებენ.

როგორც ხელოვანი, ვოცნებობ, საქართველო აყვავებული ვნახო, მინდა, რომ ჩემს ქვეყანაში პროფესიონალები ისე არ ცხოვრობდნენ, როგორც ახლა სტაბილურ ქვეყანაში ცხოვრება მინდა. უპირველეს ყოვლისა საქართველოში მინდა ცხოვრება, ისეთ საქართველოში, რომელშიც დაფასდებოდა პროფესიონალიზმი ნებისმიერ სფეროში.

# ემოციური ქალის პორტრეტი

ნიმე ზაალიშვილი –

*ხელოვნებათმცოდნე, მხატვარი,  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,  
თბილისის სამხატვრო აკადემიის  
ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი  
დაბადების დღე – პირველი დეკემბერი*



სხვისთვის სასაჩუქრლო საქმეს  
ჩაკეთებ. შათა თაჯად „ეადაჯიჩი“.

ჩემი საუბრიდან საკმაოდ ემოციური ქალის პორტრეტი დაიხატება, ისეთის, რომელიც მხოლოდ საკუთარ შეგრძნებებზეა კონცენტრირებული, გარშემო არსებულ არაკომფორტულ სიტუაციას განიცდის და არ აღეგულებს რეალური საქმიანობა. სინამდვილეში მე უფრო პრაგმატული ვარ, სიტყვების სიმრავლეს იმ საქმეების კეთება მირჩევნია, რომელიც მნიშვნელოვნად მიმართავს – იქნება ეს „კულტურათა დიალოგის“ მიმართულებით სამხატვრო-საგამოფენო პროექტების განხორციელება (ქართული სახვითი შექსპირიანა, საბერძნეთი ქართველ მხატვართა შემოქმედებაში და ა.შ), ქართული ხელოვნების პოპულარიზაცია, მხატვართა უფლებების დაცვა თუ მხატვართა საინფორმაციო ბაზების შექმნა...

ბუნებით მეგრძობი არ ვარ, ადრე ძალიან მორცხვიც ვიყავი. თუ ცხოვრების ადრინდელ ეტაპზე ყველა საქმიან თუ საზოგადოებრივ აქტიურობას „მეტიჩრობად“, თავის გამოჩენის სურვილად ჩავუთვლიდი საკუთარ თავს, დღეს სხვაგვარად ვფიქრობ. თითქმის ორი ათეული წლის წინ საქართველოში განვითარებული მოვლენების (თბილისის ომი, სამოქალაქო ომი) საშინელი დროის შემდეგ ჩემში „გარდაქმნა“ დაიწყო. ვიგრძენი, რომ უნდა შეემცვალა დამოკიდებულება სამყაროს მიმართ, თორემ სტრესს ვეღარ გავუძლებდი. მინდოდა დამემტკიცებინა, რომ ადამიანებს საქართველოში, ნგრევის გარდა - შენება, ცუდის გაკეთების გარდა ერთმანეთის გატანაც შეეძლოთ; არ მინდოდა ადამიანები შემძულეობდა. სწორედ ეს იმპულსები და ღირსების გრძნობის შენარჩუნების სურვილი დამეხმარა ხელახლა მეპოვა თავი. პირველი

გამოფენა „ქარვასლაში“ მოვაწყვე – „გერმანული ლიტერატურა და მუსიკა ქართულ მხატვრობაში“. ვამაყობ იმით, რომ გერმანიის კონსულმა, რომელიც საქართველოში იმ პერიოდში მიჩვეული იყო, რომ ყველაფერში დასახმარებლად მას მიმართავდნენ, გაოცებულმა იკითხა: ეს „უჩვენოდ“ როგორ გააკეთეთო?! ჩემი მოღვაწეობის სფერო (მხატვრობა, XX საუკუნის ქართული ხელოვნების ისტორიის, კულტურათა დიალოგის საკითხების კვლევა, საგამოფენო-საგანმანათლებლო პროექტებზე მუშაობა, პედაგოგიური საქმიანობა) მიყვარს. ჩემი აზრით, ყველა ქალს უნდა ჰქონდეს თავისი, განსაკუთრებული საკეთებელი. ადრე მიმაჩნდა, რომ ეს უმთავრესი იყო, დღეს ამ საკითხს სხვაგვარად ვუყურებ: ოჯახში საქმიანობის გარეშე სრულყოფილი ცხოვრება არ გამოვა. ოჯახი ის საყრდენია, რომელიც ქალის კარიერასაც განაპირობებს. ხშირად ქალი ვერ აღწევს წარმატებას იმის გამო, რომ ოჯახი ვერ ან არ დაეხმარა. რომ არა მეუღლის მხარდაჭერა, ვერ შევძლებდი ჩემი საქმის კეთებას. ვაკეთებდი იმას, რაც მიყვარდა. იქნებ ეს ეგოიზმიცაა, მაგრამ საჭირო ეგოიზმია – სხვისთვის სასარგებლო საქმეს ვაკეთებ, რათა თავად „გადავრჩე“.

.სამხატვრო სფეროში ძალიან ხელოვნურია „ქალებად და კაცებად“ დაყოფა. ქართულ სინამდვილეშიც, მხატვრობის სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის დასაწყისში - 20-30-იან წლებში - მხატვარი ქალები უმცირესობაში იყვნენ, „ძალთა გადანაწილება“ ქალსა და კაცს შორის (მნიშვნელობის მხრივ) ყოველთვის თანაბარი იყო, არ განასხვავებდნენ მხატვრებს სქესის მიხედვით (ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის და სხვათა მაგალითები). მერე და მერე ქალი მხატვრების ახალ-ახალი ჯგუფები გამოჩნდნენ (განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან), რომლებიც ახლაც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ოთხმოცდაათიან წლებში, ძალზე რთულ ვითარებაში, პირველი გალერისტებიც ქალები გახდნენ. აკადემიაში სტუმრად მყოფმა ფულბრაიტის სწავლულმა ერთ-ერთი ლექცია ამერიკელი მხატვარი ქალების თვითდამკვიდრების რთულ პროცესს დაუთმო. შენიშნა, რომ აუდიტორიამ ვერ გაიგო პრობლემის არსი. მიზეზი ის იყო, რომ სხვადასხვა ფაქტორის გამო ამგვარი პრობლემა საქართველოში არ იდგა და, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ მხატვრობაში სრული გენდერული თანასწორობაა (ეს არ ნიშნავს რომ სირთულეები არ არის). ჩემთვის უცხო არ არის სპეციფიკურად ქალებთან დაკავშირებული საქმიანობაც; შევადგინე და გამოვეცი წიგნი „მშვენიერი ქართველი ქალი“; ასევე, კრებული: „ქართველი ქალი - მხატვრებისა და პოეტების მუზა“. ძალიან მომწონს ქართველი ქალის სილამაზე, მაგრამ, ზოგადად, მგონია, რომ თავისებური შარმი თუ არ დაჰკრავს, ნებისმიერი სილამაზე ფერმკრთალება და პირიქით, ბევრი შემთხვევაა, როცა ერთი შეხედვით ულამაზო ქალი თავისი განსაკუთრებულობით მშვენიერი გამოჩნდება. პირადად მე ქალობის გამო თვითდამკვიდრება არ გამჭირვებია, ხოლო რის გამოც უკან დამიხევია, ეს წინააღმდეგობები, კაცი რომ ვყოფილიყავ, მაინც შემექმნებოდა, პირადული თვისებებიდან გამომდინარე. დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩვენი ინტელექტუალური სიმდიდრე მსოფლიოს გავაცნოთ, რომ მარტო „სუფრიტა და სადღევრძელოებით“ კი არ გვიცნობდნენ, არამედ მეცნიერებით, ხელოვნებით, სპორტით, ტექნიკური მიღწევებით. დიდი პოტენცია გვაქვს, მაგრამ უნდა ვისწავლოთ საქმის რაციონალურად კეთება – ქალმაც და კაცმაც. ვიყოთ ნაკლებად ემოციურები და უფრო პრაგმატულები (რაც ძალიან ძნელია). ჩვენი თითოეული სიტყვისა და ქმედების პასუხისმგებლები უნდა გავხდეთ. მჯერა, რომ საქართველო იქნება ისეთი ქვეყანა, სადაც მეც მეცხოვრება, ჩემს შვილიშვილ ბარბარესაც და საიდანაც არსად წასვლა არ მინდა (არც მინდა, რომ მომინდეს).



# მრავალგვილიანი დედა

**ღარაჯან ზღუდაძე – ასპინძის ბავშვთა**

**აღმზრდელობითი დაწესებულების**

**ხელმძღვანელი**

**დაბადების დღე – 25 მარტი**



„ქალს თუ ყაბეი ოჯახი აქვს,  
რე იგი ყაბეი სცნობს ია აქვს და  
სოლიციადის იჟაბეჭს.“

მამაჩემი დედისერთა იყო, ჩემი მეუღლეს დედისერთაა. ამიტომაც მინდოდა, მრავალგვილიანი დედა ვყოფილიყავი. სამივე შვილი რთულად, წოლითი რეჟიმით გავაჩინე. შემდეგ სრულიად გაუცნობიერებელი რამ მოხდა. მაგრამ თავიდან მივყვები.

პროფესიით მშენებელი ინჟინერი და ფიზიკოსი ვარ. ვმუშაობდი ასპინძაში, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიუროში მხაზველ-კონსტრუქტორის თანამდებობიდან მთავარ ინჟინრობამდე. შემდეგ სკოლაში ვასწავლიდი ფიზიკა-ასტრონომიას. სკოლის შემდეგ რაიონის საკრებულოს დეპუტატად ამირჩიეს. მოგვიანებით ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში დირექტორობა შემომთავაზეს. დირექტორად 1999 წლის 1 მარტს დავინიშნე. დღემდე ამ ადგილას ვმუშაობ. ასპინძა პატარა რაიონია, ეს იყო ძალიან რთული და სპეციფიკური სფერო, თანაც ძალიან მძიმე მემკვიდრეობა მივიღე. შენობაში წვიმდა, ხელფასები გაუცემელი იყო. ჩვენი კონტინგენტი ექვსიდან თვრამეტი წლის ასაკამდე მოზარდებისაგან შედგება. ეს ისეთი სფეროა, სადაც არც შაბათი არსებობს, არც კვირა. ჩვენს სააღმზრდელო დაწესებულებაში მცირეწლოვან ბავშვებს ეპარქიაც გვიგზავნის.

ერთხელ ჩვენთან რუსთავიდან ორი გოგონა მოიყვანეს, მშობლებმა მიატოვეს. ბავშვები ავად გახდნენ, გაციებულები იყვნენ და ღამეც მეტი ყურადღება სჭირდებოდათ. ვიფიქრე, ღამე სახლში წავიყვან და დილით მოვიყვან-მეთქი. ორივეს მოვლა მიჭირდა, მეუღლე მესმარებოდა. მე და ლიკა საძინებელში ვიწექით, მარი და ჩემი მეუღლე – ცალკე. მარი უფრო პატარა იყო და მესმოდა, ღამე როგორ დაჰყავდა ჩემს მეუღლეს ხელში აყვანილი. ასე გავიდა ორი-სამი წელი. ერთ დღესაც მამამ მოაკითხა ბავშვებს, თან ვილაცხევი ახლდნენ და ბავშვების მიყიდვა მათთვის უნდოდა. ეს იყო 2002 წელს. ამერიკაში ვაშვილებო. ვუთხარი, მშობლები უნდა გავიცნო,

ისე ვერ გავუშვებ-მეთქი. მაშინ ვაჭრობა დამიწყეს და მივხვდი, რომ ბავშვების მომავალი ძალიან გაურკვეველი იყო. თანაც გაგონილი მქონდა, რომ ბავშვების ორგანოებით ვაჭრობდნენ კიდევ. ამერიკიდან მირეკავდნენ, შშობელი მამა თანახმაა და თქვენ რატომ გვიწვეთ წინააღმდეგობასო. სწორედ მაშინ გადაწყვიტა ჩემმა მეუღლემ ჩვენ თვითონ გვეშვილა ეს ბავშვები. ლიკა და მარი ახლა უკვე ოფიციალურად არიან ჩემი შვილები. მამამ მხოლოდ ერთხელ მოაკითხა და ვერც იცნეს ერთმანეთი. დაბადების დღეებს მამიდა ტელეფონით ულოცავს. არც მამას და არც მამიდას მათ არ დავაკარგვინებ, მაგრამ მათ დედას პატივს არ ვცემ.

როცა დატვირთული ვარ, უფრო გეგმაზომიერად მიდის ყველაფერი, ვიდრე თავისუფალ დროს. აზარტია, როცა ხედავ ბავშვების დიდ სიყვარულს, ხვდები, რომ მართო შენ თავს არ ეკუთვნი, თითქოს ღმერთმა შენ წილ რაღაც დაგაკისრა. ეს ისეთი პასუხისმგებლობაა, რომ ვერ უღალატებ. ხანდახან მიფიქრია, ღრმად არ შევალ ურთიერთობაში აღსაზრდელთან, რადგან მერე დიდი განცდები მაკავშირებს ხოლმე მათთან, მაგრამ არ გამომდის. ხანდახან ჩემი კოლეგების მშურს კიდევ, ზოგიერთი თავის აღსაზრდელს სახელითაც კი არ იცნობს. მე კი ყველასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს, ყველას მონაცემები, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის ზომა ვიცი. წელს ჩვენმა ექვსმა აღსაზრდელმა დაამთავრა სკოლა. სამმა ეროვნული გამოცდა ჩააბარა, ორი კოლეჯში მოხვდა. ვისაც წასასვლელი არ აქვს, აქვე მყავს. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათ დახმარებას. დღის ცენტრის ბავშვებიც მყავს, სადილობენ, მეცადინეობენ და ღამე სახლში მიდიან. სოფლად არ არის გართობის არანაირი საშუალება, ბიბლიოთეკა, სამსახური. ამის გამო ახალგაზრდები ენერჯის ვერ ხარჯავენ და ძალიან შეიცვალნენ. დასაქმების პრობლემის მოგვარება სოფლად ბევრ რამეს შეცვლიდა.

სოფელში ბევრი სამუშაოა, ყველაფერს ვასწრებ, თუმცა ხშირად ვმალავ ხელებს, რადგან დაკოჟირილი მაქვს ამდენი შრომისაგან. ფერმაც მაქვს და ათი კაცი მყავს დასაქმებული. საქმე ყველას განაწილებული გვაქვს, ყველანი ერთად ვცხოვრობთ. არაჩვეულებრივი ოჯახი, შვილები, მეუღლე, დედამთილ-მამამთილი მყავს. 18 წლისა სიყვარულით გავთხოვდი. წლებმა უფრო გააძლიერა ჩვენი სიყვარული. დღეს უკვე თვალებით ვუგებთ ერთმანეთს, სიტყვები საჭიროც კი არ არის.

კომუნისტების დროს ქალთა რაოდენობის განსაზღვრული კვოტა არსებობდა ყველგან და ყველაფერში. ასე უნდა იყოს ახლაც. ქალი უფრო მოქნილია პოლიტიკაში. მისი ხედვა სხვანაირია, შემწყნარებელია. ქალს თუ კარგი ოჯახი აქვს, ესე იგი კარგი სტრატეგია აქვს და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკაშიც ივარგებს. ქალი სახლიდან უნდა გამოვიდეს. თავად ქალებმა უნდა მისცენ ერთმანეთს მეტი გასაქანი.

უმთავრესი ქალისათვის დედობაა, შემდეგ – პროფესიონალიზმი საქმეში. ქალი საზოგადოების აქტიური წევრი უნდა იყოს. თუ არ ხარ პროფესიონალი და ზიხარ სკამზე, რომელიც შენ არ გეკუთვნის, უნდა გრცხვენოდეს.

მიზანდასახული ვარ, მჯერა უწმინდესის და დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო გაბრწყინდება.

# ფართოდ გახელილი თვალებით...

●  
**მარინა თაბუკაშვილი -**

ფონდ „ტასოს“ გენერალური დირექტორი  
დაბადების დღე - 22 აპრილი



„ქალუბრი და ყაყაბა თანააფსოვი  
უნდა იყვნენ პოეტიკური  
ასევე სახელმწიფო მმართველობაში“.

სასწრაფოდ: გეთსიმანიის ბაღში იესო ქრისტე სთხოვს თავის მოწაფეებს, ნუ დაიძინებთო, მაგრამ, მიუხედავად თხოვნისა, მათ მაინც დაიძინეს - იმიტომ, რომ მათთვის „არ ხდებოდა“; გალაკტიონი ამბობს, რომ ქარი არა ჩანს და მაინც მწვერვალებს კი ეღებო, ანუ მწვერვალი, კენწერო, უფრო მგრძობიარეა და იმიტომ ხდება მისთვის ის, რასაც არ განიცდიან სხვები; ან, ილიას განდევილს გული რომ უსკდება მაშინ, როცა მწყემს ქალს შვიდად სძინავს ცეცხლის პირს. საჭირობოტოც ესაა: თვალის გახელა და დანახვა. ხალხს იმიტომ უჭირს, რომ დამნახვამ მერე უნდა იმოქმედოს კიდევ, პასუხისმგებლობა აიღოს, იმუშაოს, საქმე გამოასწოროს. ესაა, რაც უჭირთ, მაგრამ, მწამს, ყველას შეუძლია.

ასეა, საზოგადოებაში მგრძობიარე ადამიანები ჭირს. აბა, როგორ არ გამიკვირდეს იმ ქალების განცხადებისა, რომლებიც „ქალის პრობლემას“ ვერ ხედავენ, მათი ნათქვამი მათი მგრძობიარეობის დაქვეითებაზე მიუთითებს. ჩვენ ღარიბ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ქვეყნიდან მილიონნახევარი ადამიანი საშოვარზე გასული, რათა პურის ფული გამოუგზავნოს ოჯახს. მათგან უმრავლესობა არალეგალურად ცხოვრობს, ანუ მათი სიცოცხლე საფრთხეშია, უმრავლესობა ქალები არიან. ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ ვერ ხედავს პრობლემას, ის ან იზოლირებულია საზოგადოებისგან, საბჭოების პირობებში ცხოვრობს, ან თავს იტყუებს. მით უფრო სამწუხაროა ხოლმე, თუ ამის ვერდამნახავი ხელოვანია, მწერალია, შემოქმედი, რადგან, პასტერნაკს დავესხებები, თუ არ ჩაისუნთქე ქალის, კოსმოსს ვერ ამოისუნთქავ.

როცა ვსაუბრობთ ქალებზე, არ დაგვავიწყდეს, რომ მოსახლეობის უმრავლესობაზე ვსაუბრობთ - მცირე გამონაკლისის გარდა ყველა ქვეყანაში მოსახლეობის უმეტესობა ქალია. საქართველო აგრარული ქვეყანაა, ჩვენს სოფელს კი დღეს საკუთარი ქვეყნის ბაზარიც კი არ აქვს, უღარიბესია. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობაც ქალია. თუ სახელმწიფოს, მათ შორის ჩვენც, სამოქალაქო საზოგადოებას, დემოკრატიაზე გვაქვს პრეტენზია, მართვის სხვადასხვა დონეზე ქალთა წარმომადგენლობა მოსახლეობის შემადგენლობის პროპორციული უნდა გვექონდეს, მაგრამ ქვეყნის პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა გაჭირვებით ოთხი პროცენტია. საერთაშორისო ხედვით, ეს სკანდალური მონაცემია და როცა ხელისუფლება ამას სერიოზულ პრობლემად არ აღიქვამს, მარტივად ითქმის: „ვერ ხედავს“, „ვერ გრძნობს“, ასეთი მდგომარეობა პირდაპირ მიანიშნებს დემოკრატის დაბალ ხარისხზე და თუ ასეთი ხარისხი არ არის პრობლემა, მაშინ აქ დიდი სამუშაოა შესასრულებელი, რათა თვალი აეხილოს საზოგადოებას იმ კავშირებზე, რაც დემოკრატის ძირეული პრინციპების უგულვებელყოფასა და ქვეყნის განვითარების მაჩვენებლებს შორის არსებობს.

დემოკრატის გარანტი მოსახლეობის საშუალო ფენაა, რომელიც საქართველოში ვერა და ვერ შედგა. ვფიქრობ, დადგა დრო რადიკალური ცვლილებების აუცილებლობისა, როცა ქალები უნდა მოვიდნენ პოლიტიკაში. დროა ასევე, რომ მედია, განსაკუთრებით კი – სატელევიზიო, ისწავლოს დემოკრატის ანაზანა და უფლებებზე, თანასწორობაზე, გენდერის საკითხებზე, სოციალურ და აგრარულ პოლიტიკაზე, ძალადობის საკითხებზე კეთილსინდისიერად იმუშაოს, არ „ინადიროს“ მხოლოდ დეტექტურ, სკანდალურ ეპიზოდებზე. ქალთა ორგანიზაციების მოღვაწეობასა და მცდელობას ჯერჯერობით შედეგი კი აქვს, მაგრამ არცთუ მნიშვნელოვანი. ამის მიზეზი ისაა, რომ ჩვენი ღარიბი და ხვალინდელი ლუკმის შოვნაზე გაფაციცებული მოსახლეობა ვერ აყალიბებს მოთხოვნებს, რაც ქალთა ორგანიზაციების ერთობას ქალთა ნამდვილ მოძრაობად გარდასახავდა და გაგვძლიერებდა ჩვენც და ერთიანად ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოებასაც. იქნებ დროა გავაცნობიეროთ, რომ ქალთა მოძრაობა არის არა მხოლოდ მოძრაობა ქალებისთვის, არამედ მოძრაობა მთელი მოსახლეობისა ქვეყნის საკეთილდღეოდ.

რაც კარგია ქალისთვის, რა თქმა უნდა, მისი ოჯახისთვისაა კარგი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქალები საუკეთესო „გამტარები“ არიან. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქვეყნებში, სადაც შიმშილობაა, ყველაზე მეტად ქალები შიმშილობენ, რადგან ვიდრე არ დააპურებენ ოჯახის წევრებს, თავად არ ეკარებიან საჭმელს. ქალი არასდროს მოიქცევა თავისი შვილების საზიანოდ, ქალები ისეთ რამეს მაინც არ დაუჭერენ მხარს, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უფრო ჰუმანურ სულისკვეთებას შეიტანენ პოლიტიკაში.

ქალთა და მამაკაცთა საგანგაშოდ დისპროპორციული პოლიტიკური მონაწილეობის პასუხად ქვეყანაში საგანგებო ზომებია გასატარებელი, ანუ მდგომარეობის გამოსასწორებლად კვოტებია შემოსაღები. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური მოღვაწეების მომზადებას, სხვათა შორის, როგორც ქალების, ასევე კაცებისას. ამისთვის საგანგებო დაფინანსებაც გამოჩნდება, თუკი ხელისუფლებამ პოლიტიკაში ქალთა ჩართვის კეთილი ნება გამოხატა.

გენდერული თანასწორობისა და, მათ შორის, ქალთა პოლიტიკაში მოღვაწეობის უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესია თანასწორობა და შრომის გადანაწილება ოჯახში. ქმრებმა და მამებმა საყვარელი ქალების მიზნები უნდა გაიზიარონ, ოჯახში ცოლებთან ერთად დატრიალდნენ, შვილების აღზრდასაც ერთად უნდა მიხედონ.

# საჩუქარი – აღამიანებთან ურთიერთობა

●  
**ია თიქანაძე – გერმანისტი, ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი დაბადების დღე – 17 ნოემბერი**



„ქალმა თუ მოინდომა და მხარდაჭერას მოიპოვა. ყველაფერს შეძლებს“.

ორი წელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. შემდეგ მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტში ჩავაბარე, სადაც ხუთი წელი ვისწავლე. დამთავრების შემდეგ თბილისში დავბრუნდი და დავიწყე მუშაობა მეცნიერ თანამშრომლად მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრში. გამიმართლა, სტაჟირებაზე გერმანიაში მოვხვდი, ბონის საგარეო პოლიტიკის გერმანული საზოგადოების კვლევით ცენტრში.

გერმანიაში ყოფნისას ჩემი ოჯახი მხარში ამომიდგა. განსაკუთრებით მეუღლე მეხმარებოდა, წელიწადზე მეტი გერმანიაში ვიყავი. სახლში ბავშვთან ერთად ჩემი მეუღლე და დედაჩემი დარჩნენ, თუმცა ძალიან მოვიხდომე, რომ ზოგჯერ ჩემი ოჯახის წევრები ჩემთან ერთად ყოფილიყვნენ ბონში.

გერმანიაში შემომთავაზეს, გამეხსნა საქართველოში ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა. ფონდის პირველი ნაბიჯები ძალზე რთული იყო. საქართველოში იმ პერიოდში მწვავე კრიზისი იყო, პრობლემები ელექტრომომარაგებაში, კომუნიკაციისა და ტრანსპორტის გაუმართაობა, რთული კრიმინოგენული სიტუაცია და სხვა. რაც მთავარია, პოტენციური პარტნიორებიც არ გვყავდა, იმ დროს საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჯერ ფეხს იკიდებდნენ. ბევრს დავდიოდი, ვცდილობდი მომეძებნა ცალკეული პიროვნებები და ორგანიზაციები, რომლებთანაც შევძლებდი თანამშრომლობას.

მახსოვს, 1996 წელი იყო, რაიონიდან უცნობმა დარეკა, დირექტორთან სურდა საუბარი... მე ვარ-მეთქი რომ ვუთხარი, არაო, კაცი მოვიდეს ტელეფონთანო, იყო მისი მოთხოვნა. არაფრით არ უნდოდა ჩემთან ლაპარაკი.

არა მგონია, ახლაც ჭარბობდეს ამგვარი სტერეოტიპი. მას შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ბევრმა ქალმა წარმართა აქტიური საქმიანობა. თუმცა მე მუდამ განვასხვავებდი მამაკაცისა და ქალის მოვალეობებს, მათ ფუნქციას არა მარტო ოჯახში, არამედ საზოგადოებაშიც. ვფიქრობ, რომ ჩვენ მნიშვნელოვნად განვსხვავდებით ერთმანეთისაგან ცხოვრების ალქმაში, პრიორიტეტების განსაზღვრასა და, რაც მთავარია, ცხოვრების სტილში, განსაკუთრებით კი – საქართველოში. მგონია, რომ ჩვენს ქალებს ბევრად მეტი საფიქრალი აქვთ და ვიმედოვნებ, რომ როდესაც ჩვენი ცხოვრება და ყოფა გაუმჯობესდება, შესაძლოა ჩვენი ურთიერთობებიც უფრო ჰარმონიული გახდეს.

სკოლის ასაკში ძალიან მაინტერესებდა, თუ როგორ აღიქვამენ ჩემი თანატოლი ბიჭები ცხოვრებას. იმ დროს მეტწილად მათთან ვემგობობოდი და, ასე თუ ისე, გავერკვიე, რა ალღევებდათ მათ ყველაზე მეტად და რა გადაწყვეტილებებს ღებულობდნენ ისინი გოგონებისგან განსხვავებით. ამ შეკითხვაზე იმ ასაკშივე მივიღე დამაკმაყოფილებელი პასუხი.

საქართველოში არასდროს შემქმნია პრობლემა იმის გამო, რომ ქალი ვარ, პირიქით, ჩვენს ქვეყანაში მუდამ არსებობდა მოწიწება ქალის მიმართ, რასაც, მაღლობა ღმერთს, თითქმის ყოველ დღე გრძნობ აქ. თუმცა გული მტკივა, როდესაც ახალგაზრდები ნაკლებად იჩენენ თავაზიანობას თანატოლი გოგონებისა თუ ქალბატონების მიმართ, არადა, ეს თბილისელი მამაკაცების განსაკუთრებულ თვისებად მიმაჩნდა.

საზოგადოებაში შემორჩენილია პროფესიების გენდერული დაყოფა. თუმცა, თუ არ ჩავთვლით მძიმე ფიზიკურ შრომას, რაც უფრო ვითარდება ცხოვრების ტემპი და ტექნოლოგიები, რაც უფრო მეტს მუშაობს ადამიანი თავის განათლებასა და პროფესიულ ზრდაზე, მით უფრო სწრაფად იშლება განსხვავებები ტრადიციულად ქალურ და მამაკაცურ პროფესიებს შორის.

ბედნიერად ვგრძნობ თავს როგორც ქალი, რომელსაც ჰყავს მოსიყვარულე ოჯახი და ახლობლების წრე, მაგრამ არანაკლები კმაყოფილება და განცდა მოაქვს ჩემთვის იმის შეგრძნებას, რომ მიხარია სამსახურში წასვლა, მიყვარს ჩემი საქმე და ადამიანებთან ურთიერთობა. ვფიქრობ, რომ ჩემთვის ეს დიდი საჩუქარია.

ჩემთვის საინტერესო ქალი – ნიჭიერი და შემოქმედი ქალია. ჩემთვის სულერთია, რა გარეგნობისაა ის. ნიჭიერი და საქმიანი ადამიანი პატივისცემის ღირსია, თუმცა იგი შეიძლება იდეალური არც იყოს.

დამოუკიდებლობის პერიოდიდან მოყოლებული დღემდე საყოფაცხოვრებო სირთულეების მთელი ტვირთი მეტწილად ჩვენს ქალებს დააწვათ. არადა, ყოფითი პრობლემები ძალიან ბევრ დროს აკარგვინებს ადამიანს, ძნელდება, მეტი დრო მიუძღვნას ახლობლებს, საკუთარ თავს, ჯანსაღ დასვენებას, საზოგადოებრივ ცხოვრებას. სხვა დაბრკოლებას ოჯახის მხრიდან ვერ ვხედავ. არა მგონია, რომ რომელიმე თანამედროვე ოჯახს არ უნდოდეს ქალის საქმიანობა სახლის გარეთაც. ქართველ ქალებს ხომ ბევრად მეტის გაკეთება შეუძლიათ...

ქალების მოღვაწეობა პოლიტიკაში ავტომატურად არ ნიშნავს მშვიდობიან, უკონფლიქტო მიდგომას თეთრი მანდილით ხელში. ბევრია ისეთი ქვეყანა, სადაც ზღვარი ქალთა და მამაკაც-

თა მართვის სტილსა და ფუნქციების განსაზღვრაში საკმაოდ პირობითია. ამის ნათელი მაგალითია მარგარეტ ტეტჩერისა და კონდოლიზა რაისის მოღვაწეობა. დასავლეთში არ მიიჩნევენ, რომ ქალი ყოველთვის რბილი და ჰარმონიული პოლიტიკის გამტარებელია. აღმოსავლეთში კი განსხვავებული კულტურაა, თუმცა, მთლიანობაში უნდა ვივარაუდოთ, რომ პარლამენტარი ქალი თავისებურად შეაფასებს არსებულ პრობლემებს და განსხვავებული ლოგიკითა და პასუხისმგებლობით მიუდგება მათი გადაჭრის გზების ძიებას. ვფიქრობ, რომ მისი გადაწყვეტილება უფრო ბალანსირებული და კომპრომისული იქნება. აღიარებული ფაქტია ისიც, რომ ქალები ნაკლებად ჩადიან უკანონობას, ნაკლებად მიდიან უსამართლო გარიგებებზე, მათი კორუფციაში ჩართვაც უფრო იშვიათი მოვლენაა, ვიდრე ეს მამაკაცების შემთხვევაში გვხვდება.

თავისუფალ დროს ქალაქგარეთ გავდივარ, ბუნებაში. ეს კარგი განტვირთვაა, რადგან კომპიუტერთან მუშაობა დღე და ღამე მიწევს. საერთოდ, ჩემი ჰობია ადამიანებთან ურთიერთობა, ახალი ურთიერთობები. ადრე ვნატრობდი ისეთი სამსახური მქონოდა, სადაც ბევრ საინტერესო ადამიანს შევხვდებოდი. მაღლობა უფალს, ნატვრა ამისრულდა.

ქალებს ვურჩევდი, არც ერთ სიტუაციაში არ დაყარონ ფარ-ხმალი. თუ სათანადოდ განეწყობი, ძალის მოკრეფა ყოველთვის შეიძლება. ქალს საოცარი პოტენცია აქვს და მიმაჩნია, რომ ბევრ სიტუაციაში ქალი გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე მამაკაცი. ამასთანავე, ქალმა არ უნდა დაკარგოს თავისი მშვენიერება, ქალურობა. თუ ქალი გრძნობს, რომ მის გვერდით არის მამაკაცი, რომელიც მისი საყრდენია, მისი ოჯახის ღერძია, შეუძლია ჩათვალოს, რომ ბედნიერი ყოფილა.

თუ ქალს გადაწყვეტილების მიღება უჭირს, მეტად უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე, რათა უფრო პრინციპული გახდეს და ნდობა დაიმსახუროს როგორც ოჯახში, ასევე, საზოგადოებაში.

კვოტების წინააღმდეგი ვარ. ქალმა თვითონ უნდა მოიპოვოს თავისი ადგილი იმიტომ, რომ ეს მას შეუძლია, ხოლო თუ ვერ შეძლებს, მაშინ ეს კვოტებიც არ იქნება სარგებლიანი, მეტიც, ეს შეურაცხმყოფელია. ყველაფერი უნდა გაკეთდეს ქვეყანაში იმისათვის, რომ ქალმა თავისი უნარების განვითარება მოინდომოს, ინტელექტუალურ და ფიზიკურ სრულყოფაზე იმუშაოს და, რაც მთავარია, ამის შესაძლებლობა მიეცეს.

საქართველოში ძალიან ცოტა ქალია, რომელიც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს. პარლამენტშიც და მთავრობაშიც ქალების ნაკლებობაა. არადა, ქალმა თუ მოინდომა, დაგეგმა და მხარდაჭერაც მოიპოვა, ყველაფერს შეძლებს.

# ფილოსოფიას ქალური საწყისი ნაქვს

ნიკო თომაშვილი – ფილოსოფიის  
მეცნიერებათა კანდიდატი,  
ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი  
მეცნიერ-თანამშრომელი  
დაბადების დღე – 15 დეკემბერი



„ფილოსოფიური ჩითხვები მაშადიულოა,  
ჯასესხები ჩი ყველა თაოჭას თავისი აქვს“.

დედა დიასახლისი იყო. 4 შვილი ვყავდით. ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე მისთვის ჩვენი აღზრდა იყო. ქალიშვილები კი მამაჩემს ნამდვილად არ ვემეტებოდით სახლში დასაჯდომად, მიაჩნდა, რომ საკუთარი თავის რეალიზაცია უნდა მოგვეხდინა.

თბილისის მე-14 სკოლა დავამთავრე. შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩავაბარე. მნიშვნელოვანია სიბრძნესთან დაკავშირებული მეცნიერება და ეს კარგი იყო. მოვხვდი საუკეთესო პედაგოგებთან, ფილოსოფოსთა შესანიშნავი პლეადა მოღვაწეობდა მაშინ უნივერსიტეტში: ზურაბ კაკაბაძე, ნიკო ჭავჭავაძე, თამაზ ბუაჩიძე, ლერი მჭედლიშვილი, მერი ჭელიძე, გურამ თევზაძე და სხვანი. მაშინ, რა თქმა უნდა, მარქსისტულ საგნებსაც ვსწავლობდით, მაგრამ, ამის მიუხედავად, მათ ძალიან კარგად გაგვარკვევს, რა იყო ნამდვილი ფილოსოფია.

ჩავირიცხე თუ არა, ჩემი ინტერესები ლოგიკისაკენ წავიდა. მომეჩვენა, რომ სწორედ ის ფილოსოფია მინდოდა და მჭირდებოდა, რომელიც აზროვნებას აწესრიგებდა. თუმცა ძალიან საინტერესო იყო მეტაფიზიკური პრობლემებიც. უნივერსიტეტი წარჩინებით დავამთავრე, კოტე ბაქრაძის სახელობის სტიპენდია მქონდა და ძალიან ვამაყობ ამით. ბაქრაძეს გერმანიაში ჰქონდა მიღებული განათლება, მთელი საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში ლოგიკა მისი სახელმძღვანელოთი ისწავლებოდა.



უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩავირიცხე, ასპირანტურის შემდეგ ინსტიტუტში დავრჩი და დღემდე აქ ვმუშაობ. გავიარე ყველა საფეხური – რიგითი თანამშრომლიდან დირექტორის მოადგილემდე. ახლა უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ვარ.

მე და ჩემი მეუღლე თანაკურსელები ვიყავით. ის არ დარჩა ფილოსოფიაში, თუმცა დისერტაციაც დაიცვა. ხშირად მეუბნება – შენ მოხვდი იქ, სადაც უნდა ყოფილიყავიო. დიდი ფინანსური შემოსავალი არასოდეს გვქონდა მეცნიერებს, სულიერად კი ძალიან დიდ ძალას მძლევდა ფილოსოფია.

მძიმე ეპოქაში გვიწევს ცხოვრება. მე პირადად მატერიალური პრობლემები მაწუხებს. ამის მიუხედავად, ვერ შევიცვალე პროფესია, ვცდილობ, ფინანსური პრობლემები გადავჭრა ჩემი პროფესიული საქმიანობით, ანუ იმით, რაც ვიცი.

დღეს ხშირად ამბობენ, რომ ფილოსოფიური კვლევები დიდი ფუფუნებაა, საზოგადოებას ეს აღარ სჭირდება. მეოცე საუკუნის 70-ანი წლებიდან დაიწყო მთელ მსოფლიოში იმაზე ფიქრი და ლაპარაკი, რომ ფილოსოფიამ ამოწურა თავისი თავი. მე ასე არ მგონია. მიმაჩნია (ერთ სტატიაშიც აღვნიშნე ამის შესახებ), რომ ფილოსოფია ის მეცნიერება არ არის, რომელიც შეიძლება მოძველდეს. ფილოსოფიური პრობლემები არ ძველდება, კითხვები მარდიულია და ერთმნიშვნელოვანი პასუხები არ არსებობს. ყველა დროში ფილოსოფია აყენებს კითხვებს, რომლებსაც ყველა თაობამ ყველა საუკუნეში თავისი პასუხი უნდა გასცეს.

ფილოსოფია ქალური საწყისის მატარებელი მეცნიერებაა, მან შობა თავის წიაღში სხვა მეცნიერებები, თუმცა თავად ფილოსოფოსობა მამაკაცური პროფესიაა, ისტორიულად, ძირითადად მამაკაცები იყვნენ ფილოსოფოსები. ხშირად მიკითხავს მამაკაცი ფილოსოფოსებისათვის, თუ რატომ არ არის ცნობილი ისტორიაში ქალი ფილოსოფოსის სახელი, ნუთუ არ არსებობდნენ ქალები, რომელთაც ფილოსოფია აინტერესებდათ? მიიჩნევენ, რომ ძველად ეს არ ითვლებოდა ქალის საქმედ. შეიძლება ეს სტერეოტიპიც იყოს. ბრძენ ქალებს რა გამოლევს ქვეყანაზე, თუმცა ვფიქრობ, რომ ფილოსოფოს ქალებს პროფესიული სიმამაცე აკლიათ, მამაკაცები უფრო თამამები არიან.

თუ რაიმე არ გამიკეთებია, არა იმიტომ, რომ მამაკაცისათვის დამითმია საკეთებელი მისი მამაკაცობის გამო. გულწრფელად მინდა ვთქვა, ამისაგან თავისუფალი ვიყავი. თუმცა უფრო მეტად ვისმენდი და მჯეროდა ჩემს გვერდით მყოფი მამაკაცი ფილოსოფოსებისა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სხვა მამაკაც და ქალ ფილოსოფოსებზე გონიერნი იყვნენ, და არა იმიტომ, რომ მამაკაცები იყვნენ. როგორც ქალი, დისკრიმინირებული არ ვყოფილვარ არასოდეს იმ წრეში, რომელშიც მე ვსაქმიანობდი.

როდესაც დამევალა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეობა, დიდ პატივად მივიჩნიე. ეს დიდი დაფასება იყო. ჩემი წარმატებაა ისიც, რომ ფილოსოფიის ინსტიტუტში ვიმუშავე გამოჩენილი ფილოსოფოსების გვერდით და მათი სამეცნიერო ხელმძღვანელობით. ჩემი წარმატება იყო ისიც, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად შევექმენი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი „იონან პეტრიწი“ და ცენტრთან არსებულ გამომცემლობაში, რომლის დირექტორი დღესაც ვარ, გამოვეცით ფილოსოფიის კლასიკოსთა შრომები. მაქვს ოჯახი, მყავს სამი შვი-

ლი. ჩემი ოჯახი ჩემი დიდი მიღწევაა. ჩემმა შვილებმა ფილოსოფოსობა არ ისურვეს, საქმიანობის სფეროდ იურისპრუდენცია და სოციოლოგია აირჩიეს.

ვფიქრობ, რომ საქართველოში ფილოსოფოსი ქალები ჩრდილში არიან. ელენე თოფურიძე, თამარ კუკავა, მერი ჭელიძე, დალი დანელია შესანიშნავი ფილოსოფოსები და მეცნიერები იყვნენ და არიან. საუკეთესოდ წერდნენ და ასწავლიდნენ. მიმაჩნია, რომ ჩვენი საზოგადოება კარგად არ იცნობს და სათანადო ყურადღებას არ აქცევს მეცნიერ ქალებს.

დღევანდელ საქართველოში მეცნიერებაში ქალები ნაკლებად მოდიან. ისინი უფრო პოლიტიკაში, ხელოვნებაში ჩანან. ქალის საქმიანობა პოლიტიკაში კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვას უნდა ემსახურებოდეს.

ოჯახში უფროსობის მომხრე არ ვარ. მინდა, რომ ოჯახის წევრები თანასწორუფლებიანები ვიყოთ. ადამიანები თანასწორნი არიან, ზოგადად. მზად ვარ ვზიდო ნებისმიერი ტვირთი, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით (რა თქმა უნდა, რაც ჩემს შესაძლებლობებს არ აღემატება), თუ ეს რაღაც მომენტში ჩემს მეუღლეს არ შეუძლია და ამით არ ვიგრძნობ თავს დამცირებულად, მაგრამ პირიქითაც ამას ველი და ვიღებ კიდევ. საქართველო აღმოსავლური ქვეყანაა და აქ მამაკაცის პრიმატი არსებობს. თანამდებობებზე მამაკაცი ურჩევნიათ, თუმცა სადაც მკვეთრად გამოხატული ნიჭიერებაა, ძალიან გამოკვეთილია ქალის უნარები, ვერ ამბობენ ქალზე უარს. ვფიქრობ, თეორიები გენდერული თანასწორობის შესახებ უნდა გახდეს თანამედროვე განათლების ნაწილი. ჩვენ საზოგადოებას ეს სჭირდება.

ჩემთვის იდეალური ქალი პროფესიონალია, რომელიც ამავე დროს კარგი მეოჯახეცაა. მხოლოდ დიასახლისობა ჩემთვის არასოდეს ყოფილა იდეალი, არც მხოლოდ და მხოლოდ თავისი პროფესიული საქმიანობით გატაცებული ქალები მხიბლავენ ბოლომდე. კარგია, როცა ქალი ცხოვრების ამ ორ მნიშვნელოვან საზრისს წარმატებით უთავსებს ერთმანეთს.

# დაუგავას ხუნძულიდან – მბახვრის სანაპიროზე

რაზინა იაკობიძე – საქართველოში

ლატვიის სავატიო ქონსული და

ლათინური სათემო ორგანიზაციის

„AveSol-ის“ თავმჯდომარე

დაბადების დღე – 6 იანვარი



„ჩემი ქვაბი და ღვინოა ჩემი ფიქრობები.  
რომ ამ ყნა მემუშაო და ჭაქქა  
გამეზარდა. ეს ქართული ზნეობაა და  
ეს სტრუქტურა დღესაც აქტიურად მუშაობს“.

დავინახე ლიტვაში, რიგაში და დიდხანს მეგონა, რომ ეს პროვინცია იყო, რადგან ჩვენი სახლი მდინარე დაუგავას კუნძულზე იდგა და რიგის ცენტრში მისვლას დიდხანს ვუნდებოდით. სკოლის დამთავრების შემდეგ იქვე დავამთავრე პედაგოგიური სასწავლებელი, გეოგრაფიის განხრით, ვფიქრობდი, რომ მასწავლებლობაზე უკეთესი საქმე არ არსებობდა. მერე ჩავაბარე ეკონომიკის ფაკულტეტზე და იქვე დამტოვეს კათედრაზე, შემდეგ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიზნობრივ ასპირანტურაში ჩავაბარე და თუმცა რუსული პრაქტიკულად არ ვიცოდი, რუსიც კი არ მენახა 25 წლამდე, ლატვიაში ჩამაბარეს სტუდენტი-ბიოლოგების რუსული ჯგუფი და მათთან ერთად რუსულიც კი ვისწავლე. მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლისა და სპეციალიზაციის წლები ყველაზე საინტერესო იყო ჩემს ცხოვრებაში, ისეთი ცოდნა მივიღე, რასაც ალბათ სხვაგან ვერ მივიღებდი და იქვე გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე დავით იაკობიძე. დავქორწინდით და მალე გამიჩნდა ვაჟი, დავითი. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მე ისევ ლატვიაში დავბრუნდი, ქმარი კი თბილისსა და რიგას შორის ორად იყო გაქრილი, მიდი-მოდიოდა, ვიდრე ერთხელ კატეგორიულად არ მოგვთხოვა წავსულიყავით მასთან ერთად საქართველოში. აი, ასე აღმოვჩნდი თბილისში, დიდუბეში. თავდაპირველად ჩემთვის

დეპრესიული იყო უცხო, უმეგობრო გარემოში ყოფნა, მაგრამ მალე ოჯახის მეგობარმა შემომთავაზა პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობა და შევება ვიგრძენი. შემდეგ ყველაფერი თანმიმდევრულად წარიმართა, როგორც საჭირო იყო: მაღალი კვალიფიკაციით ჯერ ლექციების წაკითხვა შემომთავაზეს, მერე Тpi -ში მიმიწვიეს, სადაც 15 წელი ვიმუშავე, დავიცავი დისერტაცია. ინსტიტუტში მუშაობა მაშინ ძალიან საინტერესო იყო, ბევრი საინტერესო სტუდენტი მყავდა, რომლებსაც, მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი ლექტორი ვიყავი, ძალიან ვუყვარდი. შემდეგ იყო „ალმა მატერის“ სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერთი წელი ვასწავლიდი და დღემდე მახსოვს ის შესანიშნავი კურსი - თინა ხიდაშელი, ლაშა ჟვანია, ირაკლი ოქრუაშვილი. კურსიდან თითქმის ყველა გამორჩენილი ადამიანი გახდა და მე სიამაყით ვამბობ, რომ მათ შემდგომ კარიერაში ჩემი მცირე წვლილიცაა. ამ წლებში ვერ დავიცავი სადოქტორო დისერტაცია, რადგან ქართულად გადმოთარგმნა კიდევ ბევრ დროს დამაკარგინებდა და უკვე იმდენად არეული წლები დადგა, რომ ეს აღარავის სჭირდებოდა, თუმცა, დღემდე მიმანია, რომ ამ დარგში ჩემი მასშტაბური ნამუშევარი ახალი და ნოვატორული იყო.

2005 წელს დავასრულე ჩემი პედაგოგიური კარიერა, როგორც თსუ-ის პროფესორმა. ახლა ვარ საქართველოში ლატვიის საპატიო კონსული და ლათინური სათემო ორგანიზაციის "Ave Sol-ის" თავმჯდომარე, რომელიც 90-ანი წლების დასაწყისში შევქმენით. მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტთან რომანის შედეგად საქართველოში ავერ უკვე 33 წელია ვცხოვრობ კაცთან, რომელიც შემდეგ ქართული ლარის მამა - საქართველოს ფინანსთა მინისტრი გახდა. ლატვიის ხელისუფლებამ 2007 წლის 27 აპრილს გადმომცა ორდენი "Atzinibas Krusts", ეს არის მეთვრამეტე საუკუნეში კურლანდიის ჰერცოგის ფრიდრიხ კაზიმირის მიერ დაარსებული ორდენი - ღირსების ჯილდო, რომელიც იმ პირებს ეძლეოდათ, რომლებიც საზღვარგარეთ საჰერცოგოს სახეს უნარჩუნებდნენ. ისტორიულმა სიტუაციამ ლატვიელები საქართველოში ორმაგ უცხოელებად აქცია, რადგან ჩვენ რუსულენოვანები გახდით ლატვიაშიც და ამან ბევრი ოჯახის რღვევაც გამოიწვია. 1992 წლიდან ჩვენს ისტორიულ სამშობლოში ვიზის გარეშე ვეღარ მივდიოდით, აუცილებლად უნდა დავკავშირებოდით მოსკოვის ლატვიის საკონსულოს და ეს ყველაფერი გართულდა, გაძვირდა. ამან განაპირობა ის, რომ მთელ საქართველოში მოვიძიეთ ჩვენნი - „ლატვიელების გამო“ დისკომფორტმქმნილი ადამიანები, შევქმენით სათვისტომო. ლატვიური სათვისტომოს მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ ქართველებს გავაგებინეთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ რუსულენოვანები ვართ, რუსები არ ვიყავით, რომ ჩვენ ჩვენი ენა და კულტურა გვქონდა, რაც არ დაგვიკარგავს და დასტურად პირველი ერთობლივი დღესასწაული „ლიგო“ მოვაწყვეთ, რომელსაც ხმოვანი ისტორიული ფესვები აქვს და რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება დევნიდა. „ლიგო“ კერპთაყვანისმცემლობიდან შემონახული დღესასწაულია, რომელსაც 23-24 ივნისს აღნიშნავენ. ლატვიელებისთვის ეს უჩვეულო დღეა, როცა მათი სახლი, ხუტორი ღიაა არა მარტო მეზობლებისთვის, არამედ შემთხვევითი სტუმრებისთვისაც.

ლატვიელები ჩაკეტილი ხალხია, ხუტორულმა ინდივიდუალურმა მეურნეობამ თავისი ქნა, ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე არიან დამოკიდებული. ლატვიელები თემებად არასდროს ცხოვრობდნენ და აქედანაა მათი ინდივიდუალიზმიც. „ლიგო“ ჩვენ, საქართველოს ლატვიელებს გვაერთიანებს. უნდა აღვნიშნო, რომ იგი ძალიან მოსწონთ ჩვენს შვილებსა და მეუღლეებს. ქართველები დარწმუნდნენ, რომ ლატვიელებსაც შეუძლიათ დროის გატარება. ჩვენი სათვისტომოს მსოფლმხედველობა თანდათან გავაფართოვეთ და დავინტერესდით იმ ლატვიელებითაც, რომლებიც ჩვენამდე ცხოვრობდნენ საქართველოში. დღევანდელი ლატვიური სათვისტომო არაორდინარული, მაღალპროფესიული ადამიანებისაგან შედგება, იგივე ითქმის

ჩვენამდე მცხოვრებ ლატვიელ მოსახლეობაზეც. პირველი სათვისტომოც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა, როცა აქ ჩამოვიდნენ ლტოლვილები. ლატვიელებისაგან განსხვავებით, ქართველები ეს არის ხალხი „ვალდებულებებით ვალდებულებების გარეშე“: დაგპირდებიან ყველაფერს, მაგრამ იშვიათად ასრულებენ. ჩემი ქმარი ამბობს, რომ თუ ქართველს ერთხელ სთხოვე, ის ამას სერიოზულად არ აღიქვამს, აი, მესამედ თუ სთხოვ, შეიძლება რამე გააკეთოს. ქალები უფრო რთულ დღეში არიან, ვიდრე კაცები, რადგან მათ ოჯახი და მეურნეობა აქვთ მოსავლელი. თავიდან ჩემი ქმარი და დედამთილი ფიქრობდნენ, რომ არ უნდა მემუშავა და ბავშვები გამეზარდა. ეს ქართული პრობლემაა და ეს სტერეოტიპი დღესაც აქტიურად მუშაობს.

# მხოლოდ დრომ იცის – Who is who

●  
მარინა ივანიშვილი – მოქანდაკე  
დაბადების დღე – 17 მაისი



„კაოსკლაჯებს ამ ექვინიათ, სიმ  
ვილაცას ისინი ციცინათელუბში შუქლუბა“.

საქართველო პოსტსაბჭოური, ნეოქართული სივრცეა და ამ სივრცეში ფსევდოეროვნული, დრომოჭმული, დასავლური ტენდენციები თავზე გვეყრება. ხელოვნება დაიბნა და ორიენტირები დაკარგა. მე კი ხელოვნებასთან ურთიერთობის მყარი კრიტერიუმები მაქვს: არ ჩავყვინთო სულიერ "Second hand"-ში და ვიყო მაღალი კლასის „პროფი“. „იზმებში“ ვერ ვეტევი.

მე – მოქანდაკე, მხატვარი, ხატმწერი, გრაფიკოსი – ზოგჯერ ვწერ. ეს ყველაფერი საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციაა.

სოციალისტური რეალიზმის ეპოქაში დაბადებული ყველაფერში რეალისტი ვარ. მთავარია, რომ ვფიქრობ.

თავმდაბლობა ჩემს ღირსებათა შორის არასოდეს ყოფილა. როცა ადამიანს არც ერთი ღირსება არ გააჩნია, თავმდაბლობას უქებენ ხოლმე. ადგილობრივი არტ-მარკეტის ფავორიტი არ ვარ.

"ვარსკვლავებს არ ეშინიათ, რომ ვილაცას ისინი ციცინათელუბში შეეშლება", თქვა ოდესღაც რაბინდრანათ თავორმა. მხოლოდ დრომ იცის – Who is who !!!

ქანდაკებები, ნახატები, ხატები, წიგნები, ჩოგნები, ტილოები, ქოთნები, ფოტოალბომები, ალვირი, უზანგები, ფარდაგი აპლიკაციით და ხუთი ძალღი – ეს არის ჩემი ოჯახი.

ქანდაკებები სტელაჟზე დგანან და ჩამოსხმას ელოდებიან...

შიშველი სხეული უმაღლესი სულიერებაა. ეს ჩემი კონცეფციაა. იუმორის გრძნობას მოკლებული არ ვარ თვით საკუთარი თავის მიმართ.

მას შემდეგ, რაც უფალმა ტალახისაგან ადამი და ევა გამოძერწა, ადამიანი არკვევს დამოკიდებულებას საკუთარ სხეულთან. ადამიანის სხეულისადმი დამოკიდებულებას არკვევენ რელიგიები, იდეოლოგიები, ერები, ეპოქები და ცალკეული ადამიანები, ვარკვევთ ჩვენც, მოქანდაკეები.

კომპეტენტური აზრი: შიშველი სხეული ხელოვნებაში – პორნოგრაფიაა, ის კი ვინც მას გამოსახავს – პათოლოგი.

ფსიქოლოგი: სიშიშველე მიუღებელია ქართული ეროვნული ცნობიერებისათვის! აქედან გამომდინარე – ცეცხლი ჩემკენ!

ახლა კი მთავარი თემა – საქმიანი ქალები. თურმე ამ კატეგორიას განვეკუთვნები. დღევანდებლობამ სხვანაირად წარმოაჩინა ქალი საქართველოში. აზიური მენტალიტეტი, რომელიც სიამოვნებით შეფუთავდა მას ჩადრით, ხოლო შარვლის ჩაცმისათვის ანათემას გადასცემდა, პრაქტიკულად დამარცხდა. კანონზომიერიცაა – მენტალიტეტის პარადიგმა ექსტრემალურმა რეალობამ გაარღვია.

ვინ, თუ არა ქალმა გაიტანა საქართველო არც თუ ისე შორეულ წარსულში – არა პატრიარქალურად სახლში ჯდომით, არამედ შორს, საზღვარგარეთ, საშოვარზე გადახვეწილმა; უსამშველო, დამამცირებელი შრომით სამშობლოში დარჩენილ ოჯახებს, ქმარ-შვილს არჩენდნენ.

ქალები კულტურაში, პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სპორტში, მედიცინაში... საქართველოსა თუ მსოფლიოში – შეღავათების გარეშე, კაცების გვერდით.

საერთოდ მომბეზრდა კიდევ სუფრაჟისტული, ფემინისტურ-გენდერული ლოზუნგები... თუმცა დღესაც საქართველო ბატონ ზიგმუნდ ფროიდისათვის საინტერესო ასპარეზი იქნებოდა.

# ქალობას ეროვნება არ გააჩნია

ნანა ქალანდაძე – მუსიკოსი,  
კომპოზიტორი, ფილოლოგი  
დაბადების დღე – 12 ოქტომბერი



„იბი ვაღჭას ქეიძლია,  
ყნდა ვაილო და მილიანად დაიხარჯო“.

მთაწმინდელი ვარ, თბილისის ძირძველი უბნელი და დღემდე აქ ვცხოვრობ მეუღლესა და ქალიშვილთან ერთად. მშობლები რეპრესირებულები იყვნენ, მე მათი გვიანი შვილი ვარ. მამა ორჯერ გადაასახლეს – ჯერ ციმბირში, შემდეგ კი ყაზახეთში, სადაც დედას შეხვდა და დაქორწინდა კიდევ. მე თბილისში დავიბადე. დედაჩემისა და მამაჩემის ოჯახებიდან 9 სული იყო გადასახლებული; ამან გარკვეული გავლენა იქონია ჩემზე.

10 წლის ასაკში დავობლდი. ჩვენი ოჯახი განსაკუთრებული მატერიალური მდგომარეობით არ გამოირჩეოდა და დედაჩემისთვის ადვილი არ იყო ჩემი უმამოდ გაზრდა. თუ ქალი მარტო რჩება, საზრუნავი უათკეცდება, თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ იგი უნდა „გარკინისქალდეს“. მან უნდა ატაროს ერთგვარი ოჯახური პასუხისმგებლობაც და ამავე დროს დარჩეს ქალად. ზოგი „რკინის ქალს“ თამაშობს და ეს არ ვარგა. დედაჩემი ძლიერი ქალი იყო, ბევრის ამტანი და გადამტანი; ასეთები იყვნენ ჩემი მამიდა, ნათლია, გამზრდელი, მაგრამ სათნოება და ქალური თვისებები არასდროს დაუკარგავთ.

მუსიკალური სმენა ადრე აღმომაჩნდა. სამი წლიდან ვმეცადინებოდი ქალბატონ თამარ დაფქვიაშვილთან. ის ცნობილი პიანისტი იყო, კონსერვატორიის პროფესორი. სწავლა ე.წ. „ნიჭიერთა ათწლედში“ გავაგრძელე. დავამთავრე პროფესორ თამარ ჩარექიშვილის კლასი, რითაც ძალიან ვამაყობ. დიდი სკოლა გავიარე და ჩემი მასწავლებლებისგან ბევრი რამ მივიღე. როდესაც გადის წლები, მერე უფიქრდები, რომ ეს ყველაფერი არაჩვეულებრივი ყოფილა. გვყავდა შესანიშნავი პედაგოგები, რომლებიც საოცარი სიყვარულითა და ერთგულებით აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. დღევანდელ თაობას ეს ფუფუნება ნაკლებად აქვს.



ბავშვობიდანვე მივეჩვიე დამოუკიდებლობას. მუსიკალური ათწლედი ერთადერთი სკოლა იყო, სადაც მოსწავლეებს სტიპენდია ჰქონდათ. 14 წლის ასაკში ფრიადოსნის სტიპენდია მქონდა – 20 მანეთი. ჩემი შრომისა და მონაგრის გემო პატარაობიდანვე ვიცოდი.

სკოლის დამთავრებისას ხელი დავიზიანე და კონსერვატორიაში ვეღარ განვაგრძე სწავლა. ჩავაბარე ფილოლოგიურზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მუსიკა ყოველთვის ჩემი ცხოვრების თანმდევი „მუქი“ იყო. დღეს კი ორივე სფეროს ვემსახურები...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამეცნიერო თარგმანის კოლეგიაში დავიწყე მუშაობა რედაქტორად. 27 წელი ამ სამსახურში გავატარე. კოლეგიაში მუშაობამ ძალიან ბევრი მომცა: ორენოვანი – რუსულ-ქართული პრაქტიკა, სახელოვან თუ ახალბედა მეცნიერებთან ერთად მუშაობა; რედაქტირებაში გავიწაფე, გავეცანი მეცნიერების მრავალ დარგს და მათ ტერმინოლოგიას. ეს სამსახური, თავისი საუკეთესო კოლექტივით, ჩემი ცხოვრების ნამდვილი ეპოპეა იყო.

პირველი სიმღერა 1970 წელს დავწერე, მუსიკალურ ათწლეულში სწავლისას. ჩემმა მეგობრებმა იცოდნენ, რომ მუსიკას ვთხოვავდი, თუმცა არ ვამხელდი. 1991 წელს ტრიო „თბილისმა“ ოპერაში გამართა საიუბილეო კონცერტი და ჩემი სიმღერა შეასრულა. ტაში რომ დამიკრეს და სცენაზე მიხმეს, მუხლები მიკანკალადა...

1993 წელს Friendship Forges-ის გაცვლითი პროგრამით ჰოლანდიაში ვიყავი, პატარა ქალაქ ზუტფენში. ერთ დღეს კონცერტზე დამპატიყეს. მასპინძელ მუსიკოსებს ქართული ხალხური სიმღერების ჩანაწერი ვაჩუქე. სიამოვნებით მიიღეს ჩემი სუვენირი, მომავალში შეხვედრის სურვილიც გამოხატეს, მაგრამ მივხვდი, რომ მეტად დატვირთული გრაფიკის გამო CD-ის მოსმენასაც ვერ მოახერხებდნენ, არათუ შეხვედრას. დილით, რვის ნახევარზე ტელეფონმა დარეკა და წინა დღის კონცერტის მასპინძლებმა პირდაპირ „საქმიან“ საუბრებზე მიმიპატიყეს. მივხვდი, რომ ეს მოულოდნელი ზარი ქართული სიმღერის დამსახურება იყო. ისინი აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და რომელიმე ქართულ ფოლკლორულ ჯგუფთან ერთად საშობაო პროგრამაში მონაწილეობა შემომთავაზეს. ეს ღვთის ნება გახლდათ. ასე დაეუკავშირდი ჰოლანდიას და იმ მუსიკოსებს, რომლებიც არა მხოლოდ ქართულ ხალხურ სიმღერებს, არამედ ჩემს შემოქმედებასაც ახლოს გავცნენ. დაიწყო ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპი.

პირველად ჰოლანდიაში ანსამბლი „თბილისი“ წავიყვანე. შემდეგ „მასტერ კლასებით“ მიმიწვიეს; ყველაფერი აინტერესებდათ საქართველოს შესახებ. ეს ურთიერთობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. შემიძლია ვიტრაბახო ჩემი ჰოლანდიელი მეგობრებით. ბევრი გუნდი გავიცანი; ქართულ სიმღერებს ვასწავლოდი, 800 ადამიანი მაინც მღერის ქართულად, მათ შორის ჩემს მრავალხმიან სიმღერებსაც. ჰოლანდიის შემდეგ ჩემი სიმღერები (როგორც ქართული, ასევე ინგლისურენოვანი) უკვე სხვა ქვეყნებშიც მოხვდა. 2000 წელს დიდი მუსიკალური ტრადიციების მქონე ერთ-ერთ ქალაქში შესანიშნავი სიურპრიზი მომიწვეს – ჩემი პირველი საავტორო კომპაქტ-დისკი გამოუშვეს. ამ დისკზე ჩემს „ალილოს“, რომელიც 1999 წელს დავწერე და ჩვენმა უწმინდესმა დალოცა, ჰოლანდიური გუნდი ასრულებს. 7 იანვარს ტრადიციულ საშობაო ალილოზე ეს სიმღერა ხშირად ისმის თბილისის ქუჩებში „ქართული ხმების“ შესრულებით. ეს უდიდესი ბედნიერებაა ჩემთვის – უწმინდესის მოწონებული სიმღერის ავტორი ვარ. ჩემს ბოლო კომპაქტ-დისკზე, რომელიც 2007 წელს გამოიცა, მხოლოდ საშობაო სიმღერებია ჩაწერილი, მათ შორის „ალილოც“.

წლების მანძილზე დავდიოდით ჰოლანდიაში გასტროლებზე, კომერციულ ინტერესზე ლაპარაკიც არ ღირს. აქ მხოლოდ მეგობრობაა. რისი გაღებაც შეგიძლია, უნდა გაიღო, მთლიანად დაიხარჯო...

ამჟამად „კავკასიის ფონდში“ ვმუშაობ. ფონდის მიზანია კავკასიელ ხალხთა შორის მშვიდობიან ურთიერთობათა აღდგენა, რაც ბოლო წლების ისტორიამ, სამწუხაროდ, გააფერმკრთალა. ჩვენ ერთმანეთის ნათესავეები ვართ სისხლით, გენით, გარკვეულად, ენითაც. აუცილებელია ძველ ყალიბში დავაბრუნოთ ეს ურთიერთობები, რაშიც, მიმაჩნია, რომ ერთ-ერთ წამყვან როლს კულტურა თამაშობს. მე სწორედ კულტურულ ურთიერთობათა კოორდინატორის საქმიანობას ვეწევი.

ქალთა საერთაშორისო საქველმოქმედო ასოციაციის IWA-ს წევრიც ვარ. აქ უმეტესად უცხოელ დიპლომატთა მეუღლეები არიან გაერთიანებულნი. საქველმოქმედო ღონისძიებებს ხშირად ვატარებთ; შემოსავალი ძირითადად ბავშვებს ხმარდება. უცხოელი ქალბატონები ძალზე მონდომებულნი არიან. ქალობას და დედობას არ გააჩნია ეროვნება და საზღვარი.

ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა ჩემი ქალიშვილია. კარგი შვილის დედობა დიდი ბედნიერებაა. ქალებისაგან ზოგჯერ გამიგონია, ნეტავ მამაკაცად გავჩენილიყავიო. ასეთი სურვილი არასოდეს მქონია.

ბედნიერებაა ემსახურო პროფესიას, რომელიც გიყვარს. იძულების გამო მუშაობა, რაც უნდა პატიოსნად იღვაწო, უხარისხობისა და არაპროფესიონალიზმის დაღს ატარებს. მაგრამ მიმაჩნია, რომ მხოლოდ პროფესიისა და სამსახურისთვის საკუთარი თავის მიძღვნაც არ არის გამართლებული, განსაკუთრებით - ქალისთვის.

ქალი ყოველთვის კარგად უნდა გამოიყურებოდეს, რისთვისაც სულაც არაა საჭირო განსაკუთრებული სილამაზე და სიმდიდრე. კეთილშობილებას, უშურველობას, ღიმილსა და დახვეწილ იუმორს სასწაულის მოხდენა შეუძლია.

# ცხოვრება დინამიური სპექტაკლია

ლიკა კასიბაძე – გერმანისტი, ლიზინური  
ლაბადების დღე – 3 თებერვალი



„ქალისა და მამაკაცის ტყუილი  
მკვთოდ განსხვავებულია.  
ქალი ინტუიციასა და ემპათიას უყვარს,  
მამაკაცი ლოგიკითა და კონსტრუქციით  
ხელმძღვანელობს“

შვილ წლამდე ბებიასა და ბაბუასთან ვიზრდებოდი ქართლის ერთ პატარა სოფელში და სკოლის არდადეგებსაც თითქმის სულ იქ ვატარებდი. ეს ყველაზე დიდი სიკეთეა იმ მრავალთაგან, რაც ბედმა მარჯუნა წილად. ბებიასა და ბაბუას სითბომ, უბრალო ადამიანებთან ურთიერთობამ, ბუნებასა და მიწასთან სიხლოვემ მომცა ის სასიცოცხლო ძალა, რაც დღემდე მასაზრდოებს.

ჩემს წარმოდგენაში ცხოვრება დინამიური სპექტაკლია, მასში სიუჟეტიც და პარტნიორებიც განუწყვეტლივ იცვლებიან. ამ სპექტაკლში ადამიანი ერთდროულად მრავალ როლის ასრულებს. მეც, ისევე, როგორც ყველა სხვას, ჩემი ცხოვრებისეული როლები მაქვს: შვილის, შვილიშვილის, უფროსი დისა და მეგობრის. მეუღლის როლი 21 წლისამ მოვირგე. ეს საკმაოდ რთული, მაგრამ ამასთან საინტერესო როლია, რომელსაც განსაკუთრებული სიფრთხილე ესაჭიროება. ამ მოულოდნელობებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე სპექტაკლში მთავარი მამოძრავებელი ძალა და ერთგული მოკავშირე, რომელიც ეხმარება ადამიანს, არ დაიბნეს, ფარ-ხმალი არ დაყაროს და ბოლომდე წელგამართულმა იაროს ცხოვრების გზაზე - სიყვარუ-

ლია. ქალისა და მამაკაცის ბუნება მკვეთრად განსხვავებულია, ქალი ინტუიციას და გრძნობებს ეყრდნობა, მამაკაცი ლოგიკითა და პრაგმატიზმით ხელმძღვანელობს. განგებამ თითოეულ მათგანს განსაკუთრებული და განსხვავებული როლები მიანიჭა. ყველაზე გასაოცარი კი ისა, რომ სწორედ ამ საპირისპირო ბუნებათა ურთიერთკავშირი ქმნის ერთ მთლიანობას.

კიდევ ერთი, სასიცოცხლოდ აუცილებელი როლი ადამიანის ცხოვრებაში, პროფესიული როლია. ქალს განსაკუთრებული ვირტუოზულობა მოეთხოვება, რომ არ დაიბნეს და როლები არ აურიოს. მეც ბევრჯერ ვმდგარვარ არჩევანის წინაშე, ოჯახი, თუ სამსახური. მაგრამ დრო და შეუპოვრობა ნელ-ნელა ყველაფერს თავის ადგილს უჩენს, ქაოსი მშვიდდება და თანდათან თამაშის წესებსაც ალღოს უღებ.

ჩემი კარიერა უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში დაიწყო, სადაც გერმანული ენის მასწავლებლად ვმუშაობდი ორი წლის განმავლობაში სრულიად სიმბოლურ ანაზღაურებაზე. ჩემთვის ეს პროფესიული და პიროვნული ზრდის კარგი შანსი იყო. იმავე პერიოდში ჩვენს ინსტიტუტში სინქრონული თარგმნის უმაღლესი კურსები გაიხსნა და გადაწყვიტე, კიდევ ერთი დამატებითი კვალიფიკაცია შეემძინა. ამ ნაბიჯმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. თარჯიმნის დინამიკურმა პროფესიამ მდიდარი პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილება შემიძინა და საშუალება მომცა, საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრებით მეცხოვრა. პირველ ხანებში სხვადასხვა დროებით სამუშაოებს ვასრულებდი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, მაგრამ ცოტა ხანში ბედმა გამიღიმა და პირველ ქართულ-ავსტრიულ ერთობლივ საწარმოში მიმიწვიეს თარჯიმნის თანამდებობაზე. შემდეგ იყო „დორიე ბანკის“ წარმომადგენლობა, გოეთეს ინსტიტუტი, და ბოლოს ბედმა გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის, *dvv international*-ის საქართველოს ფილიალში მიმიყვანა, სადაც 2002 წლიდან დღემდე დირექტორის მოადგილე ვარ.

ჩვენი ორგანიზაცია საქართველოში მთავარ აქცენტს ზრდასრულთა დამატებით პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებაზე, ზრდასრულთა სწავლების თანამედროვე პროგრამებისა და მეთოდების დანერგვაზე, არაფორმალური განათლების ორგანიზაციების ადგილობრივი, რეგიონალური და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობაზე, პოლიტიკურ განათლებასა და ლობისტურ საქმიანობაზე აკეთებს. *dvv international*-ის მთავარი დაფინანსების წყარო გერმანიის მთავრობაა, თუმცა ევროკომისიის სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობა ჩვენ დამატებითი სახსრების მოზიდვის საშუალებას გვაძლევს. სწორედ ამგვარი პროექტების რიცხვს განეკუთვნება 2006-2008 წლებში სამცხე-ჯავახეთში განხორციელებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც ახალციხესა და ახალქალაქში ზრდასრულთა განათლების ცენტრები გაიხსნა. სულ ახლახანს *dvv international*-ის საქართველოს ფილიალმა ესპანელ პარტნიორთან ერთად *Accion contr el Hambre (ACH)* ახალი პროექტები წამოიწყო ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად სამეგრელოსა და ქვემო ქართლის რეგიონებში.

დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში განათლების სისტემა ოთხ მთავარ საყრდენს ეფუძნება: სასკოლო, უმაღლეს, პროფესიული და ზრდასრულთა განათლებას. საქართველოში ეს უკანასკნელი მხოლოდ ახლა იკრეფს ძალებს. თანამედროვე სწრაფად ცვალებად სამყაროში კადრების მომზადებისა და გადამზადების პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის. ჩვენი ორგანიზაციის დევიზია ძველი ქართული სიბრძნე - სწავლა სიბერემდეო. მეც სწორედ ეს გავიხსადე ჩემი ცხოვრების მიზნად.

ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა ხატვა, ძერწვა, ტანსაცმლის მოდელირება, კერვა და ქსოვა. სამი წლის ვიყავი, როდესაც ჩხირებით ქსოვა მასწავლა მეზობელმა მარტოხელა რუსის ქალმა. მახსოვს, პირველი, რაც გავაკეთე ბალერინას პაჩკა იყო. როგორც მიხვდით, ვგიჟდებოდი ბალერინებზე. მერე ჭრა-კერვაზე გადავედი. ვინ მოთვლის, რამდენი მეტრი ქსოვილი, ძაფი და ნემსი შეიწირა ამ ჩემმა გატაცებამ. მიუხედავად ამისა, 45 წელზე მეტი დამჭირდა, რათა კიდევ ერთი გამოწვევა მიმეღო. ამჯერად მოდელიერ-დიზაინერის ამბიციურ როლს შევეჭიდე. თავიდან ჩემი ნაბიჯები ამ სარბიელზე გაუბედავი და ფრთხილი იყო. ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა ჩემს ახალ წამოწყებას, მაგრამ იმდენად მიყვარდა ეს საქმე, რომ სიძნელებებს არაფრად ვაგებდები. მალე მცირე საწარმო დავაარსე ([www.bissoni.ge](http://www.bissoni.ge)), პროფესიონალი თანამშრომლების გუნდიც შევკრიბე და ტანსაცმლის დიზაინის საკუთარი, პატარა სალონიც გავხსენი ვერის ერთ მყუდრო უბანში. 2006 წელს პირველი წარმატებული პერსონალური დეფილე ჩავატარე თბილისში. აქედან მოყოლებული სისტემატურად ვმონაწილეობდი სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებსა და ფესტივალებში გერმანიაში და ვაწყობდი პერსონალურ ჩვენებებს პატარა ქალაქ მინდენის ხელოვნების გალერეა „შპიგელში“.

მარტივი ნამდვილად არ არის ორი, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული საქმიანობის შეთავსება. ეს დიდ კონცენტრაციას მოითხოვს. პირადი ცხოვრებისთვის, დასვენებისა და ახლობლებისთვის დრო თითქმის აღარ მრჩება. მაგრამ ოჯახიც და მეგობრებიც ვაგებთ ეკიდებიან ჩემს მოუცლელობას. საქმიანობაში მეუღლე და შვილიც მესმარებიან. ხელს ისიც მიწყობს, რომ სალონი და *dvv international*-ის ოფისი სახლთან ძალიან ახლოს მაქვს. ბევრჯერ მიფიქრია, ყველაფრისთვის დამენებებინა თავი და მშვიდი და წყნარი ცხოვრებით მეცხოვრა. საბედნიეროდ, ასეთი განწყობა მალე ისევ ენთუზიაზმითა და ახალი შემართებით მეცვლება და სპექტაკლიც თავიდან იწყება.

ერთხელ ერთმა ბრძენმა მოხუცმა მანდილოსანმა გასაოცარი სიტყვები მითხრა: ჩემი ძალების და ენერჯის ერთ მისხალსაც კი არ წავიდებ საფლავში თანო. მეც ბოლომდე მიინდა დავიხარჯო, აბა, მიწაში დაფლულ ტალანტებს რა ფასი აქვს.

# სიყვარული ცხოვრების საძირხველია

მარინა კოლხიდაშვილი – მუსიკათმცოდნე,  
კინოს რეჟისორ-მონტაჟორი,  
ფსიქოლოგი, არასამთავრობო  
ორგანიზაცია „ინანას“ თავმჯდომარე,  
ფოლკლორულ ანსმბლ „ინანას“  
ხელმძღვანელი



დაბადების დღე – 31 დეკემბერი

„სიყვარული გაყვანლობაზე.  
უჯდა და ღალატზე ძალა ღება.  
სიყვარული ყველაფრის საფუძველია“.

31 დეკემბრის 12 საათზე დავიბადე. ჩემი დაბადების დრო არის წლის დასაწყისიცა და დასასრულიც. ამიტომ, როდესაც რაიმეს დავამთავრებ, მაშინვე ვიწყებ ახალ საქმეს და ვიცი, რომ ეს არის ჩემი დაბადების დღის ბრაღი. დედა და მამა კინოსტუდიის თანამშრომლები იყვნენ. გავხდი თუ არა ორი კვირის, წამიყვანეს სამსახურში, სამონტაჟო საამქროში, ფირის ჩასაყრელ ყუთში ჩამაწვინეს და ასე ვიზრდებოდი კინოსტუდიაში. მუსიკალური სასწავლებელი თეორეტიკოსის სპეციალობით დავამთავრე და მემონტაჟედ დავიწყე მუშაობა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. დაახლოებით 10 წელი „მოსფილმშიც“ ვმუშაობდი, დავამთავრე „ვეიკის“ უმაღლესი კურსები მხატვრული ფილმის რეჟისორ-მონტაჟორის სპეციალობით და გორკის სახელობის კინოსტუდიაში ვმუშაობდი. გაკეთებული მაქვს 100-მდე მხატვრული და დოკუმენტური, როგორც ქართული, ასევე უცხოური ფილმი, ახლაც ვმუშაობ ამ სპეციალობით.

მოსკოვიდან რომ დავბრუნდი, მხოლოდ ერთი შვილი მყავდა, 25 წლის ვიყავი. მივხვდი, რომ ეს ძალიან ცოტა იყო და ამის შემდეგ 5 წელიწადში ოთხი ვაჟი გავაჩინე. ახლა მყავს ექვსი ვაჟიშვილი. ბევრი სასწაული მოხდა ჩემს ცხოვრებაში.

90-ანი წლებში ჩემმა შვილმა ინსტიტუტში ჩააბარა და მეც მასთან ერთად ჩავაბარე, ის ეკონომიკურზე სწავლობდა, მე – ფსიქოლოგ-ანალიტიკოსის პროფესიას დავეუფლე. ვხედავდი, რომ მუდმივად არის შინაგანი კონფლიქტი ცნობიერსა და ქვეცნობიერს შორის, მინდოდა თავად გავრკვეულიყავი ამაში.

მერე ისევ მოხდა სასწაული – იერუსალიმში მოვხვდი, ღმერთმა ინება და უფლის გზაზე მატარა. ყველა ადგილი მოვილოცე, მაშინ იმდენად არ მესმოდა, რომ ეს დიდი მადლი იყო. იქიდან რომ დავბრუნდი, კიდევ ერთი სასწაული მოხდა ჩემს თავს – მივედი ტაძარში, სადაც ქართული ხალხური საგალობელი მოვისმინე და გავოცდი. დავიწყე გალობა, გალობამ მიმიყვანა ხალხურ სიმღერამდე. ხალხურმა სიმღერამ კი „იავნანამდე“, „იავნანამ“ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

მაკა ბურდულთან ერთად გავაკეთე ფილმი, რომელიც ბერლინალეს გამარჯვებულია და ამ წუთში საუკეთესო არტად ითვლება ევროპაში. ფილმს „წადილი“ დავარქვით. აქ არის ბავშვის დაბადება, მტირალ ბავშვს მხოლოდ დედის ძუძუ და „იავნანა“ ამშვიდებს. აქ ვიმღერე „იავნანა“ პირველად. ამის შემდეგ დამებადა სურვილი, მომეძიებინა სხვა „იავნანაც“. აღმოჩნდა, რომ საქართველოში უამრავი „ნანა“ და „იავნანა“ არსებობს. დღეს ჩვენს რეპერტუარში ოცდაათამდე ნანა და იავნანაა. გავდიოდით რეგიონებში, სვანეთში, თუშეთში, 90 „იავნანა“ შევავროვეთ.

მეუღლე ბიზნესმენია. თავიდან ის ძალიან აქტიურად იყო ჩართული შვილების აღზრდაში. ჩემი შვილები კარგად არიან აღზრდილები, წარმატებულები არიან თავიანთ საქმესა და ოჯახებში, უყვართ ადამიანი. დედისათვის ეს ყველაზე დიდი სიხარული და ნუგეშია.

მეექვსე ვაჟის ისტორია ცოტა სხვანაირია. როდესაც ჩემი ქმარი ბიზნესმენი გახდა და ფული იშოვა, „საყვარელი“ ხომ უნდა ჰყოლოდა? ამ დროს გამოჩნდა ერთი ქალი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ მისთვის შვილი გაეჩინა. ბავშვი გააჩინა, მაგრამ მის გაზრდას შეძლებდა თუ არა, ამაზე არ უფიქრია.

მინდა ვუთხრა მადლობა ჩემს მეუღლეს ნდობისთვის – როდესაც ბავშვი წლისა და რვა თვის გახდა, ჩემმა მეუღლემ ჩვენთან მოიყვანა. დღეს ის ჩემი შვილია, მალე 12 წლის გახდება. იცის სიმართლე, დადის დედასთანაც. მას ირას ეძახის, მე კი – დედას.

თუ ჭეშმარიტი ადამიანი ხარ, როცა ქვეყანას სტიკვა, შენც გტიკვა. ყველა დანაშაული გულგრილობის გამო ხდება. ყველაზე დიდი ბოროტება გულგრილობაა. გულგრილთა ჩუმი თანხმობით ხდება მკვლევლობაც, გაუტანლობაც. თუ არა ჩვენი გულგრილობა, ჩვენი ქვეყანა ამ დღეში არ ჩავარდებოდა. თუ ადამიანს ერთხელ შეუძლია ღალატი, მეორედ და მესამედაც შეძლებს.

პოლიტიკაში ქალი უფრო მეტად უნდა იყოს ჩართული, რადგან ქალი ფრთხილია, ჯერ შედეგზე ფიქრობს და მერე დგამს ნაბიჯებს. ქალი ისე არ რისკავს, როგორც კაცი, კაცი ჯერ რისკავს და მერე ფიქრობს შედეგზე, უფრო გლობალურ ნაბიჯებს დგამს. დღეს ქალები არ ჩანან ასპარეზზე, რადგან კაცები დგანან და ახლოსაც არ გიშვებენ. ეს დამახინჯებული ქართული მენტალიტეტია. სვანეთში მახვშის ინსტიტუტი არსებობდა და თუ მიიჩნევდნენ, რომ ქალი ჭკვიანია და გაძლოდა შეუძლია, სოფლის თავკაცადაც ირჩევდნენ.

ჩემი ქალთა ორგანიზაცია მამაკაცებისათვის შეიქმნა. მამაკაცს რომ დაუბრუნდეს თავისი ადგილი ოჯახსა და საზოგადოებაში. კაცი მონადირეა თავისი ბუნებით, იგი უნდა მიდიოდეს, შოულობდეს, მოჰქონდეს. ახლა ნადირობენ ქალებზე, ისიც – ცუდად, ძალიან დაიბნენ ჩვენი მამაკაცები. ეს გასაბრაზებელი არ არის, ამას მიხედვა უნდა. მთავარია, მიხვდე შენი ავადმყოფობის მიზეზს და მერე მისი გამოსწორება ადვილია.

უნდა დაფასდეს ქალი, როგორც დედა. არ არსებობს კანონი, რომელიც იცავს მრავალშვილიან დედას, არადა – საჭიროა. ამით ჩვენს დემოგრაფიას წინ წავწევდით. უცხოეთის კანონმდებლობებში არსებობს კვოტები ქალებთან მიმართებაში, უნდა იყოს კვოტები ჩვენთანაც და ამაზე სერიოზულად უნდა ვიფიქროთ. ახლა ახალი საარჩევნო კოდექსი ყალიბდება და არ იქნებოდა ურიგო, რომ ჩვენ, ქალები გავერთიანდეთ.

იერარქია არსებობს ყველგან: ოჯახშიც, ეკლესიაშიც. იერარქია აუცილებელია სულის ხსნისათვის. გლობალიზაციამ ეს მოშალა. მოვიდა მშობლების თაობა, რომლებიც თვითონ არიან ცნობიერებას აცილებულნი, საკმარისი ცოდნა და განათლება არ აქვთ, რომ შვილები კარგად აღზარდონ. ტრადიციები დაირღვა, საზოგადოება ნევროტული გახდა. გაიხედეთ, ღიმილს ვერ ნახავთ, სიცილს ვერ ნახავთ, მოკისკისე ხალხს ვეღარ ნახავთ, ერი სერიოზულად ავად არის. ამ სიტუაციაში ქალის როლი უდიდესია.

იდეალური ქალი რეალიზებული, თავისი ხვედრით კმაყოფილი ქალია... ოჯახში ყველანი ერთად ვცხოვრობთ: შვილები, ოთხი რძალი, შვილიშვილები. მე მოვახერხე, რომ ჩვენს ოჯახში ყველას უყვარს ერთმანეთი. საჭმელს მე ვაკეთებ, სახლს მე ვალაგებ, დილაობით ორი საათი ვქარავ ოქრომკედით, მაქვს ანსამბლი, არასამთავრობო ორგანიზაცია, დავდივარ ტაძარში.

დღეს სიყვარულმა მიატოვა საქართველო. ადამიანები გაუცხოვდნენ, ერთმანეთს არაფერს პატიობენ, სიყვარული კი მიწიერზე მაღლა დგას, ეჭვზე, ლალატზე, გაუტანლობაზე მაღლა დგას, სიყვარული ყველაფრის საფუძველია.



# ქალია, ადამიანი...

ანა კორქაია-სამადაშვილი – მწერალი.

ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“

ჟურნალისტი

ლაბადიზის დღე – 26 თებერვალი



„წაღიციქაძი, ისევე როგორც სხვა სკოლაში.  
ზუსტად იმავეს ვააყუტებს ქალი.  
შასაც ნებისმიერი ადამიანი.  
ვანუშივლად სქესის, როგორცისა და  
ოპიონცაციისა, ვააყუტებს თავისი  
წიოფსიონალიზებითა და  
ქალური ადამიანობით“.

ბანათლებით სლავისტი ვარ და პროფესიით – თავისუფალი ჟურნალისტი, ვწერ მოთხრობებს. ჟურნალისტიკაში იმიტომ აღმოვჩნდი, რომ უკეთესი სამუშაო ვერ ვნახე. მოთხრობების პირველი კრებული ფსევდონიმით გამოვუშვი. ვერ ვიტყვი, ეს შიშით გააკეთე თუ სიყვარულით, მგონი ამ ორიდან ერთ-ერთმა გრძობამ მიკარნახა, შესაძლოა – ორივემ ერთად. სიყვარული ხომ ცხოვრების საწყისიცაა და ბოლოც, რაც ცხოვრებას დღემდე ამოძრავებდა და ამოძრავებს მანამ, ვიდრე ჩვენ ვიცოცხლებთ. მთავარია, რომ ამ მოძრაობას მივყვეთ. ადამიანები მიყვარს თავიანთი ნაკლითა თუ საუკეთესო თვისებებით. ხშირად სწორედ ადამიანის უარყოფითი მხარე გამხდარა ჩემთვის საინტერესო და მერე - თავად ის ადამიანიც. მჯერა, რომ ყველას ახასიათებს კარგიცა და ცუდიც. მთავარია, შენ როგორი რეაქცია გექნება, როგორ მიიღებ,

თანამგრძობი იქნები თუ ვერ იქნები. არ მიყვარს თვითკმარი ადამიანები. მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ გამტეხია გული, არასოდეს მინანია, რატომ მიყვარდა-მეთქი.

ჩემთვის უკვე დიდი მიღწევაა, რომ 41 წლის ვარ. ასე თუ ისე, წარმატებით ვმოღვაწეობ, ვმოგზაურობ, ვერთობი, ვკითხულობ, ვისმენ, მაგრამ 41 წელი ხუმრობა ხომ არ არის?! რამდენი ხანია მიტანს დედამიწა – ვმადლობ მას ამისთვის. საქმეში კი, ვფიქრობ, რომ საუკეთესო ყველაფერი წინ არის, ჟურნალისტიკაშიც და მწერლობაშიც – საუკეთესო მოთხრობა და რომანი.

უცნაურია და სასაცილოც, რომ საზოგადოების ნაწილი ფემინისტად მიმიჩნევს, ამ სიტყვის რადიკალური შეფერილობით, თორემ ეგალიტარიზმისგან შორს არ ვარ. მე არაფერი არ მახასიათებს ისეთი, რაც სტერეოტიპულად ფემინისტობადაა გაგებული. არსებული სტერეოტიპი კი მართლ საქართველოში არ არის. ყველგანაა განსხვავება ქალსა და კაცს შორის, მაგრამ ეს განსხვავება „ჩაგვრას“ არ გულისხმობს, მხოლოდ ბიოლოგიითაა გამოწვეული და არაფერი საერთო არა აქვს ქალების დაჩაგვრასთან, როგორც ამას ჩემი მეგობარი ფემინისტი ქალბატონები ამბობენ – ადამიანი, კაცი თუ ქალი, თავს თუ არ დაიჩაგრავს, არ დაიჩაგრება. მამრობით სქესის ერთადერთი „უპირატესობაა“, რომ ფიზიკურად მეტი ძალა აქვს, მაგრამ ამას თუ ქალის წინააღმდეგ გამოიყენებს, ეს უკვე მის უძლურებაზე მეტყველებს. როგორც ერთმა ადამიანმა მეორე ადამიანი არ უნდა დაჩაგროს, ასევე კაცმა ქალი არ უნდა დაჩაგროს და ქალმა – კაცი, სხვაგვარად ჰარმონია იშლება, წონასწორობა ირღვევა და დედამიწა ყანყალს იწყებს. არა მგონია, საქართველოში სპეციფიკურად ქალის პრობლემები არსებობდეს, ზოგადადამიანური პრობლემები კი, იცოცხლე, ბევრია. ქალური პრობლემა თუ ის არის, რომ ქალი მეტ დროს უთმობს ოჯახს, შვილებს და ნაკლები დრო რჩება საგარეო საქმისთვის, ეს ნორმალურია – ქალის დანიშნულება სწორედ ესაა და მან ეს არჩევანი გააკეთა, შექმნა ოჯახი, გააჩინა შვილები, უნდა მიხედოს მას და ეფოფინოს, ეს საუკეთესო რამაა ქალის ცხოვრებაში. მაგრამ, მე ამას მამის გარეშე ვერ განვიხილავ, უმამო ოჯახი არ არის ოჯახი, ისევე, როგორც შეუძლებელია კაცის მონაწილეობის გარეშე შვილის გაჩენა (კოლბას და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევას ანგარიშგასაწევად არ მივიჩნევ). შვილი მაშინ უნდა გაჩნდეს, როცა ეს ორ ადამიანს უნდა – ქალსა და კაცს, მერე კი ერთმანეთს უნდა გაუფრთხილდნენ, რათა კარგი შვილი გაზარდონ, ეს ჩემი თეორიაა. პრაქტიკულად კი არასდროს შემქმნია პროფესიაში რაიმე დაბრკოლება იმის გამო, რომ ქალი ვარ. პირადულ, ინტიმურ მომენტებს არ ვგულისხმობ, ეს ჩემია. ცოტა გინახავთ ამ მხრივ დაჩაგრული კაცი?! აბა, თუ დაჩაგვრა არაა, რა ვუწოდოთ იმას, რომ ქალების ნაწილი შვილს იარაღად – ხან ხმლად და ხან ფარად იყენებს?!

იდეალურ ქალზეც მამაკაცმა უნდა იმსჯელოს, ის უკეთ გადაწყვეტს. ვიცი, როგორც მინდა ვიყო, მაგრამ ეს ჰიპოთეტურია, თუმცა ყველა ადამიანი ცდილობს, ან ჰგონია, რომ ცდილობს იდეალს მიუახლოვდეს. არასდროს მქონია პრობლემა ქალობის გამო და არც მიფიქრია, ნეტავი კაცი ვიყო-მეთქი, პირიქით, კმაყოფილი ვარ, ძალიანაც მომწონს, რომ ქალი ვარ, მაგრამ კაცი რომ ვიყო, მაშინ კაცობით ვიქნებოდი კმაყოფილი. ქალები პოლიტიკაშიც აუცილებლად უნდა იყვნენ, მაგრამ თუ ამისთვის ცოდნა აქვთ და უნარი შესწევთ, ისევე, როგორც კაცებს. თორემ მხოლოდ იმისთვის, რომ „ქალებიც ხომ უნდა იყვნენ“ – არა. არა მგონია, რომ ქალი უფრო კეთილია, უფრო გონიერია, უფრო მშვიდობიანია, ისევე, როგორც, ზოგადად, არც კაცზე არ მაქვს ასეთი შეხედულება. პოლიტიკაში, ისე, როგორც სხვა სფეროში, ზუსტად იმავეს გააკეთებს ქალი, რასაც ნებისმიერი ადამიანი, განურჩევლად სქესის, ეროვნებისა და ორიენტაციისა, გააკეთებს თავისი პროფესიონალიზმითა და ქალური ადამიანობით.

# წინ დიდი გზაა გასავლელი

●  
ნიმე ქუარავა-ჩუკა –

მხატვარ-დიზაინერი, ტექსტილის  
ტექნოლოგი, აბრეშუმის სახელმწიფო  
მუზეუმის სასწავლო პროგრამებისა და  
ექსპოზიციის მენეჯერი  
დაბადების დღე – 21 ივნისი



„მინდა ვამყდებოთ ძიებაში ვიყო. ჩემი საქმე  
სიყვარულით ვაყვით და ეს სიყვარული სხვებსაც  
ვალაყვით.“

დღეს ცხოვრების ყველა სფეროში და მათ შორის, მხატვრობაშიც ძალიან ბევრი სიახლეა, ამიტომაც ნებისმიერი ასაკის თანამედროვე ადამიანს სხვანაირი, ადრინდელისაგან განსხვავებული ხედვა უნდა ჰქონდეს. ბევრი საშუალებაა ინფორმაციის მისაღებად, სამყარო უფრო გახსნილია, ბოლოს და ბოლოს, ინტერნეტი არსებობს. არადა, დღეს, როცა ვესწრები აკადემიაში დიპლომების დაცვას, თითქოს არაფერი შეცვლილა, იგივე შეფასების კრიტერიუმებია. დროს თუ ვერ აპყვევი, არ დაგიცდის, ჩამორჩები. შენ დროს ვერ აიყოლებ. აკადემიაში ბევრი სირთულის შემდეგ ჩავაბარე, სწავლა ყოველთვის მიყვარდა და ბევრსაც ვმუშაობდი, ცოდნა კი თანდათან, პრაქტიკასთან ერთად მოვიდა და დაიხვეწა. რამდენიმე პედაგოგის მნიშვნელოვანმა რჩევამ და შეფასებამაც შემეწყო ხელი ჩამოყალიბებაში და შევდექი, როგორც მხატვარი. დღეს სამხატვრო აკადემიის გარეშეც შეიძლება მხატვრად გაიზარდო, მაგრამ ადრე ეს შეუძლებელი იყო.

ვარ ტექსტილის ჯგუფის დამფუძნებელი და ეს ია-ვარდით მოფენილ დროს არ მომხდარა – ძალიან რთული 1993 წელი იდგა. თავიდან ჩვენი ამოცანა იყო, რომ როგორმე გაგვერღვია

დახურული სივრცე და გაგვეგო, რა ხდებოდა ჩვენს სფეროში. დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ – ჩვენ ეს შევძელით. მოგვიანებით დავაფუძნეთ ტექსტილის საერთაშორისო თბილისის სიმპოზიუმი და გამოფენა. გახდით ევროპის ტექსტილის ქსელის წევრები, გაგვიჩნდა ბევრი მეგობარი, ვიღებთ ბევრ ინფორმაციას და გვაქვს გამოცდილების გაცვლის საშუალება, ვატარებთ სამუშაო შეხვედრებს, კონფერენციებს, ტრენინგებს. ეს გამოცდილება რეგიონალურ პროექტებში წარმატებით გამოგვადგა. ახლა აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში ვმუშაობ სასწავლო პროგრამებისა და ექსპოზიციის მენეჯერად. იქ მუშაობა იმითაც მხიბლავს, რომ ვიცი და შემიძლია, მუზეუმი, ეს თითქოს უძრავი, დაბერებული ცნება, თანამედროვე და ახალი გავხადო – საინტერესო ახალი თაობისთვის. დღეს ორივე საქმიანობა ერთმანეთს შევეუთავსე და GTG-ისთან ერთად ვამზადებთ სასკოლო, საოჯახო, ახალგაზრდულ თუ ზრდასრულთა საგანმანათლებლო პროექტებს. ერთობლივად ვმუშაობთ დროებითი გამოფენების მოსაწყობად. სულ მალე უფრო აქტიურად ამუშავდება მუზეუმი – ცხოვრება დულს. ახლა ძალიან მინდა კომპიუტერული ტექსტილი ვისწავლო, კომპიუტერზე მოვამზადო ქსოვილის ტექნოლოგიური ნახატი. ეს სიახლეა, სპეციალური პროგრამით კომპიუტერი უერთდება დაზგას, მას უკავშირდება და პროგრამის მიხედვით ქსოვს. ჩემი ტექნოლოგიის ძირითადი არსი სწორედ ის არის, რომ ნახატის ტექნიკურად გაკეთება შემიძლია. თუ პროფესიის არჩევანში გენეტიკა „მუშაობს“, მაშინ მამისგან გამომყოლია ტექსტილის ტექნოლოგიების შესწავლის უნარი.

იმას, რომ ქალი ვარ, ჩემს საქმიანობაში ხელი არასდროს შეუშლია, სერიოზულადაც არასდროს აღმიქვამს დავა – ვინ უფრო კარგი მხატვარია, კაცი თუ ქალი. ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა, მხატვრობაში კაცები უფრო მეტნი არიან, აქ ხელოვნურად გენდერული ბალანსის დაცვა შეუძლებელია.

ჩემთვის წარმატება არანაირად არ არის თანამდებობებთან, მრავალ გამოფენასა და საქებარ პუბლიკაციებთან დაკავშირებული – კარგად და ბოლომდე მიყვანილ ყველანაირ საქმეს წარმატებად აღვიქვამ და ვცდილობ, გულგრილად არაფერი გავაკეთო. არ მომწონს ზერელედ გაკეთებული საქმე და უხარისხობის, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან მრცხვენია. მიყვარს ადამიანები და თუ რამე არ მომეწონა, მათ სქესს არასდროს ვაბრალებ – ქალსა და კაცს ერთნაირად ვუყურებ. ქალი ფენომენალური და საინტერესო არსებია. ქალი კაცზე უფრო კრეატიულია, გაცილებით დიდხანს ინარჩუნებს სიახლის მოთხოვნილებას და უნდა, რომ განვითარდეს. კაცი კი შემდგარ სტატუსს ველარ ამატებს ვერაფერს. ქალი ყოველთვის იპოვის რესურსს, რომ დაკავდეს, რაღაც მოიმოქმედოს. ქალს შეუძლია კაცის ხედვა შეცვალოს, თუმცა, არიან ქალები, რომელთა საქმე მხოლოდ სილამაზეა, რომელსაც წაიღებს ქარი. ასეთ ქალად თავი ვერ წარმომიდგენია

დიდი იმედგაცრუება გამოიწვიეს ჩემში პოლიტიკოსმა ქალებმა, ვერანაირი მოქნილობა, სტრატეგია ვერ დავინახე მათში, ასეთი სურვილიც ვერ ვნახე. შესაძლებელია, საამისოდ საქართველოში ჯერ არ არის პოლიტიკური სივრცე ისე მომზადებული, რომ ქალმა აქ რამეზე სასიკეთო ზემოქმედება მოახდინოს?!

იდეალური ქალი კი ყველაფერს ასწრებს, წარმატებული და მოსიყვარულეა, საქმიანია, მხიარულია, მომხიბვლელობას არ კარგავს, შეუძლია სულ რაღაც აკეთოს. ჩემი იდეალი დედა-ჩემია – მას მხოლოდ სიყვარულით შეეძლო ყველაფრის კეთება, ყველაფერს ასწრებდა. მეც მინდა ასეთი დედა ვიყო.

შეგრძნება არ მტოვებს, რომ წინ კიდევ დიდი გზა მაქვს გასავლელი და სასწავლებლად უნდა წავიდე, კიდევ უნდა ვისწავლო. სიამოვნებით წავალ სასწავლებლად. თუმცა სწავლის საუკეთესო ფორმა იქნება ჩემს სამსახურში შევქმნა ის, რაზეც ვოცნებობ – პროგრამები, სახელოსნოები, მუდმივი კრეატივი. მინდა გამუდმებით ვეძიებდე, ახალგაზრდებისთვის სახალისო გაგზავნადო მუზეუმში მოსვლა, რათა შინაარსიანად გაატარონ დრო და კმაყოფილები წავიდნენ.

# თავისუფალი დროც სამუშაო დროა

●  
**ირინა კოშორიძე – ხელოვნებათმცოდნე,  
საქართველოს ეროვნული მუზეუმის  
აღმოსავლური კოლექციების  
უფროსი კურატორი  
დაბადების დღე – 24 ნოემბერი**



„მუზეუმი სახეა ქვეყნისა და  
ისე გამოიყურება. როგორც ქვეყანა“

მუზეუმში ექსკურსიამძღოლობით დავიწყე და იერარქიის თითქმის ყველა საფეხური გავიარე უფროს კურატორობამდე. ვასწავლი თსუ-ში ისლამურ ხელოვნებასა და მუზეუმთმცოდნეობას, ასევე – საქართველოს უნივერსიტეტში. ვარ მუზეუმების ასოციაციისა და ტექსტილის ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტი, ვმონაწილეობ საერთაშორისო პროგრამებში, მუზეუმების ტრენინგებში, საერთაშორისო გამოფენებში, ვმუშაობ კატალოგებსა და სამეცნიერო სტატიებზე და ვუვლი ოჯახს – მეუღლესა და ოთხ შვილს. მე თავისუფალ დროსაც ვმუშაობ – ბუნებაში ვისვენებ და ვწერ ან ვფიქრობ, ეს ჩემი ცხოვრების წესია.

ყველაზე დიდი მიღწევა ჩემი ოთხი შვილია, ჩემი ოჯახი და მხოლოდ მათთან ერთად და მათი დახმარებით ვახერხებ პროფესიულ საქმიანობას. მეუღლისა და ოჯახის სხვა წევრების დახმარების გარეშე ვერ შევძლებდი ამას. ჩემი მაგალითით და არა მხოლოდ ჩემით, მიმაჩნია, რომ თუ ადამიანი ერთ სფეროში წარმატებულია, ის მეორესაც ასევე წარმატებით უვლის. ძალიან კარგი ოჯახი მაქვს: დინამიკური, მეგობრული, ექსცესების გარეშე მოვდივართ უკვე 28 წელია და ამავე დროს პროფესიაშიც ვახერხებ თვითრეალიზაციას. მართალია, ეს ადამიანის პიროვნულ თვისებებზეც არის დამოკიდებული, უნდა იყო ამტანი, მიზანმიმართული. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანებთან, კოლეგებთან ურთიერთობის უნარსაც – მეოთხე დირექტორის ხელმძღვანელობით ვმუშაობ და პრობლემა არც ერთთან არ მქონია. ჩვენს სფეროში ბევრი პრობლემაა, მაგრამ უმთავრესია ის, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება მუზეუმს. ჩვენთან

წლების მანძილზე ეს საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩენილი დაწესებულება იყო მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში, მაგალითად, ამერიკაში, მუზეუმი დღეს ყველაზე პოპულარული კულტურული დაწესებულებაა. მუზეუმივით პრესტიჟული, მერწმუნეთ, ამერიკაში არც ერთი კულტურული დაწესებულება არ არის. შეიძლება ბანკის თანამშრომელთან შედარებით მუზეუმისა ხელფასით არ გამოირჩეოდეს, მაგრამ დღეს ნიუ-იორკში მეტროპოლიტენ მუზეუმის თანამშრომელი რომ ხარ, ეს დიდი სახელია. ამერიკელი საჩუქარს ყიდულობს მუზეუმში, რადგან მუზეუმი სახეა ქვეყნისა და ისე გამოიყურება, როგორც ქვეყანაა. ჩვენი მუზეუმები დღეს ჩვენივე რელიგიურია – ხშირად ჩამოტყავებულ კედლებზე შედევრები ჰკიდია. დღეს ნელ-ნელა შეინიშნება გარკვეული ძვრები და ის, რაც დღეს კეთდება სამუზეუმო სფეროში, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ნებაა, რადგანაც საქართველოში მუზეუმები სახელმწიფო საკუთრებაა. ეროვნული მუზეუმის საქმიანობის გააქტიურებაში უდიდესი როლი დავით ლორთქიფანიძეს მიუძღვის, რომელიც მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციისა და და ფონდ „ქართუს“ დახმარებით დღეს საერთაშორისო სტანდარტებს ამკვიდრებს. ჩვენს მუზეუმში სწრაფი აღმშენებლობითი დინამიკაა. ხალხი ამისთვის მზად არის, კულტურის შიმშილი არსებობს და მარტო ხალხის ბრალი როდია, რომ არ დადის მუზეუმში, ეს ნიშნავს, რომ შენ (მუზეუმი) ვერ ხვდები მას სათანადოდ. საზღვარგარეთ ყოველდღიურად რაღაც ახალი ხდება მუზეუმებში – ლექციები, სიმპოზიუმები, კონცერტები – ანუ მუზეუმი არ არის მარტო კედელზე ჩამოკიდებული სურათები. ჩვენი მიზანაც ესაა, გავაცოცხლოთ მუზეუმი. ეს შესაძლებელია, რადგან რესურსი გვაქვს და შეიძლება, თუნდაც, თხუთმეტი ექსპონატით ისეთი გამოფენის გაკეთება, რომელიც ათასობით დამთვალიერებელს მოიზიდავს, მთავარია, როგორ მიაწოდებ.

მუზეუმში წლების მანძილზე უმეტესად ქალები მუშაობდნენ იმიტომ, რომ ერთ-ერთი ყველაზე დაბალანაზღაურებადი თანამდებობები აქ იყო. დღეს ეს საქმიანობა რატომღაც არაპრესტიჟულია. სრულიად განსხვავებული მიდგომაა ევროპასა და ამერიკაში, ეს ელიტური დარგია. მართალია, სხვა პროფესიებთან შედარებით მეტროპოლიტენ მუზეუმში კურატორს დაახლოებით 5 000 დოლარი აქვს ხელფასი, ეს კი ნიუ-იორკში არასაკმარისია, მაგრამ იქ სხვასდასხვა პროექტი არსებობს და, რაც მთავარია, იქ საამაყოა როდესაც მუზეუმში მუშაობ. მიხარია, რომ ეს სიახლე ნელა, მაგრამ ჩვენთანაც შემოდის და მაინც, მუზეუმში მუშაობა შემოსავლიან საქმედ არსად არ ითვლება. ბევრი ჩემი კოლეგა წავიდა მუზეუმიდან, მე შემოვრჩი, რადგან საშუალება მქონდა ჩემი 46 ან 120 ლარის ამარა არ ვყოფილიყავი, ოჯახი ყოველთვის მეხმარებოდა.

იმის გამო რომ ქალი ვარ, უარყოფითი განცდა არასდროს მქონია, თუ არ ჩავთვლით ისლამურ ქვეყნებში იძულებით ჩადრით სიარულს, თუმცა ეს მათი კულტურის ნაწილია და პატივს ვცემ. თეირანის მუზეუმის დირექტორი ქალია და ისიც ჩადრით დადის. ჰო, კიდევ, შეიძლება, ირანელმა ხელი არ ჩამოგართვას იმიტომ, რომ ქალი ხარ, თორემ საქართველოში მე არასდროს არ მქონია განცდა, რა ცუდია, რომ ქალი ვარ-მეთქი. შესაძლოა ეს ჩემი მეტროპოლიტენის ხასიათიდანაც გამომდინარეობს, ქალობის გამო იოლად ვერ დამჩაგრავენ.

რეგიონებში ხშირად დავდივარ, რადგანაც არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართული ტექსტილის ჯგუფი“ პროექტებს ახორციელებს ქალებისათვის ხალხური რეწვისა და ხელსაქმის ხელშეწყობის მიზნით და კარგად ვხედავ, რომ იქ დიდი პრობლემებია, ჩვენც უნდობლად გვიყურებენ, ეზარებათ ამ ტიპის მუშაობა და ხშირად არც სჯერათ, რომ შენ ნამდვილად მათი დახმარება გინდა, მაგრამ ნელ-ნელა ერთვებიან და ინტერესდებიან. ჩვენ მათთან მოკლევადიანი პროექტები გვაქვს, მაგრამ, არის გრძელვადიანიც, თუნდაც, სანტა ფეს ბაზრობა აშშ-ში,

სადაც ჩვენი ჯგუფის კოორდინატორები ყოველწლიურად საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ქალების ნამუშევრებს წარმოადგენენ და ყიდიან. პერსპექტივისა და მომავლის დანახვა ამ ქალებისათვის კარგი სტიმულია. ჩვენთან ურთიერთობის შემდეგ ისინი სშირად თავადაც აკეთებენ პროექტებს და საქმიანობის ახალ, დამოუკიდებელ ეტაპზე გადადიან, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულო და საამაყო რადგან მათში თვითრეალიზაციისა და მომავლის რწმენის გაღვივება შევძელით.

მათ ოჯახებში რა ხდება, არ ვიცი, მაგრამ ჩვენი პროექტები ნამდვილად ეხმარება ქალებს თვითრეალიზებაში, აცოცხლებს მათ. ჩემი დაკვირვებით, ქალები ყოველთვის ყველაფერში უფრო აქტიურები არიან, მთელ მსოფლიოში ასეა და ზოგჯერ ისიც კი მიკვირს, პატრიარქატზე როგორ გადავიდა კაცობრიობა. ქალები პოლიტიკაშიც ჩანან. ვფიქრობ, რომ მდომებოდა პოლიტიკაში წასვლა, წავიდოდი და აუცილებლად წარმატებას მივალწევდი, ამის პოტენცია მაქვს. პოლიტიკაში ჩაბმას სურვილი და ცოდნა სჭირდება. მგონია, რომ პოლიტიკა წარმავალია, ხოლო რასაც მე ვემსახურები – მარადიული. ეს მართო ჩემი აზრი კი არ არის, ჩემ ირგვლივ ბევრი ჩემი კოლეგა ასე ფიქრობს. რასაც ვაკეთებ, ამაზე უკეთესს პოლიტიკაში ვერ გავაკეთებდი. ვისაც პოლიტიკაში ყოფნა უნდა და შეუძლია, ღმერთმა შეარგოს. მე კი ძალიან მინდა მშვიდი საქართველო, როცა რიგით მოქალაქეს გაუჭირდება გაიხსენოს, ვინ არის მისი პრეზიდენტი თუ მინისტრი, მას ექნება კულტურისადმი მეტი ინტერესი და ქვეყანა არ იქნება უგემოვნოდ და უთავბოლოდ პოლიტიზირებული.



# შეუვალი ანტიგლობალისტი

●  
**მელა ქუჭუნიძე – რეჟისორი,  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი  
დაბადების დღე – 10 ივლისი**



„მოაზროვნე საქაბოს მოძაალი  
ოგენულად ამის დაკაძიშეჭული ზიძულვილის  
ძალჭის ლიყაბულის ძალჭისკენ  
მოჭეუნეჭასთან“.

თბილისის ქალთა | სკოლა დავამთავრე. არც მე და არც ჩემ თანაკლასელებს ცალ-ცალკე სწავლის გამო რაიმე განსაკუთრებული უსიამოვნება ან თავისუფლების შეზღუდვა არ გვიგრძნია; ვაჟებთან ურთიერთობას არავინ გვიკრძალავდა და ვმეგობრობდით კიდევ მათთან. სხვათა შორის, მოწინავე იაპონიაში შერეულებთან ერთად დღემდე არსებობს ქალთა და ვაჟთა სკოლები.

ყველა ჩემი კოლეგასავით კომპარტიის წევრი არ გავმხდარვარ, არც ბიძა ან მამიდა არ მყოლია ცეკას მდივანი, მაგრამ ამის გამო არავის დავუწაგრვივარ. მართალია, სამი სპექტაკლი მომიხსნეს იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამო, მაგრამ ეს, სხვათა შორის, ქვემოდან, მოშურნეთა მხრიდან, წასული დაბეზლებების გამო მოხდა. სამწუხაროდ, შური მუდამ თან მდევდა და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ძირითადად ქალების მხრიდან მოდიოდა. როგორც ჩანს, ვერ მპატიობდნენ, რომ ძლიერი მფარველი არ მყავდა და მართო ვახერხებდი თავის გატანას.

ჩემი ცხოვრების მანძილზე როგორც ქალს დისკრიმინაცია არ განმიცდია, მიუხედავად იმისა, რომ არაქალური პროფესია ავირჩიე: რეჟისურა მამაკაცის პროფესიად ითვლებოდა და არა მართო იმის გამო, რომ მსოფლიო თეატრის ისტორიაში სწორედ მამაკაცები იყვნენ დიდი რეჟისორები; ამას ისიც განაპირობებდა, რომ რეჟისურა ძალიან მძიმე და რთული საქმიანობაა;

აქ ნიჭის გარდა ლიდერის თვისებები, ორგანიზატორის უნარი, გამძლეობა, დიდი ენერჯიაა საჭირო. ქალს კი, გარდა იმისა, რომ ყოველთვის სუსტ არსებად მოიხსენიებდნენ, ოჯახის მოვლის, შვილების აღზრდის, მშობლებზე მზრუნველობის მიმე ტვირთი აწევს მხრებზე. პირადად მე, მართალია, კეთილსინდისიერად ვზიდავდი ამ ჭაპანს – ოჯახურ საქმიანობასაც ვეწეოდი, ვკერავდი, ვქსოვდი, თან მართხელა დედა ვიყავი და ყოფაც გაუსაძლისი იყო და ზოგჯერ მამაკაცობაც კი მინატრია, – ალბათ შემოქმედებითი საქმიანობა ძალიან გამიჭირდებოდა, რომ არა დედაჩემის თანადგომა - საოცარი პიროვნება იყო.

მუშაობა თბილისის სანკულტურის თეატრში (დღევანდელი საბავშვო თეატრის შენობაში იყო) დავიწყე ჩემი მასწავლებლის, მიხეილ თუმანიშვილის რეკომენდაციით, სადაც წინასაადიპლომო და კიდევ ერთი სპექტაკლი დავდგი. შემდეგ მაშინდელმა კულტურის მინისტრმა, შესანიშნავმა პიროვნებამ თ. ბუაჩიძემ დამიბარა და მკითხა, საქართველო გიყვარსო? თუ გიყვარს, დღეს საქართველოს ყველაზე მეტად სოხუმში სჭირდებიო. და მეც სოხუმში გავემგზავრე. (სხვათა შორის, ცხონებული დედაჩემი დიდგვაროვან აფხაზთა შთამომავალი იყო – ალშიბაია და როცა 70-იან წლებში აფხაზმა სეპარატისტებმა გამოსვლები დაწყეს, ბაბუაჩემმა, რომელსაც პასპორტში ეროვნება – აფხაზი ეწერა, დახია ეს პასპორტი და ახალ პასპორტში ეროვნება – ქართველი ჩააწერინა). სოხუმში ქართული სიტყვა სცენიდან ისმოდა და იქ მუშაობა მეტად საპასუხისმგებლო იყო.

შემდეგ თეატრალური ინსტიტუტის მაშინდელმა რექტორმა ი. თავაძემ გადმომიყვანა პედაგოგად თეატრალურ ინსტიტუტში და ამავდროულად, 1964 წელს გიგა ლორთქიფანიძემ გრიბოდვის თეატრში მიმიწვია „ანა ფრანკის დღიურის“ დასადგმელად. სპექტაკლს ძალიან დიდი წარმატება ხვდა წილად და მარჯანიშვილის თეატრის კორიფეებმა ვერიკო ანჯაფარიძის მეთაურობით თავიანთ თეატრში წამიყვანეს, სადაც თითქმის ნახევარი საუკუნე ვიმუშავე და ძალიან ბევრი სპექტაკლი დავდგი. მქონდა წარმოდგენები რუსთაველის თეატრშიც ს. ზაქარიასის მიწვევით. ბევრ ქვეყანაში ვიყავი გასტროლებზე ჩემი სპექტაკლებით. იაპონიასთან ურთიერთობა იმით დაიწყო, რომ 1981 წელს მ. ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“ დავდგი და აღმოჩნდა, რომ თურმე ეს მათი კლასიკოსის იაპონიის გარეთ დადგმის პირველი შემთხვევა ყოფილა. იაპონელებმა საოცარი გულმზურვალეობით გამოხატეს მაღლიერება, რასაც დღემდე მაგრძობინებენ. წლების განმავლობაში არ შეწყვეტილა იაპონელ მოღვაწეთა თბილისში ჩამოსვლა სპექტაკლის სანახავად, კაბუკის თეატრის გრანდიოზული გასტროლების ჩათვლით, შემდეგ იაპონიაშიც მიგვიწვიეს, წარმოდგენას თავად ტახტის მემკვიდრე ესწრებოდა და მომიბოდიშა კიდევ, მაპატიეთ, თბილისში რომ ვერ ჩამოვედიო, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი „იაპონიის ცოცხალი განძის“ ტიტულის მფლობელის უტაემონ VI-ის დაფასება იყო, რომელიც საოცარ მეგობრობაში გადაიზარდა.

რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიყავი, როცა ასეთი პიროვნებები აღიარებდნენ ჩემს ხელოვნებას. გენიოსებს არ ვედრები, მაგრამ ვთვლი, რომ კარგი რეჟისორი ვიყავი, მქონდა წარმატებული სპექტაკლები, მაგრამ ჩემს ყველაზე დიდ წარმატებად ჩემი შვილი და შვილიშვილი მიმაჩნია.

ჩემი დისკრიმინაცია ბოლო დროს დაიწყო, მაგრამ არა როგორც ქალის, არამედ როგორც პროფესიონალის: ვარდების რევოლუციად წოდებული ხელისუფლების უზურპაციის შემდეგ „ჩასარეცხებად“ გამოგაცხადეს. XXIs. დამოუკიდებელ საქართველოში გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლშევიკური „ჩისტკები“ განახორციელეს ყველა სფეროში. მარჯანიშვილის აკადემიური თეატრის ამჟამინდელმა „კმარელმა“ მესვეურებმაც დაიწყეს ცუდი თვითშემოქმედების დანერგვა; სამწუხაროდ, ნაცოდვილარი ეპიგონობა და აშკარა ქურდ - ბაცაცობა სალდება ნოვატორობად, ყველაფერი ერთფეროვანი და სტანდარტული ხდება.

ცნობილია, რომ პოსტმოდერნიზმის მხატვრულ თუ თეორიულ მიმდინარეობებს, როგორც სრულყოფილებიანი წევრი, ფემინიზმიც დაემატა. ამიტომ ბევრი წიგნი წავიკითხე ფემინიზმთან დაკავშირებით და მათ შორის რადიკალური ფემინისტის Donna G. Haraway-ს „კიბორგის მანიფესტი“. რას არ შეხვდები ფემინისტების ნაშრომებში: პოსტქრისტიანული ეთოსის წინასწარმეტყველება, ვირტუალური სექსი, თეოლოგიის ახალი ფორმა და ა.შ! და რაც ყველაზე თვალშისაცემია – ეს არის მოჭარბებული აგრესია. სამწუხაროდ, თანასწორობის უკეთილშობილესი თემა არა მარტო სტანდარტიზაციის სახით, მახინჯი ფორმების და იდეების სახითაც გადაგვარდა. ცნობილია ფრანგმა დრამატურგმა ჟან-პოლ სარტრმა „პედერასტული მატრიარქატი“ უწოდა „ჰიბრიდული არსების“, „ფალსიფიცირებული ქალურობის“, „პოლიმორფული სექსუალობის“ იდეებიდან გამომდინარე ვითარებას.

თანასწორუფლებიანობა შესანიშნავი რამაა, მაგრამ დააკვირდით ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროს და მითხარით, - რომ მოენდომებინა და საჭიროდ ჩაეთვალა, განა ვერ შექმნიდა მამაზეციერი აბსოლუტურ იდენტურობას? აკი ბიბლიის აპოკრიფებში ეს ვარიანტიც გვხვდება, მაგრამ არ მოეწონა უფალს და განასხვავა ყველაფერი, ლილიტი ედემიდან განდევნა და ევა ადამის ნეკნისგან შექმნა.

მე შეუვალი ანტიგლობალისტიც ვარ, არ მომწონს მონდიალიზმის იდეოლოგია – არ მინდა, ყველამ ერთ ენაზე ილაპარაკოს და ყველაფერი ერთნაირი იყოს; ღმერთმა ეს სამყარო მრავალფეროვანი შექმნა და ეს არის საინტერესო. კაცი უნდა იყოს კაცი და ქალი - ქალი. ძველმოდური ხარო, – ზოგჯერ შვილიშვილი მსაყვედურობს.

დიდმა ინგლისელმა მოაზროვნემ ჰ. ჩესტერტონმა, რომელიც თავისი ძველმოდურობით ამაყობდა, ჯერ კიდევ XXს. დასაწყისში თქვა: ყველა მოველოდით, რომ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლით ქალები პოლიტიკასა და ცხოვრებაში სათნობასა და სიკეთეს შემოიტანდნენ, მაგრამ პირიქით მოხდაო. მართალია, თანამედროვე პოლიტიკოსი მამაკაცებიც არაფრის მაქნისები და ბოროტები არიან, მაგრამ რაიმე სიკეთით არც ქალები გამოირჩევიან. ჩვენი დროის ღირსეულ ქალად დედა ტერეზა მიმაჩნია, მაგრამ სადღაა.

1996წ. მარჯანიშვილის თეატრში რომის პაპის იოანე-პავლე მეორის პიესა დავდგი-„ოქრომჭედლის სახელოსნოსთან.“ ეს ღვთისნიერი ადამიანი თავის ნაწარმოებში იმ სიგნალების შესახებ მოგვითხრობს, რომლებსაც მამაზეციერი გვიგზავნის, მაგრამ იმისთვის რომ ამ სიგნალების მიღება შესძლო, მზაობაა საჭირო. იმ ქვეყანასა და იმ ხალხს ვნატრობ, ვისაც ექნება ამგვარი შინაგანი მზაობა. ეს, მე მგონი, მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ქართველები შურის და ამპარტავნების ბოროტებას განუდგებიან და სიყვარულისკენ შეტრიალდებიან. თუმცა, ეს ჩემზე უჭკვიანესმა ადამიანებმა უკეთ გამოთქვეს:

ოლდოს ჰაქსლი: „ეკონომიკის, საზოგადოებრივი და საერთაშორისო ურთიერთობების ახლანდელი მდგომარეობა ძირითადად სიყვარულის ორგანიზებული არ არსებობით აიხსნება.“

ტიეარ დე შარდენი: „იმ სისწრაფის დროს, როგორითაც სამყაროს შეგნება და მოთხოვნა იზრდება, ის აფეთქდება, თუ სიყვარულს არ ისწავლის. მოაზროვნე სამყაროს მომავალი ორგანიზებად არის დაკავშირებული სიძულვილის ძალების სიყვარულის ძალებისკენ მობრუნებასთან.“

# მამოძრავებელი ძალა შექმნის სურვილია

●  
**ირინა ლავრინენკო – მხატვარი-  
ჰვილთიერი, ქართული ჰვილთის და  
ტექსტილის ჯგუფის (GTG) წევრი  
დაბადების დღე – 10 იანვარი**



„ქალი ჰოლიციფაჰიო? შიასოძაც  
აია?! ჯაცუჭმა ისეთი შა ეააყთუს.  
ქალი შომ ვუი ეააყთუჭს. ეე მეონი.  
სწოიქლ ამ შიმაიოთუქლუჭით სღუჭა ქალის  
ღისქიიშინაცია“.

აღრეული ბავშვობიდან უკვე ვიცოდი, რომ სამხატვრო აკადემიაში ჩაბარება მინდოდა და მხატვარი უნდა გავმზადრიყავი. ჩემი ოჯახიდან გამომდინარე, სადაც არავინ ხატავდა და კავშირიც არ ჰქონიათ ხელოვნებასთან, ეს არჩევანი საკვირველი იყო – ოჯახი სპორტსმენებით, უურნალისტითა და კვების ტექნოლოგიით იყო დაკომპლექტებული. დედ-მამა მყავდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონები ცურვაში, ბაბუა – ცნობილი ფეხბურთელი, 35-ე საფეხბურთო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი. მამაჩემი 1952 წელს ჰელსინკში ჩატარებულ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა. წესით და რიგით, მე სპორტული გენი უნდა გამომყოლოდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ბუნებამ ჩემზე დაისვენა, გაკვალულ სპორტულ ბილიკს გულგრილად და მშვიდად ავუარე გვერდი. როგორ ვიცხოვრე?! ამაზე აქამდეც მიფიქრია, მაგრამ პასუხის ჩამოყალიბება არ მიცდია. როგორც ქალმა, დავიწყე საკმაოდ კარგად. მერე ავურდავურე და დღემდე არეული ვარ ამ კუთხით. მესმის ყველაფერი, მაგრამ გამოსწორება არ შემიძლია. ალბათ სიზარმაცის გამო, ან ბედი მაქვს ასეთი და განწყობაც ტრადიციული, ქართული – მე რა მიშავს, მთავარია, რომ შვილები იყვნენ კარგად. არა, ეს, მართლაც, მთავა-

რია, მაგრამ რომ დავუფიქრებდი, ყველას ხომ ერთხელ გვეძლევა სიცოცხლე და ზოგიერთებს, ჩემი ჩათვლით, რატომ არ გვყავს სათვალავში საკუთარი თავი?! გაუგებარია!!! ჩემი აზრით, ეს ჩვენი საზოგადოების სერიოზული პრობლემაა. თითზე ჩამოსათვლელი არიან ქალები, რომლებიც ნორმალური, სრულფასოვანი, ქალური ცხოვრებით ცხოვრობენ. პრობლემის არსებობაში ორივე სქესის წარმომადგენელს მიუძღვის ბრალი. სქესის გამო დისკრიმინაციის განცდა ნამდვილად არასდროს მქონია და არც არასდროს მინატრია კაცად დაბადება. მგონია, რომ ქალი უფრო საინტერესო და ლამაზი ქმნილებაა, ვიდრე მამაკაცი.

დღევანდელი დღის კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა ისაა, რომ მოხდა სქესის აღრევა. ბევრი ქალი, სხვადასხვა მიზეზის გამო, თავისდაუნებურად, დაემსგავსა კაცს, კაცებს კი გაუჩნდათ ქალური თვისებები. ხშირ შემთხვევაში ქალს უწევს მამაკაცისა და ქალის ფუნქციების შეთავსება. რა თქმა უნდა, ასე ცხოვრება არ მათებს ქალურობას და საერთოდ, ქალი ნაზი და სუსტი არსება კი აღარ არის, დღეს ის ხშირად მამაკაცზე მეტად ავლენს ვაჟკაცურ თვისებებს.

შემოქმედებით ცხოვრებაზე გავისხენებ იმას, რომ აკადემიის დამთავრების შემდეგ 13 წელი მორჩილად ჩავჯექი სახლში, თავი ოჯახს მივუძღვენი – ვუვლიდი შვილებს, ქმარს და, როგორც შეეფერება ნამდვილ მეოჯახეს, მეტი არაფერი არ მინტერესებდა. ეს იყო ჩემი არჩევანი. ახლა კი ვნანობ, რომ ამდენი წელი დავკარგე, შეიძლებოდა შემეთავსებინა ოჯახი და საქმე, დადგა დრო და გამახსენდა, რომ ქვაბის ხევისა და სადილის კეთების გარდა, ამქვეყნად უფრო საინტერესო საქმეებიც არსებობს. მაგრამ ცამეტწლიანი პაუზა არ მაპატია არც საკუთარმა თავმა, არც ჩემმა არჩეულმა სპეციალობამ – სამრეწველო გრაფიკამ. ცხოვრება წინ წავიდა, გრაფიკამ დიდი ნახტომებით იარა და მისი დაწვევა უკვე წარმოუდგენელი იყო. მაგრამ მთავარი ისაა, რომ, როდესაც ადამიანს რაღაცის შექმნა უნდა, ის ამას აუცილებლად აკეთებს იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეუძლია. როგორ გამოსდის, სხვა თემაა, მამოძრავებელი ძალა კი არის სწორედ შინაგანი ფორიაქი, სურვილი, რომ აკეთო ის, რაც შენთვის აუცილებელია, საჭიროა და რაც გგონია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია. თუ შენი საქმიანობა რომელიმე ადამიანის მოწონებასა და აღფრთოვანებასაც დაიმსახურებს, მაშინ ხომ უბედნიერესი ადამიანი ხარ. დავანებე თავი გრაფიკას და გადავერთე ტექსტილზე, ანუ შემიძლია ვთქვა, რომ მეორედ ვიპოვე საკუთარი თავი. დღემდე ვმუშაობ ტექსტილში, რითაც კმაყოფილი და ბედნიერი ვარ. მიხარია, რომ ეს მხარე მაინც მოგვარებული მაქვს. ქვილთზე მუშაობის კიდევ ერთი პოზიტიური და მიმზიდველი მხარე ისაა, რომ იძლევა ჯგუფური მუშაობის, ქალებისათვის გარკვეულ ასაკში სასიამოვნო და შემოქმედებითი ურთიერთობის, თავშეყრისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებას, გარკვეულწილად, ფსიქოთერაპიაცაა. გარდა ამისა, ეს უტილიტარული საქმიანობაა და არც ორიგინალურობასაა მოკლებული.

მე ვფიქრობ, საქართველოში აზროვნება სტერეოტიპულია ყველაფერში – ჩაცმა იქნება, სახლის ინტერიერი, ცხოვრების წესი, გართობაც კი ყველას ერთნაირი გვინდა, საქმიანობაც. თუ ფოტოგრაფიაა მოდაში, მთელი თბილისი ფოტოს იღებს, ან მთელი თბილისი თექას თელავს. ყველანი ერთნაირები ვართ. თუ ოდნავ მაინც განსხვავებული ხარ, სალაპარაკო ხდები. ჩვენ ერთნაირი ნაცრისფერი ფიგურები ვართ პატარა მომწვანო-მონაცრისფრო ქვეყანაში. ქუჩაში დომინირებს შავი ფერის ტანსაცმელი. საინტერესოა, რატომ გვიყვარს შავი ფერი ასე ძალიან?!

მგონია, რომ გვეშინია თავის გამოხატვის, იმისი, რომ სხვისგან განსხვავებული ვიყოთ. ყველაფერი ერთნაირი კარგია – აი ჩვენი მენტალიტეტი, იქნებ ესეც ტრადიციაა?! ქალი პოლი-

ტიკაშიო? რატომაც არა?! კაცებმა ისეთი რა გააკეთეს, ქალი რომ ვერ გააკეთებს. მე მგონი, სწორედ ამ მიმართულებით ხდება ქალის დისკრიმინაცია. საჭესთან ქალი ნამდვილად ჩამო-  
უვარდება მამაკაცს, პოლიტიკაში კი – არა მგონია. იდეალური კაცი კეთილშობილი, სამარ-  
თლიანი, ვაჟკაცური უნდა იყოს და თუ გარეგნობაც კარგი ექნება, ხომ სულ გადასარეგია,  
ჭკვიანიც უნდა იყოს, აუცილებლად. ქალი კი უნდა იყოს ლამაზი, მიმზიდველი, კეთილი, სა-  
სურველია, რომ საქმიანი და ჭკვიანიც იყოს. მაგრამ ასეთნი არსებობენ კი?!

# ქალი ოქროვანი – გაგიგონიათ?!

●  
**მანაბა მაგომედოვა – გამოყენებითი  
ხელოვნების ოსტატი, საქართველოს  
საკატორიარქოს საქველმოქმედო ფონდ  
„ლაზარესთან“ არსებული  
საოქროვანო სახელოსნოს  
კონსულტანტი  
დაბადების დღე – 5 ნოემბერი**



„ქესაძლოა ქალის მიმატი ძალადობაც  
ყაყის უმაყნისობის ქელეი იყოს. ყაყეი ადამი-  
ანი მოძალადე ამაყსიოს ამ ყახლქა“.

საიუბილეო საღამოზე, რომელზეც მანაბა მაგამედოვას 80 წელი მიულოცეს, სხვა მოგონებათა შორის ისიც გაიხსენეს, როგორ გადაარჩინა მანაბას ნახელავმა თბილისის სამხატვრო აკადემია დახურვას. თურმე, სსრ კავშირის ყოფილ ლიდერს, ხრუშჩოვს, 60-იან წლებში რიგისა და თბილისის სამხატვრო აკადემიების დახურვა უბრძანებია, პეტერბურგის აკადემიის არსებობა საკმარისიაო. მაშინ თბილისის აკადემიის რექტორმა აპოლონ ქუთათელაძემ მანაბას კულტურის მინისტრისთვის საჩუქრად საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული იშვიათი ოქროს ყელსაბამის ასლის გაკეთება სთხოვა. ყელსაბამი მინისტრს ძალზე მოსწონებია და აკადემიაც დახურვას გადარჩენილა, ის კი არა, აკადემიის ეზოში ახალი კორპუსიც კი აუშენებიათ.

კუბანში დავიბადე, დაღესტნის მაღალმთიან სოფელში. ჩვენ ადრიდან გვაჩვევდნენ შრომას, რაც ძალიან ჭკვიანური საქციელი იყო. 6 წლისამ ქარგვა და ქსოვა უკვე კარგად ვიცოდი.

30-იან წლებში, როცა სხვებთან ერთად ჩემი ოჯახიც გააკულაკეს, ჩემები თბილისში გადმოსახლდნენ, მე კი ბებიასთან დამტოვეს. არ მავიწყდება, ერთ საღამოს ბუხრის წინ ხალიჩაზე ვიჯექი და ვქსოვდი. მიუხედავად იმისა, რომ სახლში რამდენიმე ხალიჩაღა იყო დარჩენილი, ორი ვეებერთელა კაცი შემოგვივარდა და ყველაფერი წაიღო. ერთი თვის შემდეგ ბებია გარდაიცვალა და ბიძაჩემმა ჩემს ოჯახთან ჩამომიყვანა. ძალიან გვიჭირდა, დედა დიასახლისი იყო, მამა - უკვე გარდაცვლილი. შრომას პატარაობიდანვე შეჩვეული ვიყავი და არ გამჭირვებია, დავიწყეთ „ჩუსტების“ კერვა – ვყიდულობდით ფარაჯას და მისგან ვკერავდით. შემდეგ მივდიოდით სოფლებში და ვცვლიდით პროდუქტში. ომის დროს საჭმელი არასდროს გვაკლდა, ხანდახან მეზობლებსაც კი ვუნაწილებდით ხოლმე. მალე მამაჩემის მეგობართან, ამბროსი ჯიქიასთან დავიწყეთ მუშაობა, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა და ძალიან დამეხმარა. 1944 წლის 2 მაისი იყო, პურის საყიდლად ვიყავი წასული, გზაში წამართვეს მთელი თვის უფასო ტალონები. პური მაშინ 100 მანეთი ღირდა, ქუჩაში ტირილით მოვდიოდი; შემომხვდა ბატონი ამბროსი ჯიქია და როდესაც გაიგო ჩემი ამბავი, შემიყვანა თავისთან დუქანში და 3 კილოგრამიანი პური მომცა. არასდროს არ დამავიწყდება ეს დახმარება.

1958 წელს აკადემიაში „ლითონის ფაკულტეტზე“ ჩავაბარე, თან ვსწავლობდი და თან ვმუშაობდი. კარგა ხანს სამზარეულოში მქონდა სამუშაო ადგილი, 90-იან წლებში მომცეს სახელოსნო.

1958 წელი იყო, მივდიოდი რუსთაველზე და დავინახე, ადამიანები შეჯგუფულიყვნენ – თურმე გუდიაშვილის გამოფენა უნდა გახსნილიყო და მეც დავრჩი. მაშინ ეს იყო სიახლე, რადგან იშვიათად ეწყობოდა მხატვართა გამოფენები. გამოფენა გახსნამდე დახურულად გამოცხადდა, მაგრამ ხალხის ტალღა არ შეეპუა აკრძალვას და შენობაში შეიჭრა. სწორედ გამოფენის დროს გადაწყვიტე ამ საოცარი ადამიანისთვის შემექმნა ნამუშევარი. იქვე დარბაზში გავიგე მისი მისამატი და სანახავად წავედი. 60-იან წლებში კი მივუძღვენი ვერცხლის გრაფიურა სევადით.

1958 წელს მოსკოვში საქართველოს კულტურის დღეებისადმი მიძღვნილ გამოფენაზე ჩემი ნამუშევრებიც მქონდა წარდგენილი. კონფერენციაზე მოსკოველმა ხელოვნებათმცოდნემ ჩემი ნამუშევრები ასხენა და ხელოვნების ამ დარგის აღდგენაზე ისაუბრა. ჩემს უკან ელენე ახვლედიანი იჯდა და ალბათ გვერდით მჯდომმა უთხრა ჩემზე, ეს არისო. ელენემ ზურგში „წამცხო“, – „ეს მამაძალიაო“? უკან მივიხედე და ვუთხარი როგორ მინდა თქვენს სახელოსნოში მოვიდე და ვერ მოვდივარ მეთქი. თბილისში რომ ჩამოხვალ, მოდიო, მითხრა, მაგრამ იმდენად მეუხერხულეობდა, რომ ვერ წავედი და მერე თვითონ არ მოვიდა ჩემთან?! მას შემდეგ მეპატიუბოდა თავის გამოფენებზე და ყველგან თან დავყავდი.

ვერ გეტყვით, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება, კუბაჩში რომ დავრჩენილიყავი, ოქრომჭედელი გავხდებოდი თუ არა. თუმცა ადრინდელთან შედარებით დღეს ქალის როლი ძალიან შეიცვალა. ადრე თუ ქალის მოვალეობა ოჯახისა და ბავშვების მიხედვა იყო, დღეს ქალი ოჯახის გარეთაა და მუშაობს. ჩემი აზრით, კაცის გონებას უნდა გარდაქმნა და მან მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს. ძალიან ცოდაო ქალი შვილებს მოცილებული ან უსაქმური კაცის ხელში. დღეს ქალია ძირითადი შემომტანი ოჯახში, კაცს კი ამისი აღარ რცხვენია. „ვაჟკაცი კაცი“ აღარ არსებობს – ვაჟკაცმა ყოველთვის იცოდა, რომ ცოლის უმთავრესი საქმე შვილების გაჩენა და გაზრდა იყო. შესაძლოა, ქალების მიმართ ძალადობაც კაცების უმაქნისობის შედეგი იყოს, კარგი ადამიანი მოძალადე არასდროს გახდება. მიუხედავად ჩემი პროფესიისა,



მამაკაცობა მაინც არ მინატრია, ჩემი მეუღლე ჩემი ყველაზე დიდი მეგობარი იყო. ახალგაზრდობაში, დედაჩემისთვის რომ არ მეწყენინებინა, გავყევი ბიჭს, რომელმაც, დალესტნური ტრადიციისამებრ, ჩემს უფროს ძმას სთხოვა ჩემი ხელი. გრანდიოზული ქორწილი გადაიხადეს. 40 დღე, წესისამებრ, სოფელშიც ვიცხოვრეთ და შემდეგ წამოვედით თბილისში. ჩემს მეუღლესთან ერთად 46 წელი გავატარე და მისმა შესანიშნავმა ვაჟკაცობამ იგი თანდათან შემაყვარა. ისიც მხატვარი გახლდათ, თბილისის აკადემია დაამთავრა.

# საბავშვო ლიტერატურა ჩემი ხომფორტია

ირმა მალასიძე – მწერალი,  
გამომცემლობა „გორბას“ რედაქტორი  
დაბადების დღე – 29 სექტემბერი



„ქალზე ჭკვი იპაძა  
დაძოციღბული, ის საზოგადოებრივი  
და ზოლიციყური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში  
აქციურად ყნდა იყო ჩართული“.

ლიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი სხვადასხვა გაზეთსა და ტელეკომპანიაში. ეს ერთგვარი მოთელვა იყო მწერლობაში მოსასვლელად. საკმაოდ რთული და დატვირთული რეჟიმის მიუხედავად, ამ პროფესიის წყალობით დიდი გამოცდილება შევიძინე – სხვადასხვა პროფესიის ადამიანთან მიხედვითა ურთიერთობა, ბევრ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ თემატიკაზე მიწევა წერა, რაც, თავისთავად, გამოცდილებას მაძლევდა. ამ დროს ცხოვრებას სხვა ადამიანების თვალთვალ ვუყურებ და ერთი პრობლემის გადაწყვეტის მრავალგვარ ხერხს განვიხილავ. მოგვიანებით, როცა წერა დავიწყე, ეს გამოცდილება ძალიან გამომადგა. ხშირად ამა თუ იმ ნაწარმოებისათვის რამდენიმე ფინალიც კი მქონია შერჩეული და არჩევანი რომელიმეზე შემჩერებია. თუმცა, მიფიქრია, რომ ნებისმიერი ფინალი მკითხველისათვის საინტერესო იქნებოდა. შესაძლოა ერთხელ ეს ხერხიც გამოვიყენო და მკითხველს ბევრი ფინალი შევთავაზო – ვისაც რომელი მოსწონს, ის მიიჩნიოს სასურველად. ლიტერატურასა და კინოში ეს შესაძლებელია. აი, ცხოვრებაში კი ასე არ გამოდის... ამჟამად ვმუშაობ გამომცემლობაში რედაქტორად. ბევრი საინტერესო ავტორისა და კარგი საბავშვო მწერლის წიგნების რედაქტირება მიწევს, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს – ბავშვობა მახსენდება, როდესაც ამ ავტორების ნაწარმოებებს ვკითხულობდი. ცხოვრებაში გამუდმებით ვიცვლიდი საქმიანობის სფეროს. დღემდე ვერ ვხსნი, თუ რატომ და როგორ აღმოვჩნდი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ამ წლებს დაკარგულადაც მივიჩნევ. თუმცა, ალბათ, ამ ფაქტმა რაღაც სასიკეთო მაინც დამიტოვა. დღეს საკმაოდ გაშინაურებული ვარ კომპიუტერულ ტექნიკასთან, რასაც, ალბათ, ჩემს ტექნიკურ განათლებას უნდა ვუმაღლოდე. შემდეგ ჟურნალისტიკამ გამიტაცა. საბოლოოდ საბავშვო მწერლობაში „დავიდე ბინა“, სადაც ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ თავს. დედობის მოლოდინში ამეკვიცა ბავშვობისდროინდელ წიგნებზე ფიქრი და რადგან ხელთ არაფერი აღმომაჩნდა, ავდექი და თავად დავწერე. ეს იყო „სატკბილეთის ქვეყანა“, რომელიც ყველა დანარჩენზე ბევრად წარმატებული გამოდგა. თუმცა, თავდაპირველად მის „გამოჩენას“ არც ვაპირებდი. ბავშვებმა შეიყვარეს მისი ტკბილი გმირები. ალბათ ეს იყო ის ბიძგი, რომელსაც უნდა ვუმაღლოდე, რომ დღეს საბავშვო მწერლად მომიხსენიებენ. რასაკვირველია, ვმუშაობ ეგრეთ წოდებულ „სადიდო“ პროზაშიც. პირველი მოთხრობის დაწერა ამ შემთხვევაშიც დედობის ინსტინქტმა განაპირობა. საქმე ისაა, რომ მქონდა ძალიან საინტერესო სიუჟეტი. უფრო სწორად, ამბავი, რომელიც ინვალიდთა პანსიონატში მოხდა, სადაც ცოტა ხანს ვმუშაობდი, იქ ერთი ინვალიდი ქალი დაფეხმძიმდა. ექიმების რჩევის მიუხედავად, ბავშვს ვერ გააჩენ, დაილუპებო, მან არჩევანი გააკეთა – მშობიარობისას დაილუპა. რამდენჯერ ვცადე, მაგრამ მხოლოდ შვილის შექმნის შემდეგ შევძელი ამაზე მოთხრობის დაწერა. მოთხრობა „ფატია“ ერთ დღეში დავწერე და დღემდე ჩემი უსაყვარლესი მოთხრობაა, პირველ კრებულსაც „ფატია“ ჰქვია. ყველაზე დიდი წარმატების იმედს სამომავლოდ ვიტოვებ, მაგრამ რაც აქამდე ყოფილა, საბავშვო ლიტერატურას უკავშირდება: კონკურსში – „ახალი სახელები ქართულ საბავშვო მწერლობაში“ – ჩემმა მოთხრობამ, „ლოკოკინა, სახელად ქერამუჭა“, პირველი პრემია მიიღო. უფროსი გოგონა მაშინ 4 წლის იყო. ყოველ დილით, როდესაც საბავშვო ბაღში მიმყავდა, გზად ხედავდა ლოკოკინებს და ისეთ გულითად საუბარს გაუბამდა ხოლმე, მოსმენა ერთ რამედ ღირდა. ერთ დღეს შევთავაზე, მოდი, სახელი დავარქვათ-მეთქი, – ქერამუჭაო – და ასე დაიბადა ქერამუჭაც.

კაცად დაბადება არასდროს მინატრია. მომწონს, ქალი რომ ვარ, თუმცა, ხასიათში ბევრ მამაკაცურ შტრიხს ვხედავ, რაც არ მომწონს. დღეს ქალს ბევრი პრობლემა აქვს. პრობლემის განზოგადება რთულია, გააჩნია, სოფლად ცხოვრობს ის თუ ქალაქში, რა პროფესიისაა, მუშაობს თუ არა, როგორ სოციალურ გარემოში უწევს ცხოვრება. ყველა კონკრეტული შემთხვევა განსხვავებულია. ჩემთვის პრობლემა საზოგადოებრივი საქმიანობისა და ოჯახზე ზრუნვის ერთმანეთთან შეთავსებაა. მასხენდება ჩემი ბავშვობის მულტიპლიკაციური ფილმი დიდებისათვის; „ოჯახური მარათონი“, ჰოდა, ხშირად ამ ფილმის მთავარი გმირი მგონია თავი... ქალზე ბევრი რამაა დამოკიდებული, ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში აქტიურად უნდა იყოს ჩართული, შესაბამისად, თავისი კვალიც დატოვოს და შეცვალოს ბევრი რამ, თუნდაც, პოლიტიკაში. თანაც ქალი უნდა იყოს ქალი-მარტის ამინდით ცვალებადი ხასიათით, თან ჭირვეული, თან დამთმობი. ალერსიანი, თბილი, ყურადღებიანი, გულწრფელი-პრაგმატული და რომანტიკული ერთდროულად.

# ემანსიპაცია შინაგანი მდგომარეობა

●  
**ირმა მგალაძე – ფიზიკოსი, პედაგოგი.**  
1998 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს  
შვეიცარიაში. შვეიცარიაში საქართველოს  
ღიასკორის ვისე პრეზიდენტი  
დაბადების დღე – 18 დეკემბერი



„სამშობლოდან შიშს უფრო შიშს ხაზ.  
მით ძეცია სურვილი, რომ შენს ჩვეყანას  
ქმსახური“.

დედა გერმანული ენის პედაგოგი იყო, მამა ინჟინერი – სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მსხვილ საწარმოში მუშაობდა. დასა და ძმასთან ერთად სიყვარულით სავსე ოჯახში გავიზარდე.

სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე და თეორიული ფიზიკა ავირჩიე სპეციალობად. შემდეგ იზოტოპების ინსტიტუტში ვმუშაობდი. უნივერსიტეტში სწავლისას ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი. ორივე თეორიულ ფიზიკაში ვმუშაობდით, როგორც მკვლევრები. შემდეგ ჩემი მეუღლეს ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტში სამუშაოდ გადავიდა. მეც გადავედი და იმავე ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა. ძალიან საინტერესო წლები იყო. იმ დროს უკვე ორი ქალიშვილი გვყავდა. შემდეგ ჩემმა მეუღლემ სამუშაო მიწვევა შვეიცარიიდან მიიღო. კვლავ არჩევანის წინაშე დავდექი, საცხოვრებელი ადგილი ისევ უნდა გამოგვეცვალა. ეს ძალიან რთული იყო, რადგან საინტერესო სამსახური მქონდა. ვიფიქრე და ორ შვილთან ერთად მართო დარჩენას შვეიცარიაში წასვლა ვამჯობინე. ბერნის უნივერსიტეტში დავიწყე მუშაობა, პარალელურად გერმანულს ვსწავლობდი.

დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ სამეცნიერო მუშაობა და ოჯახის ერთმანეთთან შეთავსება ჩემთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. კვლევა შემოქმედებითი სამუშაოა, ძალიან ძნელია თქვა, რომ სამუშაო დღე ზუსტად 6 საათზე მთავრდება, არადა ამ დროს ბავშვები საბავშვო ბაღიდან უნდა გამოიყვანო. რა თქმა უნდა, ყველგან შეიძლება კომპრომისების მოძებნა, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია კომპრომისები რომელიც, ბავშვებს ეხება. ამიტომ გადავწყვიტე პროფესია შემეცვალა და ისეთი საქმიანობა ამერჩია, რაც ჩემ ინტერესებს შეესაბამებოდა. მოვსინჯე პედაგოგობა და საკმაოდ დამაინტერესა. მივხვდი, რომ დიდი ხელოვნებაა, შენთვის ნაცნობი მასალა ახალგაზრდებისთვის მისაწვდომი და საინტერესო გახადო. ამისათვის საჭირო იყო პედაგოგიური განათლების მიღება. გარდა დიპლომისა, ბერნის უნივერსიტეტში ძალიან დიდი პროფესიული სკოლა გავიარე. გავეცანი ჩემთვის უცნობ ევროპულ პედაგოგიკას და ფიზიკისა და მათემატიკის სწავლების თანამედროვე დიდაქტიკას.

უკვე 7 წელია განათლების სფეროში ვმოდგაწეობ. გიმნაზიის გარდა ვმუშაობ თანამედროვე ტექნოლოგიებით მათემატიკის სწავლების დიდაქტიკის სფეროში. ამ დარგში ვკითხულობ ლექციებს გიმნაზიის მასწავლებელთა მომზადების ფაკულტეტზე, როგორც მიწვეული დოცენტი.

ცნობილი გამოთქმაა: „რომიდან რაც უფრო შორს ხარ, უფრო მეტად კათოლიკე ხარ“. რაც უფრო შორს ხარ სამშობლოდან, უფრო მეტია სურვილი, შენ ქვეყანას ემსახურო. ამ სურვილის განსახორციელებლად, სხვა თანამოაზრეებთან ერთად, 2008 წლის მარტში დავაარსეთ არა პოლიტიკური და არა კომერციული ორგანიზაცია: „საქართველოს დიასპორა შვეიცარიაში“. ამ ორგანიზაციის მიზანია ქართული კულტურისა და ტრადიციების შვეიცარიული საზოგადოებისთვის გაცნობა. გარდა ამისა იქ მცხოვრები ქართველებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისთვის, სოციალური კონტაქტები და ქართული გარემოს შექმნა, თუნდაც 1-2 დონისძიების სახით.

დიასპორა დიდი არ არის. როგორც ახალშექმნილ ორგანიზაციას, აქტიურობა აკლია, მაგრამ იმედი მაქვს, ეს საწყისი ეტაპია. ორგანიზატორებმა პირველი ნაბიჯები გადავდგით, გადავლახეთ საზოგადოების უნდობლობა. დანარჩენს დრო მოიტანს.

მიუხედავად იმისა, რომ დიასპორა პოლიტიკური ორგანიზაცია არ არის, 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში გამოკვეთილად გამოხატა თავისი პოზიცია რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ.

ჩემი შეკითხვის პასუხად, პირველად განცხადება და ომის პირველი ოფიციალური შეფასება გააკეთა შვეიცარიის მთავრობამ, კერძოდ საგარეო საქმეთა დეპარტამენტის უფროსმა ქალბატონმა კლმი-რეიმ (Micheline Calmy-Rei). ამავე პერიოდში შევხვდით შვეიცარიის პოლიტიკოსებს, სადაც მათ საქართველოსთან თანამშრომლობის სურვილი გამოითქვეს. ეს საკმაოდ კარგი სიგნალია იყო.

დიასპორის მიზანია იმ პროექტების განხორციელება და ხელშეწყობა, რომელიც საქართველოს განვითარებას წაადგება.

ამ ფარგლებში გადავწყვიტე დავეხმარო ქართულ პროფესიულ სკოლას. კონკრეტულად ჩემი მიზანია შვეიცარიაში ხელი შევუწყო პროფესიის მასწავლებელთა მომზადებას (გადამზადებს).

როგორც ქართული დიასპორის წარმომადგენელი, შუამავალი ვიქნები, ვიმუშავებ გადამზადების ადგილებისა და ფინანსების მოძიებაზე.

ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა ჩემი შვილებია. შვეიცარიაში 32 წლის ასაკში ჩამოვედი, პროფესია 34-35 წლის ასაკში გამოვიცვლე. ორი შვილის დედას არ შემშინებია ისევე სტუდენტი გავმხდარიყავი, მითუმეტეს იმ დროს ჩემი მეუღლე იტალიასა და შემდეგ გერმანიაში მუშაობდა. ის დღესაც ბონის უნივერსიტეტში მუშაობს.

შვეიცარიაში ქალებმა საარჩევნო ხმის უფლება მხოლოდ 1971 წელს მიიღეს. ეს რომ გავიგე, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. შვეიცარიაში ჩაატარეს რეფერენდუმი, რომელზეც მამაკაცებს უნდა გადაეწყვიტათ, მიეღოთ თუ არა ქალებს არჩევნებში მონაწილეობა. ამ რეფერენდუმს წინ უძღოდა ფემინისტური მოძრაობის უზარმაზარი შრომა, შვეიცარიაში ქალებს მიეღოთ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა. საქმე ისაა, რომ შვეიცარია პირდაპირი დემოკრატიის ქვეყანაა. ნებისმიერი საკითხი რეფერენდუმზე წყდება. დღეს საქართველოში მსგავსი რეფერენდუმი რომ ჩავატაროთ მამაკაცებს შორის, არ ვიცი, რას მივიღებთ... ქართველი მამაკაცების 51 % მზად არის კი ხმა მისცეს აბსოლუტურ თანასწორობას ქალებთან? თანასწორობა არა მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში, არამედ ცხოვრების ყველა ასპექტში თანაბარი მონაწილეობაა.

თავს ემანსიპირებულად ვთვლი, რადგან ჩემ მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება პირადად ჩემია და არავისი ზეგავლენით არ მიმიღია. ყოველთვის ვთვლიდი, რომ ქართველი ქალები ძალზე ემანსიპირებულნი არიან შვეიცარიელებთან შედარებითაც კი. მაგრამ ემანსიპაცია განა მხოლოდ შრომის უფლებაა, ეს გარკვეული შინაგანი მდგომარეობაა.

რა თქმა უნდა, არც შვეიცარიაში და არსად არ არის აბსოლუტური თანასწორობა. მაგალითად ბევრ სფეროში ქალებს იმავე სამუშაოსათვის უფრო დაბალი ანაზღაურება აქვთ, მაგრამ პრობლემებზე ღიად საუბრობენ, ეძებენ გზებს მდგომარეობის შესაცვლელად.

ქალები აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ჩვენ თავად უნდა დავანახოთ საზოგადოებას, რისი ვაკეთება შეგვიძლია, უნდა დავამტკიცოთ, რომ ისეთივე პროფესიონალები ვართ, როგორც – მამაკაცები. სწორედ ჩვენგან უნდა მოდიოდეს ეს იმპულსი აუცილებლად. თუ ასეთი იმპულსი და მოთხოვნა არ არსებობს, მაშინ არავინ გაითვალისწინებს შენს სურვილებს. საქართველოს პოლიტიკაში ცოტა ქალია. ეს არ ნიშნავს, რომ პროფესონალი და დაინტერესებული ქალი ცოტაა. ალბათ, პრობლემა სხვა რამეა. ეს პრობლემა აუცილებლად უნდა გამოვიკვლოთ.

ჩემთვის ყველაზე მთავარი ჩემი ოჯახია, მეგობრები, პროფესია, ის, რასაც ვაკეთებ ყოველდღე. იდეალთან მიახლოებული ქალი ჩემთვის დედაჩემია – სიცოცხლით სავსე, რომელსაც უყვარდა ოჯახი და რომელიც უყვარდათ.

# იდეალური ოჯახი

სოფო მღვივინიშვილი-ბრიჯა –

გოეთეს ინსტიტუტის ადმინისტრაციის

ხელმძღვანელი

ლაბაღის დღე – 16 ივლისი



„ქალს სინამდვილის ამოცნობისა და შიშის დასაძლევად საჭიროა უფრო მეტი უნაღი აქვს. ასე უნდა იქნება და ასე იქნება ჯოლიციაში“.

გოეთეს ინსტიტუტი ხელს უწყობს გერმანული ენის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ და ზრუნავს საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობაზე კულტურის სფეროში. ინსტიტუტი საქართველოში 1994 წელს დაარსდა. ბატონი პეტერ ჰოეშელე მისი პირველი ხელმძღვანელი იყო. მე სულ შემთხვევით მოვხვდი აქ და უკვე 15 წელია, რაც ვმუშაობ. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და გოეთეს ინსტიტუტის გარეშე ცხოვრება ვერც კი წარმომიდგენია.

ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა ცხოვრებაში ჩემი ქალ-ვაჟია, ანა-სოფია და დევი. ჩემი მეუღლე გერმანელია. საქართველოდან წასვლის სურვილი არასდროს მქონია, ამიტომაც ჩემმა მეუღლემ ჩემი სურვილი გაითვალისწინა და ისიც საქართველოში გადმოვიდა საცხოვრებლად. მას ხშირად უწევს მივლინებებში სიარული, მაგრამ ძირითად დროს თბილისში, ჩვენთან ერთად ატარებს. მიმაჩნია, რომ იდეალური ოჯახი მაქვს. სხვათა შორის, მშობლების ოჯახიც ასეთი იყო. სამწუხაროდ, მამა 1996 წელს გარდაიცვალა და მისი სახით მე დიდი მეგობარი დაგკარგე. საბედნიეროდ, მყავს დედა, რომელიც ძალიან მეხმარება შვილების გაზრდაში. რომ არა დედაჩემი, ნამდვილად ვერ შევძლებდი იმას, რასაც მივალწიე. ჩემი არაჩვეულებრივი მამის მაგალითით ვზრდი შვილებს, ვაძლევ თავისუფლებას, ვარ მათთან მეგობრული და, ამასთანავე, ცოტა მკაცრიც.

თავისუფლება და დამოუკიდებლობა თავადაც მჭირდება. ამ მხრივ ჩემი მეუღლე ძალიან მიწყობს ხელს. ჩემი ნაკლი ის არის, რომ ხშირად ბევრ საქმეს ვიღებ თავზე. ხანგრძლივი შევებულება არ მიყვარს და სამუშაო რიტმიდან დიდი ხნით ამოვარდნას ორ-სამდღიან ხშირ დასვენებას ვარჩევ.

ჩემს სფეროსა და ამ სამსახურში მეტი წინსვლა შეუძლებელია. სიმართლე რომ გითხრათ, ამის დიდი სურვილი არც მაქვს. ქალს, რა თქმა უნდა, შეუძლია საქმეში დიდ წარმატებას მიაღწიოს. ამისთვის ის უნდა იყოს პრინციპული და უცილობლად საქმისთვის შესაფერისი უნარითა და ცოდნით აღჭურვილი.

დღეს ზოგიერთ სფეროში ქალი, როგორც დეკორაცია, ისე აღიქმება, მაგალითად, პარლამენტში. არ მინახავს ქალის აზრი ან რაიმე წინადადება ვინმეს სერიოზულად მიეღოს ან გაეზიარებინოს. მე არ ვგულისხმობ ბურჟანაძეს, მას თანამდებობა ჰქონდა და ამიტომ იზიარებდნენ მის აზრს. კი, ბიზნესში არიან წარმატებული ქალებიც, მაგრამ დამოუკიდებლად, ქმრის დახმარების გარეშე – ნაკლებად.

რა თქმა უნდა, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც ქალის მთავარი ფუნქცია ოჯახი და შვილების აღზრდაა. ამისთვის კი ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიური ფაქტორი. იმის გამო, რომ შვილებმა უჩემობა არ იგრძნონ, ისეთ სკოლაში მივიყვანე ბავშვები, სადაც ხუთ საათამდე არიან. ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი თავისუფალი დრო დავუთმო ჩემს ოჯახს. ამის გამო საგრძობლად შევზღუდე საზოგადოებრივ ადგილებში სიარული. მიუხედავად ჩემი მაღალი ანაზღაურებისა, მეუღლე რომ არ მეხმარებოდეს, მე ამას ვერ მოვახერხებდი. ფინანსური მხარე ძალიან მნიშვნელოვანია, რაც განაპირობებს როგორც დამოუკიდებლობას, ასევე ოჯახური ცხოვრების სიმშვიდეს. გერმანიაში ხშირი პრაქტიკაა, რომ ქალის ნაცვლად სადეკორატიული შევებულებას ქმარი იღებს – ეს იმაზეა დამოკიდებული, ვის უფრო მაღალი ანაზღაურება აქვს. საქართველოში ასეთი რამ როგორ წარმოგიდგენიათ, გააკეთებს ამას ქართველი კაცი, რომელსაც გამჟღადარი აქვს, რომ ის არის ოჯახის პატრონი?!

არა, ვერ წარმომიდგენია, რომ ქართველი ქმარი მყოლოდა. ჩემთვის უმრავლესობას გაუგებარი მენტალიტეტი აქვთ. მაგალითად, იყიდის ძვირფას მანქანას, მაგრამ ბენზინის ფული არ აქვს; შეუძლია იყოს უსაქმური და იცხოვროს ცოლის კმაყოფაზე იმ მიზეზით, რომ მისთვის შესაფერი საქმე ვერ იშოვა. იმასაც ვფიქრობ, ჩემთვის რომ მოეთხოვა ქმარს სახლში დაჯექო, შევძლებდი?! ქალი ხომ აუცილებლად ოჯახს გარეთაც უნდა საქმიანობდეს. ამით ის ოჯახს ყურადღებას არ აკლებს. ჩემი აზრით, მე ჩემს შვილებს უფრო მეტ დროს ვუთმობ, ვიდრე შვილების გაზრდის მოტივით სახლში ჩამსხდარი ქალები. იდეალური ქალი ცოტა მკაცრი უნდა იყოს, საკუთარი თავი უყვარდეს, თავს მიხედოს, რომ სასურველი იყოს ქმარ-შვილისა და გარეშემო მყოფთათვის. მე ხშირად ვეკითხები რჩევას შვილებს – როგორი უფრო მოვწონვარ, ანუ ვცდილობ მოვიქცე ისე, როგორც იქცეოდა მამაჩემი, რომელთანაც არასდროს კონფლიქტი არ მქონია, მაგრამ მქონდა მისი რიდი და გამოხედვით ვხვდებოდი, თუ როგორ ავასებდა ჩემს საქციელს.

ქალისა და კაცის სპეციფიკურ პრობლემებს ვერ გამოვყოფ. თუმცა ამ ბოლო ათწლეულებმა დაგვანახა, რომ ქალბატონებმა უფრო მოახერხეს გარდაქმნა და სხვა ცხოვრების რიტმზე გადასვლა, ვიდრე მამაკაცებმა. ოთხმოცდაათიან წლებში მომრავლდა მამაკაცების ინფარქტით გარდაცვალების შემთხვევები, რადგან კაცებს უფრო გაუჭირდათ „გადასხვაფერება“, ვიდრე



ქალებს. კაცები არ კადრულობენ ნაკლებად რესპექტაბელურ საქმეს, ვიდრე წინათ ჰქონდათ. ქალებმა კი სრულად იტვირთეს ოჯახის პრობლემის მოგვარება. ბევრი ახლობლისგან გამიგია, ასლარიან სამსახურს სახლში ვიჯდე, მირჩევენიაო. არ არის სწორი გადაწყვეტილება, ასს მეორე ასი მოჰყვება, მაგრამ ასეთ მენტალიტეტს ისეთი თვისებები უნდა, ჩვენთან რომ ნაკლებად აქვთ. მიუხედავად ამისა, კაცები უფლებების გათანაბრებაზე უარს აცხადებან. მე ყველაფერში ვგრძნობ თანასწორობას ჩემს ქმართან: თანხის განკარგვა იქნება ეს თუ აზრის გათვალისწინება. როცა ქმრის გვერდით ვარ, აბსოლუტურად მისი თანასწორი ვარ უფლებითაც და მოვალეობითაც. გენდერული თანასწორობა ურთიერთობის კულტურას ემყარება და ამას განათლება განაპირობებს. ჩემს მაგალითზე გეტყვით: თანამშრომელ კაცებთან ურთიერთობა იმაში მაჯერებს, რომ ქართველი კაცისთვის ქალი ჯერ კიდევ „თოჯინაა“; კი, შეასრულებენ დავალებას, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ უფროსის განკარგულებაა, თორემ სულაც არ ფიქრობენ, რომ რამე საჭიროს ვეუბნები. მინდა, რომ საქართველოში დისკუსიის მცოდნე საზოგადოება ჩამოყალიბდეს, კონსენსუსამდე მისვლისა და არჩევანის უნარი რომ ექნება, ისეთი. საზოგადოება უნდა გარდაიქმნას. დეიდამვილამიდაშვილობის ინსტიტუტი უნდა აღმოიფხვრას. ერთსაც დავამატებ – ქალსა და კაცს შორის უფრო შედგება დისკუსია, ვიდრე მხოლოდ კაცებს შორის. ქალს სინამდვილის ამოცნობისა და რამდენიმე საქმეზე ერთდროულად ფიქრის მეტი უნარი აქვს. ასეა ოჯახშიც და ასე იქნება პოლიტიკაშიც. აუცილებლად უნდა არსებობდეს საპარლამენტო ქვოტა. ნუ იქნება ორმოცდაათი ორმოცდაათზე, იყოს ორმოცი სამოცზე, ეს საქმეს აუცილებლად წაადგება.

# პირველობა – ჩემი ცხოვრების მოთხოვნება

ნანა მუხარებელი – *არქიტექტორი*  
დაბადების დღე – *28 დეკემბერი*



„ყველა ქალს უნდა ჰქონდეს  
თავისი ჩამოყალიბება და ამაში მას  
ოჯახი უნდა უხმარებოდეს...“

ჩემი პროფესიის არჩევანში არავინ ჩარეულა. პოლიტიკური ინსტიტუტში ძალზე იოლად მოვხვდი. პირველობა ჩემი ცხოვრების მოთხოვნა იყო და საგამოცდო სიაშიც პირველი აღმოვჩნდი. ინსტიტუტში ბევრი ახალი რამ გავიგე და ვისწავლე, თუმცა, ვისურვებდი, მეტი მიმეღო. დიპლომზე მუშაობისას მერაბ გაგნიძის სახელოსნოში აღმოვჩნდი და მივხვდი, რომ არაფერი ვიცოდი არქიტექტურაზე, რომ კიდევ ბევრი მქონდა სასწავლი და სანახავი. იქ, ჩემს მომავალ მეგობრებთან, ვნახე რა არის ესკიზის, მაკეტის კეთება. მეხუთე კურსზე პირველად დავექირდი, რა საინტერესო პროფესია ამირჩევია, რა კარგი ყოფილა არქიტექტურა.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა „არქიტექტურაში“ დავიწყე. ოთხი წელი ვიმუშავე, თავიდან – არქიტექტორად, შემდეგ დირექტორებმა ჩემი „გამოუსწორებელი“ მოწესრიგებულობა შეამჩნიეს და ჩემი სამენეჯერო მონაცემების განვითარებაც იქ დაიწყო.

ძალიან საინტერესო იყო პედაგოგიური გამოცდილებაც – ხაზვას ვასწავლიდი თბილისის 111-ე საშუალო სკოლაში. სასაცილო ხელფასის მიუხედავად, ბავშვებთან მუშაობა ძალიან რთული, თუმცა საინტერესო იყო ჩემთვის.

იყო დრო, მეგობრებთან ერთად შეკვეთით სარეკლამო წარწერებსაც ვაკეთებდი. 90-იანი წლები, ჩემი სტუდენტობის ხანა, ყველასთვის ძალიან რთული იყო.

2002 წელს ჩემთვის საბედნიერო შემთხვევის წყალობით, კომპანია „არსში“ მოხვდი. ამ დროს კომპანიაში ერთი დამკვეთი მოვიდა, რომელსაც იმერეთში საცხოვრებლის აშენება უნდოდა. სახლი აუცილებლად ქართული, მაგრამ თანამედროვე უნდა ყოფილიყო. თანამედროვე იმერული ოდა ურთულესი ამოცანაა არქიტექტორისთვის. ინსტიტუტში ქართული საცხოვრებლის არქიტექტურა თითქმის არ გვისწავლია. ავიღე ფოტოაპარატი და თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ავიღე. 4 თვე ვიღებდი. ფოტოები კარგი გამოვიდა. თანდათან დავინახეთ ის, რაც სჭირდებოდა დამკვეთს და იმერული ოდის პროექტიც თანდათან დაიხატა. მაშინ მივხვდი, რომ რაღაც ძალიან დიდი დევს ტრადიციულ ქართულ საცხოვრებელში.

„არსშივე“ დაიბადა იდეა, რომ ამ თემას წამოწევა და დაფასება სჭირდება, რადგან ქართველებს ნამდვილად გვაქვს საამაყოდ საქმე – ტრადიციული სიმღერის, ცეკვის და სხვა დარგების გვერდით საცხოვრებლის არქიტექტურაც ძალიან მდიდარი და თვითმყოფადი გვაქვს... და დაიბადა პროექტი „ქართული სახლი“.

ტექნიკურ უნივერსიტეტში არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის მოვამზადეთ სასწავლო კურსი ქართული ტრადიციების შესახებ. კურსი არ იყო აკადემიური და ოთხ თემად იყოფოდა: ზოგადად – ტრადიციის რაობა, ქართული საცხოვრებლის ტრადიციები, არქიტექტურული ტრადიციის განვითარების უცხოური მაგალითები და ქართული ტრადიციების განვითარება ხელოვნების სხვა სფეროების მაგალითებზე (ცეკვა, მუსიკა, ტანსაცმელი და სხვ.). ლექციებს მოწვეული პროფესიონალები კითხულობდნენ – ყველა თავის სფეროში. კურსმა სტუდენტების დიდი ინტერესი გამოიწვია.

კიდევ ერთი იდეა გაჩნდა: უკვე ორჯერ ჩავატარეთ კონკურსი „ქართული დიზაინი“, რომლის მიზანიც შემოქმედებითი აზროვნების სტიმულირებაა. კონკურსანტები იღებდნენ ძველ ქართულ ტრადიციულ ელემენტს (როგორც იდეის პირველწყაროს) და მისი განვითარებით თანამედროვე ქართული პროდუქტის პროექტებს ქმნიდნენ. პირველ წელს 30 ნამუშევარი იყო, მეორე წელს უკვე – 61. დაინტერესება აქაც დიდია.

შემდეგ გაჩნდა კიდევ ორი მიმართულება: მთიანი აჭარის არქიტექტურა და ხევსურეთში, შატილიდან 13 კილომეტრში მდებარე მუცოს უნიკალური კომპლექსის რეაბილიტაცია.

ორჯერ მოვაწყვეთ ექსპედიცია მთიან აჭარაში აჭარული ტრადიციული სახლის დასაფიქსირებლად. ასევე ორჯერ ვიმუშავეთ მუცოში (პირიქითა ხევსურეთი): პირველად „არსისა“ და „თიბისი ბანკის“ დაფინანსების მეშვეობით ავზომეთ ეს მართლაც უნიკალური კომპლექსი, რომელიც დღესაც ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და შველას საჭიროებს. მეორედ, 2008 წელს, კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში დავამუშავეთ მუცოს რეაბილიტაციის პროექტი.

2009 წლიდან „ქართული სახლი“ „არსისგან“ დამოუკიდებლად განაგრძობს მუშაობას. ექვსწლიანი თანამშრომლობის შემდეგ „არსმა“ გადაწყვიტა ჩვენი საკუთარ ასპარეზზე გაშვება. იმედი მაქვს, „ქართული სახლის“ დამოუკიდებელ ცხოვრებაში ყველაფერი კარგად წარიმართება...

ჩემი აზრით, ყველა ქალს უნდა ჰქონდეს კარიერა და ამაში მას ოჯახი უნდა ეხმარებოდეს. თავს კარგად ვგრძნობ მაშინ, როცა ჩემს საქმეს ვაკეთებ, თუმცა ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა მაინც ჩემი ოჯახია. ჩვენი სამი წლის შვილი ნიკო ჩემი და ჩემი მეუღლის საუკეთესო „პროექტია“. რაც უნდა ვაკეთო, რასაც უნდა მივადწიო, შვილებზე უკეთესს მაინც ვერაფერს შევქმნი.

იყოს წარმატებული თავის საქმეში – შეუძლია როგორც კაცს, ასევე – ქალს. იყოს კარგი დედა – მხოლოდ ქალის პრეროგატივაა.

ქალმაც და მამაკაცმაც რაღაც უნდა დატოვონ თავიანთი ცხოვრების შემდეგ. თუ ეს შვილების აღზრდაა – მშვენიერია, თუ ამას კარიერაც ემატება, იდეალურია.

# ეს საუხუნე ქალის საუხუნეა

**მანია მიქაბერიძე – ლოტბარი,**

**შოთა რუსთაველის თეატრალური**

**უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი**

**ღაბაღიზის დღე – 5 დეკემბერი**



„ისეთი საქმეა ეს დალოცვილი  
სიძღვრა. ზომ ყველაფერს  
საყუთოს ნაშბოაჩენს“.

ძართულ ფოლკლორს ვემსახურები. სხვა პროფესიაზე არც მიოცნებია. ეს იყო, რაც მინდოდა მთელი გულითა და სულით. თითქოს ბუნებრივად წამოვიდა ყველაფერი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ორი ანსამბლი ჩამოვყალიბე: „საგალობელი“ და „მანდილი“. „მანდილში“ გოგონები მღერიან.

ტრადიციული ოჯახი გვაქვს, ჩვენთან ყველა მღერის. ჩვენს ოჯახში ყოველთვის საინტერესო ხალხი იკრიბებოდა, მამას მეგობრები: ჰამლეტ გონაშვილი, ანზორ ერქომაიშვილი. მამა, რამინ მიქაბერიძე თავადაც მუსიკოსია, ანსამბლ „რუსთავის“ სოლისტი, ჰამლეტ გონაშვილის უცვლელი პარტნიორი, ანსამბლ „მართვეს“ ერთ-ერთი დამაარსებელი ანზორ ერქომაიშვილთან ერთად. ჩვენს ოჯახში ძალიან საინტერესო საღამოები იმართებოდა, რასაც მოჰყვებოდა ქართული სუფრა და ეს კიდევ უფრო საინტერესო იყო. ამას ყველაფერს ვუყურებდი და ვუსმენდი პატარაობიდან.

ანსამბლ „მართვეში“ ექვსი წლისა მიმიყვანეს და ერთადერთი გოგონა ვიყავი. ჩემზე ბევრად უფროსი, 15 წლის ბიჭები იყვნენ, მაგრამ ძალიან თბილად მიმიღეს. დღესაც იხსენებენ, პირველად როგორი კაბა მეცვა და როგორ ვიქცეოდი. მაშინ კრიმანჭულის შემსრულებელს ეძებდნენ და ვერ ნახეს. ანზორ ერქომაიშვილს ჩემი სიმღერა მოსმენილი ჰქონდა და ამიტომაც მიმიყვანა „მართვეში“. ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები იყო და ახლაც ერთი ოჯახივით ვართ. „მართვე“ დღესაც მოქმედი ანსამბლია და მას ჩემი მეგობარი ხელმძღვანელობს.

ანსამბლი „საგალობელი“ და „მანდილი“ იმავე ტრადიციების მიმდევარია, რასაც ჩვენი წინაპრები მიჰყვებოდნენ. ვასწავლი ქართულ ხალხურ სიმღერასა და გალობას. რაც მთავა-

რია, ბავშვები ქართულ ფესვებთან ახლოს არიან. გულს უხარია, როცა მათ ვუყურებ. ცოტა თავისუფალი დრო რომ აქვთ, ცდილობენ იმღერონ, ერთმანეთს გაუზიარონ აზრები. ერთი ოჯახივითაა ეს დიდი ანსამბლი. ასე მგონია, რომ ყველა ჩემი შვილია და მომავალს იმედინად ვუყურებ, რადგან ისეთი საქმეა ეს დალოცვილი სიმღერა, რომ ყველაფერს საუკეთესოს წარმოაჩენს.

ვგალობთ სამების საკათედრო ტაძარში პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. გასტროლებზეც დავდივართ უცხოეთში: ვიყავით ეგვიპტეში, თურქეთში, 2-ჯერ – გერმანიაში, მიწვეულები ვართ ესპანეთშიც...

შოთა რუსთაველის თეატრალური უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტზე ტრადიციული სიმღერისა და გალობის პედაგოგადაც ვმუშაობ.

ჩემთვის პროფესიაში არაფრით შეუშლია ხელი ჩემს ქალობას, პირიქით, უფრო მეტ ძალას მაძლევდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ გვერდით მეგულება დიდი მეგობარი მეუღლის სახით; რომ არა მისი მხარდაჭერა, ვერ შევძლებდი ოჯახის პარალელურად მეკეთებინა ჩემი საყვარელი საქმე.

ძნელია დაკონკრეტება, თუ როგორია იდეალური ქალი, მაგრამ ქალი აუცილებლად უნდა იყოს რეალიზებული. დედისათვის შვილების აღზრდა ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ სასურველია მათთვის ცოცხალი მაგალითი იყო. სიტყვით შეიძლება იმდენი ვერ ასწავლო, რამდენიც საქმით დაანახო. ქალები უფრო ამტანები, პროდუქტიულები არიან, ანალიზის მეტი უნარი აქვთ, შეუძლიათ ლავირება. ეს საუკუნე, მგონი, ქალის საუკუნეა. ვფიქრობ, ქალებს უფრო მეტი შეუძლიათ, ახლანდელი მამაკაცები კი ცოტა დათრგუნულები არიან. შესაძლოა ეს ომების ბრალია. ქართველი მამაკაცის მენტალიტეტისთვის ადვილი არ არის მეორე პლანზე ყოფნა. ახალგაზრდა თაობა უკვე მიზანიმართულად აკეთებს ყველაფერს.

ჩემი ყველაზე დიდი ტიტულია ის, რომ ხუთი შვილის დედა ვარ. ოჯახის ტრადიციებს ვაგრძელებ. ვცდილობ მომავალ თაობას სწორი მიმართულება მივცე. ჩემს ხელში გამოიარა 2000-ზე მეტმა ბავშვმა, ზოგიერთმა სიმღერა პროფესიად აირჩია. მათ შოთა რუსთაველის თეატრალური უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტზე ტრადიციულ სიმღერასა და გალობას ვასწავლი.

აი, ეს არის ჩემი ბედნიერება. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და ვფიქრობ, მომავალში ამაზე უკეთეს ვერც გავაკეთებ ვერაფერს.

# To be a Women



**რუსუდან მათი – ხელოვნებათმცოდნე,  
„ნიუ არტ გალერეასა“ და  
„ნიუ არტ ქაუნს“ დირექტორი  
დაბადების დღე – 21 ნოემბერი**



„ქალი ყოფაში ღოპინანცია  
თაჟისი სიძლიერითა და ფუნქციით.  
სძიოდ ის ყფო ინტელექტუალურიცა,  
ყფო ეახსნილი. მეგამ დასეჭი დღედ  
ამ აღიაოქუნ ამას“.

12 წლის წინ არასამთავრობო ორგანიზაცია „NEW ART“-ი დავაფუძნე. ჩვენი საქმიანობა თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციასა და განვითარებაზე ორიენტირებული. წლების განმავლობაში ვმუშაობთ სხვადასხვა საერთაშორისო, რეგიონალურ და ადგილობრივ პროექტებზე, ვაკეთებთ გამოფენებს საქართველოსა და უცხოეთში. გვაქვს ელექტრონული და ნაბეჭდი პუბლიკაციები. ჩვენს ბაზაზე მოქმედებს სახელოვნებო და ლიტერატურული სახელოსნოები. დავაფუძნეთ ლიტერატურული კონკურსი „ალუბლობა“, რომელსაც ყოველწლიურად ვატარებთ.

პროფესიით ხელოვნებათმცოდნე და კრიტიკოსი ვარ, ჩემი ძირითადი საქმიანობა კურატორული პრაქტიკაა, სხვადასხვა არტპროექტებისა და გამოფენების მოწყობა, ხოლო ძირითადი მიმართულება – თანამედროვე მედიახელოვნება, რომელშიც დღესდღეობით ქალები და მამაკაცები თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი. ერთგვარი ტენდენციაა, რომ ქართველი არტისტებისთვის ტრადიციულ-კლასიკური განათლება ძირითად ბაზის წარმოადგენს და ამავდროულად ბევრი მათგანი სწორედ პერფორმანსში, ინსტალაციაში, ფოტოგრაფიასა და ვიდეოარტში მუშაობს. ამ მიმართულებით გენდერული და პროფესიონალური ბალანსი საკმაოდ პარიტეტულია. არაერთი საინტერესო თანამედროვე მხატვარი ქალი მუშაობს მედიაარტში და წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა გამოფენაში საქართველოსა და უცხოეთში.

გენდერული პრობლემები, რა თქმა უნდა, არსებობს, ეს ჩვენი სამწუხარო რეალობაა. ქალი ყოფაში დომინანტია თავისი სიძლიერითა და ფუნქციით. ხშირად ის უფრო ინტელექტუალურიცაა, უფრო გახსნილი, მაგრამ კაცები დღემდე არ აღიარებენ ამას.

ერთმა შევიცარიელმა არტისტიმა ქალმა, ფრენსის ბელსლერმა, რომელიც საქართველოში იყო ჩამოსული, თქვა ასეთი რამ: საქართველოში ბევრად უფრო საინტერესოა ურთიერთობა ქალებთან, ვიდრე მამაკაცებთანო. როდესაც ეს ერთ ქართველ „ტრადიციულად აღზრდილ“ მამაკაცს ვუთხარი, გაუკვირდა, მაგრამ როცა არგუმენტები მოვუყვანე და გვერდიდან დავანახე საკუთარი თავი, მისი ინერტულობა, ფსევდობაქიაობა, არაობიექტურობა და არაგულწრფელობა, დამეთანხმა.

ქალი დღეს ბევრად უფრო გახსნილია მენტალურად. ჩემი უცხოელი მეგობრების ყოფაში წყვილები თანაბრად ინაწილებენ ყველა საქმეს. ჩვენში ქალის საქმე და კაცის საქმე სტერეოტიპია, რომელიც გარღვევადია. ძალზე მაღიზიანებს მიმართვა - „ქალო“. ეს ასოციაციურად მაგონებს ცნობილ გამონათქვამს საბჭოთა ფილმიდან „საბაკა დრუგ ჩელოვეკა“.

უმეცრება და გაუნათლებლობა, განურჩევლად სქესისა, არის ადამიანის ინტელექტის ძირითადი და მნიშვნელოვანი პრობლემა. დღეს ჰარმონია დაკარგულია. როცა მამაკაცი ქალს სცემს პატივს და ქალსაც შენარჩუნებული აქვს ღირსება, გვყავს ორი მოდერატორი. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის კარგი ილუსტრაციაა ცეკვა. ცეკვით ურთიერთობას სწავლობ. მაგალითად, ტანგო აბსოლუტურად დემოკრატიული ცეკვაა გენდერული თვალსაზრისით, პარტნიორები ღირსებითა და ურთიერთპატივისცემით არიან განმსჭვალულნი ერთმანეთის მიმართ. თავის დროზე ტანგო მეძაგების ცეკვა იყო, მაგრამ ახლა ელიტურად იქცა. ეს არის ცეკვა, რომელიც უნდა იცეკვო მხოლოდ. ცუდ ტონად ითვლება ის, რომ ქალი და მამაკაცი, რომლებმაც ერთად იცეკვეს ტანგო, ერთად გავიდნენ კლუბიდან. ეს ერთგვარი ინსპირაციაა.

პროსტიტუციის ლეგალიზაციის მომხრე ვარ. მეძაგებისათვის ეს პროფესიაა, მაგალითად, ჰოლანდიაში. ბევრ მათგანს მოსწონს კიდევ ეს საქმიანობა და საკუთარი სურვილით, აბსოლუტურად შეგნებულად ირჩევს მას. ამიტომაც ეს უფლება მათ უნდა შეუნარჩუნდეთ. ეს არის მარადიული პროფესია, კაცებიც არიან პროსტიტუტები. თუ პროსტიტუცია ლეგალიზებული იქნება, ადამიანი დაცული იქნება.

არც არაჯანსაღი რადიკალიზმისა და ფანატიზმის მომხრე ვარ. ამას წინათ ბაქოში ჩატარდა ქალთა საერთაშორისო გამოფენა და არტ ფორუმი *To Be a Women*. მასში მეც მივიღე მონაწილეობა, როგორც კურატორმა. წარვადგინე პროექტი „ჩემი კოლეგა“, რომელშიც ექვსმა ქართველმა მხატვარმა ქალმა მიიღო მონაწილეობა. სპეციალურ კონფერენციაზე ერთ-ერთმა ნორვეგიელმა მხატვარმა წარმოადგინა არქიტექტურული პროექტი – სახლი მარტოხელა დედებისა და მათი ვაჟიშვილისთვის. მიუხედავად იდეისა და ფუნქციონალურობის კონცეპტუალური გადაწყვეტისა, ნამუშევარმა, ცოტა არ იყოს, სარკასტული გრძნობები გამოიწვია ჩემში, რადგანაც, ფაქტობრივად, მისი პროექტი ფროიდისტული პანსიონატის შთაბეჭდილებას ტოვებდა ოიდიპოსის კომპლექსით შეპყრობილი დედებისათვის, განმსჭვალული იყო იზოლირებისა და მოზარდის საკმაოდ დიდი უზურპირების სულით. ზოგჯერ მგონია, დასავლეთში იმდენად მექანიკურები გახდნენ, რომ ფანატიზმში გადავარდნენ. იუმორის გრძნობაც კი დაკარგეს. ჩემი აზრით, ყოველი „იზმი“ ბოლოს ჩაკეტილ რადიკალიზმად გარდაიქმნება და თავის ორგანულ სუბსტანციას კარგავს, მათ შორის – ფემინიზმიც.



სექსუალური აღზრდა-განათლება აუცილებელია. რამდენიმე წლის წინ ბუნტი გამოიწვია გამომცემლობა „დიოგენეს“ ბროშურამ სექსუალური აღზრდის შესახებ. საზოგადოება არ აღმოჩნდა მზად. არადა, ადამიანმა უნდა იცოდეს თავისი სხეული. როდესაც იგი არაა ინფორმირებული საკუთარი სხეულის შესახებ, ფსიქოტიპი არასწორად ყალიბდება.

რელიგიური საკითხებიც პრობლემატურია ბევრი მიმართულებით. ეს ძალზე ინტიმური საკითხია. რელიგია არ უნდა იქცეს ინსტიტუციონალური ზეწოლის, ძალადობის იარაღად. ხშირად სარწმუნოებრივი ინსტიტუცია (და არ აქვს მნიშვნელობა რომელი) შორს დგას რწმენისაგან. რელიგია ამ ეტაპისთვის საბაზრო-სავაჭრო ფაქტორად გახადეს ჩვენთანაც. ათეისტი ადამიანი, რომელიც ჩვეულებრივი კეთილსინდისიერი მოქალაქეა, არანაკლებ იცავს მორალურ კატეგორიებს, ალტრუისტიც არის და ქველმოქმედიც, რით არის ცუდი? მორწმუნე ადამიანი ვარ, მაგრამ რიტუალური არა, ღმერთთან მისასვლელი გზა ყველამ თავად უნდა შეარჩიოს. ადამიანი თავისუფალია ამ არჩევანში.

ჩემთვის დედამიწაზე უზენაესი მართვის საშუალება კანონია, რომელიც ყველაფერს უნდა არეგულირებდეს. რელიგია ძალზე მნიშვნელოვანია ერისთვისაც და ბერისთვისაც, მაგრამ ის სუბიექტური ფაქტორია. კანონი ჭეშმარიტებას უნდა ეფუძნებოდეს, ჭეშმარიტება კი ერთია, თუ სიმართლე და ჭეშმარიტება ერთი ადამიანის მხარეზეა, ის უმრავლესობაა.

ჩემი თვითმიზანი არ არის გამდიდრება და არც ქველმოქმედებაა ძირითადი არსი. მუშაობა ჩემი სუბიექტური სურვილია და დიდი აზარტიც, აზარტი იმისა, რომ საქმე, რომელსაც ვაკეთებ, მუდმივად იყოს და ვითარდებოდეს.

ქველმოქმედება იმდენად ჩვეულებრივია, რომ არც ვფიქრობ მასზე – ვაკეთებ იმდენს, რამდენის გაკეთებაც შემიძლია. ჩვენთან ქველმოქმედების კულტურა განუვითარებელია. სისტემა არ არის, ფული არ არის. თუ შენ ჯიბეში გიდევს ბოლო 50 თეთრი და ის მათხოვარს მიეცი, არა მგონია, რომ კარგად მოიქეცი. სიღარიბის ბალანსი ამით ვერ გამოასწორე, სამყაროში გაჭირვებული ადამიანი იმავე რაოდენობით დარჩა. ეთიკური თავგანწირვა კი უკვე სიმამაცისა და დიდსულოვნების საკითხია.

ვინ იცის, რა სჭირდება ადამიანს და როგორ უნდა დაეხმარო მას რეალურად?

# ქალი ოჯახში მშვიდობის გარანტია

●  
**ლელა რაზიკაშვილი – ჟურნალისტი,  
ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის  
დირექტორი  
დაბადების დღე – 26 აპრილი**



„ქალი, რომელმაც იცის თავისი  
წილი სიზოვადოქაში, საყუთაო  
ოჯახში მშვიდობის გაზიარება“.

შპშ მეოთხე წელია, რაც ვაჟას სახლ-მუზეუმის დირექტორად ვმუშაობ ჩარგალში. ვფიქრობ, მე დავუდე საფუძველი იმას, რომ ამ დღესასწაულზე არა მხოლოდ ვაჟას ვიხსენებთ, არამედ მისი თანამედროვე ყოფის სურათებსა და რიტუალებსაც ვაცოცხლებთ ხოლმე. ყოველთვის ვცდილობ, რაღაც ახალი შევიტანო ვაჟაობის დღესასწაულში, ეს არის ლუდის მოდულების, დოდის, მიზანში სროლის, ქართული ჭიდაობის ტრადიცია, ის, რაც ვაჟას თანამედროვე ცხოვრებაში ხდებოდა. ეს ძალიან მომგებიანი გახდა, შეუყვარდა ხალხს და რაც დრო გადის, მით უფრო მეტი ტურისტი, ვაჟას მეტი თაყვანისმცემელი და სანახაობის მოყვარული დადის ამ ღონისძიებებზე. თავის მხრივ ეს ღონისძიებები ემსახურება იმას, რომ ხალხში გავრცელდეს სურვილი გარემოს სილამაზის შეცნობისა, რათა რაც შეიძლება მეტი სტუმარი მოვიზიდოთ მუზეუმში, რაც მისი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია.

ვცდილობთ, შემეცნებითი კუთხით გავზარდოთ და განვავითაროთ საქმიანობა მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთული პერიოდია საქართველოში. მუშაობაში მეხმარება ჩემი ძმა, ზაზა რაზიკაშვილი, რომელიც ერთ-ერთი ძლიერი სამშენებლო კომპანიის პრეზიდენტი და, პრაქტიკულად, საქველმოქმედო საქმიანობიდან დაწყებული, ფილმების გადაღებით დასრულებული, ყველაფერს მისი მხარდაჭერითა და დახმარებით ვაკეთებ. ჩემი მხრივ, ჩემი ძმის კომპანიას

კონსულტაციას ვუწევ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, ეს ჩემი საქმიანობის კიდევ ერთი მხარეა.

სახლ-მუზეუმის დირექტორის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზების გარდა ვმუშაობ ვაჟს ახალ გამოცემებსა და უცხოენოვან თარგმანებზე. მიმაჩნია, რომ ქართველი ერის ნიჭისა და პოტენციალის მეშვეობით უნდა გავჭრათ ფანჯარა და ევროპამ და მთელმა კაცობრიობამ გაიგოს ჩვენი იდეალების, შემოქმედების შესახებ, ქართველი ერი თავის ფუნქციითა და მასშტაბებით კაცობრიობის საკუთრებაა და ვაჟაც, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მათგანია. 1961 წლის შემდეგ, როდესაც ვაჟა-ფშაველა მშვიდობის მსოფლიო საბჭომ აღიარა, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედი, საქართველოში იძულებულები გახდნენ ფართო მასშტაბით აღენიშნათ ვაჟა-ფშაველას ასი წლისთავი და მას შემდეგ დამკვიდრდა დიდი სახალხო დღესასწაული „ვაჟაობა“. ვაჟასადმი ქართველი ერის სიყვარული ამ ერთ დღეს, ვაჟაობაზე იყრის ხოლმე თავს ვაჟას სოფელ ჩარგალში, სადაც მას იხსენებენ და ბევრი ღონისძიებაც ტარდება.

ჩემს საქმიანობაში გენდერული პრობლემების წინაშე არასოდეს დავმდგარვარ, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, ხდება ისე, რომ სოციალური ფუნქციის თვალსაზრისით, ქალი მამაკაცზე უფრო მეტად დატვირთულია. ჩემი ცხოვრების მაგალითზე მოგახსენებთ: როცა ჩემს მეუღლეს ან ცოდნა არა აქვს საკმარისი ან სიზარმაცის გამო რაღაცის მოგვარება არ უნდა, ამის გამო კონფლიქტს არ ვქმნი და ვაგვარებ ყოველთვის მე – ნებისმიერი სახის საყოფაცხოვრებო პრობლემა იქნება ეს თუ ფინანსური. ზოგჯერ ჩემი აქტიურობისა და პროფესიის გამო უფრო მეტი შემოსავალი მაქვს და თუ არის გენდერული ბალანსი დარღვეული, დარღვეულია ჩემს სასარგებლოდ. ბევრი მინახავს ასეთი ოჯახი, უფრო – სოფლებში. მაგრამ მაინც მგონია, რომ საქართველოში ნაკლებად დგას გენდერული პრობლემა.

საქართველოს პარლამენტში ქალი არა მხოლოდ გენდერული თანასწორობის, არამედ ფუნქციური თვალსაზრისითაც არ არის წარმოდგენილი ისე, როგორც უნდა იყოს. ახლა ძალიან ცოტა ქალია იქ. როგორც აღვნიშნე, საქართველოში გენდერული თანასწორობა თუ ირღვევა, ხშირად – ქალის სასარგებლოდ. ქალს უფრო მეტი ფუნქცია აქვს, ზოგჯერ ოჯახში შემომტანიცაა. ამ ფონზე, როდესაც გაზრდილია ქალის ფუნქცია, ქალის წონა, მისი წარმომადგენლობაც გაზრდილი უნდა იყოს პარლამენტში. ქალს შეუძლია შეცვალოს კიდევ სიტუაცია, როდესაც ძალიან კრიტიკული სიტუაციები და მწვავე დებატებია. ასეთ შემთხვევაში ქალი განსაკუთრებულად გაწონასწორებულია. ქართული ტრადიციაც ისეთია, რომ მანდილს შერიგების ფუნქცია აქვს და იგი აუცილებლად შეუწყობს ხელს დაპირისპირებული მხარეების პოზიციების დაახლოებას. პარლამენტში ნამდვილად დარღვეულია ბალანსი, შეიძლება ეს არ ხდება შეგნებულად, უბრალოდ, ეს ხდება პროცედურულად, შეიძლება ქალები ნაკლებად აქტიურობენ... მაგრამ ეს გამოსწორებადია და გამოსწორდება კიდევ.

იდეალურ ქალს მხოლოდ თავისი ფუნქციები, მათ შორის, სოციალურიც, უნდა ჰქონდეს. ძირითადად დაკავებული უნდა იყოს შვილების აღზრდით, მათი ყველა ნაბიჯის (კარგი გაგებით) გაკონტროლებით, დარჩენილ დროს სოციალურ-კულტურულ აქტივობებში უნდა ჩაერთოს და შესაბამისი წვლილი შეიტანოს. ასეთია, ჩემი აზრით, იდეალური ქალის ტიპი. ქალი, რომელმაც იცის თავისი როლი საზოგადოებაში, თავის ოჯახში მშვიდობის, სტაბილურობის გარანტს წარმოადგენს, მისი ფუნქციაა შვილების აღზრდა, ოჯახში სიმშვიდის შენარჩუნება და მისი მოფრთხილება.

ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, რომ რამეს მივალწიე, მაგრამ ყველაზე საოცნებო საქმიანობა ჩემთვის ის იქნება, რომ ეკონომიკურად მომეცეს საშუალება, მცირედით მაინც ვემსახურო ვაჟას იდეალებს, გამოვცე მისი წიგნები, გავმართო ლონისძიებები, რათა მთელს მსოფლიოს გავაცნო ვაჟა. მინდა მთელი ჩემი სახსრები მოვახმარო იმას, რომ ამ გენიალურ ადამიანს, მის გენიალურ აზრებს გავუხსნა გზა მსოფლიოში. ამის შემდეგ ჩავთვლი, რომ რალაცის გაკეთება შეეძელი. მსოფლიოში ძალიან ბევრმა იცის, რომ ჰამლეტი შექსპირის ნაწარმოების გმირია. ხოლო ვაჟა-ფშაველას არცერთი გმირი არც ღირსებით, არც სინდისით, არც აზრებით არ ჩამოუვარდება ჰამლეტს და ვფიქრობ, რომ თუ მსოფლიო მათ გაიცნობს, ძალზე შეიყვარებს. სულ მალე ვაჟას ფრანგულენოვანი თარგმანი გამოვა.

ქალის შრომა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ბევრ ქვეყანაში ძალიან ხშირად დაუფასებელია. ბიოლოგიურად ქალს მამაკაცზე უფრო მეტი ენერჯია აქვს. იმ საქმის გაძღოლა, რასაც ქალი უძღვება, ბევრ მამაკაცს უჭირს. ძალიან კარგია, რომ გახშირდა ისეთი პროექტები, რომელიც საქმიანი ქალის როლის, მისი სილამაზის წარმოჩენას უწყობს ხელს. ვფიქრობ, რომ ისეთი სახის ფილმები, გადაცემები თუ პროექტები, სადაც ხდება ქალების, მათი როლის, მათი ბუნების სილამაზის წარმოჩენა, დიდი სტიმულია თითოეული ქალისთვის. ჩემი აზრით, ამგვარი წიგნის შექმნის იდეა არაჩვეულებრივია და მას წარმატება გარანტირებული აქვს.

# გოგო, როგელიც ქვიშით ხატავს

ნანა რევაზიშვილი – მხატვარი  
ლაბაღების დღე – 15 აპრილი



„ფიქრობ, ადამიანი ყველა ჯიუცად  
უნდა მიიწვიოს დასახული მიზნისაკენ და  
მოცა მიყახლოვდეს. ამ უნდა შეძინდეს.  
ყველა დასჯას ანაჲს ჯიუცად“.

ბავშვობიდან ვხატავდი ფანქრით, პასტით, ტუშით – ყველაფრით, რითაც კი შეიძლებოდა ხატვა. მომწონდა მიქელანჯელო თავისი ძლიერი ფიგურების გამო. მეც ადამიანის ფიგურის ხატვა უფრო მიყვარს, ვიდრე პეიზაჟის. მიმანია, რომ ქალი ლამაზი ქმნილებაა. ბავშვობის ნახატებში ისინი უფრო ზღაპრის გმირები იყვნენ, მინიატურულები და ყვავილებიდან ჩნდებოდნენ. შემდეგში მათ ძლიერი ფორმები, პროტესტის გამომხატველი, რაღაც უარყოფითთან საბრძოლოდ შემზადებული, მკაცრი გამომეტყველება შეიძინეს.

პატარა ვიყავი, ფეტვიაშვილის გამოფენაზე რომ მოვხვდი, ცოტა შემშურდა, გავშრი, ზოგ ნახატზე ვიხილე არსებები ჩემი ფანტაზიიდან.

გსწავლობდი მარიონეტებისა და გრემის გაკეთებას. ის პერიოდი თეატრებში, საგრემორობებში, ხელოვანთა გარემოცვაში გავატარე. დღეს ეს საზოგადოება ძალიან მაკლია.

პატარა რომ შემეძინა, სწავლის შეწყვეტა მომიხდა. ალბათ ქალი როცა დედა გახდება, ეს კი მისთვის მნიშვნელოვანი მისიაა, საყვარელ საქმიანობაზე უარს უფრო იოლად ამბობს, ვიდრე მამაკაცი. ვფიქრობ, ხელოვანი მამაკაცი თავის საყვარელ საქმეს ოჯახის გამო არ დათმობს.

ცნობილ მხატვრებს ხომ ჰყავდათ ცოლები, საყვარელი ქალები, მაგრამ პირველ რიგში ისინი მხატვრები იყვნენ. ამას წინ ვერავინ და ვერაფერი უდგებოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ სწავლა გავაგრძელე ხელოვნების ინსტიტუტში, ახლა მხატვარ-დეკორატორი ვარ, თუმცა მინდოდა მოქანდაკე ან რესტავრატორი გავმდარიყავი. რაკი ბავშვს მარტო ვზრდიდი, დრო არ მქონდა მესწავლა ყველაფერი, რაც მინდოდა. მხატვარმა მამამაც, რომელიც ჩვენთან არ ცხოვრობდა, გამომიცხადა, რომ ქანდაკება ქალისთვის შესაფერისი პროფესია არ იყო და ამაზე დროის ხარჯვას აზრი არ ჰქონდა. ჩემზე ძალიან მოქმედებს სხვისი აზრი – კარგიც და ცუდიც, ამან დამაბრკოლა. ახლა ვფიქრობ, რომ ამ საუკუნისათვის საკმარისი თავდაჯერებულობა არ მაქვს.

საყვარელი საქმის კეთება ჩემთვის ძვირი სიამოვნება აღმოჩნდა. სასწრაფოდ სამსახური მჭირდებოდა, რომ ყოველი თვის ბოლოს გარანტირებული ანაზღაურება მიმეღო. ჩემი პატარა ბიჭი ვერ მოიცდიდა. ერთი, რაც შემეძლო, ის იყო, რომ სადაც მოვხვდებოდი, ყველგან ყველაფერს შემოქმედებითად ვუდგებოდი, ვაფორმებდი. დიდ ყურადღებას ვაქცევდი ვიზუალურ მხარეს. ერთ-ერთ ასეთ მორიგ მცირე ანაზღაურებად სამსახურში ფერად ქვიშას, სხვადასხვა ფორმის მინებს და გასაფორმებელ მასალას გადავეყარე, რისი დანიშნულებაც არც მყიდველმა და არც გამყიდველმა ზუსტად არ იცოდა, მეც არ ვიცოდი, მაგრამ დავაკვირდი, ექსპერიმენტები ჩავატარე და ბევრი საინტერესო რამ გამომივიდა. ამან მოწონება და და გოცებაც გამოიწვია უფროსობის მხრიდან, რასაც ყველა ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდი, მაგრამ ქვიშით ხატვა მაინც გავაგრძელე, რადგან ეს უკანასკნელი ბევრად საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. ჩემმა ნამუშევრებმა თავყანისმცემელები შეიძინა. ბევრ კომპლიმენტს ვიღებდი სრულიად უცხო ადამიანებისაგან და ეს იყო ჩემი ჯილდო. განსაკუთრებით მიხაროდა, თუ ეს ადამიანები ხელოვნების სფეროდან იყვნენ და ასეთი ბევრი იყო: მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები. მე მათ ყველას ვიცნობდი და პატივს ვცემდი. მართალია, ჩემი სახელი და გვარი არ იციან, მაგრამ მათ სახლებში ერთი თავისუფალი კუთხე ხომ შეავსო ჩემმა ნამუშევარმა და როცა ვინმე შეამჩნევს, დაინტერესდება: ქვიშით არის ნახატი? ისინი ეტყვიან: ხო, იქ ერთი გოგო იყო, ქვიშით ხატავდაო. ამის გაფიქრებაზე უცნაური გრძნობა და სახეზე არც ისე იოლად გამოსაცნობი ღიმილი მიჩნდება, ამას წარმატებას ვერ ვუწოდებ.

ჩემი კიდევ ერთი ოცნება მოგზაურობაა. იმედი მაქვს, განვახორციელებ, თუ ძალას მოვიკრებ და ოპტიმიზმით დავიმუხტები.

ვფიქრობ, ადამიანი უფრო ჯიუტად უნდა მიიწევდეს დასახული მიზნისაკენ და როცა მიუახლოვდება, არ უნდა შეშინდეს. უკან დახევას არავის ვურჩევ.

# მუსიკა საყოველთაო ენაა

●  
ია საკანდელიძე – მუსიკოსი,  
შოთა რუსთაველის სახელობის  
სახელმწიფო აკადემიური თეატრის  
მუსიკალური გამფორმებელი,  
საკატორიარქოს ტელევიზიის  
მუსიკალური გადასემების ავტორი  
დაბადების დღე – 22 სექტემბერი



„ჩვენთვის ძალიან დიდი ძალა აქვს.  
ამიტომ ყველა ზიზიოჭა უნდა ჰქონდეს  
ძეგნილი და მხოლოდ იმაზე ფიქრობდეს.  
ჭაქძეს ზა ვადასცეს“.

თბილისში დაიბადე. მამა, კარლო საკანდელიძე, ღვაწლმოსილი მსახიობია. შარშან რუსთაველის თეატრის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს. დედა, უორუეტა კობახიძე, ფრანგული ენის პედაგოგი იყო. ის ძალიან უყვარდათ თავის მოწაფეებს. სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფორტეპიანოს კლასი მანანა დოიჯაშვილის ხელმძღვანელობით დავამთავრე 1981 წელს. მანანა სულ ახალგაზრდა იყო. დღეს იგი კონსერვატორიის რექტორია და მის სახელს უკავშირდება თბილისის კონსერვატორიის აღორძინება და განახლება.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ტელევიზიაში დავიწყე მუშაობა. ძალიან გამიმართლა, ტელეტეატრში რომ მოვხვდი მუსიკალურ გამფორმებლად.

ტელეტეატრი მიხვილ თუმანიშვილმა დაარსა | არხზე. მერე თემურ ჩხეიძემ და კახა კახაბრიშვილმა გააგრძელეს ეს არაჩვეულებრივი საქმე. ბევრი კარგი ტელესპექტაკლი დაიდგა.

ძალიან მომწონდა ჩემი სამუშაო, თეატრი ჩემთვის უცხო არ იყო და სწრაფად ავუღე ალლო ტელესპექტაკლების მუსიკალურ გაფორმებას. პარალელურად ვმუშაობდი ტელეგადაცემებზე, ტელეფილმებზე, მხატვრული ფილმებიც გამიფორმებია მუსიკალურად.

1988 წელს რეჟისორმა ნანა კვასხვაძემ მიმიწვია რუსთაველის თეატრში თავისი სპექტაკლის, „ლეონსი და ლენას“ მუსიკალურად გასაფორმებლად. ეს ჩემი პირველი ნამუშევარი იყო ტელევიზიის გარეთ და გარკვეული წარმატებაც მომიტანა. სპექტაკლი იმითაც იყო მნიშვნელოვანი რომ, მასზე მუშაობის პროცესში ფეხმძიმედ ვიყავი, მეორე საპრემიერო სპექტაკლის დღეს ვაჟიც შემეძინა.

უდიდესი სიხარული განვიცადე მიხეილ თუმანიშვილთან მუშაობისას სპექტაკლზე „ზაფხულის ღამის სიზმარი“. სპექტაკლი ბატონ მიშასა და მის მსახიობებს თითქმის მზად ჰქონდათ, მხოლოდ მუსიკა აკლდა; თურმე რამდენიმე მუსიკოსმა სცადა ბედი, მაგრამ მათი ნამუშევარი რეჟისორის კონცეფციას არ ემთხვეოდა. ჩვენი შეხვედრა ილბლიანი გამოდგა. საკმაოდ მოკლე ხანში ამოვიცანი ბატონი მიშას ჩანაფიქრი და ჩემი შერჩეული მუსიკა, საბედნიეროდ, მოიწონა. არასოდეს დამავიწყდება „ზაფხულის ღამის სიზმრის“ პრემიერა: გათოშილი მაყურებელი გაყინულ დარბაზში თეატრის სასწაულისგან გათბა და გაბედნიერდა. ეს ნამდვილი დღესასწაული იყო! ბატონ მიშასთან მუშაობამ გამოცდილება და გამბედაობა შემიძინა. მას მერე, მგონი, არ დარჩენილა საქართველოში თეატრი, სადაც არ მიმუშავია. უკვე რამდენიმე წელია მაქვს ბედნიერება ისეთ დიდ შემოქმედთა გვერდით ვიმუშაო, როგორებიც არიან რობერტ სტურუა და გია ყანჩელი.

ფილმისა თუ სპექტაკლის მუსიკალური გაფორმებისას მთავარია ამოიცნო, რისთვის სჭირდება ავტორს მუსიკა: ატმოსფეროს შესაქმნელად, ემოციის გასაძლიერებლად, კონტრასტისთვის, დაფარული აზრის წასაკითხად თუ აქცენტისთვის... ბედნიერებაა, შენ თვითონ თუ წერ, თუ ქმნი მუსიკას. ერთი ტელესპექტაკლისთვის მეც დავწერე სიმღერა „განქრნენ ჟამნი ოცნების“ (აკაკის ლექსზე) და, საბედნიეროდ, გოგი დოლიძის შესრულებით შევიდა ჩემი მეგობრის, ნინო შარაბიძის ტელესპექტაკლში „მსხვერპლი“, რომელიც მან დავით კლდიაშვილის პიესის მიხედვით დადგა. სიმღერებს ადრეც ვწერდი, მაგრამ ჩაწერილი ცოტა მაქვს. გასაფორმებლად ძირითადად სხვადასხვა ავტორების მუსიკას ვიყენებ და მათ წინაშე თავს მდაბლად ვხრი. როდესაც ამა თუ იმ სპექტაკლის ან ტელეგადაცემისთვის მუსიკალურ მასალას სწორად მივაგნებ, უდიდესი მაღლიერების გრძნობით ვიმსჭვალეები კომპოზიტორებისა თუ შემსრულებლის მიმართ.

ჩემთვის ცხოვრებაში ყველაზე დიდი მიღწევა ოჯახის შექმნაა. მყავს მეუღლე ირაკლი გელაშვილი და ვაჟი აკაკი. კარგი იქნებოდა, მეტი შვილი მყოლოდა, მაგრამ, მაღლობა ღმერთს, რომ დედა ვარ და დედაშვილობის გრძნობის განცდის გარეშე არ დამტოვავ უფალმა. იმ პერიოდში, როცა ბავშვი შემიძინა, ჩემი პროფესიული ნიშა უკვე ნაპოვნი მქონდა. 3 წელი დეკრეტულ შევბუღებაში ვიყავი და ეს დრო მშვიდად დავუთმე ჩემი შვილის აღზრდას. მერე შედარებით უფრო რთული პერიოდი დადგა, მატერიალური გაჭირვებაც გამოვიარეთ. სათამაშოებსაც კი თავად ვქმნიდი ბავშვისთვის, ტანისამოსსაც ვქსოვდი. ერთ ოთახში ვცხოვრობდით სამივე. იძულებული გავხდი როიალიც გამეყიდა – ასეთი რალაცეებიც მოხდა ჩემს ცხოვრებაში. მაგრამ ჩვენ სულ ვშრომობდით და ჩვენი შვილი ხედავდა ამას. ჩვენი გასამრჯელოდან აუცილებლად რაიმე სათამაშოს ან მისთვის საინტერესო წიგნს შევუძენდით ხოლმე. მახსოვს, სულ ვეუბნებოდი, რომ ასეთი სასიამოვნოა საკუთარი შრომის შედეგი. მინდოდა ჩემს შვილს სცოდნოდა



შრომის ფასი და ჩემს სამსახურს ისევ მისი აღზრდისთვის ვიყენებდი. ალბათ ბევრი დედა ფიქრობს ასე.

დღეს ახალგაზრდა დედებს არა აქვთ ხანგრძლივი დეკრეტული შვებულება და მათი უმრავლესობა იძულებულია ძიძა აიყვანოს და მას მიანდოს თავისი შვილის აღზრდა. დედაც და შვილიც ბევრ სიხარულს აკლდება ამის გამო. სწორედ 3 წლამდე ყალიბდება ბავშვის ძირითადი პიროვნული თვისებები და ყველაზე ადვილია მაშინ დაუკვირდე და სწორად მიმართო ბავშვის მიდრეკილებები.

მიმაჩნია, რომ ის ბედნიერება, რასაც ჰქვია შვილების აღზრდა, ყველა ქალმა უნდა განიცადოს. დეკრეტული შვებულება აუცილებელია: დედა წყნარად უნდა იყოს, რომ შვილი გაზარდოს, ამაში დევს შვილის მომავალი ბედნიერება.

მუსიკალური გაფორმების პარალელურად, საპატრიარქოს ტელევიზიის წყალობით, კლასიკური მუსიკის ქართველი შემსრულებლების პოპულარიზაციას ვეწევი. გადაცემაში „ჩვენ ვუკრავთ კლასიკას“ მხოლოდ მოსწავლეები მონაწილეობენ. გვინდა ბავშვებმა თვითონ დაინახონ თავიანთი დიდი შრომის შედეგი. ჩვენ ვეძებთ ნიჭიერ ბავშვებს, ჩვენი კარი ყველასათვის ღიაა.

მუსიკალური ენა საყოველთაო, უნივერსალური ენაა. მუსიკა ყველასათვის გასაგებია, მას თარგმნა არ სჭირდება. ჩვენი მუსიკოსი ბავშვები საზღვრებს გარეთაც დიდ წარმატებებს აღწევენ, ამას დანახვა და აღნიშვნა უნდა.

ოჯახი თუ სუსტია, მაშინ სკოლას ენიჭება დიდი როლი. ყველა პროფესიაზე წინ პედაგოგის პროფესიას ვაყენებ, ამიტომ მას უნდა ჰქონდეს ყველაფერი, რათა მთელი ცოდნა და სიყვარული გადასცეს ბავშვს. უზრუნველყოფილი უნდა იყოს... მშვიდად, უშურველად და მოთმინებით აღზარდოს სხვისი შვილები, სიყვარულით გაწეული შრომა არ იკარგება.

დედას მოსწავლეები ახლაც, როცა იგი დიდი ხანია ცოცხალი აღარ არის, იკრიბებიან მის დაბადების დღეზე ჩვენთან. პედაგოგს ძალიან დიდი ძალა აქვს, თუ ის ნამდვილად მოწოდებულია სიკეთის საკეთებლად.

# ლოცვის ფერი

ზაირა სამხარაძე – ენათმეცოდნე,  
ესკანური ენის სპეციალისტი,  
ლიტერატორი, მწერალი. 1961 წლიდან  
ცხოვრობს და მოღვაწეობს რუმინეთში.  
დაბადების დღე – 29 დეკემბერი



„სიცოცხლე მუდმივია, მხოლოდ  
სხვადასხვა ფორმით არსებობს“.

ბავშვობაში ზაფხულობით ხარაგაულის რაიონში დავდიოდი. არაჩვეულებრივი ბებიები მყავდა. სოფლად ძალიან კარგი იყო, ბუნებას ვუფრთხილდებოდი, მიყვარდა ხეები. ბუქარესტშიც მაქვს სამი ხე, ვესუბრები ხოლმე. თბილისში, ვორონცოვზე, მოდელების სახლის წინ მაგნოლია იდგა, ძალიან მიყვარდა. მასაც ვესაუბრებოდი ხოლმე. მოთხრობებიც კი მაქვს დაწერილი ამის შესახებ. ჩემთვის სიკვდილი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ გარდაცვალება და დარწმუნებული ვარ, რომ იქით უკეთესია. ახლა, როცა ვუახლოვდები ამ ზღვარს, ძალიან ბევრს ვკითხულობ და ვსწავლობ სიცოცხლეზე. სიცოცხლე მუდმივია, მხოლოდ სხვადასხვა ფორმით არსებობს.

1959 წელს რუმინეთში სამოგზაუროდ გამაგზავნეს. ადგილზე ჩვენს ჯგუფს გიდი დახვდა, ალექსანდრუ ცალციუ. ორი დღის განმავლობაში გვიმასპინძლა. პირველი დანახვისთანავე შეგვიყვარდა ერთმანეთი. შემდეგ ორი წელი მიწერ-მოწერა გვქონდა. იყო განცდები, მტკივნეული ბრძოლა. ძალიან ძნელი იყო საქართველოდან გასვლა, მაგრამ დამეხმარნენ, ვიზა მომცეს და გამაცილეს.

ბებიჩემი, ოლინკა ციცქიშვილი, იდეალური ქალი იყო, შესანიშნავი ადამიანი, უაღრესად მორწმუნე. მან არაჩვეულებრივად გაზარდა თავისი შვილები, არაჩვეულებრივი დამოკიდებულება ჰქონდა მათადმი. მეც ბევრი რამ მასწავლა. როდესაც რუმინეთში მივემგზავრებოდი, ყანწი დალია აეროპორტში, დამილოცა გზა და მითხრა, რუმინეთი ქრისტიანული ქვეყანაა და არ გაგიჭირდებაო, შეგეძლოს ხალხის მოსმენა და მერე ილაპარაკეო. ეს რჩევა უცხო ქვეყანაში ძალზე დამეხმარა. რუმინეთი ბედით საქართველოს ჰგავს.

იდეალური მამაკაცი ჩემი მეუღლეა. მას რთული ხასიათი აქვს, მაგრამ ქალი მისთვის არასოდეს ბერდება. როგორც აღმოსავლელები - საგანძურს, ისე უყურებს ქალს, ცდილობს არ აწყენინოს და უპატრონოს. მეც ასე მეპყრობა. მე კი შევძელი ის, რომ კარგი ქართველი ვყოფილიყავი, ეს მახარებს.

ვცდილობდი ყველაფერში წესიერება დამეცვა. ოჯახში არასოდეს მაგიწყდება, რომ ქალი ვარ. ჩემი მეუღლე მოსიარულე ენციკლოპედიაა. რაღაც რომ მჭირდება, არ არის საჭირო წავიკითხო ან სადმე მოვძებნო, ვკითხავ ჩემს ქმარს და მიპასუხებს. მას მეც ვუყვარვარ და საქართველოც უყვარს, ჩემი წიგნებისათვის შესანიშნავ წინასიტყვაობებს წერს ხოლმე.

შვილები არ გვყავს, ყველაფერში ბედნიერი არ შეიძლება იყოს ადამიანი. ქალისთვის ძალზე მტკივნეულია ის, რომ ვერ იგრძნობს დედობას... ძალიან მიყვარს ბავშვები, ამ სიყვარულის გამო წერა დავიწყე. მწერალთა კავშირის წევრი გავხდი, როგორც საბავშვო მწერალი. ახლაც ვწერ ბავშვებისათვის, თარგმანებიც მაქვს, მაგრამ ქართულად ჩემი ნაწარმოებები არ გამოცემულა. ჩემს შემოქმედებას საქართველოში არ იცნობენ.

ერთი წიგნი საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს მივუძღვენი. „ლოცვის ფერი“, ასე ჰქვია წიგნს და მასში თავმოყრილია მოთხრობები ყვავილებზე, ქვებზე, ბუნებაზე, რაც ძალიან უყვარს პატრიარქს.

ჩემს შემოქმედებაში არაფერი განსაკუთრებული არ არის, წერა ჩემი შეგებაა. როდესაც სამშობლოსგან შორს ხარ, რაღაც კომპენსაცია უნდა გქონდეს, ასეთია ჩემთვის წერა. წერა ძალიან დამეხმარა და დღემდე მეხმარება.

ვახტანგ ჭელიძის „ქრონიკების“ მიხედვით რუმინულად საქართველოს ისტორია ვთარგმნე მოკლედ. მინდოდა საინტერესო ყოფილიყო და არა მოსაწყენი. ვაჟა-ფშაველაც გადავთარგმნე რუმინულად. ვაჟა არაჩვეულებრივი მწერალია. ვაჟას წიგნი ლადო გუდიაშვილის ნახატებით გავაფორმეთ. რუმინული თარგმანი რომ გამოვიდა, ერთმა მწერალმა დამირეკა და მითხრა, „შვლის ნუკრის ნამბობი“ წავიკითხე და მთელი ღამე არ მიძინებიაო.

ქალი, უპირველესად, კარგი დედა უნდა იყოს. დედობაც პროფესიაა და ქალმა ეს უნდა ისწავლოს. ამ პროფესიაში ქალს ფულს არ უხდია. რუმინეთში მრავალშვილიანი დედებს ძალიან ეხმარება სახელმწიფო. მაგალითად ბოშები, რომლებიც რუმინეთში ცხოვრობენ, სპეციალურად აჩენენ შვილებს და დახმარებებით ცხოვრობენ. რუმინეთი დიდი ქვეყანაა, 21 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ მაინც მიმდინარეობს შობადობის ხელშეწყობა და წახალისება.

მამაკაცს როცა ხედავ, მაშინვე ხვდები, მის გვერდით როგორი ქალია. თუ მამაკაცს გვერდში კარგი ქალი ჰყავს, ის ბედნიერია, დაბანილია, სუფთად ჩაცმულია. ქალი მგრძობიარეა, მაგრამ მოკლედ ხედავს, მამაკაცი ყველაფერში პირველია. ქალისა და მამაკაცის ნახატიც კი განსხვავდება ერთმანეთისაგან, განსხვავებას მაშინვე ვგრძნობ ხოლმე.

როცა ჩამოვდივარ, იმერეთში, ჩემს სოფელში, ქროლში მივეშურები, იქ ეკლესიას ვაშენებთ. მშენებელობის დაწყებისას შევხვდი სოფლის მოსახლეობას და ვთხოვე, თუ ვინმეს რაიმე გაქვთ სოფლის ეკლესიიდან წაღებული და შემონახული ოჯახში, იქნებ დააბრუნოთ-მეთქი. მეორე დღეს მართლაც ვილაკამ დააბრუნა ძველი ბიბლია. ის ახალ ეკლესიაში დაიდებს ბინას.

ადამიანი გამუდმებით უნდა სწავლობდეს, მხოლოდ სკოლა ან უმაღლესი სასწავლებელი საკმარისი არ არის. ენას, მითუმეტეს, გამუდმებით სწავლობ. მე და ჩემმა მეუღლემ თექვსმეტი წელი მოვანდომეთ რუმინულ-ესპანური ლექსიკონის მომზადებას. ჩვენი ერთობლივი მოღვაწეობის ნაყოფი ეს ლექსიკონია, ის ჩვენი შვილია, ჩვენ როცა აღარ ვიქნებით, ის დარჩება.

# აღამიანი თავს თვითონვე იქმნის

●  
ნაკ საფარიშვილი – მუსიკოსი.

ჯანსუღ კახიძის სახელობის სიმფონიური  
ორკესტრის მკვირილია. მუსიკალური  
ათნაღის მასწავლებელი  
დაბადების დღე – 3 მაისი



„ენცნყვესლივ ჯსლილოზ „ეამოქქონო“  
საყთაში თაჯისეან ისეთი ქალი.  
მოეოშიც შინდა შომ ჯიყო“.

ჩემს ცხოვრებას ეტაპებად არ ვყოფ, უფრო კიბეს შევადარებ, ავდივარ ერთ საფეხურს და იქვე მეორეც იწყება, გვარდება ერთი პრობლემა და გამოჩნდება მეორე. განუწყვეტილ ვცდილობ „გამოქვერწო“ ჩემი თავისგან ისეთი ქალი, როგორც მინდა რომ ვიყო. რასაც ყველაზე პრობლემურად ვიხსენებ ბავშვობიდან, ვიოლინოზე მეცადინეობაა. ახლა ვხვდები, რომ ეს პრობლემა თავისებური „პედაგოგიკის“ ბრალი იყო: საყვარელი ადამიანი, მამა, მკაცრად მოითხოვდა საუკეთესო ხარისხს, მასწავლებლა მისი ერთი ფრაზა: „მირჩევნია ორი ორკესტრი ვამეცადინო, ვიდრე შენ – ერთი“. დროთა განმავლობაში ვიოლინო ჩემი ცხოვრების განუყრელ თანამგზავრად იქცა, გაჭირვებისა თუ სიხარულის მეგობრად. არასდროს სოლისტობაზე არ მიფიქრია, ანსამბლურობაა ჩემი ბუნებისა და პროფესიის მახასიათებელი და ამიტომ ჩემი არჩევანით კმაყოფილი ვარ. 19 წლიდან ვმუშაობ ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა ჩემი პროფესიით მემუშავა, ორკესტრებით დაწყებული და რესტორნებით დამთავრებული. 8 წლის განმავლობაში საღამოობით რესტორანში ვუკრავდი. იქ მივეჩვიე ჩემი უფლებების დაცვას, რადგან საქართველოში რთული მისაღები იყო რესტორანში მუსიკოსი ქალი და ამის გამო ხშირად მიწევდა თავის დაცვა: „მე აქ ვმუშაობ და საფლირტაოდ არ მცალია, ჩემი შესრულებით სასიამოვნო ატმოსფერო უნდა შეგიქმნათ“. ამ პერიოდში ჩემს ცხოვრებაში მრავლად იყო დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მომენტები, რადგან ვიდრე ათიდან ცხრა მუსიკოსი ქალი პროფესიის

პარალელურად იფლირტავენს, ასეც იქნება. გვიან მივეჩვიე იმას, რომ ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, მხოლოდ სასიამოვნო არ შეიძლება იყოს, საჭიროცაა, რათა პასუხისმგებელი იყო შენს თავსა და ახლობლებზე. ჩემს ოჯახს ფინანსური მხარდაჭერა სჭირდებოდა. ეს პერიოდი დიდ გამოცდილებასა და, ამავე დროს, დაღლილობასთანაა დაკავშირებული და ღმერთს ვთხოვ, რომ აღარასოდეს განმეორდეს, თუმცა, თუ დამჭირდება, მზად ვარ გავიმეორო. ისე კი, რასაც აკეთებ, ლაზათიანად უნდა აკეთო – ქუჩას გვი თუ ვიოლინოზე უკრავ... ჩემმა პედაგოგმა თამრიკო ბულიამ ბევრი პროფესიული და ცხოვრებისეული რამ მასწავლა, მაგალითად, დროის შეგრძნება, სამუშაო დღის სწორი დაგეგმვა მისგან ვისწავლე. დღეს ძალიან მიჭირს ისეთ კატეგორიის ადამიანებთან ურთიერთობა, რომელთაც არაორგანიზებული გონება აქვთ – ვერ ვგებულობ მათ ნათქვამს. ჩემს ცხოვრებაში ადამიანები დიდ როლს თამაშობენ, მყავს უფროსი მეგობრები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩემს ჩამოყალიბებაში. მათი რჩევა, სითბო ყოველთვის მენმარება. ბავშვობიდან ვაპროტესტებ ძალადობრივ დამოკიდებულებას – კარგი ურთიერთობა მხოლოდ კეთილგანწყობითა და თავაზიანი დამოკიდებულებითაა შესაძლებელი. სამწუხაროდ, მუსიკოსი მამაკაცების ძირითად ნაწილი ინერტულია. ჩემს დირიჟორს ურჩევნია ორკესტრში კაცები აიყვანოს, მაგრამ კოლექტივში მისვლის დღიდან ვიბრძვი ამის წინააღმდეგ. ვფიქრობ, ფარდის მიღმა თუ დავდგებით, ძნელი მისახვედრი იქნება, ქალი უკრავს თუ კაცი. რა უპირატესობა აქვთ მამაკაცებს?! ორგანიზებულობით, მოთმინებით, სიძლიერითა და ტალანტით თანაბარი ვართ. სამწუხაროა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ პატრიარქატში ვცხოვრობთ, თუმცა მე მატრიარქატსაც არ ვემხრობი, სულაც არ მინდა ვიტვიტო ის, რაც კაცის საკეთებელია, მაგრამ წინააღმდეგი ვარ იმისაც, რომ ხშირად კაცს თავისი სქესის გამო მეტი ეპატიება. ზოგჯერ ჩემს ქალობას ჩემთვის საქმეში ხელი შეუშლია, არგუმენტად კი ის მოჰქონდათ, რომ ქალი ვარ, გავთხოვდები, შვილი მეყოლება, სადეკრეტო შეგბულებებში გავალ, მერე ბავშვი რომ ავად გახდეს, მე ხომ უნდა დავჯდე შინ და აზრად არავის მოსდის, რომ ეს მამის მოვალეობაცაა. ჩემი აზრით, ამ სფეროში, რა მნიშვნელობა აქვს მუსიკოსი ქალია თუ კაცი, პროფესიული პრობლემები ორივეს ერთნაირი აქვთ. ორივე სქესს თანაბრად აქვს პასუხისმგებლობის პრობლემა, ორივეს ერთნაირად უჭირს გააზრებულად მუშაობა – საქართველოში ხომ ადამიანებს ეზარებათ პიროვნულად განვითარება, გამონაკლისებს არ ვგულისხმობ. ოჯახებიც ემოციისა და ვნების საფუძველზე იქმნება, ამიტომაცაა გავრცელებული ძალადობა. ჩემ ირგვლივ ცოტაა ოჯახი, რომლებიც პრობლემაზე მსჯელობენ. ოჯახის შემოსავალს რომ არ სჭირდებოდეს, ქალებს არც ამუშავებდნენ. ბევრ მეგობარს დაუჩივლია, რომ არა გაჭირვება, ისინი ცოლებს სამსახურშიც არ გაუშვებდნენ. უყვართ კაცებს უპირატესობის შეგრძნება. სწორედ ამგვარი მიზეზის გამო დასრულდა ჩემი ურთიერთობა საყვარელ კაცთან: მითხრა, რომ ჩემთან ვერ იქნება, რადგან ვაკომპლექსებ ჩემი უპირატესობით.

ზოგიერთ ქვეყანაში კანონი არეგულირებს, რომ პოლიტიკაში ორივე სქესის წარმომადგენელი თანაბრად იყოს, რადგან მამაკაცების სიჭარბე აგრესიის წინაპირობას წარმოქმნის, ხოლო ქალებისას თავისი პრობლემები აქვს... შორს ვარ პოლიტიკისგან, მაგრამ მომწონს თინა ხიდაშელი. მიმაჩნია, რომ ქალები რომ არ იყვნენ, სოციალური პროგრამებიც არ იქნებოდა, რადგან კაცებისათვის ეს მეორეხარისხოვანი პრობლემაა. ქალები პოლიტიკაში აუცილებლად უნდა იყვნენ – მოაზროვნე, პროგრესული, ძლიერები და თავისი საქმის პროფესიონალები. ჩვენს საზოგადოებას პირველ რიგში მოაზროვნე ადამიანები სჭირდება და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ ქალების კვოტირების სისტემაზე, თუმცა ეს მამაკაცების დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევს. ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე დიდი დეფიციტი განათლება და განათლების სურვილის არქონაა.

# სახათაბალი არ უნდა გამოილიოს

●  
**ტატინა სირაძე – ექიმი პედიატრი,**

**ომის ვეტერანი**

**დაბადების დღე – 12 ნოემბერი**



„ქართულ მსოფლულთა მესხი  
დივიზიასთან უბრძოლველად ვაჟიანი ყოფილხარ  
ეზა მახინჯაყვიდან ყინვებსწიგამდე.  
ვაძაბუჯუჭა ყინვებსწიგამდე ვიზიძიო“.

ჩონატაშრის რაიონში დავიბადე, სოფელ გორაბერეჟოულში. სამედიცინო ტექნიკური ობერ-გეტში დავამთავრე. ატესტატის აღებაც ვერ მოვასწარი, ომი დაიწყო. გამოცხადდა საყოველ-თაო მობილიზაცია და ჯარში წავედი.

მე-9 სამთო-მსროლელ დივიზიაში მოვხვდი, რომელიც მახინჯაურში იდგა. კარპატების მი-სადგომებთან თითქმის მთელი დივიზია განადგურდა. ვინც გადავრჩით, კრასნოდარის მე-9 მცოცავთა დივიზიას შევუერთდით. ამის მერე სულ 48-ე არმიაში ვიყავით. უკრაინის პირველ, მეორე, მეოთხე ფრონტზე ვიბრძოდით, სულ ბოლოს გამარჯვება კენინგსბერგში ვიხიემეთ. დილით, რიჟრაჟზე გამოვედი, სადღაც მივდიოდი და რას ვხედავ – ყვიროდნენ, ომი დამთავ-რდაო... ვინ ვის კოცნიდა და ვინ ვის ულოცავდა, აღარც მახსოვს...

ომის დამთავრების შემდეგ თბილისში ჩამოვედი. ოქტომბერი იყო, სამედიცინოზე ჩაბარება მინდოდა. განათლების მინისტრთან, კუპრავასთან შევედი. მკერდზე ორდენები და მედლები მეკეთა. უარი მითხრეს, ახლა დაგვიანებულიაო. ჩემს მეზობლად რუსულის მასწავლებელი ვერა ჭიჭინაძე ცხოვრობდა. 45-სიტყვიანი დეპეშა დამაწერინა. ერთი საკავშირო განათლების სამინისტროში გავგზავნე, მეორე – სტალინის სახელზე, კანცელარიაში.

დავბრუნდი მშობლიურ სოფელში... სადილების კეთება მიყვარდა. ერთხელაც ვზივარ და ვჭრი მწვანის, მოდის ჩემი და მეუბნება, ჩაალაგე ბარგი, თბილისში მიდიხარო. სტალინის ბრძანებით ჩავირიცხე სამედიცინო ინსტიტუტში. სტალინის ათი პირადი მადლობა, რომელიც ჩემს პირად საქმეში იდო, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ უკან აღარც წამომიღია, სადღაც გაქრა.

ომის დროს უფროს მედდად ვმუშაობდი საოპერაციოში. სამედიცინო ინსტიტუტს რომ ვამთავრებდი, მოსკოვიდან ჩამოსულმა სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ ჩემი საბუთები ნახა და შემომთავაზა, მოსკოვში წამოდი და შენგან კარგ ქირურგს დავაყენებო, მაგრამ ვერ წავედი, მშობლები მოხუცებულები მყავდა. ქობულეთში გამანაწილეს, ბავშვთა ძვალ-სახსრის ტუბერკულოზის სანატორიუმში.

ქობულეთში 1953 წელს ჩავედი და ორდინატორად ვმუშაობდი. ბევრი და მძიმე ავადმყოფი ბავშვი გვყავდა, ძვალ-სახსართა ტუბერკულოზური პათოლოგიები მაშინ ძალზე გავრცელებული იყო. ორდინატორობის შემდეგ განყოფილების გამგედ გადამიყვანეს, მერე მთავარ ექიმად დამნიშნეს. მძიმე სამუშაო მქონდა. ბავშვები ხერხემლის პათოლოგიით თაბაშირში გვეწვა, ყველაფერი ადგილზე ხდებოდა, პროცედურებიც, კვებაც. სამი-ოთხი წელი იწვნენ ხოლმე. ჩვენი თაობის ექიმებს ღრმა ცოდნა ჰქონდათ. მეორე მსოფლიო ომში ჩვენთან მუშაობდნენ პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ფერშლები, რომლებიც სოფლებში ექიმებად მუშაობდნენ. ისეთი ცოდნა და გამოცდილება ჰქონდათ, ყველაფერს მათ ვეკითხებოდით.

1956 წელს გავთხოვდი, ორი შვილი მყავს. მეუღლე ძალიან მეხმარებოდა, ხშირად დამყვებოდა გამოძახებებზე.

სანატორიუმში 45 წელი ვიმუშავე, დამსახურებული ექიმის წოდება მომენიჭა, ხალხთა მეგობრობის ორდენითა და ბევრი სხვა მედლით დამაჯილდოვეს. პენსიაში რომ გავედი, ორი შთაბეჭდილების წიგნი წამოვიღე სანატორიუმიდან, სადაც მაღლიერი პაციენტების ჩანაწერებია. ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია. როგორც ტატა ექიმი, ყველას ვახსოვარ. ახლა სანატორიუმი დაიხურა და ყველაფერი განადგურდა.

ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი წარმატება ისაა, რომ ბევრი ავადმყოფი განვკურნე. ახლაც მირეკავენ პაციენტები და მათი მშობლები. რაიონის ხელმძღვანელობა დიდ პატივს მცემდა. როგორც ქალს, წინააღმდეგობა არასოდეს შემხვედრია. 1982 წელს, ჩემი მთავარი ექიმობის დროს, სანატორიუმში ყოფილი პაციენტები მოვიწვიე და დისპანსერიზაცია ჩავატარე. ოჯახებით მოვიდნენ. ღამე დარჩნენ, სადილიც გავუმართე, შესანიშნავი ღონისძიება გამოვიდა.

უკვე 86 წლის ვარ. მინდოდა რაღაც დამრჩენოდა ცხოვრებაში. ამიტომაც ხანდაზმულ ქალთა ასოციაციის შექმნა გადავწყვიტე. ჩვენი ასოციაცია ქობულეთის რაიონში დაფუძნდა. ძალიან კარგი ხალხი შემოვიკრიბე, ახალგაზრდებიც და ხანდაზმულებიც. ერთმანეთს ჭირ-ვარამს გავუზიარებთ. მათ ცოდნასა და გამოცდილებაზე დვას ახლა ქვეყანა. ახალგაზრდების გარეშე ვერ შევძლებთ ჩვენი მიზნების განხორციელებას. მოხუცებს ზოგს არც ქმარი ჰყავს და არც შვილი. ერთმა თავისი საფლავის სურათიც გაიკეთა – მარტოხელა ვარ და ჩემს საფლავზე ვინ იზრუნებსო. 50 წელი იმუშავა ადამიანმა და 50 ლარი პენსია რა არის? ძალიან მინდა ხანდაზმულ ქალთა სოციალური დაცვის ცენტრი შევქმნათ, რომელსაც მარტოხელა და უმწეო ხანდაზმული ქალბატონების დახმარება შეეძლება. მოხუცისათვის ყველაზე დიდი უბედურება



მარტობა, ურთიერთობის ნაკლებობა, შიშია. მოხუცის მოთხოვნები ძალიან მოკრძალებულია: ცოტაოდენი ყურადღება, პროდუქტი და წამლები. წამალი ძალიან ძვირია. რაიონში 80 წელს გადაცილებული 950 ქალი აღვრიცხეთ, აქედან 90 წელს გადაცილებული 118-ია. ერთი 122 წლისაა, სურვიე ზაქარიაძე, მთაში ცხოვრობს. ათი წლის შემდეგ, შესაძლოა ასეთი ხანდაზმულებს ვეღარ შეხვდეთ – საკვები, ჰაერი მოწამლულია.

ჩვენთან ჩამოსული იყო 90 წლის პოლონელი ქალბატონი, ხანდაზმულთა ასოციაციის თავმჯდომარე. მისმა შემართებამ მომხიბლა. ევროპაში მოხუცებულებს მთავრობა ძალიან ეხმარება და მათი უფლებებიც უფრო დაცულია. ვხედავ, რა დღეში არიან ხანდაზმული ქალები ჩვენთან, ხანდაზმულობის ჟამს მწირი პენსიის ანაზრად დარჩენილებს მძიმე პირობები შეექმნათ. ომის ვეტერანებს არავინ ყურადღებას არ გვაქცევს. ერთხელ დემონსტრაციაზე საუბარს მოვკარი ყური – ესენი ომის მონაწილეები არიან?.. როგორ, კიდევ ცოცხლები არიან? გული მეტკინა, ვის რას ვუშავებთ, ომში ყველა ხომ არ დაიხოცებოდა?

ჩვენს ოჯახში ასეთი ტრადიცია იყო – სანამ მამა შინ არ მოვიდოდა, საჭმელად არ დავსხდებოდით, დედა საუკეთესო ნაჭრებს მამას მიართმევდა ხოლმე, ის ოჯახის უფროსი იყო, ძალიან დაფასებული. დრომ და პოლიტიკამ ისე მოიტანა, რომ მოხუცების ტრადიციული პატივისცემა დაიკარგა. ჩემი ოცნებაა ჩვენი ქვეყნის ხანდაზმულებისათვის დარჩენილი ცხოვრება იყოს არა სიცოცხლის დასასრულის მოლოდინი, არამედ სრულფასოვანი ცხოვრების მორიგი, კანონზომიერი ეტაპი.

# „მე არ ვარ ევა“

●  
ია სულაბერიძე – პოეტი, რუსთავის  
კულტურის ცენტრის დირექტორი  
დაბადების დღე – 22 აგვისტო



„დაწყდეს ეს თუ ჩაქვს და დასრულდება...  
რომ ყველა მათგანი ჯიბით და  
მათ სული შეევიძალეს?! ან მახსენდება  
ისეთი შემთხვევა. რომ ერთჯერ ან მეტიჯერ:  
ნაცომ ან ევიძველებ მამაყაყაში ნინ?!“

ბანათოლოგი პედიატრი ვარ. ხუთი წელი ვიმუშავე ექიმად და მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩემი საკეთებელი საქმე. პოეტი ვარ, პოეზიისათვის თავი არასდროს დამინებებია, მედიცინას დროზე ჩამოვშორდი და ჩემი გზა გავაგრძელე. ვწერ „არაგეგმიურად“, ლექსიდან ლექსამდე ჩემს ქვეცნობიერსა და ცნობიერში შთაბეჭდილებები გროვდება, ჩნდება იმპულსი და ემოცია, რომელიც შენახული იყო „პასივში“, შემდეგ გადმოდის „აქტივში“, ანუ ლექსად გარდაისახება. ეს ინდივიდუალური პროცესია და ფორმულა – „როგორ ვწერ“, არ არსებობს: ამქვეყნად რამდენი პოეტიცაა, ლექსიც იმდენაირადვე იწერება, მეტიც: ერთი ავტორის ყველა ლექსიც კი სხვადასხვაგვარად იწერება. სამი კრებული მაქვს გამოცემული. ბოლო წიგნის სათაურია „მე არ ვარ ევა“ და ვიგულისხმე ის, რომ არ ვარ კონკრეტული ევა, თორემ, საბოლოო ჯამში, ყველა ქალი ევაა, მაცდუნებელი არსება და ყველა მაინც მამაკაცის ნეკნია. ამაში არაფერია დამაკნინებელი. მართალია, თითქმის ყველა დარგში მამაკაცი უფრო მეტი ჩანს, ვიდრე ქალი, მაგრამ ერთი კი დანამდვილებით ვიცი: საქმეში წარმატებული მამაკაცი, იმის გამო, რომ მამაკაცია, უფრო წარმატებული ვერ იქნება, ვიდრე წარმატებული ქალი, იქნება ეს ექიმი, ინჟინერი თუ მძღოლი... და, მაინც, კაცები მეტად ჩანან. იქნებ იმიტომ, რომ ქალის ძირითადი ფუნქცია დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს?!

მე, პირადად, დღეს კიდევ რომ მყავდეს პატარა გასაზრდელი, რა თქმა უნდა, შვილის მოვლას ვარჩევდი – უფრო სასიამოვნო საქმე ქალისთვის არ არის. ამას ძიძა ისე ვერ გააკეთებს,

როგორც დედა. კარიერაში ქალს ქალობა ნამდვილად არ უშლის ხელს, მაგრამ დედობა – კი. მახსენდება, რომ ადრეულ ასაკში ბიჭობა მინდოდა, ბიჭური თამაშები და სათამაშოები მომწონდა, მაგრამ შვილების გაჩენის შემდეგ აღარ მქონია ეგ სურვილი, პირიქით, კარგია, რომ ქალი ვარ – დედა და ცოლი. ხელახლა რომ ვჩნდებოდე, ისევ ქალობას ვინატრებდი.

ცუდია, როცა ოჯახში ურთიერთობა არ შედგება, არ არის ორმხრივი გაცემა და მიღება. აი, ასეთ დროს შეიძლება, ინატროს ქალმა, ნეტავი კაცად დავბადებულყავიო, კაცმა კი – პირიქით. თუ ქალს არ უმართლებს და ძალადობის მსხვერპლია, ეს უფრო კონკრეტულ პრობლემად მიმაჩნია, ვიდრე ზოგად, სოციალურ პრობლემად. ის, რომ რომელიმე ქალს არ გაუმართლა, მისი კონკრეტული, ადამიანური სატკივარია. თუკი ქალს მოსწონს და სიამოვნებს საკუთარი ოჯახის წევრების მომსახურება და საყვარელი ადამიანებისათვის სიამოვნების მინიჭება, რატომაა ეს ექსპლუატაცია?! მაღალმთიანი, სუბალპური ზონის სოფელი გვაქვს რაჭაში და მე იქ „დაჩაგრული“, ქალი არ მინახავს. პირიქით, ვფიქრობ, რომ დღეს საქართველოში მამაკაცებს უფრო უჭირთ. მათ მეტი პრობლემა აქვთ, ვიდრე ქალებს, იმიტომ, რომ კაცის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, დაწყებული ადამიდან, სარჩოს მოპოვებაა. დღეს ფუნქციის გარეშე ყოფნა უფრო მეტად კაცის პრობლემაა და კაცის ფსიქიკას თრგუნავს. მამაკაცის აგრესიაც, შესაძლოა, აქედანაა და ჯაჭვური რეაქციაა, როდესაც ყოფილი პრობლემებისგან დათრგუნული მამაკაცი ქალსაც თრგუნავს, შედეგად კი მანკიერ ოჯახს ვიღებთ. ქალსაც და კაცსაც სიცოცხლის გაგრძელების განსხვავებული ფუნქციები აქვთ, დანარჩენი აბსოლუტურად ერთნაირია. რუსთველმა ხომ თქვა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა – ხვადია“. თუ მაგარი ხარ, მიდი, გააკეთე შენი საქმე, მერე რა, რომ ქალი ხარ – თუ გგონია, რომ უნდა იყო წარმატებული პოლიტიკოსი, კეთილი ინებე და იყავი, თუ მიგაჩნია, რომ უნდა იყო სხვა პოეტზე მაგარი პოეტი, აჯობე მას და თუ ვერ სჯობნი, ეს შენი პრობლემაა. დაუმტკიცეთ კი ქალებმა კაცებს, რომ უფრო მაგრები ვართ და მათ ხელი შეგვიშალეს?! არ მახსენდება ისეთი შემთხვევა, რომ მეთქვას ან მეფიქროს: რატომ არ გვიშვებენ მამაკაცები წინ?!

მიმაჩნია, რომ წარმატებული ადამიანი ვარ. ჩემი უდიდესი წარმატება ჩემი ორი, თავიანთი ასაკისათვის ძალიან წარმატებული ვაჟიშვილია. ჩემი წარმატება ჩემი ლექსებია. მინდა ისე გაძლიერდეს საქართველო, რომ ჩემს შვილებსა და მათ შვილებსაც არ დაუდგეთ ხორციელი საზრდოს პრობლემა, მეტი დრო დაუთმონ სულიერ საზრდოს.

# სწავლისა და სიახლის სურვილით...

●  
თათია სსირტლაძე – მხატვარი,  
სხოვრობს და მოღვაწეობს ავსტრიაში  
დაბადების დღე – 20 მარტი



„მეძინია, რომ საქართველოში  
დიდი შეშფოთებითი რეჟიმია და  
ვისურვებდი, ეს რეჟიმია ცხოვრების ყველა  
სფეროსა და ყოველდღიურობაშიც ცნობიერად  
იქნას გამოყენებული“.

საქართველოში თავი არასოდეს ცუდად არ მიგრძენია. სწავლისა და სიახლის შემეცნების სურვილის გამო წამოვედი სამშობლოდან. ათი წელია უცხოეთში ვარ, აქედან ცხრა თვე – ინგლისში, ორი წელი კი ჰოლანდიაში ვცხოვრობდი, მაგრამ ჩემი მთავარი საცხოვრებელი ადგილი ვენაა.

პირველად ვენაში ერთი აწ გარდაცვლილ ავსტრიელი ქალბატონის ანუ იანის ხელშეწყობით აღმოვჩნდი. მან მიჩნია ვენაში წამოვსულიყავი. ვენაში აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთს ხვდება და შენ, როგორც ქართველი, თავს კარგად იგრძნობო. მართლაც, ვენა ჩემს ხასიათს შეესაბამება. ქალბატონი ანუ დამეხმარა ვენის სამხატვრო აკადემიაში თავისუფალ მსმენელად მოვწყობილიყავი, იქ რვა თვე დავყავი. შემდეგ კი თბილისში დავბრუნდი და იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის სახე-თით ხელოვნების ფაკულტეტზე განვაგრძე სწავლა, რომელიც 1999 წელს დავამთავრე.

2008 წლის აგვისტოს ომამდე ხშირად მიწევდა საქართველოში ჩამოსვლა, კომერციული ხასიათის სატელევიზიო კლიპებს ვიღებდი. სამუშაო მქონდა. ჩემთვის იდეალური იქნებოდა, რომ

ავსტრიასა და საქართველოში, ანუ ორივე ქვეყანაში ვცხოვრობდეთ. მაგრამ ბაზა, მირჩვენია, ავსტრიაში მქონდეს. არ მინდა ევროპაში თავისუფლად მოძრაობის შესაძლებლობა დავკარგო.

ვენაში მე და ჩემმა ყოფილმა პედაგოგმა ბერნდ კლინგერმა დავაარსეთ ბიურო, რომელსაც ჰქვია *SuK - SKHIRTLADZE und KLINGER* (სხირტლაძე და კლინგერი) ორივენი ხელოვნებიდან მოვდივართ, მედიაში ვმუშაობთ. ჩვენი სურვილია კომერციული და არაკომერციული გამოსახვის ფორმები და შინაარსები ერთმანეთს შევხვდეთ. ფაქტობრივად, გამოდის, რომ იღებებს ვყიდით.

ქალთა საკითხი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თოთხმეტი წლის ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა. ოჯახში მხოლოდ ქალები დავრჩით: სამი და, დედაჩემი და მამიდაჩემი. ყოველდღიურ და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს თავად ვიღებდით. მიმაჩნია, რომ საქართველოში ქალები ძალიან ბევრს შრომობენ, ხოლო მამაკაცებს პასუხისმგებლობის გრძნობა აკლიათ. როდესაც მამაკაცების პასუხისმგებლობის გრძნობის ნაკლებობაზე ვსაუბრობ, ალბათ უნდა დავაკონკრეტო: საქართველოს ისტორიის ბოლო ოცი წელი მამაკაცების მიერ გატარებულ იმ ტრაგიკულ რეალობად მიმაჩნია, რომელსაც გამართლებას ვერ ვუძებნი. ამაში, რა თქმა უნდა, ქალებსაც მიუძღვით წვლილი. კაცები ხომ ქალების გაზრდილები არიან. ყოველდღიურობაში ქალების დიდი როლის მიუხედავად, საქმე საქმეზე რომ მიდგება, არც ოჯახში და არც სხვა სფეროებში ქალები წინა პლანზე მაინც არ ჩანან. ასეთი ქცევა ალბათ განაპირობა პატრიარქალურმა ტრადიციებმა, რომლებსაც ქალები მოერგენ. ქალის როლზე დღეს ნაკლებად საუბრობენ. სამწუხაროდ, ვერ ვხედავ ქალებს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს. იმედი მაქვს, რომ ეს აუცილებლად შეიცვლება.

ჩემთვის მიუღებელია ის პოზიცია, რომლის მიხედვითაც, ქალის როლი მხოლოდ სამზარეულოში დგომა და შვილების გაზრდაა. ევროპაში ხშირად კანონმდებლობა არეგულირებს, რომ მამებმა იზრუნონ შვილებზე, როდესაც ქალები მუშაობენ. ამისათვის ოჯახები ფინანსურ დახმარებასაც კი იღებენ. ამ შემთხვევაში მოვალეობები „არატრადიციულად“ იყოფა. ევროპასთან შედარებით, ასეთი სახით როლების გადანაწილება საქართველოში ნაკლებია, რაც უდავოდ სოციალურ გარემოებებზეა დამოკიდებული. ასეთი საკითხები ნაკლებად დგება დღის წესრიგში საქართველოში. ვიცი, რომ საქართველოში არის ქალთა პარტია, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი „ხმა“ არ გამოიგია.

ქალთან მიმართებაში ავსტრიაშიც იგივე სტერეოტიპებია, რაც საქართველოში. არადა, სოციალურ გარემოს თუ გავითვალისწინებთ, ასე არ უნდა იყოს. ავსტრიაში პოლიტიკაში, გადაწყვეტილების მიღებაში ქალები ნაკლებად არიან ჩართულნი. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მწვანეთა პარტიის ლიდერი და ექვსი მინისტრი ქალია.

ქალებთან დაკავშირებით სტერეოტიპის არსებობის ერთ-ერთი მაგალითია ისიც, რომ, მაგალითად, ავსტრიაში ქალებს ნაკლებს უხდიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იმავე საქმეს ისევე ართმევენ თავს და იმავე დროს ანდომებენ, რასაც მამაკაცები. ბოლო წლების განმავლობაში ქალთა სამინისტროს ინიციატივით სქესთა გათანაბრების პოლიტიკა მიმდინარეობს, ხელოვნების სამინისტროშიც სპეციალური პროგრამები ხორციელდება, რომლებიც ქალების კულტურის სფეროში დასაქმებას ითვალისწინებს.

სხვათა შორის, ავსტრიულ ფულზე ერთადერთი ქალია გამოსახული, 2-ევროიან მონეტაზე აღბეჭდილია ბერტა ფონ ზუტენერი – პაციფისტი, მწერალი და ნობელის პრემიის ლაურეატი

მშვიდობის დარგში. ეს ქალბატონი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს რვა წლის განმავლობაში სამეგრელოში დადიანებთან ცხოვრობდა.

ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანი ხშირად ხვდება სიტუაციაში, სადაც მისი „გაქაჩვა“ ხელოვნებაში წარმატებული და გავლენიანი ადამიანების ხელშეწყობით ხდება. ეს უდავოდ ნორმალურია, თუმცა, პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირად ხელოვან ქალს ასეთ დროს ხელშეწყობის საფასურად მამაკაცები ინტიმურ ურთიერთობებს სთავაზობენ. ასეთი პრაქტიკა მამაკაცისა და ქალის იმ სტერეოტიპულ როლთა გადანაწილების მაგალითია, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში არსებობდა.

გამოკვლეულია, რომ ასი ხელოვანიდან მხოლოდ სამია ქალი. ხელოვანის პროფესია ძალზე რთულია, მითუმეტეს – ქალისათვის. ეს ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ შვილები და ოჯახი დიდ ენერჯიას მოითხოვს ქალისაგან. შესაბამისად ქალი პროფესიას ფიზიკურად ვეღარ მისდევს. ამიტომ ძალიან ცოტა ქალი თუ „რჩება“ ხელოვნებაში.

მე ბევრს ვმუშაობ, ეს ჩემი პირადი ცხოვრების ხარჯზე ხდება. აქ, ავსტრიაში მხოლოდ ხელოვნების სფეროში მაქვს ფულის გამომუშავების უფლება და ესეც მხოლოდ ჰონორარის ბაზისზე. ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი თავის დამსაქმებელი თავდევ ვარ.

საქართველოდან შორს ვარ. ვმუშაობ იქ, სადაც ვცხოვრობ და ჩემი ნამუშევრებიც ამ გარემოს ნაყოფია. ჩემი ასპარეზი ახლა აქ არის, ვენაში. საქართველოში მხოლოდ ჩემი და ჩემი მასწავლებლების თაობის მხატვრები მიცნობენ. მეტწილად ეს ნაცნობობა ჯერ კიდევ იმ პერიოდისაა მოდის, როდესაც საქართველოში ვცხოვრობდი და ვსწავლობდი. ამ ადამიანებთან ურთიერთობას დღემდე ვინარჩუნებ.

მიმაჩნია, რომ საქართველოში დიდი შემოქმედებითი ენერჯიაა და ვისურვებდი, ეს ენერჯია ცხოვრების ყველა სფეროსა და ყოველდღიურობაშიც ცნობიერად იქნას გამოყენებული. როგორც ქალს მინდა, რომ ჩემი შესაძლებლობებისა და ოცნებების ახდენის რწმენა არ გამქრობოდეს.

# ფემინიზმი იდეალია

**ნანა ფანსულაია – ქალთა ფონდი**  
**საქართველოში – აღმასრულებელი**  
**დირექტორი**  
**დაბადების დღე – 19 იანვარი**



„სამსახურში. საზოგადოება.  
ჯიუჯიუჯით. ვის ხელაქვს თანასწორობის  
საჭიროებას და აუცილებლობას“.

სკოლაში ჩვეულებრივ მერხებზე არ ვისხედით, არ გვიწერდნენ ნიშნებს და, საერთოდ, ძალზე დემოკრატიული და ლიბერალური კანონების ფარგლებში გვიწევდა სწავლა. ექსპერიმენტულ კლასში დაიწყო ჩემი, როგორც თავისუფალი აზროვნების მქონე ადამიანის ფორმირება. მაგრამ ერთ დღესაც ჩვენი თავისუფლება დასრულდა. ჩარჩოებით გადატიხრულ გარემოში აღმოვჩნდით. იძულებულნი გავხდით შევგუებოდით არსებულ სიტუაციას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველთვის შეგვეძლო თავისუფალი აზრის გამოხატვა, ყოველთვის ვიბრძოდით და ამიტომაც დაუმორჩილებელ ბავშვებად ვითვლებოდით. ჩვენი კლასიდან ბევრი კარგი და საინტერესო ადამიანი გამოვიდა, მათ შორის გამოვყოფდი გოგონებს, რომლებიც უფრო მობილიზირებულნი იყვნენ და ლიდერის თვისებებით გამოირჩეოდნენ.

სკოლის დამთავრების შემდეგ ვიცოდი, რა მინდოდა და უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩავაბარე. იმ დროისათვის ფაკულტეტი სწავლების ძალზე მაღალი დონით გამოირჩეოდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა. თურქული ხელოვნება მაინტერესებდა. მას განსხვავებული ელემენტები აქვს, მრავალშრიანი და, ზოგიერთი მეცნიერის შეფასებით, პარადოქსულიც კი არის. მიმუშავია პორტრეტებზე ჯალალ-ედ-დინ რუმისა, რომელიც ჩემი კვლევისა და დიდი გატაცების საგანი იყო.

ინსტიტუტში მუშაობის წლები საქართველოსთვის ყველაზე მძიმე პერიოდს დაემთხვა. სამსახურში არ დავდიოდით, ყველაფერი მოიშალა, არავინ არაფერს გვთხოვდა. წლიურ გეგმასაც

კი ერთ ღამეში ვწერდით. სამეცნიერო საქმიანობის სურვილი ძალიან ცოტას თუ ჰქონდა, ყველა გადარჩენაზე იყო ორიენტირებული. ამის გამო ინსტიტუტიდან წავიდი.

გარკვეული დროის განმავლობაში ოჯახით ვიყავი დაკავებული, მაგრამ, ეტყობა, ეს არ იყო საკმარისი. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ჩემი მეგობარი, რომელიც აყალიბებდა ორგანიზაციას „ბავშვი და გარემო“. ორგანიზაციის მიზანი ქუჩის ბავშვების დახმარება და მათთვის თავშესაფრის დაარსება იყო. ეს მოვახერხეთ ჩვენი საერთო ძალებითა და უბრალო ადამიანების წყალობით, რომლებმაც გამოგნეს თავიანთი უანგარო და გულწრფელი დახმარების სურვილით. მოგვიანებით მივხვდით, რომ მხოლოდ ქველმოქმედება არ იყო საკმარისი და სხვა რამ გვჭირდებოდა. გაჩნდა ფილანთროპიის განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციის დაფუძნების იდეა. ამას მოჰყვა კვლევითი სამუშაოები, რომელიც დაკავშირებული იყო საზოგადოებაში პრობლემატური სფეროების გამოვლენასა და მათი გადაჭრის გზებთან. კვლევის შედეგმა გვიჩვენა, რომ ქალებს მეტად ესაჭიროებოდათ დახმარება. გავეცანით ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და მათ საქმიანობას. ამან ძალიან დაგვიინტერესა და გადავწყვიტეთ ქალთა საკითხებზე გვემუშავა. დავაარსეთ „ქალთა ფონდი საქართველოში“ – ადგილობრივი გრანტის გამცემი ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერს ქალთა ჯგუფების საქმიანობასა და ინიციატივებს.

ჩემს ოჯახში ყოველთვის თანასწორობა სუფევდა. საქმე გადანაწილებული იყო ოჯახის წევრებს შორის. მამაჩემს, ერთი მხრივ, ჩვეულებრივ ტრადიციულ ადამიანს, შეეძლო გაერეცხა, დაეუთოვებინა. ეს მის შინაგან კულტურაზე მეტყველებდა. ჩემი მშობლების ოჯახისგან განსხვავებით, ჩემს საკუთარ ოჯახში ეს პრობლემა ყოველთვის მქონდა. კარგად მახსოვს, როცა გავთხოვდი, მეუღლეს ვთხოვე ნაგვის გატანა და პასუხად მივიღე გაკვირვება: ნაგავი მე უნდა გავიტანო? ასეთივე დისბალანსი ჩემს შვილებს შორისაც იგრძნობა. გოგო ფემინისტია, ბიჭი კი განსაკუთრებულ მოვლენად მიიჩნევს თავს და ჰგონია, რომ ყველა და ყველაფერი მის გარშემო უნდა ტრიალებდეს.

გარემოში თანასწორობის კუთხით დიდ ცვლილებას ვერ ვხედავ. თითქოს ბევრს საუბრობენ ფემინიზმსა და გენდერულ თანასწორობაზე, თუმცა რეალური მეტროპოლი არ ჩანს. სამწუხაროდ, საზოგადოება ჯერჯერობით ვერ ხედავს თანასწორობის საჭიროებასა და აუცილებლობას. პირობების რადიკალიზაცია კი ჩემში რადიკალური ფემინიზმის მოთხოვნილებას იწვევს.

არსებული მენტალიტეტისგან გათავისუფლება საკმაოდ რთულია. ახლა კარგად ჩანს ერთი მნიშვნელოვანი რამ: საბჭოთა კავშირის დროს ადამიანის უფლებებს არანაირი ღირებულება არ გააჩნდა, ყველაფერი, რაც კი ხდებოდა, ხდებოდა ზედაპირულად და ფორმალურად. დღესაც თითქმის არაფერი შეცვლილა. ეს სიყალბე ისევ არსებობს, ოღონდ სხვა იდეოლოგიის ფონზეა აღბეჭდილი. ასე აღმოვჩნდით საშინელი საფრთხის – რელიგიური ფუნდამენტალიზმისა და ნაციონალიზმის წინაშე.

ჩვენს ორგანიზაციაში მხოლოდ ქალები ვმუშაობთ. მამაკაცების მხრიდან ხშირად დასმულ შეკითხვაზე – რატომ მხოლოდ ქალები? მამაკაცების საწინააღმდეგო რა გაქვთ? როდის დაიცავთ ჩვენს უფლებებს? – მე ვპასუხობ: ადამიანებმა ერთმანეთის უფლებები უნდა დავიცვათ. ასე ვიცი, ასე მისწავლია, ასე წამიკითხავს, ადამიანი ხომ ორივე საწყისს ერთნაირად მოიცავს?!

ჩემი აზრით, საჭიროა, რომ ბევრი ქალი იყოს წარმოდგენილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ამისათვის დიდი მუშაობა და რესურსებია საჭირო. ახლა რომ მქონდეს



დიდი თანხა, გაცემდი, რომ არასამთავრობოებმა იმუშაონ ამ კუთხით. მომხრე ვარ, რომ ბევრი ქალი მოღვაწეობდეს პოლიტიკაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კვოტირებას არ ვემხრობი. მგონია, რომ ეს არ იმუშავებს საქართველოში. ხალხი ვართ ასეთი – ყველაფერს გავაფორმალურებთ.

თავისუფალ დროს ლექსებს ვწერ – ეს არის ჩემი ჰობი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სხვა ქალთა ფონდების ბევრი წარმომადგენელი ამავე ჰობით არის გატაცებული, ხშირად ვხუმრობთ კიდევაც ამ თემაზე. ალბათ ეს ყველა ფემინისტს ახასიათებს, რადგან პოეზია, ისევე, როგორც ფემინიზმი, ჩვენთვის ის იდეალია, რაშიც საყრდენს ვხედავთ და საიდანაც ძალას ვიკრებთ.

გაისად „ქალთა ფონდი საქართველოში“ 5 წლის ხდება. ძალიან ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. ვაპირებთ ახალი 5-წლიანი სტრატეგიის შემუშავებას. გადავწყვიტეთ შევცვალოთ მუშაობის ფოკუსი. ორგანიზაციის საქმიანობა უფრო ღია და ფემინისტური გავხადოთ. უნდა ვეცადოთ, რომ საზოგადოების ყველა ჯგუფს მივწვდეთ. ქალმა საკუთარი თავი და ადგილი თვითონ უნდა განსაზღვროს, საზოგადოება მას არ უნდა უწესებდეს ჩარჩოებს. ამიტომ ჩვენი ხედვაა – ქალი ქალისთვის და არა ქალი საზოგადოებისთვის. ვფიქრობთ ბრენდინგზე, სიახლის შეთავაზებაზე. ქალთა არასამთავრობო სექტორში გვიცნობენ, მაგრამ საზოგადოებაში ცნობადობის ასამაღლებლად საჭიროა უფრო ხილვადები გავხდეთ. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები მიმდინარეობს. ჩვენ დღეს ისეთი საკითხების წამოჭრა შეგვიძლია, რაზეც 10 წლის წინ საუბარი წარმოუდგენელი იყო. ვიმედოვნებ, რომ სამყარო შეიცვლება და ადამიანი უფრო ლიბერალური და ჰუმანური გახდება.

# რა სჭირდება ქალს?!

**ლილა ფილფანი – გარჯანიშვილის  
თეატრის მსახიობი, „თექის სახლის“  
დამფუძნებელი**

**დაბადების დღე – პირველი მარტი**



„ყოველი დღე მიყვარს.  
მიყვარს ადამიანები და მიყვარს სიცოცხლე“.

მსახიობი ვარ. ერთი პერიოდი თეატრში ნაკლებად ვიყავი დაკავებული და თექაზე დავიწყე მუშაობა, მეგობარმა მასწავლა. მერე რამდენიმე მინანქრის ტექნოლოგია ვისწავლეთ და ერთად დავიწყეთ მუშაობა მეგობრებმა. შემოსავალიც გვაქვს, თანაც სიამოვნებით ვმუშაობთ. სალონებშიც ვაბარებთ ჩვენს ნამუშევარს, ჩვენს სახელოსნოს შეკვეთებიც აქვს ხოლმე, თუმცა – სტიქიურად.

კაცებს სხვანაირი ოსტატობა აქვთ, ქალებს – სხვანაირი. ნამუშევარს ეტყობა, ფერშიც არის სხვაობა. კაცებს ფერი უფრო დამჯდარი აქვთ. ქალები უფრო ნაზ ნაკეთობებს ქმნიან.

ქალისათვის ყველაზე დიდი პრობლემა მამაკაცის მხრიდან უყურადღებობა და დაუფასებლობაა. მამაკაცებმა ალბათ არ იციან, რა სჭირდება ქალს და იმიტომ ვერ აკეთებენ იმას, რაც და როგორც საჭიროა. ადრე ყველამ თავისი საქმე იცოდა. ქალს თავისი საქმე ჰქონდა. დღეს კი კაცი თავის ადგილს ვერ პოულობს და ქალიც უყურადღებოდ რჩება. კაცის ცხოვრება გაადვილებულია. ეს, ალბათ, ფულთანაც არის დაკავშირებული. კაცები გულცივები გახდნენ, შეიცვალნენ, ამის გამო ქალებიც შეიცვალნენ. ერთხელ ტელევიზორიც კი გავაკეთე და შემეშინდა – ნუთუ ესეც შემიძლია-მეთქი? იმდენად ყველაფერი შემიძლია, რომ... რადგან ვილაც რალაცას არ აკეთებს, იძულებული ხარ თავად გააკეთო. გამოგდის და აკეთებ. ამიტომ ის ვილაც, რომელიც შენ გიყურებს, ფიქრობს – აკეთებს და რატომაც არ უნდა გააკეთოსო. რაც შეუძლიათ, იმასაც აღარ აკეთებენ. როდესაც სხვებს პასუხისმგებლობა მოხსნილი აქვთ, იძულებული ხარ საკუთარ თავზე აიღო ყველაფერი.

მეუფლე არ მყავს, ჩემი შვილი არც სთხოვს მამას არაფერს, რადგან იცის, რომ ყველაფრის გაკეთება შემიძლია. მეც არ ვეუბნები, წადი მამას სთხოვე-მეთქი, ესეც ალბათ ჩემი ბრალია...

მიმაჩნია, რომ ცუდ დროს მომიწია ცხოვრება. 1989 წლის 9 აპრილიდან აირია ყველაფერი. ბავშვიც იმ პეროდში შემეძინა. ჩემი შვილისა და ჩემს თაობას შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. ალბათ ესეც ურთიერთობების გამოა. ჩემს ქალიშვილს ვერ ვეჩხუბები იმიტომ, რომ რასაც თვითონ აკეთებს, იმის გაკეთება მეც მინდა. სიამოვნებით გავერთობოდი მის მსგავსად, მაგრამ ხალისი აღარ მაქვს, თუმცა ენერჯია კი დიდი მაქვს. ღამის გათენება, მუშაობა ჩემთვის პრობლემა არ არის, დილის რეპეტიციებზე ენერჯიით აღსავსე მივდივარ ხოლმე.

სიმართლე გითხრათ, სულ არ მაღიზიანებს, როცა ამბობენ, ქალს ქათმის ტვინი აქვსო. ვერ ვბრაზდები. ოჯახური ძალადობა რა არის, წარმოდგენაც კი არ მაქვს. კაცი ძალიან პატარა უნდა იყოს, რომ ქალზე ხელი აწიოს. ალბათ, ასეთ კაცს სხვა არაფრის გაკეთება არ შეუძლია, საწყალია და ამიტომ ექცევა ასე ქალს. საერთოდ, ძალიან მნიშვნელოვანია თავიდან როგორ დააყენებ საკითხს. ვაღიარებ, რომ მქონია შემთხვევა, როდესაც თავად სიამოვნებით დავარტყამდი კაცს. ბევრი რამ დავთმე, თუმცა ყველაფერი თავად გადავწყვიტე.

მე სვანი ვარ. სვანები ძალზე თბილები და გულისხმიერები არიან. იქ ყველას თავისი საქმე აქვს, ტრადიციები ჩვეულებრივად გრძელდება, კაცი სათიბშია, ქალი – ყანაში, მოაქვს ტომრები და არავინ ამბობს, რომ ეს მისი საქმე არ არის. ყველამ თავისი საქმე იცის. სვანეთში შესანიშნავი და ჯანმრთელი კარტოფილი მოჰყავთ. ნეტა იმ ფასად იყიდებოდეს, რაც ღირს.

ყველაზე ძალიან ის მომწონს, რომ კარგი ხასიათი მაქვს და არაფრით არ შემოძლია ცუდი ვიფიქრო ადამიანზე. არასოდეს ვიტყვი ნაუცბათევად ისეთ რამეს, რომ ადამიანს გული ვატკინო.

ყოველი დღე საინტერესოა. ყოველი დღე მიყვარს, მიყვარს ადამიანები. ვგიჟდები, ისე მიყვარს სიცოცხლე. მთელი ბავშვობა სოხუმში მაქვს გატარებული. ჩემი ძმა სოხუმში დაიკარგა, ამ თემაზე არ ვსაუბრობთ საერთოდ, ტაბუ გვაქვს დადებული, ომის თემა ძალზე მძიმეა. მამა ბავშვობაში დამედუპა. ჩემ გარშემო სულ ქალები არიან. აგვისტოს ომის წინ ზღვაზე წავედი. აფხაზეთში ისეთი გამოცდილება მქონდა მიღებული, რომ ეს ჩემთვის აღარაფერი იყო. ვიცოდი, რომ ვერაფერს გავხდებოდი და გადავწყვიტე, საკუთარი თავისთვის მიმეხედა, არაფერზე მეფიქრა. თავის გაწირვა შემეძლია, მაგრამ ვიცი, რომ ეს არავის სჭირდება, ამის ღირსი არავინ არის და რატომ გავაკეთო?

ქალისთვისაც და მამაკაცისთვის ყველაზე დიდი მიღწევა ოჯახია. ახლა 42 წლისა ვარ. დიდი სიამოვნებით გავაჩენდი ბავშვებს, მოვუვლიდი ოჯახს. პროფესიები, პატარ-პატარა საქმიანობები არის პატარ-პატარა სილამაზე, რაც შენ შეიძლება საკუთარ ცხოვრებას მისცე და ისიამოვნო. მთავარი მაინც კარგი ოჯახია. ჩემთვის სამაგალითოა ლევან ხარანაულის ოჯახი, სადაც ახლა მერვე შვილი გაჩნდა. როდესაც დაქორწინდნენ, ცოლმა მუშაობას თავი დაანება, წავიდნენ თიანეთში, იქ მოიწყვეს სახელოსნო, ცხოვრება. საოცარი შვილები ჰყავთ და ახლაც ისევე უყვართ ერთმანეთი, როგორც ქორწინების პირველ თვეს. ცხოვრობს ეს ორი საოცრად განათლებული ადამიანი, ბედნიერები არიან იმით, რომ ამდენი შვილი ჰყავთ და იციან, რომ გაჩნდნენ ამისათვის.

# „ნარუქი“ – თეთრი რაზის მოლოდიანი

სისანა ქოთილაიძე – მსახიობი, მხატვარი  
დახადების დღე – პირველი მარტი



„ქუსლოქებს ყველა ყძვეს,  
მაეზამ ალაძიანმა ზნეოჭიივი  
ყანონი ამ ყნდა დააილჟიოს“.

თუში ვარ და თეჟა გენში მაქვს. ერთ მშვენიერ დღეს მე და ჩემი დები ავდექით და ერთი ჩვე-  
ულგებრივი პანო მოვთელეთ ბეზიის ტექნოლოგიით. მოგვეწონა და გადავწყვიტეთ ტექსტილის  
მოდერნიზება – თითქმის ქაშმირის ხარისხამდე მივიყვანეთ. შემდეგ იყო ბევრი წარმატება  
და წარუმატებლობა. მთავარია, რომ შედეგი მივიღეთ. ამჯერად სახლში ვმუშაობთ. ექვსი და  
ვართ, ყველა სხვადასხვა პროფესიის: ერთი ტექნოლოგია, მეორე-მხატვარი, მე იდეები მაწუ-  
ხებს...

დებმა ახალი ტექნოლოგია მოვიგონეთ, რომელსაც „ნარუქი“ დავარქვით. სულხან-საბას მი-  
ხედვით, ნარუქი „უცხო და ახალი ხელოვნებით შემოღებული საქმეა“. ჩვენი „ნარუქი“ ხელით  
ნაკეთი ქალაღია. ეს ჩვენი აღმოჩენაა, სიახლეა. თეჟაზე ბევრი მუშაობის შემდეგ უამრავი  
მასალა გამოვიყენეთ, მათ შორის – ხის მერქნის ბოჭკო, რომელიც გადამუშავების შემდეგ  
მატყლს წააგავს და ბუნებრივად ყავისფერია, მერე იღებება. სწორედ მისგან მზადდება ქა-  
ლაღი. ქალაღისგან კი – შპალერი, სანათებლები, განათებული ჭერი, განათებული კედელი,  
ავეჯი, ვიტრაჟები და ა. შ. როგორც თეჟა იძლევა ყველაფრის შესაძლებლობას, ასევე „ნარუ-  
ქიც“, მაგრამ სხვადასხვა ტექნოლოგიაა. ჩვენი ნახელავი ჯერჯერობით არ იყიდება. გვექონდა  
გამოყენები: ტმს-ის, ცისფერ გალერეებში, „თბილისი-მერიოტში“. „ქორთიარდ-მერიოტში“ ორ-  
ჯერ გამოვიყენეთ. შემდეგ იყო „თავისუფალი თეატრი“ და ბოლოს, საპატრიარქოს თანადგო-  
მით, სამების დიდ საკათედრო ტაძარში განვათავსეთ ჩვენი ნამუშევრები.

ახლო მომავალში მაღაზიის გახსნას ვაპირებთ. საზოგადოებაში ინტერესი დიდია. პერსპექტივას ვხედავთ ამერიკის ბაზარზეც.

თეატრში 18 წელი ვიმუშავე. სხვადასხვა ავტორის 20-ზე მეტ სპექტაკლში ვითამაშე: ვაჟა-ფშაველა, უილიამ შექსპირი, ანტონ ჩეხოვი, აგათა კრისტი, ჟან ანუი... ვაჟას „ბახტრიონში“ ნათამაშები ლელას როლისათვის პრიზიც ავიღე ქალის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის. ამჯერად წერამ გამიტაცა. სცენარზე ვმუშაობ კინორეჟისორთან ერთად, ვმუშაობ, ასევე, პიესაზე დათო ტურაშვილთან ერთად. ჩემი პროფესიის თვალსაზრისით კი ყოველთვის მზად-ყოფნაში ვარ. რა იცი, როდის ჩამოგიფრენს თეთრი რაში...

საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრება მაქვს. მუდმივად ვიმარჯვებ და მუდმივად ვმარცხდები. ერთს კი მივხვდი – ორივე შემთხვევაში ერთნაირად გამოიყოფა ადრენალინი. ჩემი სისულელის გამო ციხეშიც კი მოვხვდი. იქ ყოფნისას პატიმართა დასაქმების პროექტი განვახორციელე და ქალებს თეა შევასწავლე.

ციხეში გატარებული წლები რთულიც იყო და საინტერესოც. არ არსებობს გარემო, სადაც დადებითს ვერ იპოვი. კოსმოსში გაფრენას წარმოვიდგენდი, მაგრამ ციხეში მოხვედრას – ვერასოდეს. როცა უკან დასახევი გზა აღარ არსებობს, გამოსავალს ყოველთვის პოულობ. თუ გააცნობიერებ, რომ ყველაფერი უფლის ნებაა, რაც შენს თავს ხდება და უძლური ხარ რამე შეცვალო, მაშინ ჯანსაღ აზროვნებას იწყებ. ეს ცხოვრებაა. ის შენ ასეთი გიბოძა უფალმა. გულს, სულს და გონებას ხომ არ გიპატიმრებენ... მერე რა, რომ სხეული სადღაც არის გამოკეტილი... თავისუფლებას ვერავინ წაგართმევს, თუ თვითონ არ წაართმევ საკუთარ თავს.

ციხეში გატარებულ წლებზე არ მიჭირს საუბარი, რადგან ჩემი თავს იქაურ რეალობაში ვერ აღვიქვამდი, გვერდიდან ვუყურებდი მოვლენებს, ეს პროფესიული თვისებაა. ჩემი აზრით, ადამიანიმა ზნეობრივი კანონი არ უნდა დაარღვიოს, შეცდომებს კი ყველა უშვებს. ერთხელ ჩემმა მოძღვარმა, მამა ტარიელმა მითხრა, ყველა დანაშაული ცოდვა არ არის, მაგრამ ყველა ცოდვა დანაშაულიაო. განსაცდელში მყოფს ყველას ვურჩევდი – რწმენა და იმედი არ დაკარგონ. ციხეში შრომა აუცილებელია. მეც ავდექი და დასაქმების პროექტი მოვიფიქრე. მერე „რუსთავი-2-ს“ გავუგზავნე ტელეშოუსთვის – „იდეა, ფული და ერთი შანსი“. პროექტი ძალზე რეიტინგული აღმოჩნდა. ბიზნესმენები: არჩილ გეგენავა, ლაშა პაპაშვილი, მიაა რჩეულიშვილი მხარში ამომიდგნენ. ახლა ციხეში ყველა ქალი თექას თელავს, ეს სულიერი და ეკონომიკური რეაბილიტაციაა. ყველას ძალიან მოეწონა საქმე – ეს რა შეგვძლებიაო. გამოფენა-გაყიდვებს ვაწყობდით. ნამუშევრის გარეთ გამოტანა პრობლემა არ არის, უარს არავინ გეუბნება, თუ სასიკეთო საქმეს აკეთებ.

ციხე, ფაქტობრივად, ფსიქიატრიულია, სადაც ადამიანებს ძალიან უჭირთ. თვითმკვლევლობებიც მინახავს ციხეში. იქ იყვნენ ექიმები, იურისტები, დიზაინერები, ძალიან კარგი ქალები. თუმცა ციხეში ყოფნისას პროფესიას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მნიშვნელოვანია აზროვნების წესი. მე მეგახშემ მიჩივლა და ციხეში იმიტომ მოვხვდი. გაიხაროს ცისანას მეგახშემო, ასე ამბობდნენ ციხეში ქალები, ჩემს მეგახშეს სულ ლოცავდნენ. არც მე მაქვს მასთან ცუდი ურთიერთობა, მიუხედავად მისა, რომ მან მიჩივლა. მე მასთან პირნათელი ვიყავი, თუმცა ჩემი სიმართლე ვერ დავამტკიცე.

პატიმარი ქალიცა და კაციც ერთნაირია. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეგიძლია საკუთარი თავის გაძლიერება. საერთოდ, ქალი უფრო ძლიერია მამაკაცზე, თუმცა

ქალს ამბიცია ნაკლები აქვს.. ქართველ ქალს კარგი ალლო აქვს, ფეხდაფეხ მიჰყვება ცხოვრებას, მამაკაცები ცოტა ჩამორჩებიან. წარუმატებლობისას შიში ხშირად კაცებს იპყრობს, ეს მათი თვისებაა. არასოდეს მდომებია კაცად დავბადებულიყავი. ზედმეტად რისკიანი ვარ, ამიტომ არასოდეს ვარ დაზღვეული შეცდომისაგან.

ყველაზე დიდი მიღწევა, რა თქმა უნდა, შვილებია. ორი გოგონა მყავს: 15 და 7 წლის. მე და ჩემი მეუღლე ერთად არ ვცხოვრობთ, მაგრამ მეგობრული დამოკიდებულება შევინარჩუნეთ.

ყველა განსაცდელი სულის საზრდოდ უნდა გამოიყენო. ეს გაჯანსაღებს. ცხოვრება რომ თავიდან დამეწყოს, არაფერს შევცვლიდი.

# აღამიანმა სახუთარ ენაზე უნდა იაზროვნოს

●  
**მანია ყიასაშვილი – მთარგმნელი,  
ლინგვისტი, მეცნიერებათა დოქტორი,  
შპს „ინგლისური ენის ცენტრის“  
დირექტორი  
ლაბაღაზის დღე – 23 ივნისი**



„ქალი ანანილქს თაჟის სითბოსა და  
ყუბადლქსას. შაყს ძაძაყაყქს ამ  
ძყუძლიათ. ამის გაძო ჩქძი ყობიყობითა  
ძაძაყაყქთან შითყლია“.

გაპიზარდე იმ პერიოდში, როდესაც რუსულის გარეშე ნაბიჯს ვერ გადადგამდი. ახლა, როდესაც ამის საჭიროება არ არის, ხელოვნურად ინერგება ინგლისურ ენაზე მოთხოვნა. სამსახურს სხვაგვარად ვერ იშოვი. გამოდის, რომ რუსული ჩავანაცვლეთ ინგლისურით, ეს კი უკვე ზღვარს სცილდება.

ქართველებმა რუსულიც იცოდნენ, არაბულიც, სპარსულიც იმის მიხედვით, თუ ვინ მოდიოდა ქვეყანაში. ახლა ბევრ უმაღლეს სასწავლებელში სწავლება ინგლისურად მიმდინარეობს, მაგრამ რა საჭიროა ეს? პირადად მე ამას ღამურას ფენომენს ვუწოდებ და ეს საკითხი დიდი ხანია მაწუხებს. როგორც მეცნიერი (როდესაც ენათმეცნიერებას ეხება საქმე), ვფიქრობ რუსულად, ყოფით საკითხებზე ვსაუბრობ და ვფიქრობ ქართულად და უკვე დიდი ხანია, ვწერ მხოლოდ ინგლისურად. ასე მაქვს განათლება მიღებული – უცხოენოვანი წიგნის კითხვა და ფილმის ნახვა რუსულად ან ინგლისურად მირჩევნია. არ მგონია, ჩემი შემთხვევა კარგი მაგალითი იყოს.

ადამიანმა საკუთარ ენაზე უნდა იაზროვნოს. გამოდის, რომ ჩვენი სტუდენტები სწავლობენ ინგლისურს არცთუ ისე კარგად, ანუ მათი მეტყველება შეზღუდულია, ეს კი ნიშნავს, რომ აზროვნებაც შეზღუდულია. ადამიანი აზროვნებს ცნებებით იმ სიტყვების ფარგლებში, რაც აქვს, შესაბამისად, ენის ცუდად ცოდნა მათ პროფესიაშიც აფერხებს. მოზარდების მეტყველებაში ზედსართავი სახელიდან დარჩა მხოლოდ „მაგარია,“ არადა უამრავი ზედსართავი სახელი გვაქვს. ეს, სავარაუდოდ, მოდის ბრალია. საშიშია, როდესაც სახელმწიფო დონეზე ხდება უცხოენოვანი განათლების დანერგვა, რაც შემამფოთებელი, თუმცა გაუცნობიერებელი ტენდენციაა. გამოდის, რომ ჩვენ მშობლიურ ენაზე უარს ვამბობთ. ჩვეულებრივ, ერთი ენა არის წამყვანი, დანარჩენი მხოლოდ გვეხმარება.

ჯობია საკუთარი პროფესია იცოდეს ადამიანმა კარგად და შემდეგ ისწავლოს ენა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ხელით ვაკეთებთ იმას, რაც 200 წელი ვერ მოახერხა რუსეთმა, როდესაც ცდილობდა რუსულით ჩაენაცვლებინა ქართული. ქართული ხომ გადარჩა – კინო, თეატრი ქართული გვაქვს. არავინ გვავალებულებს, რომ განათლება უცხო ენაზე მივიღოთ, ჩვენ თვითონვე ვაკეთებთ იმას, რომ 20 წელიწადში აღარ გვექნება ქართული სამეცნიერო ენა. ფაქტობრივად, ვებრძვით თვითგამოხატვის ფორმას. რატომღაც ჩვენთან ყოველთვის კარგ ტონად ითვლებოდა, როდესაც ერთი ადამიანის გულისთვის 99 ადამიანი უცხო ენაზე ლაპარაკობს. ჩვეულებრივ, პირიქით ხდება ხოლმე.

რას ნიშნავს ენის სრულყოფილად ცოდნა? განა ვინმემ იცის ქართული სრულყოფილად? მოზარდებმა აღარ იციან ქართული. რატომ? ეს, ალბათ, ისევ მოდის ბრალია. იგულისხმება, რომ მწირი ინგლისურით დაწერილი სჯობს ქართულად კარგად დაწერილს ან ნათქვამს. ასეთი დამოკიდებულების გაგება მიჭირს.

საქართველოში მთარგმნელები უფრო მეტად ქალები არიან. მთარგმნელებს პროფესიული ნიშნით ვერ განვასხვავებ, თუმცა, ზოგადად, ქალი ენაში კარგია. ენობრივია თავისი ფიზიოლოგიით, მეტს ლაპარაკობს, უფრო მდიდარი ლექსიკა აქვს, თუმცა სინქრონისტები მამაკაცები უკეთესები არიან.

ვთარგმნი ძირითადად ქართულიდან ინგლისურად – პიესებს, ფილმებს, სცენარებს. მამაჩემის, ნიკო ყიასაშვილის მთელი ცხოვრების ძირითადი ნაშრომი – ჯეიმს ჯოისის „ულისი“ უნდა გამოვცე და ამჟამად ამაზე ვმუშაობ. მამა შესანიშნავი მოქართულე იყო. როდესაც მის ნაწერს ვკითხულობ, ვკომპლექსდები. ძირითადად ვთარგმნი თანამედროვე ქართველ მწერლებს. მაგრამ მთავარი წარმატებისთვის ჯერ არ მიმიღწევია. იმედს ვიტოვებ, რომ მომავალში მელოდება ის, რასაც წარმატებას დავარქმევ.

ქართველმა ქალმა ბევრი რამ იტვირთა, შეიძლება, იმაზე მეტიც, რაც შეუძლია. რამდენი კაცი ვიცი, სახლში რომ წამოწოლილა და გმინავს, სამსახური არ მაქვსო. ქალი ასე არ იქცევა – მიდის, ეძებს და მაშინვე იწყებს მუშაობას. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ქალს დაბალი თვითშეფასება აქვს. ქართველ კაცს პირდაპირ დირექტორობა უნდა, ქალს კი შეუძლია ნებისმიერ სამსახურს დასთანხმდეს.

რამდენი რამ ხდება ოჯახში, ათასი უბედურება ტრიალებს, მაგრამ ქალი ამას არავის ეუბნება და ცდილობს თვითონვე მოაგვაროს. ქალი მუშაობს მთელი დღე, მიდის ბაზარში, აკეთებს სადილს და კაცი კიდევ უკმაყოფილოა. ქალი კი, იმის მაგივრად, რომ კაცს თეფში ჩაართყვას



თავში, არაფერს ამბობს. ეს რაღაც უტრირებელი უფროსობაა. პაპაჩემს შეეძლო ბავშვი წაეყვანა პარკში, ჭურჭელიც გაერეცხა და სადილიც გაეკეთებინა და არ მიაჩნდა, რომ მისი მამაკაცური თავმოყვარეობა ილახებოდა. ასე იყო განაწილებული საქმე ჩვენს ოჯახში, რომელიც მრავალი პარამეტრით არ წარმოადგენდა „ტიპურ ქართულ“ ოჯახს.

ისევ და ისევ თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ქალი ერთდროულად აკეთებს ბევრ რამეს: სადილს, სახლის სხვა საქმეს, უყურებს ტელევიზორს, ბავშვსაც აქცევს ყურადღევას. კაცისათვის, რომელიც ტელევიზორს უყურებს, სხვა არაფერი არსებობს.

ქალი ანაწილებს თავის სითბოსა და ყურადღებას, ათავსებს კარიერასაც, რაც კაცს არ შეუძლია. სწორედ ამიტომ, ჩემი და მამაკაცების ურთიერთობა საკმაოდ რთულია. რამდენჯერმე ვცადე ურთიერთობის აწყობა, მაგრამ არ გამოვიდა.

მეზიზღება უსუსური ქალი, რომელიც ამბობს, რომ კაცი არა მყავს ოჯახში და როგორ ჩავაჭედო ლურსმანიო. გაანძრე ტვინი – თუ სხვამ ისწავლა? თუ სხვას შეუძლია? შენ რატომ ვერ შეძლებ?

ჩვენში ბევრი რამეა აზიური. ისტორიულადაც არ ვყოფილვართ ჩვენ ევროპის ნაწილი. გაიარეთ კახეთის „ბირჟებზე“ – კაცები სხედან, ქალები მუშაობენ. ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებსაც იგივე ახასიათებს. საქართველო აგრარული ქვეყანაა და რატომ არ შეიძლება „ბირჟაზე“ ჯდომის ნაცვლად სოფლის მცხოვრებმა საკვები მოიყვანოს? სიზარმაცის გამო რატომ უნდა ვყიდულობდე თურქულ ბოსტნეულს?

იდეალური ქალიცა და მამაკაციც დახვეწილი უნდა იყოს. იცოდეს, სად იწყება და სად მთავრდება მისი უფლებები და თავისუფლებები. ადამიანს ეს ან გაქვს, ან არ გაქვს შინაგანად. ნურავინ იტყვის, რომ ასეთი რამ განათლებიდან მოდის, ეს უფრო ტაქტის საკითხია, თუმცა ბევრი რამის სწავლაც შეიძლება. შენი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი. დემოკრატია არის საყოველთაო უფლებების დაცვა, რაც, სამწუხაროდ, ჩვენში სრულიად უგულვებელყოფილია.

# ქალს დიდი ძალა აქვს

●  
მაკა შავერდაშვილი –

მხატვარი-ვიზაჟისტი, მოდელი,  
ტელეჟურნალის „იბედის“ ვიზაჟისტი  
ლაბადების დღე – 7 ივლისი



„ჩვენგანში ოჯახში. მოყვლილი  
ჭაქჭაქს და ყილყი ეაჟაჩინდი ქვილქს  
საყაჟილი ალაძიანიისეან“.

მოსი თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი დავამთავრე, ძალიან მიყვარდა ხატვა. შემდეგ ორი წელი თენგიზ ჩანტლაძის თეატრში ვიმუშავე, პარალელურად ვემზადებოდი, სამხატვრო აკადემიაში უნდა ჩამებარებინა. ამ დროს სრულიად შემთხვევით მოვხვდი მოდელების სახლში, მოდელად დავიწყე მუშაობა. 1990 წელს რაისა გორბაჩოვას „ბურდა მოდენში“ ყველა რესპუბლიკიდან თითო გოგონა, მოდელი მიიწვიეს. ასე მოვხვდი მოსკოვში, მოდის ცენტრში, სამხატვრო აკადემიაში კი – ვერა. 10 წელი მოსკოვში ვცხოვრობდი და მოდელად ვმუშაობდი, პარალელურად იქვე ვისწავლე ვიზაჟი. ნიჭი და შრომისმოყვარეობა ბევრს ნიშნავს. შესანიშნავი ხელფასი მქონდა, კარგი დრო იყო. ბევრს ვმუშაობდი, ხანდახან – გადაბმით ორ დღე ღამეს. როდესაც ბავშვი შემეძინა, ძუძუს ვაწოვებდი. მკერდს პლასტირით ვიკრავდი და ჩვენებაზე გავრბოდი. ენერგია 30-ის შემდეგ მოვიდა ჩემთან, მანამდე მეძინა.

30 წლის ასაკში საქართველოში დავბრუნდი. თბილისში დაბრუნების შემდეგ ვიზაჟისტად ვმუშაობ. ამჟამად „ტელეიმედში“ ვარ, პარალელურად ვთანამშრომლობ სარეკლამო სააგენტოებთან.

მაკიაჟში კანონები არსებობს, თუმცა ყველა კლიენტს ინდივიდუალურად ვუდგები. თანაც ძალიან მესმარება ჩემი პირველი, მხატვრის პროფესია. ჩვენ. ვიზაჟისტები კორექციას ვაკეთებთ. იდეალური მაკიაჟის დროს ნაკლი უნდა დაფარო და საუკეთესო ნაკვთს ხაზის გაუსვა. არ არსებობს იდეალური სახე და ჩემთვის მუშაობა ყველასთან სასიამოვნოა. როდესაც ვხე-

დავ, რომ ადამიანი კმაყოფილია, ემოციებიც დადებითი აქვს და მეც კმაყოფილი ვარ. მიმაჩნია, რომ ჩემი საქმიანობა არის კარგად ანაზღაურებადი ჰობი. მომწონს, რასაც ვაკეთებ.

თავად მაკიაუს არ ვიკეთებ, უფრო ბუნებრიობას ვანიჭებ უპირატესობას. ვუვლი კანს და სპორტს მივდეგ. ვცდილობ ვიყო ფორმაში. ახლა ძალიან ბევრი საშუალებაა კანის მოვლისა და გაახალგაზრდავებისათვის. არ მომწონს საღამოს მაკიაჟი დღის განმავლობაში. თბილისში ამას ხშირად ვხვდებით და ყველას ვუხსნი, რომ ეს არც ბავშვებს და არც მამაკაცებს არ მოსწონთ. იდეალური ჩემთვის არის სპორტული, ჯანმრთელი სიმპათიური ქალი, რომელიც კარგი დედაცაა, მოვლილი და საქმიანია.

ყოველთვის მინდოდა მეხატა, თუმცა დრო არ მქონდა. არჩევანის საშუალება რომ მქონდეს, მხოლოდ დავხატავდი, შემოქმედებით დავკავდებოდი. საერთოდ არ ვიმუშავებდი, მატერიალური მომენტი რომ არ იყოს. ვიქნებოდი ოჯახში, მოვუვლიდი ბავშვებს და კიდევ გავაჩენდი შვილებს საყვარელი ადამიანისაგან.

ქმართან გაყრილი ვარ, ის ყველაზე კარგი მამაკაცია, რომელსაც კი ოდესმე ვიცნობდი. ძალიან კარგი ადამიანია, ინტელიგენტური. დიდი ასაკობრივი სხვაობის გამო ვერ გავუგეთ ერთმანეთს. 18 წლით ჩემზე უფროსია, 20 წელია ერთმანეთს ვიცნობთ. დღესაც მეხმარება. მან მაიძულა შემესწავლა ვიზაჟი.

სურვილი, რომ მამაკაცი ვყოფილიყავი, არასოდეს მქონია, თუმცა თავს ყოველთვის მამაკაცად ვგრძნობდი, რადგან ბევრს ვმუშაობდი. უკეთესი იქნებოდა, რომ ამდენი არ მემუშავა.

მამა ქართველი მყავს, დედა - პოლონელი. მზრდიდა ბებიამ, მამაჩემის დედა, რომელიც მასწავლიდა, რომ მთავარი ის კი არ არის, რომ კარგად ვისწავლო და ვიმუშაო, არამედ ის, რომ აუცილებლად ქალწული გავთხოვდე, ვიყო დამჯერი ცოლი და კარგი დიასახლისი. თავის დროზე მამას არ უნდოდა, რომ დედას ემუშავა, დედამ კი მუშაობა დაიწყო, ბებიასაც არ უნდოდა, რომ დედას ემუშავა და ცეცხლზე ნავთს ასხამდა. ამის გამო ჩხუბი ხშირად იმართებოდა და ბავშვები ამას ვუყურებდით, საშინელება იყო.

საქართველოში ქალებს, პირველ რიგში, ფინანსური პრობლემები აქვთ. აქედან მოდის ყველა დანარჩენი პრობლემა. ქართველი ქალები ცოტა დაკომპლექსებულიები არიან, დამოუკიდებლობა აკლიათ. არადა, ქალს დიდი ძალა და შესაძლებლობები აქვს ოჯახშიც და პოლიტიკაშიც.

მინდა ვიცხოვრო ნორმალურ, სტაბილურ ქვეყანაში, უკვე არ ვფიქრობ იმაზე, რომ რაიმეს მიღწევა მინდოდა ან მინდა. მთავარი მიღწევა ჩემთვის იქნებოდა ის, რომ ჩემი შვილები იყვნენ ბედნიერები და წარმატებულები, ჩემთვის მთავარი ჩემი შვილებია.

# ტყუილზე ოჯახი ვერ დაფუძნდება

●  
ლალი შიუკაშვილი-კონლანი –

რადიო „თავისუფლების“, „ამერიკის ხმის“,  
„Вестник“-ისა და „Georgian Journal“-ის  
ჟურნალისტი.

დაბადების დღე – 10 იანვარი



„ჭიზნესქენებს ჩემი ამერიკელი ქმარი უბრუნებდა და ქართული ქალები აუყვანათ სამსახურში. მაღვან პიანია, რომ ისინი ენათლექსი. კომპიუტერული და ენათმეცნიერები არიან“.

დაპრობადა თბილისში. დედა რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი იყო, მამა კი – მხატვარი. სწავლა დავიწყე თბილისის ერთ-ერთ სკოლაში. მშობლების დაშორების შემდეგ მამა მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად და ახალი ოჯახი შექმნა. დედის გადაწყვეტილებით, სწავლა მამასთან მოსკოვში უნდა გამეგრძელებინა, რადგანაც 50-იან წლებში მარტოხელა დედისა და მოზარდი გოგონას მარტო ცხოვრება ოჯახის უფროსის გარეშე საკმაოდ სახიფათო იყო. ამას დამატა ის ფაქტი, რომ დავიწყე სკოლისა და მუსიკის გაკვეთილების გაცდენაც. აქედან გამომდინარე, დედა მიხვდა, რომ ვეღარ მაკონტროლებდა, რადგან იგი ძალიან დემოკრატიული და რბილი ხასიათის ქალი იყო. დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, რომ მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

მამა ძალიან დაკავებული იყო თავისი მხატვრობით და მისმა ოჯახმა გადაწყვიტა ჩემი გაგზავნა დიპლომატთა შვილების ინტერნატში. იქ შევიძინე ცხოვრების სწორად აღქმის უნარი. მგონია, რომ საბჭოთა სკოლებში, საერთოდ, ყველაფერს კარგს ასწავლიდნენ – იმას, რაც ბიბლიაშია, თუმცა ამას ხმამაღლა არ აღიარებდნენ.

ინტერნატის დამთავრების შემდეგ დავბრუნდი თბილისში. თავდაპირველად დავიწყე მუშაობა თბილისის მოძღვლების სახლში მოზარდთა ტანსამლის მოძღვლად. შემდეგ გავთხოვდი. გადავწყვიტე თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდების ჩაბარება. ვინაიდან მოსკოვში ცხოვრების დროს ქართულ ენას დავშორდი, დიდი შრომა დამჭირდა ამ პრობლემის გადასაღებად. საბოლოოდ გამოცდები კი კარგად ჩავაბარე, მაგრამ ამას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა დედამთილის მხრიდან. მისი აზრით, ქალის ყველაზე საპასუხისმგებლო მისია შვილების გაჩენა და გაზრდა იყო. დღეს მე ვეთანხმები ამ აზრს, მაგრამ იმ დროს სხვაგვარად ვფიქრობდი. ასე დასრულდა ჩემი პირველი ქორწინება.

თეატრალურ ინსტიტუტში კარგ მოცეკვავედ ვითვლებოდი და ჩემმა ცეკვის მასწავლებელმა მირჩია ანსამბლ „სუხიშვილებში“ მისვლა. ქალბატონ ნინო რამიშვილს მოვეწონე, მაგრამ მომავალი ექვსთვიანი გასტროლები მესამეკურსელ სტუდენტს ხელს არ მაძლევდა. შემდეგ ვცადე ბედი ანსამბლ „რუსთავში“, სადაც შემომთავაზეს ჩემთვის მისაღები პირობები. საკმაოდ დაკავებული ვიყავი – ინსტიტუტი, რეპეტიციები, მოძღვლების სახლი. საქმე ადამიანს ზრდის – უსაქმურობა და ბევრი ფული კი კაცს რყვნის. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ანსამბლ „რუსთავის“ ერთ-ერთი სოლისტი გავხდი და 70-იან წლებში საზღვარგარეთ გასტროლებზე დავდიოდი. ამასობაში მამაჩემი თავის ებრაელ ცოლთან ერთად აშშ-ში ემიგრაციაში წავიდა და ამ დროიდან ჩემი საზღვარგარეთ გასტროლებიც დაიბლოკა – აღარ მენდობოდნენ, ემიონდათ, რომ მამასთან დავრჩებოდი. მივხვდი, რომ ჩემი საცეკვაო კარიერაც დასრულდა. რამე უნდა მომეფიქრებინა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მამის კვალს გავყოლოდი და დამეტოვებინა ახლა უკვე ყოფილი სსრკ.

პოლონელი ნათესავების ხელშეწყობით გავემგზავრე პოლონეთში, სადაც მუდმივი ცხოვრების უფლება მოვიპოვე. პოლონეთიდან შემეძლო სხვა ქვეყნებში უპრობლემოდ გამგზავრება. ვისარგებლე შემთხვევით და ქართული სათვისტომოს პრეზიდენტის, ბატონ ვიქტორ ხომერკის დახმარებით ფრანგულის შესასწავლად გავემგზავრე პარიზში. ამასობაში ბატონმა ვიქტორმა მიიღო წერილი მიუნხენიდან, რომ რადიო „თავისუფლების“ ქართულ რედაქციას ქალის ხმა სჭირდებოდა. დიდხანს ვორჭოფობდი, საბოლოოდ კი მოვითხოვე პოლიტიკური თავშესაფარი და დავიწყე მუშაობა, ასე ვთქვათ, „მტრულ რადიოში“.

რადიო „თავისუფლება“ სარგებლობდა ამერიკის კონგრესის ფინანსური მხარდაჭერით. აქედან გამომდინარე, ჩვენთან ხშირად სტუმრობდნენ ამერიკელი კოლეგები, მათი დახმარებით შევავსე „ამერიკის ხმის“ ანკეტა და შესარჩევ კონკურსი მიუნხენის ბიუროში გავიარე. გარდა პროფესიული კრიტერიუმებისა, საჭირო იყო ე.წ. „ფილტრაციის“ გავლაც და, ბიოგრაფიული მონაცემების შემოწმების შემდეგ, საბოლოოდ მიმიღეს. ასე მოხვდი აშშ-ში.

ჩემი ცხოვრების ყველაზე საამაყო პერიოდი უკავშირდება 13 წლიან პედაგოგიურ მოღვაწეობას დიპლომატიურ სკოლებში, სადაც დავიწყე მუშაობა რადიოში კადრების შემცირების შემდეგ. ვასწავლიდი სამხედრო დიპლომატებს რუსულ და მოგვიანებით ქართულ ენასაც. ყოველთვის ვცდილობდი ჩემი მოსწავლეებისთვის დამენახებინა ქართული ენის სიმდიდრე და სილამაზე. დავწერე სახელმძღვანელო „Basic Georgian for Foreigners“ და „Book of Georgian Verbs“.

აშშ-სა და სსრკ-ში უდიდესი ცვლილებები ხდებოდა. ამ დროს შედგა რეიგანისა და გორბაჩოვის ისტორიული შეხვედრა, როცა რატიფიცირებულ იქნა შეთანხმება საშუალო და ახლო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციაზე. ჩვენი სკოლა მუშაობდა ამ დოკუმენტზე, სწავლობდა და

ანალიზებდა ყველა პუნქტს, ამოწმებდა ინგლისური ტექსტის რუსულთან შესატყვისობას. მე ვიყავი ამ დიდი პროცესის პატარა ნაწილი და მონაწილე.

საქართველოში დავბრუნდი 2000 წელს. იმ დროიდან მოყოლებული დაკავებული ვარ მწერლობითა და ჟურნალისტიკით. დავწერე წიგნი ელენე ახვლედიანის მუზეუმზე, გავაკეთე ვრცელი ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან. ამჟამად ვთანამშრომლობ ჟურნალ-გაზეთებთან და გამოვეცი მოგონებების წიგნი „წარსულის კვადაკვალ“.

ნურავინ იფიქრებს, რომ ქალს კარიერაში გარეგნობა ეხმარება. ამერიკაში კარიერა პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, არა აქვს მნიშვნელობა, ქალი ხარ თუ კაცი, შავი თუ – ყვითელი. თუ დამქირავებელი შენი რელიგიური მრწამსით დაინტერესდება, უფლება გაქვს ამისთვის იგი სასამართლოს გადასცე. ეს, მართლაც რომ, დემოკრატიული ქვეყანაა. საქართველოში კი რა ხდება? აბსოლუტური უნდობლობაა. არ ენდობიან არც უმრავლესობას, არც – ოპოზიციას. ლიდერები გაუგებარი სიტყვებით ესაუბრებიან ხალხს. ასეთი შესანიშნავი ლექსიკის პატრონებს რაში გვჭირდება ამდენი უცხო სიტყვა?! ჩვენი სახელმწიფოს დოგმა ადამიანის დამცირებაა. ქართველები ერთ-ერთი პირველი ქრისტიანი ერია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ადამიანის პატივისცემა არ იციან. ირგვლივ ცუდი სიტყვების კორიანტელია. განსაკუთრებით, ეს სატელევიზიო გადაცემებიდან ჩანს.

დღეს ქალები უკეთესად წარმოაჩენენ თავს, ვიდრე კაცები. ჩემს ამერიკელ ქმარს, ჯონ კონლანს არაერთხელ უთქვამს, რომ ქართველი კაცები ვერ აფასებენ ქართველ ქალებს. ბიზნესმენებს კი ურჩევდა, ქართველი ქალები აეყვანათ სამსახურში, რადგან მიაჩნია, რომ ისინი განათლებული, შრომისმოყვარე და უნარიანი არიან, ხოლო თუ ქალები პოლიტიკაში არ ერთვებიან, ვფიქრობ, რომ ეს მათი ტრადიციული ხასიათის ბრალია. შესაძლებლობებზე თუ ვიმსჯელებთ, ქართველ ქალებს ის უფრო ადრე ჰქონდათ, ვიდრე ამერიკელებს, რომლებმაც მხოლოდ 1920 წელს მიიღეს საარჩევნო ხმის უფლება. საქართველოში არის პოტენციალი, მაგრამ არ არის ეკონომიკური საფუძველი, რომ ქალებმა პოლიტიკისთვის მოიცალონ - ქვეყანა ინგრევა, რა ქალის უფლებებზე ვსაუბრობთ? არავინ არაფერს კითხულობს და არ ცდილობს განვითარდეს.

იდეალურ ქალზე ვერაფერს გეტყვით, რადგან თავად ვარ ქალი. იდეალური მამაკაცი კი ჩემთვის სუფთა სულისა და მოქნილი უნარის მქონე პიროვნებაა. ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ კაცს თუ ცოლიც ჰყავს და საყვარელიც, ორივეს ატყუებს და ასეთ კაცს არ ენდობიან. საქართველოში კი ამ საკითხს ქალები ნორმალურად აღიქვამენ - „კაცია და რა ქნას?!“. ქვეყნად დამკვიდრებულია არასწორი მორალი. როდესაც ქალი და მამაკაცი ოჯახს ქმნის, იქ ტყუილი არ უნდა იყოს. აქ კი ლამის მოდური გამხდარა ქმრისგან ლალატი, რომელსაც, სამწუხაროდ, ქალები ეგუებიან.

მსურს ისეთ საქართველოში ცხოვრება, სადაც ყოველი ადამიანი იქნება დასაქმებული, შესაბამის ანაზღაურებას მიიღებს, გადაიხდის გადასახადებს და მას დაიცავს კანონი.

# ხელგაუხეხელი ემოცია

**ხათუნა ჩხეიძე** – მხატვარი, ღიზანიერი,  
აქვამად სხოვრობს და მოღვაწეობს  
აშშ-ში.

**ლაბაღის დღე** – 6 ოქტომბერი



„ძინდა აღაძიანქს სიყაოყლი  
ქუყაოთ და ქიქ ყუღას ვაღასღონ.  
ყსიყაოყლოდ ჰომ აღაძიან ღადიოდეს  
ღღაძინაშე“.

სოხუში დავიბადე. ოთხი წლის ვიყავი, როდესაც თბილისში გადმოვედით, სადაც მეოთხე კლასამდე ვსწავლობდი, მეოთხე კლასიდან კი სულ ემიგრაციაში ვარ. ჩემი მშობლები ალჟირში მუშაობდნენ, მამა ბიოქიმიკოსი იყო. მერვე კლასამდე ალჟირში ვსწავლობდი, მერე თბილისში დავბრუნდი.

ბავშვობიდან ვხატავდი, თუმცა, ოჯახის გადაწყვეტილებით, სამედიცინო ინსტიტუტში ვაბარებდი. ვერ მოვხვდი. შემდეგ ოჯახმა პატივი სცა ჩემს მისწრაფებას. მოსკოვში მოდელირებას სამი წელი ვსწავლობდი, საიდანაც თბილისის სამხატვრო აკადემიაში გადმოვედი. ჩემი სადიპლომო თემა იყო „ასოციაციები მწერებზე“. ეს იყო აბსტრაქტიზებული, თეატრალიზებული კოსტიუმები, ძალიან საინტერესო და სასაცილო. კათედრის გამგე თავიდან უარზეც კი იყო, რომ დიპლომი ამ ფორმით დამეცვა. მაშინ ყველაფერი ჩარჩოებში უნდა ყოფილიყო მოქცეული. მოსკოვის კომისია უნდა ჩამოსულიყო და კათედრის გამგე ძალიან ღელავდა. დიპლომი ხუთიანზე დავიცავი და მაშინვე გავხდი მხატვართა კავშირის წევრიც, რადგან მოსკოვის კომისიას ძალიან მოეწონა ჩემი ნამუშევრები. ჯერ საერთოდ არ მიშვებდნენ დიპლომზე და მერე კი მოხდა ასეთი ფეიერვერკი...

აკადემიის დასრულების შემდეგ გავთხოვდი და 90-იან წლებში, აქ რომ აირია ქვეყანა, სტამბულში წავედიტ საცხოვრებლად. ჩემს მეუღლეს იქ ბიზნესი ჰქონდა. შემდეგ მეორე შვილი

შემეძინა. იქვე ვმუშაობდი. ტანსაცმლის ესკიზებს მიკვეთავდა ერთ-ერთი ფირმა, რომელიც ტყავისა და ბეწვის ნაწარმს უშვებდა. ჩემი ნამუშევრები იყიდებოდა. ფერწერაშიც ვმუშაობდი ჩემთვის. ზაფხულობით თბილისში ჩამოვდოდი. ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რაც სტამბულში გავაკეთე. უნდა დავრწმუნებულიყავი, რა და რამდენად შემიძლია. მოგვიანებით მოსკოვში მოეწყო ჩემი ესკიზების გამოფენა და სულ გაიყიდა.

შემდეგ თბილისში დავბრუნდი და ორი წელი ვიცხოვრეთ სამშობლოში. შემდეგ კვლავ ემიგრაცია – ამერიკაში წავედი. იქ მესამე შვილი შემიძინა. ამერიკაში რამდენიმე წელი ჩავარდნა მქონდა – არაფერი გამიკეთებია. ერთხელ, სრულიად შემთხვევით, ჟურნალს ვათვალიერებდი და განცხადებას წავაწყდი კონკურსის შესახებ. ჩემმა მეუღლემ მირჩია, სცადეო. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რომ ნიუ-იორკში რაღაც გამეკეთებინა მე, ახლადჩასულ მხატვარს. თანაც აქტიური, მებრძოლი არ ვარ. თუ თავისთავად რაღაც მოხდება, მოხდეს... მაინც ცცადე, გავაგზავნეთ სლაიდები და მოვიდა პასუხი, რომ გავიმარჯვე. სრული შოკი იყო. მერე მეორე კონკურსზე გავაგზავნე და 2000 წელს ორჯერ გავიმარჯვე, კარგი წელი იყო ჩემთვის. ამის შემდეგ კი დაიწყო მოწვევები გალერეებიდან, გავაქტიურდი, ეს ყველაფერი თავისთავად ხდებოდა. ისე აეწყო, რომ ერთი წლის განმავლობაში რამდენჯერმე ზედიზედ მქონდა გამოფენები. ათი გამოფენა მქონდა ნიუ-იორკში, გამოიფინა ჩემი ფერწერა, გრაფიკა, მაგრამ ამ ათ გამოფენას ჩემთვის არაფერი დაუტოვებია, რადგან ძალზე უცხო გარემოში ვიყავი – მოდიოდა უამრავი უცხო ადამიანი, არავის ვიცნობდი, არ ვნერვიულობდი.

2007 წლის ზაფხულში საქართველოში ჩემი უმცროსი ბიჭი მოიწვიეს კონკურს „ანა-ბანაში“ მონაწილეობისთვის. კონკურსი რომ ჩათავდა, ყველას ეტირებოდა, ყველა აღფრთოვანებული იყო. საერთოდ, ყოველ ზაფხულს ჩამოვდივართ თბილისში. თბილისში ძალიან დაძაბული ვარ ხოლმე, აქ ყველა შენიანი, ყველა გიყვარს. მინდოდა აქაც გამეკეთებინა რაიმე, მაგალითად, სიყვარულის დღეები. სიყვარული დადებითი ემოციაა. მშვიდობა, ბედნიერება, სიხარული სიყვარულს უკავშირდება. ეს გრძნობები მინდოდა გამეერთიანებინა, ერთ მთლიანობად მექცია და თბილისისათვის სიყვარულის ხე მეჩუქებინა. სიყვარულის ხე წითელი უნდა ყოფილიყო, თეთრი გულებით. ჩემს წარმოდგენაში ხის წითელი ტანი სიცოცხლის არტერიაა, ხის ტოტები – არტერიიდან გამომავალი განშტოებანი და ენერჯია; არტერიაზე თეთრი გულები – თეთრი ნეიტრალური ფერია – ჯერ ხელშეუხები ემოცია. წითელი ხე შარდენის ქუჩაზე უნდა მდგარიყო და იქ გავაკეთე კიდეც. მეორე წელს რომ ჩამოვედი, ხე გადაჭრილი დამხვდა, შურდულის ტარივით გამოიყურებოდა. არ მიიღეს ჩემი სიყვარულის ხე, ძალიან მეტკინა გული. ბევრი ვიწვალე ამ ხის გასაკეთებლად. თანხაც არ მქონდა, მეგობრები დამეხმარნენ. მინდოდა ყველასათვის სიურპრიზი მომეწყო, ქალაქი კი ამისათვის მზად არ აღმოჩნდა.

მერე მერიამ შემიკვეთა ანალოგიური ხე – საქართველოს პატრიარქის, ილია მეორეს აღსაყდრების იუბილესთან დაკავშირებით. რუსთაველზე ამდაგვარი სიყვარულის ხე შევქმენით. ჩემი ჩამოსვლა 2007 წლის ნოემბრის დღეებს დაემთხვა. ვიფიქრე, რა დროს სიყვარულის ხეა-მეთქი. მაგრამ მაინც გავაკეთეთ. სასტუმრო „მერიოტის“ წინ იდგა ის ხე, რომელიც გვჭირდებოდა. ხე გაცოცხლდა, სპექტაკლიც გავაკეთეთ, სცენაც ავაშენეთ. მინდოდა, რომ ამ სიყვარულის ხით დავირუსებულები მთელი თბილისი, სიყვარული გადამდები ყოფილიყო. რაც უფრო მეტი სიყვარულის უნარი გაქვს, მით უფრო მეტს მიაღწევ და მეტს გააკეთებ, მაშინ ძლიერი ხარ.



იმ ზამთარს თბილისში ვიყავი, ხშირად მივდიოდი რუსთაველზე და რას ვხედავდი? ვილაცები იდგნენ და სურვილებს აწერდნენ ჩემს სიყვარულის ხეს. ქალაქის ნაკუწებს, სადაც სურვილები ეწერა, ხის ტანზე შემოხვეული ქსოვილის ნაკერებში კუჭავდნენ. დიდხანს იყო ეს ხე. მერე, როგორც ვირუსი უნდა მოვიდეს და წავიდეს, ეს ხეც წავიდა.

2008 წლის ივნისში გალერეა „ჰობიში“ მოეწყო ჩემი პერსონალური გამოფენა. გამოფენაზე ოთხმეტრიანი, დიდი, ნაჭრისგან შეკერილი ქალი წარმოვადგინე. მინდოდა თავისი მასიური სხეულით სრულყოფილი ყოფილიყო: თბილი, რბილი და ხელშესახები. ის არც ეგაა და არც ვენერა. იჯდა დარბაზში, იყურებოდა ცაში ამაყად და გარშემო გვირილები ეყარა, როგორც სისუფთავისა და სიწმინდის სიმბოლო. ამის მერე აღარაფერი გამიკეთებია, განწყობა არ მაქვს, ყველაფერს განწყობა უნდა.

ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და მივყვები დინებას, განსაკუთრებული მიზანი არ დამისახავს არასოდეს, ყველაფერი თავისთავად წამოვიდა. ჩემი მიღწევა ჩემი დიდი ოჯახია – სამი შვილი. მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით უცხოეთში ცხოვრობენ, ჩემს შვილებს ქართველობა არ დაუკარგე.

კაცად დაბადების სურვილი არასოდეს მქონია. ქალი დედა უნდა იყოს. ადამიანი იბადება სიყვარულით, სიყვარულის შედეგად, სიყვარული მასშია. თუ სიყვარული დატკეპნე და ამოგლიჯე, მაშინ მანქანა ხარ. ქალმა არასოდეს არ უნდა დაკარგოს სიყვარულის გრძნობა, რადგან ყველაფრის ღერძი სიყვარულია.

მინდა ვიხილო ბედნიერი, მშვიდი საქართველო, მინდა იყოს ერთმანეთის გვერდით დგომის სიხარულის შეგრძნება, მინდა, რომ სიყვარული სულ ენთოს...

# აქტიური, გონიერი და ხალისიანი

ნათია წაქვლაძე – იურისტი,  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
მოსამართლე  
დაბადების დღე – 14 ივლისი



„კონფლიქტის მოგვარება ქალს ყვეო ძუძლია, სწორედ ამიტომ საქაო სელისუფლების ობენოებში მესი ქალი ყნდა იყო“.

მოსამართლეობასთან ერთად პედაგოგიურ საქმიანობას ვეწევი, სხვადასხვა უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ სამართალს ვასწავლი. პროფესია უფრო გაუცნობიერებლად ავირჩიე, იურიდიული განათლების მიღება მსიბლავდა. არჩევანის სისწორეში მოგვიანებით დავრწმუნდი. ჩემი პროფესია თანდათან, მუშაობასთან ერთად, მომეწონა და შემეყვარდა, მომეწონა მისი მაღალი მიზნებისა და დანიშნულების გამო. თავიდან ეს გაცნობიერებული არ მქონდა. როცა უნივერსიტეტს ვამთავრებდი, ვფიქრობდი, რომ სხვა განათლებასაც მივიღებდი.

ჩემს ყველაზე დიდ მიღწევად მოსამართლეობა შეიძლება ჩაითვალოს. არანაკლებ მიღწევად მიმაჩნია პედაგოგიური საქმიანობა და მისი შედეგები, რადგან ძალიან მიყვარს სტუდენტები და მათთან ურთიერთობა. ადმინისტრაციული სამართალი სამართლებრივი სახელმწიფოს სამართალია და თუ ქვეყანაში ამ სამართლის ინსტიტუტები, პრინციპები, ნორმები სრულფასოვნად დამკვიდრდება, საქართველო თვისებრივად სხვა ტიპის სახელმწიფო იქნება, საზოგადოების მართლშეგნების ხარისხი გაიზრდება, კანონის უზენაესობის სტანდარტი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების მაქსიმალურ დაცვას ისე, როგორც თანამედროვე, კარგად განვითარებულ სახელმწიფოებში ხდება.

ჩვენს საზოგადოებაში ქალისა თუ მამაკაცის პრობლემა ზოგადად არსებობს, რადგან დამოკიდებულება ასეთი – არასერიოზული, ზერელე. განათლებულ საზოგადოებაში ეს საკითხი ნაკლებად მწვავედ დგას. ქართველ ქალს აქვს რწმენა, რომ შეუძლია იყოს არანაკლებ წარმატებული, ერუდირებული, ნოვატორი, აბსოლუტურად კონკურენტუნარიანი. და ეს ასეც არის. ქართველ ქალს შეუძლია საკუთარი თავის სჯეროდეს.

რატომღაც ითვლება, რომ ქალის აზროვნება, მისი ქცევა ექსტრემალურ სიტუაციაში, დასკვნები უფრო ემოციურია, ვიდრე – რაციონალური. ეს მალიზიანებს. ჭკვიან ქალს შეუძლია კონკრეტულ შემთხვევაში უფრო სწორი და მისაღები გადაწყვეტილება მიიღოს, ვიდრე მამაკაცმა.

დახმარება ყველას, ქალსაც და მამაკაცსაც, თანაბრად სჭირდება. დახმარება მეც მიმიღია, უპირველესად – ოჯახიდან. მორალური და მატერიალური დახმარება, თანადგომა, გაგება იმისა, რასაც აკეთებ – ეს მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა. კარიერის დასაწყისში ჩემი ხელფასი მინიმალური იყო და, ბუნებრივია, ოჯახი რომ არ დამხმარებოდა, საჯარო სამსახურში ვერ დავრჩებოდი. წმინდა პროფესიული, დიდი დახმარება მიმიღია ჩემი უფროსი კოლეგები-საგან. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მათი სასარგებლო, პროფესიული რჩევები. ჩემი წარმატება იმასაც ეფუძნება, რომ შვიდი წელი სასამართლო აპარატში ვმუშაობდი და დიდი გამოცდილება მივიღე.

მართლმსაჯულება ნდობის გარეშე არ არსებობს. უნდობლობას ბევრი მიზეზი განაპირობებს, უპირველესად, ეს გამოწვეულია სახელმწიფოებრიობის, შესაბამისად, ეროვნული სასამართლოს ტრადიციის რამდენიმესაუკუნოვანი წყვეტით. ჩვენთან არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ტრადიცია. თუმცა, ქვეყანაში ყოველთვის (მათ შორის საბჭოთა რეჟიმის პირობებში) იყვნენ ერთეული დამოუკიდებელი, პრინციპული მოსამართლეები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ასეთი ინსტიტუტის შესაქმნელად და მისდამი ნდობის დასამკვიდრებლად. დღეს ნდობის მოპოვების ერთადერთი წინაპირობა ობიექტური, პატიოსანი, მიუკერძოებელი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებაა.

როცა საქმეს სიყვარულით აკეთებ, ის შენთვის მხოლოდ მოვალეობა არ არის, ის უკვე სულიერი მოთხოვნილებაა.

კონფლიქტის მოგვარება, მგონია, ქალს უკეთ შეუძლია. ჩემში კონფლიქტის მოგვარების დროს ქალური საწყისი უფრო ჭარბობს. სწორედ ამიტომ ძალიან ვწუხვარ, რომ საჯარო ხელისუფლების ორგანოებში ცოტა ქალია.

ჩემთვის იდეალური ქალი აქტიური, გონიერი, მოაზროვნე, ხალისით სავსე, ქალური ქალია. გამუდმებით ვკითხულობ. ჩემი თავისუფალი დრო ძირითადად კითხვას ხმარდება. ბევრი და მრავალფეროვანი ინტერესი მაქვს. მაინტერესებს თავი გამოვცადო სხვადასხვა ამპლუაში. არ ვიცი, როგორ მოვახერხებ, მაგრამ ამაზე სულ ვფიქრობ.

პოლიტიკა ჩემი სფერო არ არის. ამას ჯერ კიდევ სტუდენტობისას მივხვდი. პოლიტიკა უფრო კვალიფიციური უნდა გახდეს.

ვიცი, როგორ საქართველოში მინდა ვიცხოვრო და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოების ძალისხმევით ვიცხოვრებ ასეთ საქართველოში. ეს უნდა იყოს სახელმწიფო, სადაც

ყოველი ადამიანი დაცული, ხოლო ხელისუფლება შებოჭილი იქნება კანონით, უზრუნველყოფილი იქნება მრავალსპექტიანი თანასწორობა: სქესის, რასის, რელიგიის, წარმოშობის...

ქვეყანაში ისეთი გარემო უნდა შეიქმნას, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს განვითარების, შრომისა და თავის დამკვიდრების საშუალება. მჯერა, რომ ასე იქნება, რადგან ჩვენი ძირითადი სიმდიდრე ინტელექტუალური, ნიჭიერი, მშრომელი ადამიანები არიან. ვფიქრობ, რომ კანონიერი, თანასწორი, კონკურენტული გარემოს შექმნა ადამიანებს საშუალებას მისცემს, იყვნენ წარმატებულები.

# Public Space With A Roof

თამარ ჭაბაშვილი – მხატვარი,  
მუშაობს კოლანდიაში, საერთაშორისო  
არტპროექტებში  
დაბადების დღე – 26 ივლისი



*"Take care... establish the protective strategies and a relationship to your initial home and try to construct a "new home"... It's a lot of work but, it pays off... as well as it hurts, it has other advantages that would never show up if one would not face the situation of a displaced person..." D.S.*

შემთხვევითობამ მიიყვანა საირმის ერთ პატარა სამხატვრო სკოლაში. შემდეგ უკვე მიზანდასახულად გადავედი იაკობ ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელში, მერე კი - სამხატვრო აკადემიაში. აკადემიაში სწავლის ინტერესი მალევე დავკარგე. იქაური განათლების სისტემა, რომელიც უზომოდ ტრადიციული და დოგმატური იყო, ეწინააღმდეგებოდა და აბრკოლებდა ჩემს მოთხოვნილებებს. 1998წ. ორი კურსის დასრულების შემდეგ ჰოლანდიელი მეგობარი ქალის დახმარებით ჰოლანდიაში, ხერიტ რითფელდის სამხატვრო აკადემიაში გავაგრძელე სწავლა. მას შემდეგ თერთმეტი წელია, იქ ვცხოვრობ და ვმოდგაწეობ.

2003წ. ამსტერდამში მე და ჩემმა კოლეგებმა გავხსენით საგამოფენო სივრცე – სტუდია, სახელწოდებით Public Space With A Roof (შემოკლებით PSWAR). როგორც დამწყებმა მხატვრებმა, ჩვენ გავაცნობიერეთ ისეთი ალტერნატიული სივრცის საჭიროება, რომელშიც ყურადღება დაეთმობოდა არტისტულ პროცესს (ხელოვნების ყველა სფეროდან) და მის ირგვლივ არსებულ დისკუსიას თეორიული და ვიზუალური მასალების თანაბარი გამოყენებით. PSWAR-ის მეშვეობით შევქმელით ჩვენი იდეების განხორციელება და საკუთარი არტისტული ენის ჩამოყალიბება, რამაც საბოლოოდ პროექტების ფორმა მიიღო.

საკუთარ პროექტებზე მუშაობისას ჩვენ საშუალებას ვაძლევდით სხვა არტისტებს, გამოეყენებინათ ჩვენი საგამოფენო სივრცე. თითოეული ჩვენი პროექტი თითქმის ნახევარწლიანი კვლევისა და მუშაობის შედეგი იყო, რომელშიც მონაწილეობას 20-40 კაცამდე იღებდა (გამოფენა, პრეზენტაცია, ლექცია, ფილმი, პერფომანსი, დისკუსია). ჩვენი პროექტები შემდეგ ეტაპებს მოიცავს: აქტუალური კითხვების ჩამოყალიბება, თემატური გამოკვლევა, კონცეპტის ჩამოყალიბება, ინსტალაციის შექმნა, დამატებითი პროგრამა: ლექცია, პერფომანსი, დისკუსია,

საბოლოო ეტაპზე დასკვნების გამოტანა და სამომავლო კითხვების ჩამოყალიბება. ამგვარად, ყოველი შემდეგი პროექტი წინა პროექტის გაგრძელებას წარმოადგენს. ჩვენი პროექტის მთავარი და გამაერთიანებელი ნაწილია არქიტექტურული ინსტალაცია, რომელიც მოცემული სივრცისთვის არის აგებული. ჩვენს საგამოფენო სივრცეში ოთხი დიდი პროექტი განვახორციელებთ, სადაც მონაწილეები სხვადასხვა სფეროდან და ქვეყნიდან იყვნენ მოწვევულები.

2007 წლის ბოლოს ჩვენ დავხურეთ PSWAR-ის საგამოფენო სივრცე და გადავწყვიტეთ ჩვენი პროექტები ახალ და საერთაშორისო ასპარეზზე გვეცადა. ამან თავისთავად ბევრი სიახლე და ცვლილება შემოიტანა ჩვენი მუშაობის პროცესში და დაგვეხმარა ახალი ფორმების ჩამოყალიბებაში, რაც მხოლოდ პროექტით კი აღარ შემოიფარგლება, არამედ წიგნის, ფოტოინსტალაციის, ზოგჯერ ტექსტის ფორმითაც ევლინება მაცურებელს. Public Space With a Roof-ის ჯგუფს წარმოადგენს: თამუნა ჭაბაშვილი (მხატვარი), ადი ჰოლლანდერ (მხატვარი) და ვესნა მადჯოსკი (თეორეტიკოსი).

ჩემი ჰოლანდიაში საქმიანობა უთბილისობას სრულიად არ ნიშნავს. 2003 წელს პროექტი „უცხოელის“ წვერი ვიყავი თბილისში. 2004 წელს არჩევნების შემდეგ თბილისში ჩამოვედი და ოთხდღიანი აქცია მოვაწყვე ქარვასლაში. ამ ნამუშევრით მსურდა თავისუფალი სიტყვისა და მოქმედების პლატფორმა შემექმნა. თითოეულ მსურველს შეეძლო თავისი მოქმედებით ცვლილება შეეტანა და საკუთარი აზრი გამოეხატა ერთობლივ პროცესში. მცირე ბიუჯეტი ნამუშევრისთვის მასალებს უზრუნველყოფდა. მთლიანობაში მონაწილეობა 20-მდე ადამიანმა მიიღო. ჩემი ძირითადი მიზანი იყო გამომეკვლია, თუ როგორ ფუნქციონირებს საგამოფენო სივრცე, როგორი დამოკიდებულება აქვს თითოეულ მხატვარს ერთობლივ პროცესთან, რა როლი აქვს მაცურებელს, რა კითხვები ჩნდება, იმართება თუ არა დისკუსია. საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს ისეთი საგამოფენო სივრცეები, სადაც შეიძლება ექსპერიმენტებისა და გამოკვლევების ჩატარება, სხვადასხვა დისციპლინისა და დარგის ერთმანეთთან დაკავშირება, კრიტიკული ღონისძიებებისა და აქციების ორგანიზება, რაც მუდმივ ხასიათს მიიღებს. ამ პროექტით მე დიდი გამოცდილება მივიღე და იმედი მაქვს, რომ სამომავლოდ შევძლებ ამის გამოყენებას საქართველოშივე.

# პრობლემა, როგორც სქესის მიღება

●  
**ნათუნა ხაბულიანი – ხელოვნებათმცოდნე,  
კურატორი, მედიკალინური მედიცინის ავტორი.  
მუშაობს სამხატვრო აკადემიაში,  
მიჰყავს ორი კურსი – უახლესი  
ტენდენციები თანამედროვე ვიზუალურ  
ხელოვნებაში, საბამოფენო პროექტი და  
ექსპოზიციის დიზაინი  
დაბადების დღე – 6 მაისი**



„საქართველოში ქუჩა ვიღაც აისკვნის  
სტრუქტურაზე. ქალს უფრო მეტი მუქაობა  
სჭირდება ჩამოიშობისთვის. ვიღაც – ჯანს.  
ჯანს ძალიან უფრო ჩანს“.

ჩემი მშობლების პროფესია ჩემს პროფესიას არაფრით უკავშირდება, დედა ფიზიკოსია, მამა – უზენაესი სასამართლოს წევრი. სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ თანამედროვე ხელოვნებით დაინტერესდი, იმ პერიოდში ამ მხრივ სრული ვაკუუმი იყო. ჩემი კვლევა პოსტ-საბჭოთა საქართველოს ხელოვნების ტენდენციებს შეეხებოდა. ეს სფერო ძალიან მაინტერესებდა, ამას არავინ აფინანსებდა, თუმცა მე ვენერგიას არ ვიშურებდი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „კულტურის განვითარების კავკასიური ცენტრი“ დაინტერესდა თანამედროვე ხელოვნებით, მოხოვეს თანამშრომლობა და ბევრი პროექტიც განვახორციელეთ. რამდენიმე საერთაშორისო გამოფენა გავაკეთე, პედაგოგიური მოღვაწეობაც დავიწყე.

ვენეციის ბიენალეზე (2009) ქართული პავილიონის კურატორი ვიყავი, ინსტალაცია ვიდენამუშევრით წარვადგინეთ. კულტურის სამინისტრომ მიმიწვია. ეს თავისთავად კარგია, რომ კულტურის სამინისტრო დაინტერესდა თანამედროვე ხელოვნებით. ვენეციის ბიენალეზე ტრადიციულ ფერწერას არ წარადგინენ – ვიდეოარტი, შერეული ინსტალაცია, კონცეპტუალური ფერწერა ან ფოტოგრაფია წარმოდგენილი. ასეთი შემოქმედება საქართველოში ჯერ კიდევ არ არის პოპულარული. ჩვენ კოკა რამიშვილის ნამუშევრები წარვადგინეთ.

კულტურა ამდღერებს ჩვენს ცხოვრებასა და გამოცდილებას. მხატვრობაში არსებობდა კლიშე თემები, რომლის იქითაც არ შეიძლებოდა გასვლა, საბჭოთა სისტემის ეს „დამსახურება“ დღემდე შემორჩა. იყო ტაბუირებული თემები, რომლებიც დღემდე არსებობს. სექსუალური რევოლუცია დასავლეთში ბუნებრივად მოხდა, გაბრაზებულმა ახალგაზრდობამ გამოცდილება შეიძინა, რამაც თავისი კვალი დატოვა ხელოვნებაში. გაჩნდნენ ქალები, რომლებმაც ფიქრი დაიწყეს სქესის თემაზე, გენდერულ იდენტიფიკაციაზე, ასეთი დისკურსი ჩვენი სივრცისთვის უცხო იყო.

ჩვენთან, მაგალითად, ანალიტიკური მხატვრობა არ განვითარებულა. ჩვენი მხატვრობა უფრო გრძნობიერია, გაუცნობიერებელი, თვალისათვის ლამაზი. ანალიტიკური, ინტელექტუალური მხატვრობა, რომელსაც კონცეპტუალური საფუძველი აქვს, რაღაც დისკურსის ნაწილია. დასავლეთში 80-იან წლებში იყო ასეთი მოძრაობა – ფემინისტური მხატვრობა, რომელიც სხვადასხვანაირად ვლინდება ფსიქოლოგიზმით: ბავშვობის ტრამეები, ფსიქოანალიზი, სხეულის თემა, მდებარეობითი სქესის დომინანტური ინსტინქტები...

ქალის თემა ფემინისტურ ხელოვნებაში უტირირებულია – ქალი შეიძლება იყო აგრესიული. სტერეოტიპი, რომ ქალი არ შეიძლება იყოს აგრესიული, უკვე ინგრევა.

სუზან ბორდო, თანამედროვე ფემინიზმის ფილოსოფოსი კარგად წერს პოსტმოდერნისტულ ტენდენციაზე – „გენდერული სკეპტიციზმის“ თეორიაზე. მისი აზრით, სქესი არ შეიძლება იყოს ანალიზის კატეგორია, თუ რომელიმე საზოგადოებაში ქალი დისკრიმინირებულია, ეს არის კულტურის, საზოგადოების და არა ფსიქიკის შედეგი. თანამედროვე საზოგადოებებში ეს აღარ არის პრობლემა. თანამედროვე საზოგადოებაში არის ის პრობლემები, რომლებიც სქესის მიღმაა. ჩვენთან, საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს სტერეოტიპები. ქალს უფრო მეტი მუშაობა სჭირდება კარიერისათვის ვიდრე კაცს, კაცის შრომა უფრო ჩანს.

პატრიარქალური კულტები ჩვენში ჯერ კიდევ გვხვდება. სქესთა შორის ურთიერთობის პრობლემა შეიძლება ქალებსაც ჰქონდეთ და მამაკაცებსაც, ეს სოციალური ყოფიდან გამომდინარეობს. პრობლემები მამრობით სქესზე უფრო დიდ გავლენას ახდენს. მაგალითად, უფულობას კაცი დეპრესიამდე მიჰყავს და მერე ქალებს უწევთ საკუთარ თავზე უფრო მეტი პასუხისმგებლობის აღება. ისინი უფრო ძლიერები არიან, ბევრად მეტს იტანენ. გადარჩენის ინსტინქტი ქალებში უფრო მუშაობს, თუნდაც შვილების გამო. რაც უფრო მეტი პასუხისმგებლობა ადამიანში, მით უფრო ძლიერი და თავისუფალია იგი.

ჩემი შინაგანი მდგომარეობა ჩემი ყველაზე დიდი მიღწევაა. ძალიან მშვიდი ვარ, ინტრიგა არ მალეღვებს, საკუთარ თავზე ბევრი მუშაობა მომიხდა, რომ თავი აგრესისაგან დამეცვა, ტრამვირებული არ ვყოფილიყავი სიტუაციისაგან. კმაყოფილების გრძნობა იშვიათად მეუფლება, მით უმეტეს საკუთარი ნაშრომის შეფასებისას. ჩემი კვალიფიკაციის ადამიანებს დიდი ჰონო-



რარები აქვთ, მაგრამ მე ეს არ მაწუხებს, რადგან ვაკეთებ საქმეს, რომელშიც ვგრძნობ თავს ისე, როგორ თევი - წყალში.

იმ სივრცეში, სადაც ყოფნა მიხდება, პრობლემები არ მაქვს. ქალობას ჩემთვის პროფესიაში ხელი არასოდეს შეუშლია. ვფიქრობ, პირიქითაა. ქალი რომ ვარ, სწორედ ამიტომაც შემძლია მეტის გაკეთება.

ქალისთვის მძიმეა, რომ კაცს სთხოვოს ფული რაღაცისათვის, მე პირადად არასრულფასოვნად აღვიქვამდი თავს, ეს რომ მომხდარიყო.

ახალ თაობაში მამაკაცები უფრო მეტ დროს უთმობენ შვილებს, ვიდრე ადრე.

ჩვენი კულტურის სერიოზული პრობლემა დამოუკიდებლობაა. ეს გარდამავალი სიტუაციის კულტურაა და დიდხანს გაგრძელდება, ეს ერთი ლუკმის დიდხანს ლეჭვას წააგავს.

ადამიანმა უნდა იცოდეს ის სფერო, რომელშიც კომპეტენტურია, პოლიტიკაში არასოდეს წავალ, ჩვენ ვართ ძალიან ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყანა, შეცდომები გვაქვს და გვექნება კიდევ.

# განათლებული საქართველო მინდა

●  
ვალენტინა ხაჭალია – ფილოლოგი,  
დაარსების დღიდან 2004 წლამდე  
საქართველოს ტელევიზიის მხატვრულ  
გადაცემათა რედაქციის ხელმძღვანელი  
დახადების დღე – 25 სექტემბერი



„ქალი ისტორიულად ისეა ოჯახში სიმძვილისა  
და ჰამონიის დამყარებას მიჩვეული.  
რომ ის დიპლომატიურ სიბჭილზე აის უით  
დიპლომატ მამაყას ამ ჩამოყვარდება. თუ  
ეასაქანი მიყვება“.

88-ი წელში გადავდექი და დღემდე მტკივა ჩემი ცხოვრების ერთი დღე, 1948 წლის პირველი აგვისტო, როცა ბელგიაში მიმავალს, ლვოვის აეროპორტის მესაზღვრეებმა სადისერტაციო ნაშრომი: „ვაჟა-ფშაველას ესთეტიკა“ ჩამომართვეს, მეუღლე ბელგიაში სსრკ-ს საელჩოს პრეს-ატაშე იყო და მასთან მივფრინავდი, ჩემი გამოუცდელი ნაშრომიც თან მიმქონდა. ოთხი წლის შემდეგ, როცა დავბრუნდი და ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორ შალვა რადიანს შევჩივე, მან დამამშვიდა, ნუ ნერვიულობ, მაინც ვერ დაიცავდი, რადგან კომპარტიის ცეკამ დღეს ვაჟაზე ხელი აგვადებინაო. შემდეგ იყო იუნესკოში მეუღლის ოთხწლიანი მივლინება პარიზში, სადაც ნება დამრთეს ინსტიტუტში მოვწყობილიყავი, საინტერესო გასაუბრება იყო: ნაცვლად იმისა რომ პროფესორს გამოვეკითხე, ბალზაკსა და სტენდალზე მესაუბრა, გაცივებული პროფესორი მეკითხებოდა; ნუთუ „აიეტის შთამომავლები დღესაც არსებობთ“. იმის გაგებამ, რომ საქართველოში არა მარტო იციან საფრანგეთის შესახებ, არამედ ჩემს პატარა

მშობლიურ ქალაქ ზუგდიდში ნაპოლეონის მემორიალური ნივთებიც კი ინახება, პროფესორი გააოგნა და მეც სიამოვნებით ვსაუბრობდი ჩემთვის მშობლიურ თემაზე - ნაცვლად ჰიუგოსა და ზოლასი. კარგი განათლება მივიღე ჯერ საქართველოში, არაჩვეულებრივი პროფესურის ხელმძღვანელობით, ხოლო შემდეგ - სორბონაში. ამ განათლებას უკვალოდ არ ჩაუვლია: დიდი ხანი მოვანდომე ქართული და ფრანგული ენების შედარებითი ფონეტიკური და ორთოგრაფიული შედარებითი ანბანის შედგენას, რომელიც შემდეგ „იუნესკო“ ფინანსური უზრუნველყოფით დაიბეჭდა.

კიდევ ერთ დღეს გავიხსენებ, რომელმაც ძირეულად შეცვალა ჩემი ცხოვრება. ბრიუსელიდან დაბრუნების შემდეგ „უფლება მომცეს“ იმეღში მთარგმნელად მემუშავა. ერთხელ ოპერაში, ანტრაქტის დროს შევხვდი მაშინდელ კულტურის მინისტრს, რომელმაც შემომთავაზა საქართველოს ტელევიზიაში დამეწყო მუშაობა, ადრე დასაბუთებული უარი მქონდა ნათქვამი და ამჯერადაც გავუმეორე, რომ მე ტელევიზიაზე, სიტყვის განმარტების მეტი არა ვიცოდი რა, მაგრამ პასუხად მივიღე, რომ „მეჩვენებინა ადამიანი, ვინც იცოდა ტელევიზია და მიიღებდნენ, ასე მოვხვდი საქართველოს ტელევიზიაში, 1956 წლის 30 დეკემბრიდან 2004 წლის პირველ დეკემბრამდე ვუერთაგულე მას. პირველ ეთერში 30 დეკემბერს გავედი, ზამთრის ცივ, სუსხიან საღამოს საქართველოს ტელევიზიის პატარა კოლექტივი შევიკრიბეთ ფუნიკულიორზე ორმოცკვადრატულმეტრიან სტუდიაში, სადაც 50 გრადუსი სიცხე იყო. ველავადი, ვფაციფუცობდით. პირველი პოეტი იოსებ გრიშაშვილი მოვიწვიე. მან გადაცემის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე უარი განმიცხადა, „უაუდიტორიოდ ლექსს ვერ წავიკითხავო“. დიდი თხოვნა-მუდარის შემდეგ გადაცემა გავიდა, მაგრამ მთელი კოლექტივი უღმერთოდ გაგვანერვიულა. იმ დღიდან მხატვრული გადაცემების რედაქტორი ვიყავი. 48 წლის განმავლობაში მრავალმა საინტერესო მოვლენამ ჩაიარა ჩემს თვალწინ, ქართულ ლიტერეატურასა და ხელოვნებაში მნიშვნელოვანი არა მომხდა რა, რომ არ გაგავეშუქებინა. 2004 წელს გამათავისუფლეს. მართალია, 82 წლის ვიყავი, მაგრამ ასაკს არ შეუშლია ჩემთვის ხელი, ახლაც მახსოვს ახალგაზრდა კოლეგების სიტყვები - „ქალბატონო ვალია, ნეტავი თქვენი ენერგია მოგვცაო.“ არ ვწუწუნებ, რატომ გამომიშვეს-მეთქი, პრეტენზიაც არ მაქვს, მაგრამ ერთი კია - სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ თითქოს მოვიცელო. დღეს ტელევიზიის მაყურებლადაც აღარ ვვარგავარ.

მინდოდა სამხატვრო საგამოფენო საქმით დაკავებულიყავი, მუდმივი საგამოფენო დარბაზი გამეკეთებინა, მაგრამ მატერიალურად ვერ შევძელი. ტელევიზიის პრაქტიკამ კარგად გამაცნო მხატვართა სამყარო. ისეთ ყურადღებას ვაქცევდით ამ სფეროს, რომ სსრკ-ს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ ანდრია ვოსნეცოვმა განაცხადა: „გადმოსაღებია საქართველოს ტელევიზიის მაგალითი.“ ხოლო საფრანგეთიდან სტუმრად ჩამოსულმა მხატვარ-აკადემიკოსმა არნო დაოტრივმა: „ხელოვნების მექაში, პარიზშიც კი არ გვითმობენ ამეღენ ყურადღებასო.“ სისტემატური გამოფენა ვერ გავაკეთე, მაგრამ 1996 წელს საფრანგეთში-დიჟონში, საპატიო სტუმრად მიწვეულმა, საერთაშორისო გამოფენაში, ოთხი მხატვრის ნაუშევრები, მონაწილეობა მივიღე და და საფრანგეთის ღირსების დიპლომით დამაჯილდოვეს. საქართველოს ღირსების ორდენიცა მაქვს, მაგრამ ჩემი ყველაზე დიდი ჯილდო ჩემი ორი ვაჟია - ორი დიდი იმეღია.

ქართველი ქალის ფენომენი ანტიკურ ხანაშიც იყო ცნობილი. სიტყვა ქალის სინონიმი საქართველოში - „დედაკაცი“ - შემთხვევითი როდია. იგი მეტყველებს იმაზე, რომ ქართველი ქალი ყოველთვის იყო არა მხოლოდ ოჯახის დიასახლისი და აღმზრდელი, არამედ საჭიროებისას - წინამძღოლიც. ვფიქრობ, რომ დღესაც ასეა. ქალის ფუნქციაში ისიც შედის, რომ მამაკაცს არ დაუკარგოს ოჯახის ბურჯის სახე, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია შვილე-

ბის აღზრდისთვის. მოსაყოლად არ მაგონდება შემთხვევა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ერთხელ მანც მინატრია, კაცად გავჩენილიყავ-მეთქი. ეს ბუნებრივია, რომ ქალი და კაცი თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და ერთმანეთი უნდა გაიტანონ. ხდება, რომ ერთნაირი შესაძლებლობების ქალსა და მამაკაცს შორის კაცი მეტი პრივილეგიით სარგებლობს, თუმცა, პირიქითაც მინახავს. ვერ ვიტყვი, რომ, ზოგადად, რომელიმე უფრო დაფასებულია. ისე, კარგი ქალი ყოველთვის ეცდება მამის როლი წარმოაჩინოს ოჯახში. ქალი ისტორიულად ისეა ოჯახში სიმშვიდისა და ჰარმონიის დამყარებას მიჩვეული, რომ კაცზე უკეთესი დიპლომატი იქნება დღესაც. მომხრე არ ვარ, რომ რაღაც აუცილებელი რაოდენობით განისაზღვროს ქალის როლი პოლიტიკაში, მაგრამ თუ გამოჩნდა მოქმედი, მოაზროვნე და პოლიტიკური საქმიანობის მოსურნე ქალი, მას ისეთივე ასპარეზი უნდა მიეცეს, როგორც კაცს. ვფიქრობ, რომ ქალმა და კაცმა კი არა, ზოგადად, ადამიანებმა უნდა ისწავლონ ერთმანეთის მხარში დგომა. ეს ისაა, რაც გადაგვარჩენს და უკეთეს ცხოვრებას შეგვიქმნის. ძალიან მნიშვნელოვანია განათლება, რომლის მოსურნე საქართველო ყოველთვის იყო, თუმცა, ბევრად მეტია საჭირო. აი, ასეთი საქართველო მინდა: ერთმანეთის გამტანი განათლებული ადამიანებით დასახლებული. მართო სტუმრის მოყვარე და მისი გამღმერთებელი არა, თვისტომის გამღმერთებელი.

# მე ყველაფერში სტაბილურობას ვარჩევ

ირინე ხომერიკი – საერთაშორისო  
სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის  
რეგიონული განყოფილების  
ხელმძღვანელი, საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი  
დაბადების დღე – 4 ნოემბერი



„ჩვენი მენტალიტეტი წიოფესიებს ქალისა და  
ყაცის წიოფესიებად ყოფს. ეს ცუდია.  
მაეჩამ ქრეჭეჩიოჭით ასეა და ყეჩაყეჩს  
ეახლეჭი“.

ყოველთვის ვცდილობდი ჩართული ვყოფილიყავი ქალთა პრობლემებთან დაკავშირებულ საქმიანობაში; ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი ქალი მომეზიდა ტექნიკის სფეროში. მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში ჩატარებულ კონფერენციაში ვმონაწილეობდი, როგორც ექსპერტი. ძალიან ამაყი ვიყავი, როცა 2007 წელს აშშ-ში მივღე ანიტა ბორგის სახელობის ქალებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის გაცვლით პროგრამის ჯილდო, რომელიც მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების მხოლოდ სამი ქალბატონისთვის იყო გათვალისწინებული.

ხშირად პროფესიები ქალისა და მამაკაცის პროფესიებად იყოფა, ეს ცუდია, მაგრამ ასეა და ვერაფერს გახდები. თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ტექნიკურ მეცნიერებებში დასაქმებული ქალები ცოტაა. არა გვყავს აკადემიკოსი ქალები ტექნიკის დარგში, ვგულისხმობ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას. ცოტა ქალს უკავია ხელმძღვანელის მაღალი პოსტი. რატომ? არ უნდათ? თუ სამუშალებას არ აძლევენ? ძნელია უპასუხო. გარდა „საგარეო“ საქმეებისა, ქალს უამრავი „საშინაო“ საქმე აქვს, ამავე დროს, ქართული მენტალიტეტიც დიდ

როლს თამაშობს. ქალი მაინც შემსრულებელია, ის უფრო პროფესიონალურად ასრულებს კონკრეტულ საქმეს და მართვაში კაცს პრობლემებს არ უქმნის. ამიტომაცაა, კაცები ქალებს უფრო დაქვემდებარებულ თანამშრომლებად ირჩევენ, ვიდრე მენეჯერის პოზიციებზე. კაცი მიჩვეულია „პარადის“ ხელმძღვანელობას, მაგრამ ამავე პოზიციაზე ის ქალს ვერ ეგუება და არ მოსწონს. ქალის პოლიტიკაში ჩართულობის შესახებ კი ვიტყვი, რომ მცირეა ლიდერი პოლიტიკოსი ქალების პროცენტული წილი და აქტიურობის მიუხედავადაც კი ისინი ნაკლებად ჩანან პოლიტიკურ ასპარეზზე. საერთოდ კი ვფიქრობ, რომ მთავარია ჩვენი დამოკიდებულება შეიცვალოს საზოგადოების განვითარებაში ქალის როლის მიმართ, თორემ ამის გარეშე პოლიტიკაში ბევრი ქალიც რომ ჩაერთოს, ეს ვერაფერს ახალს ვერ მოიტანს. სამართლიანადაა მიჩნეული, რომ ქალები უფრო ჰუმანურები არიან და მათ რადიკალური ცვლილებები არ შეუძლიათ. ჩემი თაობა სსრკ-ს დროს დაბადებული თაობაა, იმ პერიოდში უნდოდათ ქალი ჰიპერაქტიურად წარმოეჩინათ. მახსოვს, მაშინ ჩატარდა გამოკითხვა, უნდა გვეპასუხა კითხვაზე: მიაჩნიათ თუ არა ქართველ ქალებს თავი დამცირებულად იმის გამო, რომ ისინი ქალები არიან? ქალების უმეტესობამ მაშინ უარყოფითად უპასუხა. მიმაჩნია, რომ ადამიანები თავიანთ საქმეს უნდა აკეთებდნენ, დღეს კი ყველა ისეა ანერვიულებული და აფიტირებული, რომ ზოგჯერ საკუთარი კონკრეტული საქმის კეთება არ ძალუძთ. კონკრეტული პრობლემები არსებობს, მათ შორის, ქალებზე ძალადობაცაა. საქართველოსთვის, სამწუხაროდ, აქტუალურია პრობლემა, როცა ქალები საზღვარგარეთ მიდიან და ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხდებიან. ეს ძალიან მძიმეა, მაგრამ ქალები იძულებულნი არიან გაემგზავრონ და, სირთულის მიუხედავად, ფული ამ გზით იშოვონ. ეს პრობლემა ძალიან მალეღვეს.

ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა ჩემი ორი ქალიშვილია და, მიუხედავად იმისა, რომ კარიერაშიც ცოტას არ მივაღწიე (ვარ საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის საქართველოს რეგიონული განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიოკიბერნეტიკის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ევროპული ცენტრის „ქალები და ტექნოლოგიები“ საკონტაქტო პირი საქართველოში და ა.შ.), ნორმალურ ოჯახსა და შვილებთან შედარებით ეს არაფერია. მართომ მიაღწიო რამეს, ძნელია, ვერაფერს გახდები, თუ ოჯახი მორალურად და ფიზიკურად არ გეხმარება, არ გაძლევს დროსა და საშუალებას გააკეთო ის საქმე, რაც მოგწონს, რაც სამომავლო პერსპექტივებთანაა დაკავშირებული. მიმაჩნია, რომ მამაკაცური პროფესია და თანამდებობა მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე ე.წ. „კაცების უნივერსიტეტში“, ტექნიკურ უნივერსიტეტში ვმუშაობ, სქესობრივი პრინციპით დისკრიმინაციაში არ მოვყოლილვარ, ან იქნებ, მე არ მომითხოვია ზედმეტი? ალბათ, ასეც შეიძლება აიხსნას.

მგონია, რომ კაცები უფრო სუსტები არიან ქალებზე და მათ მოფრთხილება ესაჭიროებათ. დაბადებისასაც ბიჭები უფრო სუსტები არიან, დაუცველები. შემდგომშიც მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო მცირეა, ვიდრე ქალების. სტატისტიკურად ცნობილია, რომ მთელ მსოფლიოში უფრო მეტი ვაჟი იბადება, ვიდრე ქალი, შემდეგ კი ქალების რაოდენობა ჭარბობს კაცების რაოდენობას. ქალმა ქალობა არ უნდა დაკარგოს, არ უნდა დაივიწყოს, რომ ის დედაა, ცოლია, გარეგნულადაც მომხიბვლელი უნდა იყოს და შინაგანადაც, ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე უნდა იდგეს.

ძალიან მინდა მშვიდ, არაპოლიტიზირებულ საქართველოში ცხოვრება. სხვაგვარად დროც კი არ დაგვრჩება საკუთარი ცხოვრებისთვის. მე ყველაფერში სტაბილურობას ვარჩევ.

# ქალური ქალი

●  
**მანა ჯანელიძე – მედიცინის**  
*მეცნიერებათა დოქტორი,*  
*კლინიკა „ქარას მედლაინისა“ და*  
*„სიტოს“ მენ-გინეკოლოგი,*  
*რეპროდუქტოლოგი*  
**დაბადების დღე – 6 თებერვალი**



ქალური ქალი მომიღებულა და  
მოწყობილია, მაგრამ ზეახტა მთავარი  
ქალი მაინც ქალია

ვვიმრმ, გამიმართლა პროფესია მშობლებმა რომ შემირჩიეს, რადგან ძალიან პატარამ, 16 წლისამ დავამთავრე სკოლა. ჩემს მშობლებს ძალიან უნდოდათ, რომ ექიმი გავმხდარიყავი და მეც დავყევი მათ ნებას. ინსტიტუტი 21 წლისამ დავამთავრე, ძალიან პატარა ვიყავი ექიმობისათვის და დიდხანს ვეძებდი მედიცინის სასურველ სფეროს შემდგომი მუშაობისთვის.

ინტერნატურა თერაპიაში გავიარე ენდოკრინოლოგიის განხრით, გარკვეული პერიოდი რენიმაციამიც ვიმუშავე. შემდეგ ზესტაფონის რკინიგზის საავადმყოფოში გამანაწილეს. ძალიან მინდოდა წასვლა, რადგან მაშინ ვფიქრობდი, რომ სამშობლოს იქ სჭირდებოდა ყველაზე მეტად ექიმები. მაგრამ მშობლებმა არ გამიშვეს და მუშაობა რკინიგზის პოლიკლინიკაში დავიწყე ოფთალმოლოგად. თავად სათვალეს ვატარებ და ძალიან გამიჭირდა ოფთალმოლოგიაში მუშაობა. რამდენიმე წელი ვიმუშავე და მარნეულის სამშობიარო სახლში მეანად გადავედი. 8 წელი ვიმუშავე მარნეულის სამშობიარო სახლში, 2-კაციანი ბრიგადა დღე-ღამეში 15-20 მშობიარობას ვიღებდით. თუ სადმე საწოლი იდგა, ყველგან ქალი მშობიარობდა. ძალიან კარგი პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში, აქტიური. იმდენად მომეწონა იქ მეანობა, რომ გადავწყვიტე კვალიფიკაცია ამემალეებინა.

9 აპრილის შემდგომ პერიოდში ძალიან გამიჭირდა მარნეულში სიარული უტრანსპორტობის გამო, ამიტომ 31-ე საავიაციო ქარხნის ქალთა კონსულტაციაში გინეკოლოგად გადმოვედი და მას შემდეგ მეანობაში აღარ დავბრუნებულვარ.

თუ გიყვარს შენი პროფესია, შეძლებ ძალების მობილიზაციათა და სიყვარულით გააკეთო შენი საქმე. მიუხედავად იმისა, რომ 21 წლის ასაკის მერე არ ყოფილა შემთხვევა 8 საათზე გვიან ავმდგარიყავი ან სამსახური გამეცდინა, ვფიქრობ, რომ ეს არ არის სწორი. ქალის ყველაზე დიდი პროფესია შვილების აღზრდა და ოჯახში დედად მუშაობაა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქალი უნდა დაჯდეს სახლში. მან თავისი პროფესია შვილების სწორად აღზრდისათვის უნდა გამოიყენოს.

როდესაც ჰარმონიას მიაღწევ პირად ცხოვრებაში, მოაწესრიგებ სოციალურ და საზოგადოებრივ მდგომარეობას, ჰარმონია გექნება ოჯახშიც, შვილებთანაც. ვფიქრობ, რომ ეს არის ყველაზე დიდი მიღწევა.

ყველაზე მეტად მაღიზიანებს ქალის მისამართით გამოთქმული ფრაზები: „ვაჟკაცური ქალი,“ „მამალი ქალი“. რატომ უნდა იყოს ქალი ვაჟკაცური? თუ ეს შექებაა, მაშინ მამაკაცის მიმართაც უნდა ვამბობდეთ „ნაზს“ და „მოკრძალებულს“, როგორც კომპლიმენტს. ქალი უნდა იყოს ქალური და კაცი – კაცური.

მართალია, ქართველი ქალი მორიდებული და მოკრძალებულია, მაგრამ ოჯახში მთავარი ძალა მაინც ქალია. ვფიქრობ, დღეს ქალის პოზიცია უფრო გამყარდა. ქალს შეუძლია დამლაგებლად წავიდეს და საარსებო თანხა მოიპოვოს, მამაკაცს ეს არ შეუძლია.

მევესალმები იმ ქალებს, რომლებიც ხვდებიან, რომ აღარ შეუძლიათ მეუღლესთან ცხოვრება და გააზრებულად შორდებიან და არა უბრალო კინკლაობის გამო. როდესაც ქალს აქვს უნარი იცხოვროს დამოუკიდებლად, რატომ იცხოვრებს ისეთ მამაკაცთან, რომელთან ცხოვრებაც არ სიამოვნებს? შეიძლება მამაკაცი საკმაოდ წარმატებული იყოს, მაგრამ მეუღლეს სცემდეს, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდეს. ეს ადამიანის ბუნებაზეა დამოკიდებული. თუ ქალი ცხოვრობს ისეთ მამაკაცთან, რომელიც სცემს, მაშინ ქალს მოსწონს მასთან ცხოვრება და დაე, იცხოვროს.



# ქალს შეუძლია ცხოვრება მწვანე სიმსუბუქედ აქციოს

●  
**მანანა ჯინჭარაძე – ფილოლოგი,  
ჩონხატაურის მუნიციპალიტეტის  
№1 საჯარო სკოლის დირექტორი  
დაბადების დღე – 18 მარტი**



„ღღუანღულ საზოგადოებაში.  
ჩვენს უნდა მონდობეულები ვიყოთ ენდერული  
კომუნელები მისეფაიჭლად. მაინც ამსეჭობს  
ქალთა და ჩანთა კომუნემა“.

პარმი ქართულის მასწავლებელი მყავდა, ქალბატონი ლენიკო ჩიგოვიძე, საგანიც მიყვარდა. ბევრს ვკითხულობდი, ენაც მიჭრიდა და კარგადაც ვწერდი. ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა ასეთ მოსწავლეებს, როგორც წესი, ფილოლოგად მოიაზრებდა. მაშინ უურნალისტობა პოპულარული არ იყო. ჩემი მასწავლებელიც ხელს მიწყობდა, რომ მისი პროფესია გამეგრძელებინა, თუმცა მასწავლებლობაზე არასოდეს მიოცნებია. დღემდე თავს იურისტად მოვიზრებ, ძირითადად – ადვოკატურაში. ძალიან მინდოდა იურისტობა, მაგრამ ოჯახმა წინააღმდეგობა გამიწია და ასე შევრჩი საგანმანათლებლო სისტემას.

გაცვეთილი აზრია, მაგრამ, რადგან არაფერი შეცვლილა, ვიტყვი: ჩემი სქესის გამო ცხოვრებაში ალბათ იმიტომ არ შემქმნია დაბრკოლება, რომ მამაკაცებს, და არა მარტო მათ, დღემდე ჰგონიათ, რომ მასწავლებლობა ქალების პროფესიათა რიცხვს მიეკუთვნება: სკოლაში ხარ, სადაც ცოტა კაცია, ან სულაც არ არიან კაცები. წელიწადში ორი თვე დასვენებაა, საკუთარ

შვილებს ყურადღებას აქცევ, შენი საქმე დღის მხოლოდ ერთ ნახევარს იკავებს, უარეს შემთხვევაში 3 საათზე სახლში ხარ და ოჯახისთვის ბევრი დრო გრჩება. პრინციპში ეს „უპირატესობები“ დღევანდელ სკოლაში მოხსნილია, თუმცა სკოლასაც გააჩნია.

თანამდებობრივად პრობლემა არ შემქმნია, მაგრამ, როცა სკოლის მშენებლობა დავამთავრე, სასწავლო სისტემა ფეხზე დავაყენე და სკოლა ერთ-ერთი წარმატებული გახდა საქართველოში, პირადად კი არავის უკადრებია, მაგრამ გამაგონეს: სასურველია, ასეთი დიდი სკოლის დირექტორი კაცი იყოს, კაცი ააშენებს, შექმნის, დაგეგმავს, მიდგებ-მოდგება, მისვლა-მოსვლის საშუალება კაცს მეტი აქვს, სხვებს შეაწუხებს, ალბათ მასავით მხოლოდ კაცებს, და მწვანე შუქს აინთებს ნებისმიერ საქმეში – ასეა მიჩნეული. ჩემი სკოლის დირექტორი ტრადიციულადაც კაცი იყო. ჩემმა წინამორბედმა ქალმა ეს მითი დაარღვია, თუმცა უამრავი პრობლემა შეექმნა. ფარულ აგრესიას დღესაც ვერ ვცდები. შესაბამისად, ზოგიერთ მამაკაცთან საქმიანი ურთიერთობის პოლიტიკა ყოველთვის განსაზღვრული, დამუშავებული და მოქნილი მაქვს და იგი რატომღაც მათი „უპირატესობის აღიარებას“ ეყრდნობა. მოკლედ, ხანდახან და ზოგიერთთან საქმისთვის ვმლიქვნელობ, ქალებთან უფრო ღიად და გულწრფელად ვმოქმედებ. დღევანდელ საზოგადოებაში, რაც უნდა მონდომებულები ვიყოთ გენდერული პრობლემების მოსაგვარებლად, მაინც არსებობს ქალთა და კაცთა პრობლემა. ამას ან არ აღიარებენ, ან ვერ აცნობიერებენ.

არასდროს მინატრია კაცად დავბადებულიყავი, ფიქრშიაც კი არასოდეს მიმიცია მამაკაცებისათვის ამ უპირატესობით ტკობის უფლება, უბრალოდ, არასოდეს დამჭირვებია. ჩემი აზრით, ნებისმიერი, ყველაზე ჩვეულებრივი ქალიც კი თავისთავად იდეალურია. წლები დასჭირდება იმ სტერეოტიპის შეცვლას, რაც საზოგადოებაშია, იმიტომ, რომ ის, რასაც ჩვენ სტერეოტიპს ვეძახით, მეტი წილი საქართველოსთვის ტრადიციანია, ფასეულობაა, ეს ტაბუა, რომელსაც არ ეხებიან. გენდერული თვალსაზრისით მასზე, უკეთეს შემთხვევაში - ემოციურად, ხოლო უარესში აგრესიულად საუბრობენ. ახალგაზრდებში შიგადაშიგ კოკეტობენ, თემით პოზირებენ, არ უნდათ, რომ რაღაცას ჩამორჩნენ, მაგრამ მათი მოქმედებები სხვაზე მიუთითებს.

ქალს შეუძლია გააკეთილშობილოს, დახვეწილი, ზომიერად ემოციური, მიმზიდველი და რბილი, უფრო ტოლერანტული გახადოს პოლიტიკა, დაძაბულობა მოხსნას, საზოგადოებას კომპრომისებზე წასვლა ასწავლოს, ფერთა პალიტრა დააღაგოს, ააყვავოს, მაგრამ უფრო გაამწვანოს – მწვანე ხომ ყველაზე სრულყოფილი, თვალისთვის, სულისთვის მშვიდი ფერია. ქალს შეუძლია, რომ პოლიტიკოსობას, როგორც პროფესიას, სიმსუბუქე და ჩვეულებრივი, მიწიერი ელფერი შესძინოს, უფრო ახლობელი და გასაგები გახადოს ჩვეულებრივი ადამიანებისთვის. თუმცა ამ აზრს ყველაზე ვერ გავავრცელებთ.

მე ქალი ვარ და, როგორც ყველა ადამიანი, უპირველეს ყოვლისა ჩემი ოჯახით ვამაყობ. კარიერაში ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა მიღწეულით დაუკმაყოფილებლობაა, მერე ალბათ - პროფესიული ზრდა და აღიარება, როგორც კარგი სპეციალისტის. ამის კრიტერიუმებია შესრულებული სამუშაო, განხორციელებული პროექტები, საგანმანათლებლო სისტემაში შეტანილი და დამკვიდრებული უამრავი სიახლე. მე მომწონს მიღწევების ესკალაცია, რაც განვითარების ნიშანია და ეს საზოგადოების „სენი“ უნდა გახდეს.

# მთავარი სიყვარული, ძალა ჯი ერთობაშია

თეა ჯორჯიანიძე – სცენარისტი,  
ფონდ „იანანას“ სამხატვრო  
ხელმძღვანელი  
დაბადების დღე – 21 ივლისი



„იანანა“ ჩემთვის სამსახური  
აბისოდეს ყოფილა,  
ის ჩემი სისწოცხლის ნაწილია“.

მამა კომპოზიტორი იყო, მუსიკალურ წრეში ვიზრდებოდი, როგორც იტყვიან ხოლმე, თბილისურ ოჯახში. როცა ჩვენთან სუფრა იშლებოდა, მეზობლები ფანჯრებს ალებდნენ და ემზადებოდნენ სიმღერის მოსასმენად. მამას უნდოდა მუსიკას გავყოლოდი, სასწავლებელი დავამთავრე, ტექნიკურად ცუდად არ ვუკრავდი, მაგრამ ამისათვის სულ სხვა მოწოდება იყო საჭირო, მე კი გამებისა და ეტიუდების დაკვრა საშინლად მტანჯავდა. საბოლოოდ, სკოლა მედალზე დავამთავრე და სამედიცინო ინსტიტუტში გადავწყვიტე ჩაბარება, თუმცა პათანატომიის კათედრაზე სამი დამწვარი გვამის ნახვის შემდეგ მივხვდი, რომ ეს პროფესია კიდევ უფრო შორს იყო ჩემგან.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მშობელი აკვირდებოდეს ბავშვის მონაცემებს. რამდენიმე წელი დავკარგე, რადგან ვერ ვპოულობდი საკუთარ თავს და განვიცდიდი. ბოლოს აღმოჩნდა, რომ პატარა ისტორიების წერა და თხრობა იყო ჩემი საქმე. მამას მეგობრის, მწერალ ბესიკ მაღლაკელიძის დამსახურებაა, რომ თეატრალურ ფაკულტეტზე, დრამატურგ-სცენარისტა ჯგუფში მიმიღეს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ტელევიზიის მეორე არხზე შტატგარეშე ავტორად ვმუშაობდი. ერთი პერიოდი უურნალ-გაზეთებში ვწერდი, კულტურის გვერდის რედაქტორიც ვიყავი. მნიშვნელოვანი ეტაპი იყო კოკა ყანდიაშვილთან თანამშრომლობა სტუდია „აუდიენციაში“, გადაცემის „მიამბეთ თქვენზე“ სცენარისტად ვმუშაობდი, პარალელურად – მონარდ მაყურებელთა თეატრში ლიტერატურული ნაწილის გამგედ. უფლის წყალობა იყო, რომ

მომიწია ვახტანგ როდონიასთან, ბესიკ ხარანაულთან და შოთა ქავთარაძესთან, ქართული ენის საუკეთესო მცოდნეებთან ერთ რედაქციაში თანამშრომლობა. საბოლოოდ ჩემი პროფესიული არჩევანი ჩვენმა საყვარელმა მაცესტრომ ერლომ ახვლედიანმა გადაწყვიტა, რეჟისორი გია კიტიია კი, უბრალოდ, გენიალური პედაგოგია, მასთან ურთიერთობამ ბევრი რამ მომცა და დღემდე მის მოწაფედ ვრჩები. ქართული წერისა და დრამატურგიის კანონების სწავლას დიდი დრო მოვანდომე და თუკი რაიმე გამომდის, ეს ამ ადამიანების დიდი დამსახურებაა.

ფონდ „იავნანას“ პროექტების უმეტესობა გარკვეულწილად ალბათ ჩემს სცენარისტობას ეფუძნება. „იავნანას“ ანალოგი არ არსებობს. აქ მივეჩვიე, რომ ჩემს ყველა დღეს ვილაცისათვის სიკეთის მოტანა შეუძლია და ეს კიდევ უფრო ზრდის მოტივაციას.

მამა ძალიან ადრე, 55 წლის ასაკში სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა. ჩემთვის ეს დიდი ტრამვა იყო. ბავშვობიდან მწამდა, რომ გენიალური მუსიკოსი იყო, საოცრად ჰარმონიულად უკრავდა, რისი სწავლაც უბრალოდ შეუძლებელია. მისი წასვლის შემდეგ ჩემთვის უსამართლობის სახე მიიღო იმ ფაქტმა, რომ მამა არ იყო აღიარებული. რაც, რა თქმა უნდა, უპირველესად მისმა უცნაურმა ხასიათმა განაპირობა: თავმდაბლობასთან ერთად, გადამეტებული პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა, კომპოზიტორთა კავშირში მეგობრებმა ძალით გააწვევრიანეს. მოკლედ, ხელი მოგვიდეს მის არქივს და შევუდექი ნაწარმოებების გაცოცხლებას.

პაატა ბურჭულაძე კონსერვატორიაში მამასთან ერთად სწავლობდა და მეგობრობდნენ. შევთავაზე ემღერა მამას მიერ შექმნილი „ზამთარია, სიცივეას“ ორიგინალი. პაატამ საოცრება მოახდინა. ის ძალიან ნიჭიერი და ლალი ადამიანია, რომელსაც არ ეშინია ექსპერიმენტების. ბევრი საოპერო მომღერალი ასეთ ექსპერიმენტს – ემღერა გიტარის თანხლებით – არ დასთანხმდებოდა. ნამდვილად საოცარი ნამღერია. მე შემიყვარდა მასთან ერთად შემოქმედებითის, კრეატიულის კეთება, კარგად გაეუგეთ ერთმანეთს. ამ დროისათვის პაატას უკვე ჰქონდა ფურცელზე პროექტი „იავნანა“ და ორი ჩატარებული ღონისძიება. „ზამთარია, სიცივეას“ ვიდუოკლიპის პრეზენტაციის შემდეგ პაატა გაემგზავრა და მე გული დამწყდა, რადგან შემიყვარდა ამ ადამიანთან მუშაობა. გატაცება და სიყვარული შემოქმედებით ურთიერთობებში ყოველთვის გამძაფრებულია.

ერთ დღესაც პაატამ დამირეკა და ფონდში მუშაობა შემომთავაზა. არ გვქონდა არც ოფისი, არც ტელეფონი. მახსოვს დიდი სინარული, როცა ფაქსი შევიძინეთ. პაატას სახლში დეიდა ნუნუმ, მისმა დედამ გამომიყო ერთი ოთახი და ეს იყო ჩემი ოფისი. ასე დაიწყო „იავნანა“. პირველივე დღეებიდან ძალიან გამომადგა ცხოვრების მანძილზე დაგროვილი სხვადასხვა პროფესიული გამოცდილება – სცენარების წერიდან დაწყებული, თეატრითა და ტელევიზიით დამთავრებული. „იავნანა“ ჩემთვის სამსახური არასოდეს ყოფილა, ის ჩემი სიცოცხლის ნაწილია.

არასოდეს მქონია დაბრკოლება იმის გამო, რომ ქალი ვარ. მთავარია საქმეს პროფესიულად უდგებოდე. მიმაჩნია, რომ ზოგადად არ ვარ პრინციპული ადამიანი. პრინციპულობა და ნაჭუჭში ჩაკეტვა ადამიანის განვითარებას აფერხებს. მაგრამ, როდესაც საქმე რაიმე შემოქმედებითს ეხება, ძალიან პრინციპული ვხდები და არ ვთმობ არასდროს.; როცა დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ხედვა სწორია, მებრძოლი სული შთამბეჭერება ხოლმე.

ძალიან ბევრია ისეთი ბავშვი, რომელსაც ვერ დავეხმარეთ. ჩვენთან უამრავი წერილი შემოდის; მაგალითად, ჯანმრთელობის პროგრამას საერთოდ ვერ ვახორციელებთ. ჩვენ დიდი ფუ-

ლი არ გვაქვს. უბრალოდ, გულთან ახლოს მიგვაქვს ყველა ბავშვისა და ოჯახის სატკივარი და შემდეგ ერთმანეთს ვაცნობთ მათ, ვისაც დახმარება სჭირდება და მათ, ვისაც ამ დახმარების აღმოჩენა შეუძლია. ამის დასტურია ის, რაც მოხდა 2009 წლის სამ მარტს. 170 000-მდე ადამიანმა დარეკა და გადმორიცხა თითო ლარი. ჩვენ ველოდით, რომ შეგროვდებოდა სამი ბინის თანხა, მაგრამ ადამიანების სიკეთის კეთების სურვილმა სასწაული მოახდინა და შვიდი ოჯახისთვის შევძელით ბინის შეძენა. ამას ჰქვია – ძალა ერთობაშია! როდესაც გულწრფელი ინიციატივაა, ქართველებს შეგვიძლია გაერთიანება. 5 წლის მანძილზე, ჩვენი პატარა ფონდის მუშაობის პირობაზე, შედეგი სერიოზულია, 49 ოჯახს ვუყიდეთ ბინა. ჩვენ არ ვარიგებთ ბინებს ევრორემონტით ვაკეში, ჩვენ უბრალოდ, შანსს ვაძლევთ ადამიანებს, ვაძლევთ ჭერს, პირობითად რომ ვთქვათ, გამოგვყავს ავტოფარეხებიდან და, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო პირების თანადგომით, ვცდილობთ ხელი შევუწყოთ მათ შემდგომ განვითარებას.

საქართველოში დიდი პრობლემაა ის, რომ ადამიანი არ აკეთებს თავის გასაკეთებელ საქმეს და გამუდმებით სხვას ელოდება. ცოტა ვინმე თუ ეკითხება საკუთარ თავს – მე რა გავაკეთებ ამა თუ იმ საკითხის მოსაგვარებლად. ჩვენი საზოგადოება თითქოს ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთი აკეთებს რაღაცას, მეორე ჩასაფრებულია, რომ რაიმეში გამოიჭიროს, პასუხი მოსთხოვოს და ყველაფერს აკრიტიკებს. „ჩასაფრებულობა“ ლამის პროფესიად იქცეს. დღეს საქართველოს ასევე დიდი პრობლემაა ხალხის დაუსაქმებლობა, არარეალიზებულობა.

5 წლის წინ საბავშვო სახლებში მცხოვრები 5 200 ბავშვიდან მხოლოდ 156 იყო უდემამო, ამ სტატისტიკამ გამოაოგნა. ბავშვების უმეტესობას ჰყავს ახალგაზრდა, ჯანმრთელი, ცოცხალი დედ-მამა და ისინი შვილებს აგზავნიან ბავშვთა სახლებში იმის გამო, რომ შიმშილით არ დაეხვოცოთ. არადა ყველა ბავშვს აქვს უფლება იზრდებოდეს საკუთარი დედის გვერდით, ამ ტრაგედიის შეგრძნებამ მომცა ძალა და ბავშვების მშობლებთან დასაბრუნებლად აქტიურად დავიწყეთ პროექტის განხორციელება. „იანანას“ სამეგობროებიც კონკრეტულ ოჯახებს ეხმარებიან, ზოგი – თანხით, ზოგი – პროდუქტით, ვისაც რა შეუძლია.

დღეს ჩვენთან თითქოს დარღვეულია ჰარმონია. სხვათაშორის, მრავალშვილიანი და გაჭირვებული ოჯახებიდან მამაკაცები ხშირად გარბიან, ჩვენთან ასეთი არაერთი შემთხვევა შემოსულა. ქალები შვილების გამოსაკვებად ბევრ რამეზე მიდიან, უარს არ ამბობენ დამლაგებლად მუშაობაზე. მამაკაცი კი დათრგუნულია, არარეალიზებული, გარკვეულწილად კარგავს „ოჯახის საყრდენის“ ფუნქციას, ზოგჯერ გაქცევას ირჩევს და კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში ვარდება მაშინ, როცა ქალი ცდილობს შექმნას ისეთი გარემო, სადაც ყოფილი პრობლემები არ იგრძნობა. დღეს ქალებს უფრო აქტიური ცხოვრება უწევთ და უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ თავზე. მე მაინც ვფიქრობ, რომ ხშირად რაც უფრო ძლიერი ჩანს ქალი, სინამდვილეში მით უფრო სუსტია და ქალური. შესაძლოა უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ რომ არ ვგრძნობდე, რომ ჩემ უკან ძლიერი მამაკაცი დგას, რომელიც ყოველთვის დამიცავს, ხანდახან მგონია, საერთოდ ვერაფერს გავაკეთებდი.

ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ არასოდეს დაიკარგოს სიყვარულის განცდა და სურვილი; შემოქმედებითი მიდგომა და ჩართულობა აუცილებელია ნებისმიერ პროფესიაში, სწორედ ეს არის ყველა საქმეში ცალკეული ადამიანებისა და შემდეგ უკვე კომპანიების წარმატების საწინდარი.

# დალა – დირექტორი

**მარიამ (მასა) ჯორჯაძე – ბიოლოგი,  
ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია  
„ელკანას“ დირექტორი  
დაბადების დღე – 4 ივნისი**



„ქალები და წაყვები თანახმობნი  
უნდა იყვნენ ანა მაისო ყვლებქებით.  
ამაქელ ქსადლებლოჭებითაც“.

მეშუღლის გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ შვილების აღზრდა იყო ჩემი საქმეცა და ცხოვრების უმთავრესი ინტერესიც. შვილებთან ერთად, დეკემბრიდან მოყოლებული აპრილამდე, გულაურში ვიყავი ხოლმე, „სეზონურად“ ვცხოვრობდით და იმდროინდელი არეულობისგანაც შორს ვიყავით – ამითი თითქოს თავსაც ვიმშვიდებდი და შვილებს იმ ქაოსსაც ვარიდებდი, რაც საქართველოში სუფევდა. ოჯახი მეხმარებოდა. მერე თანდათან, ბავშვების გაზრდასთან ერთად, პრობლემებიც გამრავლდა, მივხვდი, რომ „მეც უნდა გამენძრია ხელი“ და ახლობლების დაუინებული მოთხოვნით მუშაობა დავიწყე უნივერსიტეტში ეკოლოგიის კათედრაზე, მაგრამ ვგრძნობდი იქ მუშაობა არ მომწონდა და დიდხანს ვერ გავძლებდი. მალე ყოფილმა ლექტორმა აქ, „ელკანაში“ მუშაობა შემომთავაზა, საქმიანი ქალაქების მოწესრიგება და საზოგადოებასთან ურთიერთობა მევალებოდა. 1996 წლიდან „ელკანაში“ ვარ. როგორც იტყვიან, საქმიანობა ნულიდან დავიწყე და ცხოვრების წესიც შემეცვალა – მოულოდნელად ძალიან აქტიურ ცხოვრებაზე გადავედი...

მიუხედავად იმისა, რომ კარიერა მიზნად არასდროს დამისახავს და გარკვეულ წარმატებას მაინც მივაღწიე, ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი მიღწევა ჩემი შვილები და შვილიშვილები არიან. ეს ის „სფეროა“, სადაც ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი ნაწილი ჩავდე, ყოველ შემთხვევაში, ასე მინდა, რომ იყოს. დღეს მე ვარ დირექტორი, ხელმძღვანელი. ეს მოულოდნელად მოხდა. თავიდან „ელკანაში“ საქმიანობა მეხალისებოდა. დირექტორობაზე არასდროს მიფიქრია. ერთხელ უცნაური შემოთავაზება მივიღე ყოფილი დირექტორისგან: როდესაც დონორებმა თქვეს, რომ თუ წინა დირექტორი არ წავიდოდა, ისინი უარს იტყოდნენ თანამშრომლობაზე, ხოლო დირექტორი წავიდოდა იმ შემთხვევაში, თუ მე დავთანხმდებოდი დირექტორობას.

გადასაწყვეტად რთული იყო, მაგრამ აქაურობა ჩემთვის იმდენად ახლობელი გახლდათ, რომ დავთანხმდი. დღეს კი შედეგად და პირად მიღწევად მიმაჩნია ის, რომ ხელმძღვანელობამ ბევრი საჭირო თვისება შემძინა თუ „გამომიაშკარავა“ – გადაწყვეტილების მიღებისას ნაკლებად ემოციური ვარ, როცა საქმე ეხება ორგანიზაციას, შეიძლება არაპოპულარულ, მაგრამ მისთვის საკეთილდღეო ნაბიჯს ვდგამ. დღევანდელი გადასახედიდან ბევრი გადაწყვეტილება, რომელიც თავის დროზე „ძვირად“ დამიჯდა, სწორად გადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდა.

ვერ გეტყვით, ჩემს ადგილზე სხვა როგორ მოიქცეოდა, შეიძლება მეტად წარმატებულიც ყოფილიყო, მაგრამ მე ჩემში ხელმძღვანელისთვის საჭირო თვისებები აღმოვაჩინე და, მიუხედავად იმისა, რომ გადამწყვეტ მომენტებში შეიძლება ძალიან პრინციპული და მკაცრი ვიყო, ლავირება შემიძლია. იქნებ ეს ქალური ბუნების მახასიათებელიცაა?!

ჩვენ შვიდი წლის წინ გადავწყვიტეთ, რომ ორგანიზაციას პროგრამით ემუშავა და პროექტები მისთვის დაგვექვემდებარებინა. დღესაც იშვიათად ვმონაწილეობთ ტენდერებში, მხოლოდ პროგრამის შესაბამის სამუშაოს ვახორციელებთ, ძირითადად კი სოფლის მეურნეობის, ბიოაგროწარმოების განვითარებისა და აგრობიომრავალფეროვნების აღსადგენად ვიღვწით. ვმუშაობთ რეგიონებში, თავიდან შეზღუდული გეოგრაფია გვქონდა, მაგრამ ახლა უკვე საქართველოს ყველა რეგიონში გავედით, აჭარისა და სვანეთის ჩათვლით. სპეციფიკური ქალთა პროგრამები არ გვქონია, მაგრამ შარშან გენდერული შეფასება გავიარეთ და საკმაოდ კარგი შედეგები ვაჩვენეთ. პროგრამულადაც ვგეგმავთ, რომ გარკვეული პრივილეგიები მივანიჭოთ ქალთა ჯგუფებს. ჩვენი სამუშაო კადრიც, მიუხედავად იმისა, რომ გამგეობაში მხოლოდ ერთი ქალია, გენდერულად დაბალანსებულია და, საერთოდაც, ქალები უფრო მაღალანაზღაურებად თანამდებობებზეც მუშაობენ.

ცხოვრებაში ბევრჯერ გამჭირვებია, მაგრამ არასდროს მიფიქრია, მამაკაცი ყოფილიყავი. სამ უფროს ძმასთან ერთად ბავშვობიდან თანასწორ საწყისებზე ვიზრდებოდი. სწავლისა და მუშაობისას ხშირად კაცებზე ჭკვიანადაც ჩამითვლია თავი და მამაკაცისგან დისკრიმინაცია არასდროს მიგრძენია, ჩემი ქალობის გამო არ შევზღუდულვარ... მე თავისუფლება მიყვარს. არ მიყვარდა, როცა ჩემზე დაუდევრად უფროსობდნენ, „თავისუფლებაში“ ყოველთვის მეტად ეფექტური ვიყავი, უკეთ ვასრულებდი ჩემს საქმეს და დღესაც ასე ვარ.

არა მგონია, რომ დღეს ქალებს ვინმე ზღუდავდეს ბიზნესსა ან პოლიტიკაში, უბრალოდ, მათ ამ საქმიანობისათვის სურვილი ან ჩვევები არ ჰყოფნიან. მითუმეტეს ახლა, როცა ყოველდღიურად რალაც იცვლება. ჩემი აზრით, დღევანდელი ქალი-პოლიტიკოსები ისევე, როგორც კაცები, საქმისაგან შორს დგანან და პოლიტიკური არაპროფესიონალიზმი უფრო საერთო სურათია, ვიდრე მაინცადამაინც ქალების მახასიათებელი. დღეს ხშირად ქალს უწევს „ორის“ ნაცვლად მუშაობა და ამის გამო ძალიან უჭირს ქალად დარჩენა. ოჯახური ძალადობის პრობლემებზე მსმენია და ვფიქრობ, რომ უფრო საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი მახინჯი გამოვლენაა ის, რომ ქალები ძალადობას ითმენენ, არ ახმაურებენ. გამოდის, რომ მოთმენა უფრო მათი გადაწყვეტილებაა, მათი არჩევანია, ვიდრე აუცილებლობა. ასეთი შემთხვევები დღეს უფრო იშვიათია, მაგრამ ჯერ კიდევ არის. მიმაჩნია, რომ მამაკაცებთან შედარებით ქალებს მეტი პასუხისმგებლობის გრძობა აქვთ. საქართველოში ძალიან ფასობს ქალის ეს თვისება, იქამდეც, რომ ხშირად ეს ფაქტორი ქალის საზოგადოებრივ წინსვლაში ხელისშემშლელიც ხდება. იდეალურია ქალი-დედა, რომელიც შვილებს ზრდის და საზოგადოებრივი საქმიანობა დაკავებული. მე კატეგორიულად არ ვფიქრობ, რომ თუ ქალი გადაწყვეტს ხელმძღვანელ თა-

ნამდებობაზე ყოფნას, მას ეს არ შეუძლია – რატომაც არა! მაგრამ მაინც, ჩემი აზრით, ქალის უმთავრესი ფუნქციაა გაზარდოს მომავალი თაობა. ხოლო კაცები და ქალები თანასწორნი რომ უნდა იყვნენ არა მარტო უფლებებით, არამედ შესაძლებლობებითაც, ეს აშკარაა. ვოცნებობ თავისუფალ საქართველოზე, სადაც ეცოდინებათ ერთმანეთის მოსმენა, არ იარსებებს არანაირი დისკრიმინაცია.